სემუელ ბეკეტი

მოლოი

ლიოგენეს
ბიბლიოთეკა

I

დედაჩემის ოთახში ვარ. ახლა მე ვცხოვრობ აქ. ოღონდ როგორ მოვხვდი, ეგ კი აღარ ვიცი. სასწრაფომ თუ მომიყვანა, ყოველ შემთხვევაში – რაღაც მანქანამ. ამოსვლაშიც დამეხმარნენ, მარტო ვერც ამოვიდოდი. კვირაობით ვიღაც კაცი დაიარება ჩემთან – ეტყობა, იმის წყალობით თუ გადმოვბარგდი. თვითონ კი უარობს, თან ფულს მაძლევს და ფურცლები მიაქვს. რამდენი ფურცელიცაა, იმდენივეა ფულიც. კი, ახლა ასე ვმუშაობ, ცოტ-ცოტას, ჩემებურად. თუმცა ეგეცაა, სინამდვილეში წარმოდგენა არა მაქვს, როგორ ვიმუშაო. ისე, ჩვენში დარჩეს, რა მნიშვნელობა აქვს?! ახლა უბრალოდ მინდა, იმაზე ვილაპარაკო, რაც შემომრჩა – გამომშვიდობება მოვასწრო და კვდომასაც დავუსვა წერტილი. ისინი კი არ მაცლიან. კი, ისინი. მარტო ის კაცი არა. ისე, მოსვლით მარტო ის ერთი მოდის. ეგეც მოესწრებაო, მეუბნება. კეთილი და პატიოსანი. სიმართლე ისაა, ნება თითქმის აღარ შემრჩა. როცა ახალი ფურცლების წასაღებად მოდის, წინა კვირას წაღებულსაც უკან მიბრუნებს. ზედ რაღაცები

მოუნიშნავს, ოღონდ ამის აზრს კი ვერ ვხვდები. საერთოდ, არც ვკითხულობ. თუ ვერაფერი დავახვედრე, არც არაფერს მაძლევს და მეჯუჯღუნება კიდეც. მაგრამ მარტო ფულისთვის არ ვმუშაობ. მაშ, რისთვის? აი, ეგ აღარ ვიცი. ეგ კი არა, მართალი გითხრათ, ბევრი რამე არ ვიცი. არ ვიცი, მაგალითად, დედაჩემის სიკვდილის ამბავი. ვითომ უკვე მკვდარი იყო, როცა აქ გადმომიყვანეს? თუ მერე გარდაიცვალა? ანუ დასასაფლავებელი იყო? არ ვიცი-მეთქი, ხომ გითხარით. იქნებ ჯერ არც დაუსაფლავებიათ. ასეა თუ ისე, მისი ოთახი ახლა მე მერგო. მის საწოლში მძინავს. მის ქოთანში ვშარდავ და ვისაქმებ. მისი ადგილი დავიკავე. ნელ-ნელა, ალბათ, სულ უფრო და უფრო ვემსგავსები კიდეც. ერთადერთი, რაც ბოლო წვეთად მჭირდება, ვაჟიშვილია. ისე, ეგებ მყავს კიდეც სადმე? არა მგონია. ახლა კაი ხნის იქნებოდა, ლამის ჩემხელა, ლამის ჩემსავით ბებერი. იყო ერთი პატარა ცელქობა მოახლე გოგოსთან. ნამდვილ სიყვარულს ვერც დაარქმევ. ნამდვილი გრძნობა სხვას ეკუთვნოდა. იქამდეც მივალთ. რა ერქვა? ისევ დამავიწყდა. ზოგჯერ მგონია, ვიცნობდი კიდეც საკუთარ ვაჟს, ვზრუნავდი მასზე. მერე ჩემს თავს შევუძახებ ხოლმე, ეგ შეუძლებელია-მეთქი. შეუძლებელია, როდესმე ვინმეზე ზრუნვა მომეხერხებინა. მგონი, ამ სიტყვას ვერც კი დავწერ სწორად. ამას და კიდევ ბევრ სხვასაც. ისე, ან მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! კარგი, ეს იქით იყოს, ისევ იმ ჩემს უცნაურ სტუმარს დავუბრუნდეთ. ყოველ კვირა დღეს მაკითხავს. სხვა დროს არ სცალია. მუდმივად წყურვილი აწუხებს. იმან მითხრა სწორედ, დასაწყისი არაფრად ვარგა, სხვანაირად უნდა დაგეწყოო. მართალს უნდა ამბობდეს. ძველი სკოლის ვინმე უჟმური კალმოსანივით, მართლა თავიდან დავიწყე ყველაფერი. როგორი ამბავია?

დავიწყე და ესენიც ყველაფერს ინახავენ. ახლა კი ლამის ბოლოში ვარ გასული. არადა, ჯვარს მაცვეს. და რა მერე – რასაც ახლა ვაკეთებ, უკეთესია? მარტო იმათ კი არა, მეც გვარიანად ვიგვემე თავი. ჩვენში დარჩეს, ადვილია დაწყება? არ ვიცი. თავგზა ამებნა. მაგრამ ეს იქით იყოს – რახან დავიწყე, დავიწყე. ეტყობა, რაღაც მაინც დაინახეს, ისე არც შეინახავდნენ. ეგრეა.

ეს – ამ ჯერზე, მერე იქნებ – ერთხელაც. მერე, ალბათ – უკანასკნელად, და მგონი, დამთავრდება კიდეც – თავად სამყაროს ჩათვლით. სულ-სულ-სულ საბოლოო აღსასრულის წინათგრძნობა. ყველაფერი იბინდება. ცოტაც და დაბრმავდები. ტვინიდან მოდის ყველაფერი. უკვე აღარ მუშაობს. თავადვე მეუბნება, ჩემი იმედი აღარ გქონდესო. მუნჯდები და ბგერებიც ძნელად გესმის. სადაცაა, ზღურბლსაც გადააბიჯებ. ეგრეა. მართლა ტვინიდან მოდის ყველაფერი. დაიღალა, ეტყობა. არადა, ჯიუტად გაიძახი: ახლა შევძლებ, მერე ეგებ – კიდევ ერთხელ, მერე – ბოლოჯერაც; იმის იქით კი აღარაფერია. გინდა, როგორმე ეს აზრი ჩამოაყალიბო, რადგან, გარკვეული თვალსაზრისით, ერთადერთია, გადამრჩენელი. მერე ცდილობ, მთელი ის ბუნდოვანებაც გაფანტო, ამოიკითხო და თავს უჩიჩინებ, ყველაფერი ჩემი ბრალიაო. ბრალი? მაგარი სიტყვაა. ოღონდ რაში მდგომარეობს ეს ბრალი? დამშვიდობება ჯერ ადრეა და მაგის დროც მოვა, როცა შენს თვალწინ ის ჯადოსნური, დაბინდული ლაქა გაქრება თანდათან. რაკი დამშვიდობება აუცილებელია, სიგიჟე იქნება ამაზე უარის თქმა, როცა ამის დრო დადგება. გარდასულ დღეებს სინანულის გარეშე იხსენებ, თუკი იხსენებ საერთოდ. მათზე იშვიათად ფიქრობ. ან რაა აქ საფიქრალი? არ ვიცი. ხალხიც ირევა, შენგან ძნელად გამოსარჩევი. ეს

ცოტათი გაბნევს. აი, ვხედავ – მავანი A ნელი-ნელ უახლოვდება მავან C-ს, და არც იციან, რას სჩადიან. ოდესღაც ეს სოფლის თვალშისაცემად უკაცრიელ გზაზე ხდებოდა და არც თხრილი, არც რამ ბუჩქნარი მოჩანდა სადმე. საღამოხანს თვალუწვდენელი მინდვრების მდუმარებაში ძროხები ზანტად იცოხნებოდნენ. ზოგი იწვა, ზოგიც ფეხზედგომელა იცოხნებოდა. ეგებ რაღაცას ვიგონებ კიდეც, რაღაცას ვალამაზებ, მაგრამ მთლიანობაში მართლა ასე იყო: ღეჭავდნენ, ყლაპავდნენ და მერე ისევ გაუაზრებლად ეტანებოდნენ ახალ ულუფას. კისრები უთრთოდათ, ყბები გაუჩერებლივ მიუდ-მოუდიოდათ აქეთ-იქით. ოღონდ ვინ იცის, იქნებ სულაც ახლა ვთხზავ ამ ყველაფერს. ხრიოკი, მოთეთრო გზა, გადარუჯული საძოვრები, მდუმარე გორაკები... ქალაქიც იქვე იყო და ის ორი კაციც – ერთი მაღალი და ერთიც დაბალი. ქალაქიდან გამოსულიყვნენ. ჯერ – ერთი, მერე – მეორე. მერე კი პირველი – არ ვიცი, დაიღალა თუ რაღაც საქმე გაახსენდა, უკანვე გაბრუნდა. ეტყობა, გრილოდა, რაკი ორივეს პალტო ეცვა. ერთმანეთს ჰგავდნენ, ოღონდ არა იმაზე მეტად, ვიდრე ნებისმიერი ადამიანები – ერთმანეთს. თავიდან დიდი სივრცე ყოფდათ. სწორედ ამ სივრცის გამო, ერთმანეთს ვერც დაინახავდნენ, გინდაც თავები აეწიათ და მიმოეხედათ; და კიდევ – ოღროჩოღრო მიდამოს გამო, რომელსაც გზაც დაეტალღა. არცთუ ძალიან, მაგრამ მაინც. თუმცა ის წუთიც დადგა, როცა ორივე ერთ ვარდნილში აღმოჩნდა და ბოლო-ბოლო, შეხვდნენ კიდეც. ვითომ იცნობდნენ ერთმანეთს? არა მგონია. ამაზე არაფერი მიუთითებს. ოღონდ ნაბიჯების ხმამ ან რაღაც იდუმალმა ინსტინქტმა ორივეს თავი ააღებინა. ერთმანეთი შეათვალიერეს, ჯერ კიდევ სიარულშივე, მერე კი პირისპირ შედგნენ. ერთმანეთს

კი არ ჩაუარეს, შეჩერდნენ, თვალი თვალში გაუყარეს, როგორც საღამოხანს, სოფლის უკაცრიელ გზაზე ორი მგზავრი მოიქცეოდა და ამაში უცნაურს ვერც ვერაფერს დაინახავდა. ეტყობა, მაინც იცნობდნენ ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, უკვე იცნობენ. ახლა ალბათ სალამსაც აღარ დაამადლიან ერთიმეორეს, გინდაც ქალაქის ორომტრიალში გადაეყარონ უნებურად. ზღვისკენ შეტრიალდნენ, მიმქრალი ცისკენ რომ ასვეტილიყო, შორს, აღმოსავლეთით, მინდვრების გადაღმა, და ორიოდ სიტყვა დაუგდეს ერთმანეთს. მერე ორივე თავის გზას ეწია: A უკან, ქალაქისკენ გაემართა, C კი შემოვლით გზას გაუყვა, რომელსაც ან ცუდად იცნობდა, ან საერთოდ არ იცნობდა. გაუბედავ ნაბიჯზე ეტყობოდა – ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, მიიხედ-მოიხედავდა ხოლმე, თითქოს ნიშნების დამახსოვრებას ცდილობს, ვინძლო ერთ მშვენიერ დღეს ისევ მომიწიოს ამ გზის უკან გამოგნებაო. ვერაგ მთა-გორებს, საითკენაც გაუბედავად დააღირა თავი, ეჭვი არაა, მხოლოდ შორიდან ცნობდა, მხოლოდ საკუთარი საძინებლის ფანჯრიდან თუ დაენახა, ანდა იმ მონუმენტის წვერიდან, რომელზეც ერთ შავბნელ დღეს, უსაქმურობისაგან დაშტერებული, უაზროდ აეხეტა. შემორჩენილი ხურდა გადაიხადა და დახვეულ ქვის კიბეს აუყვა სულ მაღლა და მაღლა, შვების იმედით, უფრო და უფრო გაჭირვებით. იქიდან, წესით, ყველაფერი უნდა დაენახა – ველიც, ზღვაც და მერე ეს ერთგვაროვანი გორაკებიც, ზოგი მთებს რომ ეძახის: საღამოს შუქზე ალაგ-ალაგ მუქად ჩალურჯებულნი, ცისკიდურზე მიჯრით შექუჩებულნი, უჩინარი ხეობებით დაღარულნი. მათ მხოლოდ ცვალებადი ელფერით თუ გამოარჩევს თვალი, ან სხვა ნიშნებით, რომელთაც ვერც სიტყვას მოუძებნი სახელად და ვერც ფიქრში მონათლავ.

ყველაფერს მაინც ვერ მოიხილავ, ამ სიმაღლიდანაც კი. ხშირად იქ, სადაც ერთ ფერდობს ან ერთ თხემს დალანდავ, სინამდვილეში ორია, ორი ფერდობი, ორი თხემი, ხეობით გაყოფილი. თუმცა ახლა უკვე იცნობს ამ მთა-გორებს, შედარებით უკეთ, და თუკი შორიდან კვლავაც მოჰკრავს თვალს, ვფიქრობ, სხვანაირადაც აღიქვამს არა მარტო მათ გარეგან სახეს, შინაგან არსსაც, იმ შიდა სივრცეს, რასაც სხვა ვერასდროს ხედავს; ოღონდაც გონება, გული თუ სხვა რამ ჩვენი შიდა ქვაბული, სადაც ფიქრსა თუ გრძნობას თავი აუწყვეტია, ყოველივეს სხვანაირი სიმშვიდით ეპოტინება. უკვე მოხუცია და შეგეცოდება, მარტოსულს რომ დაინახავ ამდენი წლის, ამდენი დღისა და ღამის მერე, რომლებიც გაუაზრებლად შეეწირა აუტანელ ჩურჩულს, რაც მისი დაბადებისთანავე ან სულაც მანამდე დაიწყო: რა ვქნა? რა ვქნა? ახლა მთლად რომ მიჩუმათებულა, ის ჩურჩული – დროდადრო სულაც მიმტანის დაბალ ხმაზე ნათქვამს რომ ემსგავსება: რას ინებებთ? არადა, ძალზე ხშირად ეს ჩურჩული უკვე კივილშიც გადადის. ბოლოს, ან თითქმის ბოლოს მარტოდმარტო აღმოჩნდები უცხო მხარეში, თვითონაც რომ არ იცი, ისე – შეღამებულზე, ჯოხის ანაბარა. მსხვილი ჯოხი სიარულშიც გეხმარება და ეგებ თავის დასაცავადაც გამოგადგეს, თუ საჭირო გახდა. ძაღლების ან მძარცველების მოსაგერიებლად. კი, ღამე დგებოდა, თუმცა კაცი უბრალო იყო, მთლად უბრალო, არაფრის უნდა შეშინებოდა, შეშინებული კი მიაბიჯებდა. არაფრის უნდა შეშინებოდა, ვერაფერს დაუშავებდნენ, ან – ბევრს ვერაფერს. მაგრამ ეს ხომ ვერანაირად ეცოდინებოდა. არც მე მეცოდინებოდა, რომც დავფიქრებულიყავი. მასაც გამოეცადა მუქარა, მის სხეულს, მის გონებას, და იქნებ მართლა ელოდა საფრთხე? ერთსაც და მე-

ორესაც – უცოდველობის მიუხედავად. ანდა საერთოდ, რა შუაშია ამ შემთხვევაში უცოდველობა? რა კავშირშია სიბნელის მირიად სულთან? სრულიად გაუგებარია. მგონი, წონწოლა ქუდი ეხურა. მახსოვს, რა უცნაურად მომხვდა თვალში. ცილინდრი ან კეპი ასე არ გამაკვირვებდა. ვუცქერდი, როგორ მშორდებოდა და მღელვარებამ ამიტანა, მასავით. ყოველ შემთხვევაში, მისი ფორიაქი კი არ გადმომედო, არამედ – უფრო მის მიერ გაზიარებული. აბა, იმის მტკიცებას ვინ მოჰყვება, რომ მას არ ადარდებდა ჩემი ფორიაქი? არ დავუნახივარ, გზის ყველაზე შემაღლებულ მონაკვეთზე მაღლა ვიდექი, თანაც ჩემსავით რუხი კლდის ქიმს მიტმასნილი. კლდეს, ალბათ, შეამჩნევდა. დაძაბული იხედებოდა აქეთიქით, რამე ნიშნები რომ ჩაებეჭდა მახსოვრობაში და უცილობლად დაინახავდა ამ კლდესაც, რომელსაც ზუსტად აღარ მახსოვს, ბელაკვასავით თუ სორდელოსავით ვეკროობოდი. მაგრამ ადამიანი, ჩემს თავს ვგულისხმობ, საგზაო ნიშნად ვერ გამოდგება. იმის თქმა მინდა, თუკი რაიმე უცნაური მიზეზის გამო, ისევ მოუწია ამავე გზის გამოვლა კარგა ხნის მერე, დამარცხებულს, წელში გატეხილს, რაიმე დაკარგულის საძებრად ან რაიმეს გასანადგურებლად წამოსულს, მისი მზერა კლდეს მოიძიებს და არა – მის ჩრდილში შეფარებულ რაღაც შემთხვევით, წარმავალ, უწონად, ჯერაც ცინცხალ სხეულს. არა, ნამდვილად არ დავუნახივარ, უკვე ჩამოთვლილ მიზეზთა გამო და იმიტომაც, ამის გუნებაზე რომ არ იყო იმ საღამოს, საერთოდ არ ჰქონდა რაიმე ცოცხლის დანახვის ხალისი, უფრო ყოველივე უძრავს ეტანებოდა, ან იმდენად მდორედ მოძრავს, ბავშვიც კი რომ ვერ შეამჩნევდა, არათუ ვინმე ხნოვანი კაცი. ასეა თუ ისე, ანუ დამინახა თუ არა, ვიმეორებ, მე თვალს არ ვაშორებდი, როგორ იკარგებო-

და შორეთში. ცდუნებას ვებრძოდი, იქაურობას მოვშორებოდი და უკან მივყოლოდი, ეგებ ერთ მშვენიერ დღეს დავწეოდი კიდეც, უკეთაც გამეცნო და მეც აღარ ვყოფილიყავი ასე მარტოსული. მაგრამ მისკენ ჩემი შინაგანი, უკიდურესობამდე მისული ლტოლვის მიუხედავად, მხოლოდ ბუნდოვნად ვხედავდი ჯერ სიბნელის, მერე კი უსწორმასწორო მიდამოს გამო, რომლის ნაკეცებშიც დროდადრო უჩინარდებოდა ხოლმე და მერე უფრო შორს ისევ ჩნდებოდა; უფრო მეტად – ალბათ იმიტომ, რომ სხვა საგნებიც მიხმობდნენ, და სული ჩემი, დაბნეული და უთავბოლო, ხან ერთს მიაწყდებოდა ხოლმე, ხან – მეორეს. ცხადია, უკვე ნამით გადათეთრებულ მინდვრებს ვგულისხმობ და ცხოველებსაც, ბორიალი რომ მობეზრებოდათ და ღამის გასათევად ემზადებოდნენ; ვგულისხმობ ზღვასაც, რაზეც ახლა არაფერს ვიტყვი, და მთა-გორების მკაფიოდ გამოკვეთილ ზოლს, და კიდევ ცას, სადაც ჯერაც უჩინარი ვარსკვლავების თრთოლა იგრძნობოდა, ჩემს მუხლზე დადებულ ჩემსავე ხელს და, რაც მთავარია, მგზავრს – ახლა არ მახსოვს, A-სა თუ C-ს, უდარდელად რომ მიეშურებოდა შინისაკენ. დიახ, საკუთარ ხელსაც – მუხლი გრძნობდა მის თრთოლას, თვალები კი მხოლოდ მაჯას, დასკდომამდე დაბერილ ვენებსა და მკვდრისფერი ფალანგების რიგს ხედავდნენ. მაგრამ ამაზე – ხელს ვგულისხმობ – ლაპარაკი ახლა არ მინდა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ახლა ის A თუ C უფრო მაინტერესებს, იმ ქალაქისკენ უკან მიმავალი, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა. ღმერთო, გამახსენე, მაინც რა იყო ასე გამოკვეთილად ქალაქური მთელ მის იერსა და გარეგნობაში? ქუდი არ ეხურა, ფეხები სანდლებში წაეყარა, სიგარას აბოლებდა. მოთენთილ-მოღვენთილი მიაბიჯებდა, რაც არ

ვიცი, მართებულად თუ უმართებულოდ, რატომღაც ყურადსაღებად მეჩვენა. თუმცა ეს არც არაფერს ამტკიცებდა და არც არაფერს გამორიცხავდა. ეგებ შორიდანაც იყო მოსული, სულაც კუნძულის მეორე ბოლოდან, და ახლა ან ცხოვრებაში პირველად მიეშურებოდა მისკენ, ანდა კარგა ხნის განშორების მერე უბრუნდებოდა. უკან პატარა ძაღლი მისდევდა, მგონი პომერანული ჯიშის შპიცი უნდა ყოფილიყო, თუმცა კი ვერ დავიჩემებ. არც მაშინ ვიყავი ამაში დარწმუნებული და არც ახლა ვარ, ამაზე ბევრი არც არასოდეს მიფიქრია. გალახულივით მიჰყვებოდა, როგორც მარტო შპიცებს სჩვევიათ – დროდადრო შეჩერდებოდა, აუჩქარებლად მოხაზავდა რამდენიმე წრეს, გაირინდებოდა და მერე, პატრონს დაწეული, ამ ყველაფერს ხელახლა იწყებდა. ყაბზობა ძაღლის ამ ჯიშში ჯანის სიმრთელის ნიშანია. და, აი, რაღაც წამს – გნებავთ, წინდაწინვე შერჩეულად ჩათვალეთ, ჩემთვის სულერთია – ეს ბატონი შემოტრიალდა, ფინია აიტატა, პირიდან სიგარა გამოიღო და სახე მის ნარინჯისფერ ბეწვში ჩამალა. ხომ გითხარით, ნაღდი ჯენტლმენი იყო-მეთქი. ვადასტურებ, ნარინჯისფერი შპიცი გახლდათ, და რაც ნაკლებს ვფიქრობ ამაზე, მით მეტი დარწმუნებით შემიძლია ეს ვამტკიცო. ასეა. მაგრამ განა თავშიშველი, სანდლებში ფეხწაყრილი, პირში სიგარაგაჩრილი, შორიდან მოვიდოდა იმ თავის შპიციანად? იქნებ, უბრალოდ, ქალაქის ზღუდეს სასეირნოდ გამოსცდა ნოყიერად ნასადილევი, ძაღლიც გაახალისა და თავადაც ცოტა მუხლი გაშალა, ბევრი სხვა თანამოქალაქის მსგავსად, კარგ ამინდში ფიქრთ გასართველად და ქარების გასაქარვებლად რომ მიაშურებენ ხოლმე ბუნებას? სინამდვილეში, იქნებ სიგარას კი არა, თიხის ჩიბუხს აბოლებდა, ფეხზეც სანდლები კი არა, დაჭედილი, დამტვე-

რილი, მძიმე ჩექმები ემოსა და რა მოხდა, თუკი ძაღლიც ერთი უბრალო მაწანწალა იყო, რომლის ხელში აყვანაც თუნდაც სიბრალულის გამო მოგინდება, რადგან კარგა ხანია, მარტოდმარტო მიაბიჯებ უსასრულო გზებზე და თანამგზავრიც არავინ გყავს ქვიშის, ხრეშის, ეკალბარდის, მთელი ამ ბუნების მეტი, სხვა მოსამართლის წინაშე რომ აგებს პასუხს, შენსავით სასჯელმისჯილი, იშვიათად რომ ხედავს ვინმე სულიერს; და გინდა გააჩერო, გულში ჩაიკრა, იმის სუნი იკრა, დააპურო, მაგრამ მაინც უსიტყვოდ უვლი გვერდს, დაბღვერილი, აქაოდა, რამე არ შეეშალოსო. ეს – იმ დღემდე, ვიდრე გამძლეობა არ გიმტყუნებს ამ სამყაროში, სადაც უიარაღოდ დარჩენილხარ. მაშინ პირველსავე მაწანწალა ძაღლს შეიამხანაგებ, ხელში აიყვან და ზუსტად იმდენ ხანს ატარებ, შენ იმის შეყვარება მოასწრო, იმან კი – შენი, და მერე მოისვრი სადმე. ეტყობა, გარეგნული ნიშნების მიუხედავად, სწორედ აქამდე მისულიყო იმისი საქმეც. მერე გაქრა, თავჩაქინდრული, ხელში აბოლებული სიგარითა თუ ჩიბუხით. ვეცდები, აგიხსნათ: გასაქრობად განწირულ საგნებს დროულად შევაქცევ ხოლმე ზურგს – ვერ ვიტან იმის ცქერას, როგორ უჩინარდებიან. ისიც სწორედ ამგვარად გაუჩინარდა. თვალი ავარიდე, მაგრამ მაინც ისევ მასზე ვფიქრობდი და გულში ვიმეორებდი: ქრება, ქრება-მეთქი. ვიცოდი, რასაც ვგულისხმობდი. ვიცოდი, რომ შემეძლო დავწეოდი ამ ჩემი ხეიბრობის მიუხედავად. თუმცა არა, ვტყუი. მინდოდა. მინდოდა წამოვმდგარიყავი, გზაზე გამოვსულიყავი და კოჭლობ-კოჭლობით დავდევნებოდი, დავწეოდი, შევხმიანებოდი. რა უნდა ყოფილიყო ამაზე იოლი? აი, ჩემი ხმა გაიგონა, შეჩერდა, შემობრუნდა, მელოდება, ვიდრე გავუსწორდები. ვუახლოვდები მას და მის ძაღლს, მძიმე-

მძიმედ ვსუნთქავ, ვქოშინებ, ყავარჯნებს ვეყრდნობი. იმას, ვატყობ, ცოტათი ეშინია კიდეც ჩემი, ცოტა ვეცოდები და გვარიანად ვძულვარ. ვერაფერი შესახედი ვარ, სუნიც მყრალი მიდის. მაინც, რა მინდა? მეცნობა ამგვარი მომართვა, სიბრალულით, შიშითა და ზიზღით გაჯერებული. ძაღლის შეთვალიერება მინდა, კაცისაც. უფრო ახლოდან. მინდა ვნახო, რას ეწევა, რანაირი ფეხსაცმელი აცვია, სხვა რაღაცებიც გამოვარკვიო. კეთილი კაცი ჩანს, არ მამადლის აქეთურ-იქითურს – საიდან მოსულა, საით უჭირავს გეზი. ვუჯერებ, ვიცი, სხვა არჩევანი არც მაქვს, ეს ერთადერთია. ყველაფერი მჯერა, რასაც მეუბნება. იმდენი ურწმუნოება დამიგროვდა ცხოვრების მანძილზე, ახლა მის ყოველ სიტყვას ხარბად ვყლაპავ, დაუფიქრებლად. ახლა სწორედ ამგვარი ამბები მჭირდება – კარგა ხანი დამჭირდა ამის მისახვედრად და ბოლომდე ჯერ არც ამაში ვარ დარწმუნებული. მოკლედ, ვუსმენ, რაღაც-რაღაცები უკვე გავიგე მის შესახებ, რაც აქამდე არ ვიცოდი, რისი გაგებაც გულით მეწადა, რაზეც ადრე არასოდეს მეფიქრა. რა მჭევრმეტყველებაა! მისი საქმიანობის თაობაზეც კი შევიტყვე ბევრი რამ, მე ხომ საერთოდ ძაან მაინტერესებს ეს პროფესიული საკითხები. არადა, სიმართლე გითხრათ, მუდამ ვცდილობ, საკუთარ თავზე სიტყვა არ დამცდეს. აი, ნახავთ, ცოტა ხანში ძროხებზე დავიწყებ ლაპარაკს, ცაზე, თუკი მოვახერხე. მოკლედ, ეგრეა საქმე. მერე მეუბნება, უნდა წავიდე, მეჩქარებაო. არაფერზე ეტყობოდა, თუ ეჩქარებოდა. უაზროდ დაეხეტებოდა-მეთქი, აკი გითხარით. მაგრამ ჩემთან გატარებული სამიოდე წუთის მერე უკვე ჩქარობს. თურმე სადღაც მაინც ეჩქარება. სიტყვაზე ვუჯერებ. და, აი, ისევ – არ ვიტყვი, მარტო ვრჩები-მეთქი, არა, ეს არ მჩვევია, მაგრამ არ ვიცი,

როგორ გამოვთქვა – საკუთარ თავს ვუბრუნდები. არა, არც ეგაა, საკუთარი თავი ხომ არასოდეს მიმიტოვებია; ვთავისუფლდები, დიახ, არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, მაგრამ ზუსტად ამ სიტყვის თქმას ვაპირებდი – თავისუფალი ვარ, რაც მინდა, ის ვაკეთო, არაფერი ვაკეთო, ვიცოდე ოღონდ, რა – არა. ეგებ გონების კანონები. ჩემი გონების. მაგალითად, წყლის დონე იმისდა მიხედვით იმატებს, რამდენადაც გძირავს და ჩემთვის უკეთესი იქნება – ყოველ შემთხვევაში, უარესი ნამდვილად არა – ნაწერი წავშალო, არეებზე წერის ნაცვლად; ანუ ასოები არ ჩამოვაწიკწიკო, სანამ ყველაფერი აზრს არ დაკარგავს, არ გაერთიანდება, გაერთგვაროვნდება და ის არ გახდება, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს – უაზრო, უსიტყვო, უსაგნო უბადრუკობას. ასეა თუ ისე, მაინც უკეთესი იყო – ყოველ შემთხვევაში, უარესიც არა – ჩემი სათვალთვალო საფარი რომ არ მივატოვე. მაგრამ თვალთვალის ნაცვლად, სისუსტეს ავყევი და ფიქრში ისევ იმ სხვას, ხელჯოხიან კაცს მივუბრუნდი. მერე ისევ ჩამესმა რაღაც ბუტბუტისმაგვარი. დუმილის აღდგენა საგანთა ხვედრია. აკი ვთქვი კიდეც: ვინ იცის, ეგებ, უბრალოდ, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად, გულის გადასაყოლებლად, მუხლის გასაშლელად, გონების დასაწმენდად გამოვიდა – სისხლის ასაჩქროლებლად, რათა ღამით ტკბილად დაეძინა და ნანინანატრ ხვალინდელ დღესაც გუნებაგამოკეთებული შეხვედროდა? ნუთუ აბგაც მოეგდო მხარზე? მაგრამ იმის სიარული, გაფაციცებული მზერა, ხელჯოხი რამდენად ეხამებოდა ჩემს ვარაუდს უბრალო, მსუბუქი გასეირნების თაობაზე? ქუდს რაღა ვუყოთ, იმ ქალაქურ ქუდს, ძველმოდურს, ქარის უმცირეს დაბერვასაც რომ შეეძლო მოეტაცა და შორს წაეღო? თუკი, რა თქმა უნდა, ნიკაპქვეშ არ ჰქონდა დამაგრებული,

თასმით ან ზონრით. მეც მოვიხადე ქუდი და შევათვალიერე. მე ქუდს მუდამ ვიმაგრებდი, მუდამ ერთსა და იმავე ღილ-კილოში. იმთავითვე, გრძელი ზონრით. წელიწადის ნებისმიერ დროს. მაშ, ჯერაც ცოცხალი ვყოფილვარ. სასიამოვნოა ამის ცოდნა. ეგებ რამეში გამომადგეს. ქუდიანი ხელი მაღლა ავწიე და გავიქნ-გამოვიქნიე რამდენჯერმე. თან პალტოს საყელოს დავცქეროდი და ვხედავდი, როგორ აფჩენდა და კუმავდა პირს. ახლა ვხვდები, რატომ არ ვიმაგრებდი არასოდეს ღილ-კილოში ყვავილს. არადა, ისეთი ფართო იყო, მთელ თაიგულს დაიტევდა. ჩემი ქუდისთვის იყო განკუთვნილი და იმიტომ. დიახაც. მე, ჩემდათავად, ქუდი გავიყვავილე. ოღონდ იმედი მაქვს, ახლა არც ქუდზე მოვყვები ლაპარაკს და არც პალტოზე, ეს ჯერ ნაადრევი იქნებოდა. მოგვიანებით უთუოდ ვილაპარაკებ ერთზეც და მეორეზეც, როცა ჩემი ავლადიდების აღწერის დრო მოაწევს. თუკი მივაღწიე იქამდე და ერთიანად არ შემომეფანტა. თუმცა დაკარგულსაც თავისი ადგილი ექნება მიჩენილი ჩემი საკუთრების ჩამონათვალში. ჯერ არც ისეა ჩემი საქმე, რამე დავკარგო. ყავარჯნებიც კი, ყავარჯნებსაც არსად დავკარგავ. ერთი ეგაა, შეიძლება ჩემივე ნებით მოვისროლო როდისმე. მაგ დროს ალბათ რომელიმე მაღლობის წვერზე ან თუნდაც ფერდობზე ვიქნები, მხოლოდ იქიდან თუ დავინახავ ასე შორს, დასალიერში, ასე ახლოს, ხელისგაწვდენაზე, თან აქვე, ფერხთით ამდენ რამეს, გაქვავებულსაც და მოძრავსაც. ოღონდ საიდან გაჩნდება ამ მიდამოში მსგავსი მწვერვალი, სადაც პატარა ბორცვსაც კი მთას ეძახიან? ან მე რას ვაკეთებ აქ? რამ მომიყვანა? აი, ეგაა, რაც უნდა ვცადო და გავარკვიო. ოღონდ ძალიანაც არ უნდა ჩავუღრმავდეთ საკითხს, გულთან მისი მიტანა არ ღირს. თავისთავად

ცხადია, ბუნებაში ცოტ-ცოტა ყველაფერია და მისი ნათავ-ხედარიც სრულიად ჩვეულებრივი ამბავი გახლავთ. ეტყობა, რაღაცებს ვურევ, ვითარებებს, დროს, შორეულ წარსულს – ძალიან ღრმად თუ ჩავყურყუმელავდი, მთლად ფსკერამდეც არა, სადღაც ქაფსა და ლამს შორის. ალბათ ეს ჩვენი A რომელიმე დღეს რომელიმე ადგილზე ვნახე, C კი – სულ სხვაგან და სხვა დროს. მესამე დღე კლდისაა და ჩემი. ამავეს თქმა შეიძლება სხვა ყველაფერზეც, ძროხები იქნება, ცა, ზღვა თუ გორაკები. არა, ვერ ვიჯერებ. ტყუილს არ ვიტყვი – ამის დაჯერება იოლად შემიძლია. ჩვენში დარჩეს და, რა მნიშვნელობა აქვს?! ჩავთვალოთ, რომ ყოველივე ერთი და იმავე მოწყენილობამ შვა, რასაც ჯიუტად ვაფერადებთ იქამდე, სანამ აღარც ადგილი დარჩება და აღარც შუქი. დაბეჯითებით მხოლოდ იმას თუ ვიტყვი, ჯოხიან კაცს იმ ღამით იქ მეტად აღარ გაუვლია-მეთქი. მისი ფეხის ხმას მაინც გავიგონებდი. არ ვამბობ, დავინახავდი-მეთქი, ხაზს ვუსვამ – გავიგონებდი. ძილით ცოტა მძინავს და ისიც – მხოლოდ დღისით. თუმცა ყოველთვის – არა. ჩემს უსასრულო ცხოვრებაში რაგვარი ძილი არ გამომიცდია, მაგრამ ახლა, უკან დაბრუნებულ დროში, მხოლოდ მზის შუქი თუ მომრევს რულს და ისიც მარტო დილაობით. მთვარეზე კრინტიც არ დაძრათ ჩემთან – ჩემი ღამეები უმთვაროა, და თუ ვარსკვლავებზე წამომცდა რამე, უნებლიე შეცდომად ჩამითვალეთ. იმღამინდელ ხმიანობას არ შერევია არც მისი მძიმე, გაუბედავი ნაბიჯების ხმა და არც დროდადრო იმ ხელჯოხის მიწაზე ბაგუნი. მაინც რა დამამშვიდებელია დარწმუნება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი გაურკვევლობის შემდეგ, როცა პირველი შთაბეჭდილება მართალი აღმოჩნდება ხოლმე! ალბათ ეს თუ ანელებს სიკვდილის შიშს. არ ვამბობ, იმთავითვე

არ მაეჭვებდა-მეთქი ჩემი პირველი შთაბეჭდილება – მადროვეთ! – კი, C-სთან დაკავშირებით მაეჭვებდა, რადგან როცა გამთენიისას, ქალაქის ბაზრისკენ ხმაურ-დგანდგარით დაიძრნენ ხილით, კვერცხით, კარაქითა და ალბათ ყველით დატვირთული ურმები და ფორნები, სავარაუდოდ, ერთ-ერთში ისიც იქნებოდა, დაღლილობით სიქაგაცლილი ან სულაც უკვე მკვდარი. ანდა შესაძლოა, სხვა, შემოვლითი, შორი გზითაც დაბრუნდა ქალაქში და ამიტომაც ვერ გავიგე მისი ფეხის ხმა. არ გამოვრიცხავ, ეგებ მინდვრებში გაჭრილ პატარ-პატარა ბილიკებსაც გაუყვა, მდუმარე ბალახი შემოეთელა ფეხქვეშ, დადუმებულ მიწაზე მიმავალს. და, აი, როგორც იქნა, გამოვაღწიე იმ შორეული ღამიდან, ჩემი პატარა სამყაროს ჩურჩულთა შორის რომ დანაწევრდა, მისი მოუღალავი დაბნეულობიდან და იმ უამრავი განსხვავებული (განსხვავებულიო?) ხმიდან, მზის ჩასვლისას რომ იბადება და გამთენიისას კვდება. თუმცა ამ უამრავიდან ერთიც არაა ადამიანის. აი, რძით გატიკნილი ჯიქნებით შეწუხებული ძროხები საწყალობლად შეზმუვლებენ გზად ჩავლილ გლეხებს. არც A და არც C მეტად აღარ მინახავს. თუმცა ეგებ მომავალში ვნახო კიდეც. ოღონდ ვიცნობ კია? ან იმაში დარწმუნებული ვარ, რომ მართლა აღარ მინახავს? ან ერთხელ თუ მეორედ ნახვაში რას ვგულისხმობ? წამიერი სიჩუმე, ზუსტად იმგვარი, დირიჟორი ჯოხს რომ დააკაკუნებს და ხელებს შემართავს, ვიდრე ბგერათა ნიაღვარს საერთო კალაპოტში მიუშვებდეს. კვამლი, ჯოხები, ხორცი, თმა, საღამოს, შორს, თანამოძმის პოვნის მოურეველი ჟინი. ვიცი, როგორ გავამთლიანო ეს ნაკუწები საკუთარი სირცხვილის დასაფარავად. ნეტა ეს რას უნდა ნიშნავდეს? იმედია, პასუხის ძებნა დიდხანს არ გამაწვალებს. თანამოძმის პოვნის ჟინზე სა-

უბარს რაც შეეხება, უნდა მოგახსენოთ, რომ სადღაც დილის თერთმეტსა და თორმეტს შორის გაღვიძებულს მაშინვე ჩამესმა ზარების რეკვა და გადავწყვიტე, დედაჩემი მომენახულებინა. ოღონდ სანამ იმ ქალის სანახავად წასვლას გადავწყვეტდი, აუცილებელი ხასიათის მიზეზთა გამონახვა მჭირდებოდა, რაც გაურკვევლობაში თუ არ ვიცი, კიდევ რაში მყოფს, დამეხმარებოდა, ყველაფერი ბავშვურ თამაშად მიმეჩნია, დედისერთა ბავშვის ყველა სხვა საფიქრალს გამიფანტავდა და ის ერთადერთი აზრი ამაცახცახებდა, რომ იქ, ანუ დედაჩემთან მაშინ და დაუყოვნებლივ წასვლაზე რაღაც მაინც ამაღებინებდა ხელს. მოკლედ, წამოვდექი, ყავარჯნებს დავწვდი და გზაზე გამოვედი, სადაც წავაწყდი კიდეც ჩემს ველოსიპედს (არც ვიცოდი, თუ მქონდა) ზუსტად იმ ადგილას, სადაც ეტყობა, ადრევე დამეტოვებინა. ესეც ერთი საბაბია, შევნიშნო, რომ ხეიბრობის მიუხედავად, იმხანად არცთუ ურიგო ველოსიპედისტი გახლდით. გეტყვით, ამას როგორ ვახერხებდი. ყავარჯნებს ძარაზე ვამაგრებდი, თითოს – თითო მხარეს. გახევებულ ფეხს (დამავიწყდა, რომელს – ახლა უკვე ორივე გახევებული მაქვს) წინა ღერძზე მივაბჯენდი და მეორეთი სატერფულს ვაწვებოდი. უჯაჭვო ველოსიპედი იყო, თვითგორიას მსგავსი, თუკი ასეთი საერთოდ არსებობს. საყვარელი ჩემი ველოსიპედი – კნინობითი სახელითაც კი ვერ მოვიხსენიებ – ენა არ მომიბრუნდება. ფერით მწვანე იყო, ბევრი სხვა მისი თაობის თანამოძმესავით, არ ვიცი კია, რატომ. მიხარია მისი ხელახლა ნახვა, სრულად აღწერა კი – მით უმეტეს. ახლანდელი მოდური ზანზალაკის ნაცვლად იმას პატარა, წითელი საყვირი ეკეთა. იმ საყვირის ახმიანება ერთ რამედ მიღირდა, ლამის ნეტარებად. გამოგიტყდებით, თუკი ოდესმე მეღირსა და ჩამო-

ვწერე, ჩემივე უსასრულო არსებობის მანძილზე რამ განმაცდევინა მეტ-ნაკლებად საამო ჟრჟოლა, იმ საყვირის ხმიანობას – ტუ-ტუ-უუ! – უცილობლად ერთ-ერთ პირველ ადგილს მივაკუთვნებ. როცა ველოსიპედთან განშორება მომიწია, საყვირი მოვხსენი და საგულდაგულოდ შევინახე. დარწმუნებული ვარ, ახლაც მეგდება სადღაც და თუ კვლავაც არ ვახმიანებ, მარტო იმიტომ, რომ დამუნჯდა. მე თუ რამე გამეგება, დღესდღეობით ავტომობილებსაც კი აღარ უყენიათ ასეთი საყვირები, ათასში ერთს თუღა აქვს. როცა გაჩერებული მანქანის ღია ფანჯარაში ეგეთი საყვირი დამინახავს, საგანგებოდ გავჩერებულვარ და ამიხმიანებია კიდეც. ისე, ეს უფრო წარსულ დროში მაქვს სათქმელი. რამხელა შვებაა ველოსიპედებსა და საყვირებზე ლაპარაკი! სამწუხაროდ, მათზე კი არ მომიწევს სიტყვის გაგრძელება, არამედ იმ ქალზე, ვინც ამ ქვეყანას მომავლინა – თუ მახსოვრობა არ მღალატობს, უკანალში დატანებული ხვრელიდან. მაშინ პირველად ვიგრძენი განავლის გემო. ამიტომ მხოლოდ გაკვრით დავამატებ, რომ ასე, ყოველ ას იარდში ვჩერდებოდი ფეხების დასასვენებლად, ჯანმრთელისაც და უვარგისისაც. და არა მარტო ფეხების, არა მარტო. მართალი გითხრათ, ველოსიპედიდან არც გადმოვდიოდი, ისევ ზედ ვიჯექი, ოღონდ ფეხებს ჩამოვუშვებდი ხოლმე ძირს, ხელებით სახელურებს ვებღაუჭებოდი, თავს ჩავქინდრავდი და ველოდი, როდის ვიგრძნობდი უკეთესობას. ოღონდ სანამ ამ მიწიერ სამოთხეს მივატოვებდე, მთებსა და ზღვას შორის გამოკიდებული, ბევრი ქარისაგან საიმედოდ დაცული და მხოლოდღა სამხრეთიდან მონაბერი იმ ქარისთვის მისაწვდომი, რომელსაც ეს დაწყევლილი მხარე ათასი სუნითა და სნებით გაუჯერებია, არ მინდა, სიტყვა დავაკლო ჭილყვავების გნიასს, ზაფ-

ხულის ხანმოკლე ღამეებში დაუღალავად რომ დასტრიალე-ბენ ყანებსა და მდელოებს, სარჩოს ძიებაში. ასე უკეთესად გავიგებ, როდის დაიწყო ეს ჯადოსნური მოგზაურობა და როდის დადგა ბოლო წამი, სწორედ ის წამი, როცა გაცრეცი-ლი სახე-ხატებანი ერთმანეთს შლიან და აბუნდოვანებენ. ამის თაობაზე ზედმეტი იწილო-ბიწილოს გარეშე, პირდაპირ ვაცხადებ: ივნისის მეორე თუ მესამე კვირას დაემთხვა, იმ ჟამს, რომელიც, ასე ვთქვათ, ყველაზე მტკივნეულია ჩვენს ეგრეთ წოდებულ ნახევარსფეროში, რადგან მზე დაუნდობ-ლად ასხივებს, ხოლო მისი არქტიკული გამოსხივება ღა-მეებს თეთრად ანათებს. სწორედ მაშინ იწყებენ ჭილყვავე-ბიც ყრანტალს. დედაჩემს არასოდეს უთქვამს უარი ჩემს ნახვაზე, ანუ ჩემი სტუმრობის წინააღმდეგი არასოდეს ყო-ფილა, რადგან კარგა ხნის წინ ჩაიარა იმ დრომ, როცა თვალ-ში სინათლე ედგა. ვეცდები, მშვიდად ვილაპარაკო. იმდენად ბებრები ვიყავით ისიცა და მეც, იმდენად ახალგაზრდამ გა-მაჩინა, ორ მიხრწნილ ბებრუხანას ვგავდით, უსქესოები, უცხოები, ერთი და იმავე მოგონებებში ჩარჩენილები, ერთ-ნაირად გულღრძოები, ერთნაირი მოლოდინის მქონენი. კი-დევ კარგი, შვილო არასოდეს დაუძახია ჩემთვის, ამას ვერა-სოდეს ავიტანდი. მაკს მეძახდა, არ ვიცი, რატომ. მაკი არ მქვია. შეიძლება მაკი მამაჩემის სახელია. კი, ნამდვილად. ალბათ, მამაჩემი თუ ვეგონე. მე ის დედაჩემი მეგონა, იმას კიდევ მამაჩემი ვეგონე. მაკ, ის დღე თუ გახსოვს, მერცხალი რომ გადავარჩინე? მაკ, გახსოვს ის დღე, ბეჭედი რომ ჩამარ-ხე ქვიშაში? მახსოვდა, მახსოვდა, ანუ მეტ-ნაკლებად ვხვდე-ბოდი, რაზეც ლაპარაკობდა და თუკი მის მახსოვრობაში გაცოცხლებულ სურათებში პირადად არ მიმეღო მონაწილე-ობა, მაინც ისე ჩანდა, თითქოს მართლა ვმონაწილეობდი. მე

დეზს ვეძახდი, როცა საერთოდ მიწევდა მიმართვა. დეზს იმიტომ ვეძახდი ჩემდაუნებურად, რომ ბგერა ზ მარცვალ დე-ს შთანთქავდა და ბევრად უკეთ გამოხატავდა მის მიმართ ზიზღს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ასო-ბგერა. იმავდროულად, ღრმა და უთუოდ გაუცნობიერებელ მოთხოვნილებასაც ვიკმაყოფილებდი, მყოლოდა „დე“, ანუ დედა და ეს სიტყვა ხმამაღლა აღმომეთქვა. მართლაც, სანამ დეზს იტყვი, ჯერ დე უნდა თქვა. აი, „მა“ კი ჩვენს მხარეში მამას ნიშნავს. მართალია, იმ დროს, რომელშიც უკან ჭიაყელასავით შეკლაკნას ვცდილობ, ეს კითხვა არასოდეს გამჩენია, ანუ დე მეწოდებინა მისთვის, დეზი თუ გრაფინია კაკა. მაშინ უკვე იმდენი ხნის დაყრუებული იყო, მაინც არაფერი ესმოდა. მე მგონი, ახლა უკვე თავსაც ველარ იკავებს, ერთიც ეპარება და მეორეც, თუმცა ერთგვარმა მორიდებულობამ მოგვახერხებინა, შეხვედრების დროს ამ თემას ავრიდებოდით. დაბეჯითებით კი მაინც ვერაფერს ვიტყვი. ასეა თუ ისე, ბევრს მაინც ვერაფერს ახერხებს, ერთი-ორი ოდნავ შემბალი ცურცლი თუ გადმოუვარდება ორ-სამ დღეში ერთხელ და სულ ეგაა. მის ოთახში ამიაკის მაგვარი სუნი იდგა, მაგვარი კი არა – მართლა ამიაკის. მეც სუნით მცნობდა. დაღარულ, თმიან სახეს წამოსწევდა ხოლმე, უხაროდა ჩემი სუნის შეგრძნობა. ხელოვნური კბილები აუკაწკაწდებოდა და დიდწილად, თავადაც ვერ ხვდებოდა, რას ბჟუტურებდა. მის ამ ნაბოდვარს ჩემ გარდა ვერც ვერავინ გაუგებდა თავსა და ბოლოს. დროდადრო შტერდებოდა, სათქმელი უწყდებოდა, მაგრამ მე არც ერთ შემთხვევაში არ მაინტერესებდა იმისი მოსმენა, სულ სხვა მიზნით ვიყავი ხოლმე მისული. ურთიერთობისთვის კი თავზე დაკაკუნების ენა მოვიგონეთ: ერთი დაკაკუნება თანხმობას ნიშნავდა, ორი – უარყოფას, სამი –

გაურკვევლობას, ოთხი – ფულს, ხუთი – დამშვიდობებას. ძალიან გამიჭირდა იმის არეულ-დარეულ ცნობიერებაში ამ ყველაფრის ჩაჭედვა, მაგრამ ბოლოს მაინც მოვახერხე. იმის თქმა მინდა, რომ სულ ფეხებზე მეკიდა, თანხმობას, უარყოფას, გაურკვევლობასა და დამშვიდობებას თუ აურევდა ერთმანეთში, ეგ მეც კი მერეოდა. მთავარი იყო, ოთხი დაკაკუნება სწორედ ფულთან დაეკავშირებინა და სხვა არაფერთან. ამიტომაც იყო, რომ ვარჯიშის დროს, როცა კი თავზე ოთხჯერ დავუკაკუნებდი ხოლმე, იმავდროულად ცხვირში ან პირში ქაღალდის ფულსაც ვჩრიდი. რა მიამიტი ვიყავი! აბა რა, მაშინ უკვე მთლად თუ არ არეოდა სათვალავი, ყოველ შემთხვევაში, ორზე მეტის დათვლა ნამდვილად აღარ შეეძლო. მისთვის ეს მეტისმეტი გახლდათ, ნამდვილად დიდი მანძილი იყო ერთიდან ოთხამდე. როცა მეოთხე დაკაკუნებაზე მიდგებოდა საქმე, ეგონა, ჯერ მხოლოდ მეორეაო, წინა ორი ისე უკვალოდ ამოშლოდა მახსოვრობიდან, თითქოს საერთოდ არც უგრძნიაო, თუმცა, ჩემდათავად, ვერაფრით მივმხვდარვარ, როგორ შეიძლება მახსოვრობიდან ის ამოგეშალოს, რაც არასოდეს გიგრძნია. მუდმივად ასე კი ხდებოდა. ალბათ სულ იმას ფიქრობდა, რომ რაღაცაზე უარს ვეუბნებოდი, არადა, თუ რამე არ მქონდა, სწორედ ეს არ მქონდა მიზნად. ბოლო-ბოლო, თავი ვიტეხე და როგორც იქნა, გამოვნახე მის ცნობიერებაში შეღწევის გზა – ყოველ შემთხვევაში, ფულთან დაკავშირებით მაინც. საჩვენებელი თითის სახსრით ოთხჯერ დაკაკუნებას მუშტის ერთი ან მეტი (საჭიროებისდა მიხედვით) დარტყმა ვამჯობინე. ეს კი გაიგო. მაგრამ მე ხომ ფულისთვის არ მივდიოდი მასთან. მისი ფული კი მომქონდა, მაგრამ მისვლისკენ ეს არ მიბიძგებდა. დედაჩემი. არა, არა მგონია, ძალიან მკაცრად განვს-

ჯიდე. ვიცი, ყველაფერი იღონა, მე რომ არ მოვვლენოდი ამ ქვეყანას – ცხადია, ერთი რამის გარდა, და თუ მაინც გამომაგდო გარეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ უარეს წუმპეში ამომეყო თავი. არადა, ცუდი განზრახვა არ ამოძრავებდა – ჩემთვის ესეც საკმარისია. არა, საკმარისი კი არაა, უბრალოდ, ვუფასებ – გინდაც, როგორც დედას – ყველაფერს, რაც ჩემთვის სცადა. იმასაც ვაპატიებ, პირველ თვეებში, ცოტა არ იყოს, მაგრად რომ მანჯღრია და ამან უბოლოო ცხოვრების ერთადერთი, მეტ-ნაკლებად ასატანი ხანაც რომ გაუსაძლისი გამიხადა. კიდევ იმასაც ვუფასებ, ხელახლა რომ არ მოინდომა იგივე – ჩემივე წყალობით, ანდა, უბრალოდ, დროზე რომ მოეგო გონს. ხოლო თუკი როდისმე ისე დავწვრილმანდი, საკუთარი ცხოვრების აზრის ძიება დავიწყე (რა იცი, რა ხდება), ეგებ იმ სულ პირველ აბდაუბდას მივადგე თავიდან, იმ საცოდავი, უბედური მეძავის ცხოვრების გაუგებრობას, ანდა პირიქით – ჩემსავე საწყისს, განგებამ გვარის უკანასკნელ ნაშიერად რომ მომავლინა ქვეყნად – არც მხეცად, არც კაცად. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამგვარ წვრილმანებზე გადავიდოდე – დავიფიცებ კიდეც, წვრილმანი ამბებია-მეთქი – უნდა დავამატო: შორეული ზაფხულის საღამოს პირისპირ დარჩენილმა ამ ყრუ, ბრმა, უძლურ, შეშლილ, ბებერ ქალთან, რომელიც მაკს მეძახდა და რომელსაც დეზს ვეძახდი... არა, ამის თქმა არ შემიძლია, ანუ შეძლებით კი შემიძლია, თქმას, აბა, რა დაუდგება წინ, ოღონდ ეს სიმართლე მაინც არ იქნება. რას ვხედავდი მისას? თავს – მუდამ, ხელებს – ხანდახან, მკლავებს – იშვიათად. თმიან, დანაოჭებულ სახეს, ჭუჭყიან, ნერწყვით გადაგლესილ თავს, და ეს თავი სიბნელეს ასხივებდა. ისე, ეს აქ, აბა, რა მოსატანია, მაგრამ რაღაცით ხომ უნდა დავიწყო?! სწორედ მე ვიყავი ის,

ვინც ბალიშის ქვეშიდან გასაღები გამოაძვრინა, უჯრიდან ფული ამოიღო და გასაღები ისევ ძველ ადგილას დააბრუნა. ოღონდ ფულისთვის მაინც არ მივსულვარ. მგონი, კვირაში ერთხელ ვიღაც ქალი დაუდიოდა. ერთხელ ტუჩები უნებლიეთ, ნაჩქარევად შევახე ამ პატარა, რუხ, მომჭკნარ მსხალს. ფუჰ! ვითომ ესიამოვნა? აბა, რა გითხრათ. წამით ბუტბუტი შეწყვიტა, მაგრამ მალევე ხელახლა წამოიწყო. იქნებ თავისთვის იმანაც, ფუჰო, ჩაილაპარაკა. საშინელი სუნი მცემდა. შიგნეული თუ ყარს ასე. უხსოვარ დროთა სურნელი. არა, არაფერში ვამტყუნებ. არც თავად ვაფრქვევ არაბეთის ყვავილთა ნელსურნელებას. ოთახიც აღვწერო? არ ღირს. ალბათ მერეც მომეცემა შესაძლებლობა, როცა სამყაროს გამო თავშესაფრის ძიებას დავიწყებ, როცა მთელი სირცხვილი გამომინელდება, როცა ჩემს ასოს ჩემსავე უკანალში დავაბინავებ, მერე ვნახოთ. კეთილი და პატიოსანი. ახლა რაკი ვიცით, საით გვიჭირავს გეზი, დავიძრათ კიდეც. კარგია, როცა იცი, საით მიდიხარ. თავიდან მაინც. წასვლის სურვილიც კი გეკარგება თითქოს. სიტყვა გამექცა, მე, ვისაც ეს იშვიათად მემართება ხოლმე. არა, მაინც რატომ უნდა გამქცეოდა? მოძრაობაც კი ჩვეულებრივზე მეტად შემინელდა. ეტყობა, ღამემ დამღალა. ყოველ შემთხვევაში, დამასუსტა მაინც. და კიდევ მზემ, სულ უფრო მაღლა და მაღლა რომ მიიწევს, ახლადამოსული. იმან მომწამლა, სანამ მეძინა. ეტყობა, ვიდრე თვალებს დავხუჭავდი, ჩემსა და მზეს შორის დიდი კლდე უნდა მომექცია საფარად. ერთმანეთში ამერია აღმოსავლეთი და დასავლეთი. სხვათა შორის, პოლუსებიც. სულ იოლად ვუცვლი ორივეს ადგილს. რაღაც ვერ ვიყავი გუნებაზე. ჩემი განწყობა ოხერი რამაა, ვერაფერს გაუგებ. მეც აღარ ვებრძვი. ამიტომაც გამახსენდა

საერთოდ. და მაინც, რამდენიმე მილის გავლა მოვახერხე და ქალაქის გარეუბანს მივადექი. იქ, საგზაო ნიშნების მითითების თანახმად, ველოსიპედიდან ჩამოვქვეითდი. ასეა, ქალაქში შემსვლელი და იქიდან გამომსვლელი ველოსიპედისტები, პოლიციის მოთხოვნით, უნდა ჩამოქვეითდნენ. მანქანებმა – დაბალი სიჩქარით, ცხენშებმულმა ოთხთვალებმა ძალიან ნელა უნდა იარონ. ამ შეზღუდვის მიზეზი, ჩემი აზრით, ისაა, რომ ქალაქში შემავალი და იქიდან გამომავალი ყველა გზა, გამონაკლისის გარეშე, ვიწროა და თან უამრავი თაღითაა დაბნელებული. მშვენიერი წესია და მეც მორწმუნის ერთგულებით მივდევ, თუმცა კი ძალზე მიძნელდება ყავარჯნებით სიარული და თან ჩემი ველოსიპედის გორებ-გორება. როგორღაც მაინც ვახერხებდი. გამჭრიახობა მშველოდა. მოკლედ, ეს რთული მონაკვეთი ერთად გავიარეთ მე და ჩემმა ველოსიპედმა. ცოტა ხანში გავიგონე, როგორ შემეხმიანა ვიღაც. გავიხედე და პოლიციელი შემრჩა ხელში. ოღონდ ეს მოგვიანებით გავარკვიე დედუქციისა თუ ინდუქციის მეშვეობით, ახლა ზუსტად არც მახსოვს – რომლის. აქ რას აკეთებო, მკითხა. ამ შეკითხვას კარგა ხანია, შეჩვეული ვარ. წამსვე ვხვდები, რას გულისხმობს. ვისვენებ-მეთქი, ვუთხარი. მაშ, ისვენებ? – ჩამეძია. კი, ვისვენებ, – გავუმეორე. ვერ გაიგე, რას გეკითხები? – მიღრიალა. ყოველთვის ასე ხდება. როცა საუბარში მითრევენ, გულწრფელად მჯერა, რომ დასმულ შეკითხვას ვპასუხობ, არადა, სინამდვილეში, თურმე – მსგავსიც არაფერი. იმ ჩვენს საუბარს ახლა დაწვრილებით ველარც აღვადგენ. უბრალოდ, მივხვდი: ჩემებური დასვენება, დასვენებისას ასეთი იერის ქონა, ველოსიპედის პედლებიდან ფეხების ჩამოშვება, სახელურებს ჩაბღაუჭება და თავის ჩაქინდვრა საზოგადოებრივი წესრიგისა თუ რაღაც

დადგენილების დარღვევად მეთვლებოდა. მორჩილად მივუთითე ყავარჯნებზე და ერთი-ორი სიტყვაც ამოვიკნავლე ჩემს ხეიბრობასთან დაკავშირებით – დასვენებით ისე ვისვენებ, როგორც მეხერხება და არა როგორც ვისურვებდი-მეთქი. მაგრამ ორი კანონი არ არსებობს. მე მგონი, მერე უკვე ამასაც მივხვდი. არ არსებობს განსხვავებული კანონები ჯანმრთელებისთვისა და ავადმყოფებისათვისო, – მითხრა. კანონი ერთია და მას ერთნაირად უნდა დაემორჩილოს ყველა, მდიდარიც და ღარიბიც, ახალგაზრდაც და ბებერიც, ბედნიერიც და უბედურიცო. მჭევრმეტყველებას ვერ დავუწუნებდი. მოკრძალებულად ჩავურთე, უბედური არა ვარ-მეთქი. მაგრად შემეშალა. საბუთები! – მაჯახა მაშინვე. რის საბუთები, რა საბუთები-მეთქი. ერთადერთი ქაღალდი, რაც კი იმ დროს ჯიბეში აღმომაჩნდა, გაზეთის ნაგლეჯი იყო – ალბათ გამოსახოცად მომარაგებული. საბუთები! – მიღრიალა ისევ. იმას არ ვამბობ, ყოველ ჯერზე ვიხოცავ-მეთქი, მაგრამ სადმე უდროო დროს ან უადგილო ადგილას ჩაცუცქება თუ მომიწია, მაინც ჯობია, მომზადებული ვიყო. მე მგონი, ამაში უცნაურიც არაფერია. დაფეთებულმა ეს ნაკუწი ჯიბიდან დავაძრე და ცხვირთან მივუტანე. მშვენიერი ამინდი იდგა და პატარ-პატარა, წყნარი, მზით განათებული ქუჩებით მივდიოდით. მე ყავარჯნებით მივხტოდი, ის ჩემს ველოსიპედს მოაგორებდა, თეთრხელთათმანიანი ხელებით. არ ვიყავი, არ ვგრძნობდი თავს უბედურად. წამით გავჩერდი, სითამამეც კი მეყო, ხელი ამეწია და ქუდთან მიმეტანა. მთლად გავარვარებულიყო. ვგრძნობდი, როგორ ჩერდებოდა ხალხი და თვალს გვაყოლებდა. მათ მშვიდ, მხიარულ სახეებს ვხედავდი – კაცების, ქალების, ბავშვების. მერე თითქოს მუსიკაც მოისმა შორიდან. შევჩერდი, რომ უკეთ მიმე-

ყურადებინა. იარე! – მიბრძანა. ყური დაუგდეთ, – ვუთხარი. ფეხი გადაადგი! – მითხრა. არ მომცა მუსიკის მოსმენის ნება. ხალხი შეგროვდებაო – ასე ამიხსნა. მერე მიბიძგა კიდეც. მოკლედ, შემეხნენ. კანზე არა, მაგრამ კანითაც ვიგრძენი კაცის უხეში ხელი, საბურველის მიუხედავად. მეტწილად ჯანმრთელ ფეხს დანდობილი, ამ ოქროს წუთს მივენდე, თითქოს მე მე კი არა, ვიღაც სხვა ვიყავი. დასვენების ჟამი ჩამოდგა, დილის გარჯის მომთავრებისა და ნაშუადღევისთვის ძალის მოკრების. ალბათ ყველაზე გონიერნი ახლა სადმე, სკვერებში წამოწოლილიყვნენ მხარ-თეძოზე, ან თავიანთ პარმაღებზე ჩამომსხდარიყვნენ, უსიცოცხლო მოთენთილობაში ჩაძირულები, უკვე მოლეული სადარდებლისაგან დაცლილები, მომავალთა მიმართ გულგრილები. სხვები, პირიქით, ამ ჟამს რაღაცაზე საფიქრელად იყენებდნენ, თავზე ხელებშემოჭდობილები. იყო კი მათ შორის ვინმე, ვინც თავს ჩემს ადგილას დააყენებდა, იგრძნობდა, თუ რა შორს ვიყავი იმისაგან, რასაც ვგავდი და რა საშინელ დაძაბულობას განვიცდიდი, გაწყდომამდე დაჭიმული ლითონის ბაგირივით? სულაც არ გამოვრიცხავ. კი, მთელი არსებით ველტვოდი მაცდურ სილრმეებს, მათ დანაპირებ სიმყარესა და სიმშვიდეს; მთელ ჩემს მოწამლულ წარსულს გავურბოდი – ვიცოდი, იქ არაფერი მემუქრებოდა. ზემოდან კი ლურჯი ცა და დაჟინებული მზერა დამცქეროდა. აღარც დედა მახსოვდა ქმედების უნარდაკარგულს, ამ გაუცხოებულ ჟამთან შერწყმულს, და ახლა არა, ახლა არა-მეთქი, ვიმეორებდი. პოლიციის განყოფილებაში ვიღაც ძალიან მაზალო უფროსთან მიმიყვანეს. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, მოკლესახელოებიანი პერანგი; სავარძელში გათხლაშულიყო, ფეხები მაგიდაზე შემოეწყო, თავზე ჩალის ქუდი ჩამოეფხატა და

პირში რაღაც წვრილი, დრეკადი, ჩემთვის გაურკვეველი საგანი გაეჩარა. ამ ყველაფრის შემჩნევა მოვასწარი, სანამ გამომიშვებდა. ხელქვეითის მოხსენება მოისმინა და მერე ისეთი ხმით დამიწყო გამოკითხვა – ადამიანურობას ვგულისხმობ – მსგავს გულითადობაზე ვერც კი ვიოცნებებდი. იმის კითხვებსა და ჩემს პასუხებს შორის, როცა დაფიქრება მჭირდებოდა, შუალედები მეტ-ნაკლებად გრძელი და დაძაბული გამოდიოდა. შეკითხვებს დიდად არა ვარ ჩვეული და როცა რაღაცას მეკითხებიან, დრო მჭირდება იმის მისახვედრად, რას გულისხმობენ. ასეთ დროს მთავარი შეცდომა ის არის ხოლმე, რომ მოსმენილზე მშვიდად დაფიქრებისა და მისი აწონ-დაწონის ნაცვლად, ერთი სული მაქვს, ბრმად გავცე პასუხი – ალბათ იმის შიშით, ჩემმა დუმილმა ბრაზი რისხვაში არ გადაუზარდოთ. შიშით ვარ გაძეძგილი, მთელი ცხოვრება შიშში გავატარე, დარტყმების შიშში. შეურაცხყოფა, დამცირება – ამეების ატანა იოლად შემიძლია, მაგრამ დარტყმებს ვერა და ვერ შევეჩვიე. უცნაურია. ის კი არა, შემოფურთხებაც კი ტკივილს მაყენებს. არადა, ხალხის მხრიდან სულ ოდნავი გულითადობა მინდა, მეტი არაფერი. ანუ ცემა-ტყეპისაგან შეიკავონ თავი იმიტომ, რომ, საბოლოო ჯამში, მოთმინება თუ ეყოთ, მეც აუცილებლად მოვაბამ თავს პასუხს. ეს პოლიციელიც, მუქარით რომ მიღერებს რაღაც მრგვალ სახაზავს, მოთმინებისათვის საზღაურითაც დაჯილდოვდება, როცა აღმოაჩენს, რომ არანაირი ქაღალდები, ამ სიტყვის მისეული გაგებით, არ გამაჩნია – ისევე, როგორც სამსახური, საცხოვრისი და საკუთარი გვარიც კი, რომელიც ამ წუთას მართლა არ მახსოვს; როცა გაარკვევს, რომ დედასთან მივდიოდი, ვისი ქველმოქმედებაც ჩემი არსებობის გახანგრძლივების ერთადერთი წყაროა. რაც შეეხე-

ბა დედაჩემის მისამართს, ამასთან დაკავშირებით ჩემს მახსოვრობაში სრული წყვდიადი სუფევს, თუმცა ალალბედზე მისი კარის მიგნება კუნაპეტ ღამეშიც შემიძლია. რომელ უბანშიო? სასაკლაოს უბანში, თქვენო ღირსებავ, რაკი დედაჩემის ოთახიდან, დახურული ფანჯრების მიუხედავად, მისი გაუთავებელი რატრატის მიუხედავადაც კი, მშვენივრად ისმის ნახირის ზმუილი, არა საძოვრებზე გაგონილის მსგავსი, არამედ ქალაქურად, ბაზრისა თუ საყასბოს შორიახლოს აღმოხდენილი, საბედისწერო და სასოწარკვეთილი ბღავილი. ჩვენში დარჩეს, შეიძლება ძალიანაც გავუტიე, როცა ვთქვი, დედაჩემი სასაკლაოს ახლოს ცხოვრობს-მეთქი. თავისუფლად შეიძლება სასაკლაო კი არა, საქონლის ბაზარიც ყოფილიყო. მნიშვნელობა არა აქვსო, – მითხრა პოლიციელმა. ეგ ორივე ერთ უბანშიაო. ამ კეთილი სიტყვების შემდეგ ჩამოვარდნილი სიჩუმით ვისარგებლე და ფანჯრისაკენ გავიხედე, ლამის ალალბედზე, რადგან თვალები დახუჭული მქონდა. ლაჟვარდსა და ოქროსფერს მივანდე სახე, ყელ-კისერი და ჩემი გამოცარიელებული გონებაც, თან ეტყობა, ის ფიქრიც გამიკრთა, იქნებ დაჯდომა მინდა ამდენ ხანს ფეხზე დგომის მერე-მეთქი, და გამახსენდა, რა მესწავლა ადრე მაკთან დაკავშირებით – კერძოდ, ის, რომ ჩემთვის უკვე გამორიცხული იყო მჯდომარე მდგომარეობა, ჩემი დამოკლებული, გახევებული ფეხის გამო, და ახლა მხოლოდ ის შემეძლო, ან ყავარჯნებზე დაყრდნობილი ვმდგარიყავი და ძილითაც ზეზეურად მძინებოდა, ანდა დავწოლილიყავი, მთელი ტანით გავრთხმულიყავი ძირს. ოღონდ ეგეცაა, დაჯდომის სურვილი დროდადრო მაინც მიბრუნდებოდა იმ სხვა, გამქრალი სამყაროდან. გაფრთხილების მიუხედავად, ყოველთვის არც ვეწინააღმდეგებოდი ამ სურვილს. კი, ფიქრის

ეს ნაკუწი ნამდვილად მერხეოდა გონებაში, უცნაურად ტორტმანებდა, როგორც ჭუჭყი გუბურის ფსკერზე, ხოლო სახესა და გვარიანად წამოზრდილ ფარისებრ ხრტილზე ამ დროს ზაფხულის სიო და ლაჟვარდოვანი ზეცა მეალერსებოდა. და უცებ საკუთარი გვარი გამახსენდა – მოლოი. გვარად მოლოი ვარ-მეთქი, ვიყვირე მოულოდნელად. კი, ნამდვილად ასე იყო. არაფერი მაიძულებდა ამის გამხელას, მაგრამ გავამხილე კია, ალბათ იმ იმედით, პოლიციელს ვასიამოვნებ-მეთქი. ნება დამრთეს, ქუდი მხურებოდა, არ ვიცი, რატომ. ეგ დედათქვენის გვარია? – მკითხა პოლიციელმა. მგონი, სერჟანტი უნდა ყოფილიყო. მოლოი! – შევძახე ისევ. – მოლოი ვარ გვარად. დედათქვენის გვარიც ეგაა? – გამიმეორა კითხვა. რა? – ჩავეძიე. თქვენი გვარია მოლოი, – მითხრა. კი-მეთქი, დავუდასტურე. ახლაღა გამახსენდა-მეთქი. და დედათქვენის? – არ მეშვებოდა. სულ დავიბენი. დედათქვენის გვარიც მოლოია? – მკითხა ისევ. ამ კითხვამ კარგა ხნით ჩამაფიქრა. დედათქვენი, – მიხსნიდა რაღაცას, – დედათქვენიც... მაცადეთ, დავფიქრდე! – ვიყვირე. მგონი, მართლა ასე იყო საქმე. იფიქრეთ, ვინ გაჩქარებთ?! – დამიყვავა სერჟანტმა. ვითომ დედაჩემის გვარიც მოლოი იყო? თავისუფლად შეიძლება. ისიც მოლოი უნდა იყოს გვარად-მეთქი, ვუთხარი. მერე იქიდან გამომიყვანეს – მე მგონი, საყარაულოში. მგონი, მათთვის რაღაცის ახსნას ვცდილობდი – ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მოკლედ, ბოლო-ბოლო, კედელზე მიყუდებულს, სკამძელზე დაწოლის არა, მაგრამ ფეხზე დგომის ნება კი დამრთეს. იქ ბნელოდა და უამრავი ადამიანი ირეოდა: ბოროტმოქმედებიც, პოლიციელებიც, ვექილებიც, მღვდლებიცა და მგონი, ჟურნალისტებიც. ეს ყველაფერი კი სიბნელეს კიდევ უფრო ამძაფრებდა და ბნელში

მუქი ლანდები ბორიალებდნენ. მე არავინ მაქცევდა ყურადღებას და თვითონაც ამავეთი ვპასუხობდი. მოიცა და, მაშინ რა ვიცი, რომ ყურადღებას არ მაქცევდნენ და მეც ამავეთი ვპასუხობდი, თუკი ყურადღებას საერთოდ არავინ მაქცევდა? არ ვიცი, არ ვიცი. ეგრე იყო და მეც ეგრე ვიქცეოდი, სხვას ვერაფერს გეტყვით. უეცრად ჩემ წინ ქალი აისვეტა, ძონძროხა, მაღალი, შავებში თუ რაღაც მუქ კაბაში გამოწყობილი. დღემდე ვერ გამიგია, ეგებ რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოებიდანაც კი იყო. რაღაცნაირ ლამბაქზე დადგმული ფინჯანი გამომიწოდა, მორუხო სითხით პირთამდე სავსე, რაც, ალბათ, სახარინიანი მწვანე ჩაი უნდა ყოფილიყო, რძის ფხვნილგარეული. ოღონდ მარტო ეს არა, ლამბაქსა და ფინჯანს შორის გამხმარი პურის თხელი ნაჭერიც იდო, და თან ისე ჰაიჰარად მომაწოდა, მეთქი, გადმომივარდება, უთუოდ გადმომივარდება და ისე შევშფოთდი, ვითომ სულ არ მეხატა, გადმოვარდებოდა თუ არა. წუთის მერე უკვე აცახცახებული ხელებით მეჭირა ეს ყველაფერი, სადაც მაგარი, თხევადი და რბილი ისე შერეოდა ერთმანეთს, ვერც მიხვდებოდი, რანაირად გადაეცა ხელიდან ხელს. დამიჯერეთ, როცა ამგვარი ქველმოქმედები უფასოდ, უანგაროდ, არმად გთავაზობენ რამეს, უარი არ გაგივათ – ცოცხალი თავით არ მოგეშვებიან, სანამ თავიანთ სალაფავს არ შემოგაჩეჩებენ. ეს „ხსნის არმიაც“ ხომ არაფრითაა უკეთესი. საერთოდ, რამდენადაც ვიცი, თანაგრძნობისაგან თავის დაცვა ძნელია ხოლმე. ჩაღუნავ თავს, გაიწვდენ აცახცახებულ ხელებს და – გმადლობთ, დიდი მადლობა, ქალბატონოო, ლუღლუღებ. არაფრის მქონეს, აკრძალული გაქვს სალაფავზე ცხვირის აბზუება. ამასობაში სითხე გადმოიღვარა, ფინჯანი აკანკანებული კბილების ხმით აძაგ-

ძაგდა ლამბაქზე, ოღონდ ჩემი კბილების არა – სადღა მაქვს... დამბალი პურიც მთლად დაიშალა და შიშით ატანილმა, ეს ყველაფერი შორს მოვისროლე. ძირს კი არ დავაგდე, ორივე ხელით მაგრად მოვებღაუჭე და მერე ისეთი ძალით მოვისროლე, ერთიანად მივლეწ-მოვლეწე. არ ვიცი, ეგებ ჩემგან კარგა მოშორებით, კედელსაც კი მივათხლიშე გამეტებით. აღარ გავაგრძელებ, მერე რა მოხდა. დამღალა ამ ადგილმა. წასვლა მინდა. უკვე მოსაღამოვებულიყო, როცა მითხრეს, შეგიძლია წახვიდეო და თან ისიც მირჩიეს, მომავალში უფრო ჭკვიანად მოიქეციო. ჩემს დანაშაულს სავსებით ვაცნობიერებდი, დაკავების მიზეზიც ვიცოდი და მთელი ჩემი საქციელის არაბუნებრიობაც მშვენივრად მომეხსენებოდა, რაც გამოძიებამაც დაადასტურა. გამიკვირდა კიდეც, ასე სწრაფად რომ გავთავისუფლდი კიდევ ერთხელ, ანუ სასჯელს გადავურჩი. ვითომ ვინმე მფარველი მყავდა სასამართლოში და არ ვიცოდი? ვითომ, ჩემდაუნებურად, იმ სერჟანტზეც კარგი შთაბეჭდილება დავტოვე? ვითომ დედა-ჩემი მოძებნეს და იმან ან იმის მეზობლებმა ჩემი ნათქვამი მეტ-ნაკლებად მაინც დაადასტურეს? ეგებ იფიქრეს, ამის დასჯას აზრი არა აქვსო? კანონის მოთხოვნა ჩემნაირ არსებას მიუსადაგო, არც ისე იოლი საქმეა. არა, შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ რა აზრი აქვს? პოლიციამ თავისი საქმე თვითონ იცის, მე ვინ რას მეკითხება. თუ უსაბუთობა კანონის დარღვევაა, მაშინ საბუთების აღება რად არ მომთხოვეს? ფული რომ ღირს და მე არა მაქვს, იმიტომ? მაგრამ, ამ შემთხვევაში, ხომ შეეძლოთ ჩემთვის ველოსიპედი ჩამოერთმიათ! სასამართლოს თანხმობის გარეშე – ალბათ არა. თავგზა აგებნევა კაცს. ერთი რაც ვიცი, ისაა, რომ გზაში ასე აღარასდროს დამისვენია, მიწაზე ფეხებჩამოშვებულს, სა-

ჭეს ჩაბღაუჭებულს, თავჩაქინდრულს და ყველაფრისაგან გამოთიშულს. ჩვენში დარჩეს, საწყალობელი სანახაობა კია, უვარგისი მაგალითი იმ ადამიანებისათვის, ვისაც თავიანთ ჭაპანწყვეტაში გამხნევება სჭირდებათ, მხოლოდ და მხოლოდ სიძლიერის, სიმამაცისა და მხნეობის გამოხატულების ცქერა, რის გარეშეც დღის ბოლოს ეგებ ისე გაუწყდეთ ქანცი, მიწაზე დაეყარონ და წელიც ველარ აითრიონ. საკმარისია, ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს ეს „ჭკვიანად მოქცევა" და მეც წესიერების განსახიერებად ვიქცევი – ცხადია, ჩემი ფიზიკური შესაძლებლობების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, სულ უფრო და უფრო მეტს ვითხოვ საკუთარი თავისაგან, რადგან ერთ დროს არც გონიერება მაკლდა და არც გამჭრიახობა. კეთილ განზრახვებს რაც შეეხება, ესეც ჭარბად მაქვს, მონდომებაცა და მზადყოფნაც. მინდა გითხრათ, ნებადართულ ქმედებათა ჩემი რეპერტუარი განუხრელად იზრდებოდა – პირველი ნაბიჯებიდან უკანასკნელამდე, შარშან რომ გადავდგი ბოლოს. და თუკი ყოველთვის ღორულად ვიქცეოდი, ბრალი მე კი არა, ჩემს უფროსობას მიუძღვის, ვინც მხოლოდ წვრილმანებზე მითითებდა იმის მაგივრად, სისტემის არსში გავერკვიე, როგორც ეს საუკეთესო ინგლისურ სასწავლებლებში ხდება – კარგი ქცევის უმთავრესი პრინციპები ესწავლებინათ და ისიც აეხსნათ, რანაირად არ შემშლოდა, ასე და ასე და არა სხვანაირად მოვქცეულიყავი; მოკლედ, იმის საწყისებს ჩავწვდომოდი, რასაც დახვეწილ მანერებს უწოდებენ. ეს შესაძლებლობას მომცემდა, სწორედ წესიერების კანონებისათვის დამეპირისპირებინა ხალხში იმგვარი ქცევა, როგორიცაა ცხვირში თითის შეყოფა, ყვერების ფხანა, ფურთხება თუ სიარულისას ფსმა. მე კიდევ ამ ყველაფერზე მხოლოდ ემპირიული წარმოდგენები გამაჩ-

ნდა. მთელი ცხოვრებაც უვიცობის წყვდიადში გავატარე, ეს წყვდიადი კი კიდევ უფრო ბნელდებოდა, რამდენადაც ჩემი ცხოვრებისეული დაკვირვებები უფრო და უფრო მაეჭვებდა ეტიკეტის თუნდაც შეზღუდულად, მაგრამ მაინც მუდმივი დაცვის შესაძლებლობაში. ამეებზე მხოლოდ მას მერე დავფიქრდი, რაც სიცოცხლე შევწყვიტე და სხვა ბევრი საფიქრალიც ამომიტივტივდა. სწორედ ხრწნის სიმშვიდემ გამახსენა ის უსასრულო, აბნეული ემოცია, რასაც ჩემი ცხოვრება ერქვა და ისევე განვსჯი, როგორც ამბობენ, ღმერთი განგვსჯისო, არანაკლები პირდაპირობით. ხრწნაც ხომ სიცოცხლეა – ვიცი, ვიცი, ნუ მტანჯავთ, მაგრამ ზოგჯერ მავიწყდება ხოლმე. ამ ცხოვრებაზეც მოგიყვებით ალბათ როდისმე და მაშინ გავიგებ, რომ უბრალოდ ვარსებობდი და უსახური და გაუნელებელი გზნება მწვავდა და მბუგავდა ისე, რომ ჩემგან მხოლოდ ხრწნადი ხორცი დარჩენილიყო. ასეთ რამეებს სწორედ მაშინ ხვდები, როცა იმის ცოდნა მოდის, რომ არაფერი იცი და ამ დროს ყოველთვის ერთნაირად, ერთ ხმაზე აღმოგხდება ყვირილი, ზომიერად სისხლის გამყინავი და ზომიერადვე გულწრფელი. მეც ამგვარი ამოყვირების ნება მომეცით: ამბობენ, ჯანმრთელობას უხდებაო. ნება მომეცით-მეთქი, ახლაც ვიყვირო, მერე ალბათ – კიდევ ერთხელ და მერე ალბათ – ბოლოჯერაც; ყვირილით აღმოვთქვა, რომ ჩამავალმა მზემ გაანათა ყაზარმის ეკრანივით თეთრი კედელი: თითქოს ჩინეთში ვიყავი, ჩრდილების თეატრში, და ეს ჩრდილებიც დაბნეულნი თრთოდნენ. მარტო მე ვიყავი და ჩემი ველოსიპედი. კედელს მიჩერებულმა, თამაში და ხელების ქნევა, ქუდის მოხდა-დახურვა, ველოსიპედის აქეთ-იქით გორება, მისი საყვირის წვალება დავიწყე. გისოსების იქიდან მიცქერდნენ, ვგრძნობდი მათ მზერას. მორიგე პოლიციელ-

მა, კართან რომ იდგა დარაჯად, წასვლა მომთხოვა. შეეძლო არც არაფერი ეთქვა, უკვე ისედაც დავმშვიდდი. ბოლო-ბოლო, ჩრდილი არაფრით სჯობს მისსავე წყაროს. პოლიციელს ვთხოვე, წყალობა მოეღო და დამხმარებოდა. ვერაფერი გაიგო. ის საჭმელი გამახსენდა, რაზეც ადრე უარი ვთქვი. ჯიბიდან კენჭი ამოვიღე და ლოღნა დავუწყე. გლუვი იყო, ამდენი ხნის ნალოღნი ჩემ მიერ, მანამდე კი ვინ იცის, რამდენ ქარტეხილგამოვლილი. პირში ჩადებული ეს კენჭი, მრგვალი და გლუვი, გამშვიდებს, გაწყნარებს, შიმშილს გავიწყებს, წყურვილს გავიწყებს. ჩემი ზოზინით გაბრაზებული დარაჯი ჩემკენ გამოემართა. იმასაც თვალს ადევნებდნენ სარკმლებიდან. სადღაც ვიღაცამ გაიცინა. ჩემს არსებაშიც იცინოდა რაღაც. გახევებულ ფეხს ორივე ხელით დავწვდი და ჩარჩოზე გადავატარე. წამოვედი. აღარც მახსოვს, საით მივდიოდი. გავჩერდი და დავფიქრდი. მოძრაობისას ფიქრი ჩემთვის ძნელია, როცა თან ველოსიპედი მიმყავს და თან ვფიქრობ, წონასწორობას ვკარგავ და ვეცემი ხოლმე. აწმყო დროში ვლაპარაკობ – ასე უფრო იოლია, როცა წარსულზე ჰყვები. არ დაგავიწყდეთ, მითოლოგიურ აწმყოს ვგულისხმობ. უკვე ჩემებურად ვისვენებდი, თან ვფიქრობდი და გამახსენდა, ამის უფლებაც რომ ჩამომართვეს. ამიტომაც გზა გავაგრძელე – გზა, რომლისაც არაფერი ვიცოდი. უბრალოდ, გზა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირი გახლდათ, ნათელი თუ ბნელი, სწორი თუ ოღროჩოღრო, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი. საამური ხმა იმის, რომელიც უკან რჩება სუსტ მტვერში, როცა ამინდი მშრალია. აი, მოვედი კიდეც. ვერც გავიგე, მთელი ქალაქი თუ გამოვიარე და არხის ნაპირას აღმოვჩნდი. ეს არხი ქალაქს კვეთს – ვიცი, ვიცი. თან ერთი კი არა, ორი

არხია. ოღონდ ეს მინდვრები და ძეძვის ღობეები – საიდან? თავს ნუ იტანჯავ, მოლოი. უეცრად ვხვდები, მარჯვენა ფეხი მქონია გახევებული. ვხედავ, მოპირდაპირე ნაპირზე ორი პატარა რუხი ჯორი ჭაპანს ეწევა. ბრაზიანი შეძახილები და შოლტის ყრუ ხმაც მესმის. ველოსიპედს ვაჩერებ, ფეხებს ძირს ვუშვებ, უკეთ რომ დავინახო მოახლოებული ბარჟა. ისე მსუბუქად მოცურავს, წყლის ზედაპირი არც კი ირხევა. ლურსმნები და ფიცრები მოაქვს – ეტყობა, ვინმე დურგლის გულის გასახარად. ჯორის თვალებს ვარჩევ, დაბლა დაუხრია და მოკლე-მოკლე ნაბიჯებით, თამამად მობაკუნობს. ბოცმანს იდაყვი მუხლზე ჩამოუდვია, თავი კი – ხელზე. გრძელი, თეთრი წვერი აქვს. პირში ჩიბუხი გაუჩრია და ყოველი სამი-ოთხი მოქაჩვის მერე წყალში აწიტებს, თან ისე, ჩიბუხსაც კი არ იღებს პირიდან... მის თვალებს ვერ ვხედავდი. ჰორიზონტი გოგირდისფრად და ფოსფორისფრად ენთო, და აკი მეც იქით მედო გეზი. როგორც იქნა, ველოსიპედიდან გადმოვფორთხდი, თხრილში ჩავედი და იქ მივწექი, ჩემი ველოსიპედის გვერდით. გემოზე გავიწვართე, მკლავები კი აქეთ-იქით გადავშალე. ზემოდან თეთრი ნარშავა დამცქეროდა. ცუდია, მაგის სუნი რომ არ მიყვარს. თხრილში მაღალი და ხშირი ბალახი ამოზრდილიყო. ქუდი მოვიხადე, სახე გრძელ, მსუყე ღეროებში ჩავრგე. უკვე მიწის სუნიც მცემდა, იმ ბალახით დაფარული მიწის, რომელიც ორივე ხელით ისე მაგრად გავიგლისე სახეზე, თვალთ დამიბნელდა. ცოტაოდენი მოვძოვე კიდეც. ბალახზე ვამბობ. მერე არსაიდან, როგორც მაშინ, გვართან დაკავშირებით, გამახსენდა – თურმე დედასთან მივდიოდი, დილიდანვე. რატომ? მომკალით და არ ვიცი. არადა, ვიცოდი. უნდა მცოდნოდა. ახლა როგორმე უნდა გამხსენებოდა და აუცილებლობით ფრთებ-

გაშლილი, დედისაკენ გავქროლდებოდი კიდეც. როცა იცი – რატომ, ყველაფერი უფრო ადვილია. უბრალო ჯადოქრობაა, ესეა. მთავარია, იცოდე, რომელ წმინდანზე ილოცო, ეს კი ნებისმიერ ბრიყვს შეუძლია. წვრილმანებს რაც შეეხება, თუკი საერთოდ აინტერესებს ვინმეს ეს წვრილმანები, სასოწარკვეთის არანაირი მიზეზი არ გექნება, როცა საჭირო კარს მიადგები, საჭირო კარზე დააკაკუნებ. აი, როგორც ჩანს, მთელისთვის არ არსებობს შელოცვა, ალბათ ის მთელიც არ არსებობს, სანამ არ მოკვდები. მკვდრის სიცოცხლის გამაყუჩებელი, ალბათ, იოლი საშოვნელია. მაშინ, აბა, მე რაღას ველოდები, რატომ არ განვდევნი ჩემს ავ სულს? უკვე მალე, უკვე მალე. აქედანვე მესმის ყველაფრის მომგვარებელი ამოძახილი, გინდაც ჩემი ხორხიდან არ ამოდიოდეს. ამავე დროს აზრიც არა აქვს იმის ცოდნას, მოკვდი, ჯერ არ მომკვდარხარ, თუ სასიკვდილო ტანჯვაში გხდება სული. თმა გეზრდება, ფრჩხილებიც, შიგანი იცლება, ყველა მესაფლავე მკვდარია. ვიღაცამ ფარდები ჩამოაფარა, ალბათ – შენ თვითონ. ჩქამიც არ ისმის. ნეტარხსენებული ბუზები სადღა არიან? კი, უკვე აზრიც აღარა აქვს უარყოფას – მკვდარი შენ კი არა, ყველა სხვაა. ამიტომაც ადექი ახლა და დედაშენთან წადი, ვისაც ჰგონია, რომ ცოცხალია. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, მაგრამ ჯერ როგორმე ამ თხრილიდან უნდა ამოვათრიო საკუთარი თავი. რა სიამოვნებით გავქრებოდი შიგ, უფრო და უფრო ღრმად ჩავეფლობოდი, წვიმებთან ერთად ჩავიწრიტებოდი. ეჭვი არაა, ერთ მშვენიერ დღეს ისევ მოვალ აქ – აქ თუ არა, რომელიმე ამგვარ ორმოსთან. საამისოდ კი მეყოფა ფეხების ძალა, ისევე, როგორც უეჭველია, რომ ერთ დღეს ისევ შევხვდები იმ სერჟანტსა და მთელ მის ამალას და თუკი ისე

შეიცვალენ, რომ ვერ ვიცანი და არ ვთქვი, ისინი არიან-მეთქი, შეცდომა მაინც არ მომივა – ისინი იქნებიან, ოღონდ შეცვლილები. რამე რომ იყოს, კაცი, ადგილი – კინაღამ წამომცდა, დროც-მეთქი, თუმცა არ მინდა, ვინმეს გრძნობები შეურაცხვყო – თუ აღწერე და მერე აღარ გაგახსენდა, ეს ისე იქნება, როგორ ვთქვა... არა, არ ვიცი. როცა არ გინდა თქვა, როცა არ იცი, რა თქვა, როცა არ შეგიძლია თქვა, რაც გგონია, რომ გინდა თქვა და არასოდეს ან თითქმის არასოდეს შეწყვიტო ლაპარაკი, ეს ისეთი ამბავია, მუდამ უნდა გახსოვდეს, თხზვის ჟინით შეპყრობილსაც კი. ის ღამე სხვას არ ჰგავდა, თორემ მივხვდებოდი, რადგან როცა ვცდილობ და იმ ღამეზე ვფიქრობ, არხის ნაპირას გატარებულზე, სხვა არაფერი მომდის თავში, თავად ღამეც კი – მხოლოდ თხრილში გაწვართული მოლოი და სრული სიჩუმე. დახუჭულ ქუთუთოებქვეშ ღამის პატარა ნაკუწი მომწყვდეულა, თავისი სუსტი შუქებით, ჯერ – გაუბედავით, მერე და მერე – აელვარებულით და უეცრად გამქრალით, ხან ხარბით, ხან დანაყრებულით, როგორც ცეცხლი ნაყრდება ცოდვილებითა და მარტვილებით. ის ღამე-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ალბათ ერთზე მეტიც უნდა ყოფილიყო. ტყუილი, ტყუილი, მატყუარა ფიქრი. ოღონდ მერე დილასაც ვპოულობ, რაღაც დილას, მზე უკვე მაღლა კიდია ცაზე, მეც, ჩემი ჩვეულებისამებრ, ცოტა წამიძინია. სივრცე ისევ ხმებითაა სავსე. მძინარეს მწყემსი დამყურებს და მეც იმისი მზერა მახელინებს თვალს. გვერდით აქასქასებული ნაგაზი უდგას, ისიც მე მომჩერებია, მაგრამ პატრონივით დაჟინებით – არა. დროდადრო თავს მიაბრუნებს ხოლმე და გიჟივით იწყებს საკუთარი ტანის კბენას – ეტყობა, რწყილები შემოსჩვევიან. ვითომ ძეძვნარში გაბლანდული შავი ცხვარი ვეგონე და პატრონის

ბრძანებას ელოდა იქიდან ჩემს გამოსათრევად? არა მგონია. ცხვრის სუნი ნამდვილად არ ამდის – ნეტა ამდიოდეს. გინდაც ვაცის. გაღვიძებული, თავიდან ყველაფერს მკაფიოდ ვხედავ, პირველად შემოთავაზებულ სანახავს. მესმის კიდეც, როცა ძნელი გასაგები არაა. მერე თვალებშიც და თავშიც წვიმა იწყება, ნელ-ნელა წვეთავს, როგორც ვარდის ყვავილიდან იცის ხოლმე. მოკლედ, მაშინვე მივხვდი, ჩემ წინ და შეიძლება ზემოთაც, რადგან ბილიკიდან არ გადმოუხვევიათ, მწყემსი და ნაგაზი იდგნენ. ბღავილის ხმაც სულ იოლად ამოვიცანი – ცხვრები ასეთი მღელვარებით მაშინ ბღავიან, როცა მწყემსს მოისაკლისებენ ხოლმე. სწორედ ასეთ დროს სიტყვების მნიშვნელობა ყველაზე ნაკლებ ბუნდოვანია, ამიტომაც მშვიდი დარწმუნებით ვკითხე: საით ერეკები, მინდვრისკენ თუ სასაკლაოსკენ-მეთქი? ეტყობა, ადგილის შეგრძნება მთლად უნდა დამეკარგა, თუკი საერთოდ ჰქონდა კიდეც რაიმე მნიშვნელობა ამ შემთხვევაში. მართლაც, თუნდაც ქალაქისკენ დაძრულს, რა შეუშლიდა ხელს, გვერდი აევლო ან სულაც, ქალაქის გავლით, სხვა საძოვრისკენ გაედენა ფარა? ხოლო თუ ქალაქის მხრიდან მოდიოდა, არც ეს ნიშნავდა არაფერს – სასაკლაოები ქალაქის ზღუდის გარეთაა და თან იმდენია... სოფლადაც არაერთს იპოვი, ლამის ყველა ყასაბს აქვს ერთი ასეთი გამართული და უფლებაც არავის წაურთმევია, რამდენიც საჭიროა, იმდენ პირუტყვს გამოუყვანოს წირვა. ოღონდ არ ვიცი, ვერ გამიგო თუ პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა, არაფერი უპასუხია. სიტყვის უთქმელად გააგრძელა თავისი გზა, ანუ ჩემთვის სიტყვის უთქმელად, თორემ გაფაციცებულ და ყურებაცქვეტილ ძაღლს რაღაცა კი გადაულაპარაკა. მუხლებზე დავდექი. არა, ასე არაფერი გამოვიდა, წამოვიმართე და ამათ თვალი

გავაყოლე. მესმოდა, როგორ უსტვენდა მწყემსი, ვხედავდი, როგორ იქნევდა თავის სახრეს, ძაღლი კი ფარას ურბენდა ირგვლივ – სხვაგვარად უთუოდ არხში გადაიჩეხებოდნენ საცოდავი ცხვრები. ამ ყველაფერს მოციმციმე მტვრის ბუქში ვხედავდი, მალე კი – უკვე იმ ბურუსის მიღმა, რომელიც ყოველდღე იგრაგნება ჩემში, სამყაროსაც მიბურავს და საკუთარ თავსაც – ჩემსავე თვალში. ბღავილი თანდათან შესუსტდა, რადგან ცხვრები ცოტა დამშვიდდნენ, ან შეიძლება შორს წავიდნენ, ან იქნებ სმენა გამიუარესდა, რაც, თავისთავად, საკვირველი იქნებოდა, რადგან სმენას არასოდეს ვემდუროდი, მხოლოდ გამთენიისას თუ მღალატობდა ხოლმე ოდნავ. თუ ზოგჯერ საათობით არაფერი მესმის, ეს ჩემთვის სრულიად უცნობი მიზეზებით აიხსნება, ან იმით, რომ ირგვლივ ყველაფერი დუმდება დროდადრო, თუმცა კი მართალთათვის ამა სოფლის ორომტრიალი არასოდეს წყდება. ასე დაიწყო მეორე დღე, ოღონდ ის მესამე იყო, ან სულაც მეოთხე, და დასაწყისიც არ უვარგოდა, რადგან ცხვრების საბოლოო დანიშნულების ადგილის თაობაზე ეჭვები მღრღნიდა. ფარაში ბატკნებიც ერივნენ და თავს ვიტეხდი, ნეტა მშვიდობით მიაღწიეს საძოვარს თუ გზაში დაეყარნენ-მეთქი, თავგაჩეჩქვილები, ფეხებმოკვეთილები; ჯერ მუხლებზე დაეყრებოდნენ, მერე ხუჭუჭა გვერდებზე გადაგორდებოდნენ, ეროთი შუბლგახეთქილები. თუმცა ცხვრებს ასე არ ხოცავენ – დანით სჭრიან ყელს, სანამ ბოლომდე არ დაიწრიტებიან სისხლისგან. ბევრი მაქვს სათქმელი ამ ჩემს პატარ-პატარა ეჭვებზე. ღმერთო დიდებულო, რამდენი სულიერი დაიარება ამქვეყნად – საითაც გაიხედავ, ყველგან ოთხფეხი მოგხვდება თვალში. ცხვრები იქით იყოს და, ცხენები და თხები რამდენია?! სხვაზე არაფერს ვამბობ,

ვგრძნობ, როგორ მითვალთვალებენ, როგორ უნდათ, გზაზე გადამეყარონ. მე კი ეგ არაფერში მჭირდება. ჩემი უახლოესი მიზანი ჯერაც თვალწინ მიდგას, ანუ რაც შეიძლება სწრაფად მივაღწიო დედაჩემამდე. ამიტომაც, ახლა თხრილში მდგომმა, საშველად იმ მიზეზებს მოვუხმე, რომლებსაც სწორედ იქით უნდა წავეყვანე, დაუყოვნებლივ; და მართალია, უამრავი ისეთი რამ არსებობდა, რასაც ფიქრის გარეშეც მოვახერხებდი, არც მეცოდინებოდა, რას ვაპირებდი, სანამ არ მოვიმთავრებდი – დედაჩემთან წასვლა ასეთი ნაბიჯი არ ყოფილა. ფეხებს, მართალი გითხრათ, არასოდეს წავუყვანივარ დედისკენ, თუ გარკვეულ მკაცრ მითითებას არ მიიღებდნენ. საოცარი, მართლა საოცარი ამინდი ნებისმიერს გაუნათებდა გულს, ოღონდ – მე არა. საამისო საბაბი არ მქონდა. მზე არ მიხაროდა და არც მაკვირვებდა ეს ამბავი. შიშისა და სითბოს მოსურნე ელინი თავად ჩავიკალი გულში, თავიდანვე, კარგა ხნის წინ. უფრო სწორად, თავად გამოუტანა ამგვარი განაჩენი საკუთარ თავს. წვიმიანი დღეების უფერული უჟმურობა უკეთ ეხამებოდა ჩემს გემოვნებას. არა, ვტყუი – ჩემს განწყობას. არც ამას ვამბობ მართალს – მე არც გემოვნება გამაჩნდა და არც გუნება-განწყობა, დიდი ხნის წინ შეველიე ორივეს. ახლა ალბათ იმის თქმა მინდა, რომ ის უჟმური უფერულობა თუ რაცაა უკეთ მმალავდა და ამით უსიამოც არ ხდებოდა ჩემთვის. უნებლიე ქამელეონი – აი, ეგეთია მოლოი, თუ გარკვეული კუთხით შეხედავთ. ზამთრობით, პალტოს ქვეშ, გაზეთების ფურცლებს ვიხვევდი და მანამდე არ ვიშორებდი, სანამ აპრილში მიწა საბოლოოდ არ გამოიღვიძებდა. საამისოდ ყველა სხვას ისევ „ტაიმზის“ ლიტერატურული დამატების გვერდები სჯობდა, მკვრივი იყო და ყინვაგამძლე. კუილიც კი ვერა-

ფერს ვნებდა. ამას ვერაფერს ვუხერხებ, გაზები წამდაუწუმ მეპარება სრულიად უმიზეზოდ და მთელი ჩემი ზიზღის მიუხედავად, ამ ამბავზე სიტყვის ჩამოგდება დროდადრო მაინც მომიწევს ხოლმე. ერთ დღეს დავითვალე კიდეც: 19 საათში 315-ჯერ გავაკუე, ანუ საშუალოდ საათში 16-ზე მეტჯერ გამძვრა. ჩვენში დარჩეს, არც ისე ბევრია: ოთხი გაკუება ყოველ 15 წუთში. ეგეც არი, რა. 4 წუთში ერთხელ გაკუებაც კი არ გამოდის. წარმოუდგენელი ამბავია. ჯანდაბას! ასე ჩანს, საერთოდ არც ვაკუებ თითქოს. არც ღირდა ამაზე სიტყვის ჩამოგდება. საოცარი კია, როგორ გეხმარება მათემატიკა საკუთარი თავის შეცნობაში. ასეა თუ ისე, მკაცრი ჰავის თაობაზე წუწუნი არ მჩვევია. მარტო იმას ვიტყვი, რომ ამ მხარეში დილა ხშირადაა ხოლმე მზიანი, ასე, ათამდე ან თერთმეტამდე მაინც. მერე იღრუბლება, წვიმა იწყება და საღამომდე წვიმს. მერე ისევ მზე გამოანათებს, მალევე რომ ჩავიდეს. დამბალი მიწა წამით აელვარდება, მერე შუქისაგან იწრიტება და ქრება. ისევ მოვაჯექი ველოსიპედს, ეს ჩემი გამოცარიელებული გული უაზრო შფოთვას აჰყოლია, თითქოს კიბოთი მომაკვდავი, კბილის ექიმთან რჩევის საკითხავად მიიჩქარისო. არც ვიცოდი, სწორ გზას ვადექი თუ არა – ჩემთვის ყველა გზა სწორი იყო, მცდარ გზად კი მხოლოდ რაიმე თავგადასავალი მესახებოდა. ოღონდ როცა დედისკენ მივეშურებოდი, სწორი გზა ერთადერთი იყო – ის, რომელსაც მასთან მივყავდი, ან მისკენ მიმავალთაგან ერთ-ერთი, რადგან იქით ყველა როდი მიემართებოდა. არ ვიცოდი, ვადექი თუ არა იმ ერთ-ერთ სწორ გზას, და ეს მაწუხებდა – როგორც ყველაფერი, რაც ცხოვრებისკენ გაბრუნებს. წარმოიდგინეთ, როგორ მომეშვა, როცა ჩემ წინ ქალაქის კედლის ნაცნობი მოხაზულობა დავლანდე. კარიბჭე გავი-

არე და უცხო გარეუბანში მოვხვდი. არადა, ამ ქალაქს კარგად ვიცნობდი, რადგან აქ დავიბადე და ვერასოდეს მოვახერხე, 10-15 მილზე მეტი მანძილი მომექცია ჩემსა და მას შორის. აი, ასე მებღაუჭებოდა, არ მიშვებდა, არ ვიცი – რატომ. და, აი, უკვე ლამის იყო, ეჭვი შემპარვოდა, საჭირო ქალაქში აღმოვჩნდი თუ არა-მეთქი, იმაში, სადაც პირველად დამაღამდა თავზე, და სადაც ჯერაც თავშესაფარს პოულობდა დედაჩემი. გზა ამებნა, მხარი მექცა ახლა და არც ვიცი, რა ჰქვია ამას სახელად. ეგ იმიტომ, რომ მხოლოდ ჩემს მშობლიურ ქალაქს ვიცნობდი, სხვაგან ფეხიც არ დამედგა არასოდეს. ერთი ეგაა, სანამ კითხვა ჯერ კიდევ შემეძლო, ყურადღებით ვკითხულობდი ჩემზე იღბლიანი მოგზაურების მონათხრობს ისეთსავე მშვენიერ ქალაქებზე, როგორიც ჩემი იყო, ეგებ უფრო მშვენიერებზეც კი, თუმცა განსხვავებული ხიბლით გამორჩეულებზე. ახლა მახსოვრობაში სახელს დავეძებდი დაჟინებით, იმ ერთადერთი ქალაქის სახელს, რომლის ცოდნაც ბედმა მარგუნა და ვაპირებდი, როგორც კი გავიხსენებდი, გავჩერებულიყავი, ვინმე გამვლელისთვის ქუდის მოხდით სალამი მეთქვა და მორიდებით მეკითხა: მაპატიეთ, ბატონო ჩემო, ეს ხომ ქალაქი X-ია, თუ შემეშალა-მეთქი? X ჩემს ქალაქს ერქვა, ის სახელი კი, რომელსაც გამალებით ვიხსენებდი, ნამდვილად ასო B-თი ან P-თი იწყებოდა, თუმცა ამ ხელჩასაჭიდის მიუხედავად, ან იქნებ იმიტომაც, მცდარ ვარაუდს რომ ვეჭიდებოდი, მომდევნო ასოები დაფეთებულები გამირბოდნენ აქეთ-იქით. ხომ გესმით, ისე შორს ვიცხოვრე სიტყვებისაგან და ისე დიდხანს, საკმარისი იყო, მშობლიური ქალაქი დამენახა, რაკი სწორედ მასზე ვლაპარაკობთ ახლა, რომ ერთიანად დავდამბლავებულიყავი. ჩემთვის მეტისმეტად ძნელია ამის

ახსნა. საკუთარი მეობის განცდაც კი უსახელობის იმგვარ საბურველში გახვეულიყო, ხშირად მისი გარღვევაც მიჭირდა, რაშიც, მგონი, ეს-ესაა, ყველა დავრწმუნდით. ასევეა სხვა ყველაფერიც, რაც ჩემს შეგრძნებებს იგდებს აბუჩად. მაშინაც კი, როცა ყველაფერი მკრთალდებოდა, ტალღებიცა და ნაწილაკებიც, ვერაფერი იარსებებდა უსახელო საგანთა გარდა – არავითარი სახელები, მხოლოდ უსაგნო დასახელებები. ამას ახლა ვამბობ, თორემ რა ვიცი მე იმდროინდელზე – ახლა, როცა გაყინული სიტყვები მსეტყვავს, ყინულივით ცივი მნიშვნელობები და თავად სამყაროც კვდება, უაზროდ სახელდებული. მე ვიცი მხოლოდ ის, რაც სიტყვებმა იციან და კიდევ – მკვდარმა საგნებმა. ეს კი უცნაურად ჯამდება თავისი დასაწყისით, შუა ნაწილით და ბოლოთი, როგორც კარგად დალაგებულ ფრაზაში, ანდა სიკვდილის გაწელილ სონატაში. მართლა არ ნიშნავს ბევრს ის, რასაც ვამბობ. ამას თუ იმას, თუ ნებისმიერ სხვა რამეს. თქმა გამოგონებაა. სიცრუე, ძალიან მართალი სიცრუე. შენ არაფერს იგონებ, გგონია, ვიგონებო. ფიქრობ, ვთავისუფლდებიო, სინამდვილეში კი ნასწავლ გაკვეთილს იშორებ, ოდესღაც დაზეპირებული მასალის ნარჩენებს, კარგა ხნის წინ დავიწყებულს – უცრემლო სიცოცხლეს, ყველა ცრემლისაგან დაცლილ-დაწრეტილს. ისე, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია ამ ყველაფერს. სად ვიყავი? აკი ვერ მოვახერხე მშობლიური ქალაქის სახელის გახსენება და გზისპირას გაჩერება გადავწყვიტე – ვინმე გონიერი და კეთილმოსურნე გამომეტყველების მქონე გამვლელის დალოდება, ვისაც ქუდს მოვუხდიდი და გაღიმებული მივმართავდი: მაპატიეთ, ბატონო ჩემო, ბოდიშს გიხდით, თუ არ შეწუხდებით, ეგებ მითხრათ, ამ ქალაქს რა ჰქვია? და როგორც კი კრინტს დაძრავდა, მაშინვე მივხვდე-

ბოდი, სწორ სიტყვას დავეძებდი თუ არა მახსოვრობაში, გავიგებდი, სად ვიმყოფებოდი. ოღონდ ჯერ კიდევ გზაში მიღებულ ამ გადაწყვეტილებას განხორციელება არ ეწერა, უაზრო შემთხვევამ შემიშალა ხელი. კი, ჩემს გადაწყვეტილებებს ასეთი უცნაურობა ახასიათებს: საკმარისია, საბოლოო, გამოკვეთილი სახე მიიღონ და უთუოდ გამოტყვრება რამე, რაც მათ შესრულებას გამორიცხავს. იქნებ ამიტომაც ვარ ახლა ნაკლებად გამბედავი, ვიდრე მაშინ ვიყავი – სწორედ ისევე, როგორც მაშინ ნაკლები გამბედაობა მახასიათებდა, ვიდრე ოდესღაც? მაგრამ სიმართლე ითქვას (სიმართლე ითქვას!) დიდად გამბედავი არც არასოდეს ვყოფილვარ, ანუ გადაწყვეტილებებს იოლად ვერასოდეს ვიღებდი. უფრო ქაქში თავით გადაშვება მჩვეოდა, იმის გაურკვევლად, ვინ ვის სვრიდა ქაქში, ანდა მე ვის მხარეს დადგომა მომიტანდა მეტ ხეირს. მაგრამ ამგვარ უხერხემლობასაც ახლდა რაღაც კმაყოფილების მაგვარი, და თუ ვერასოდეს მოვერიე და ვერ დავძლიე, იმიტომ არა, რომ არც მიცდია. როგორც ჩანს, საქმე ისაა, დიდი იმედი არც უნდა გქონდეს, რომ ბოლოში ცოტა მაინც შეიცვლები და იმაზე ცოტათი განსხვავებულ ვინმედ იქცევი, ვიდრე თავში ან შუაში იყავი. მოკლედ, გონებაში გეგმა ჩამოვაყალიბე და ველოსიპედით პაწია ფინიას გადავუარე – ვერ დავინახე და ისიც უსულოდ გაგორდა ქალბატონის ფეხებთან. წინდახედულებაც გადაწყვეტილებებს ჰგავს – წინდახედულად უნდა გამოიჩინო. ქალბატონს, ეტყობა, ეგონა, ყველაფერი გავითვალისწინე და შემთხვევითობას აღარაფერი მივანდეო – სულ ცოტა, ჩემი ფინიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მაინცო; არადა, სწორედ ბუნებას აუჯანყდა ჩემსავით – მე ხომ გიჟივით წამომივლის ხოლმე სურვილი, როგორმე მეტი შუქი

მოვფინო ყველაფერს. მართლაც, იმის მაგივრად, სინანულით თავი მიწას მეხლია, ყველაფერი საკუთარი ასაკისა და უძლურებისთვის გადამებრალებინა, გაქცევა დავაპირე. მალევე დამეწია ორივე სქესისა და ყველა ასაკის ხალხისგან შემდგარი, სისხლს მოწყურებული ბრბო. თეთრ წვერსაც კი მოვკარი თვალი და ლამის ანგელოზურ, ბავშვურ პირისახეებსაც. აპირებდნენ, სულ ნაკუწ-ნაკუწ დავეფლითე, მაგრამ ამ დროს თავად ქალბატონი ჩაერია. მოგვიანებით მითხრა და მეც ვირწმუნე, რა სიტყვებით მიმართა იმ გავეშებულ ხალხს: ამ საბრალო მოხუცს თავი დაანებეთო; მართალია, ტედი მომიკლა, რომელიც შვილივით მიყვარდა, მაგრამ ეს არც ისეთი საშინელი ამბავია, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს, რადგან სწორედ ვეტერინართან მიმყავდა, მისი გატანჯული ყოფისთვის წერტილი რომ დამესვაო; ტედი დამიბერდა, დამიბრმავდა, დამიყრუვდა, რევმატიზმმაც მოკრუნჩხა და ველარც იკავებდა უკვე, ვერც დღე და ვერც ღამე, ვერც შინ და ვერც გარეთ... ჰოდა, ამ საცოდავ მოხუცს უნდა ვუმადლოდე, სამძიმო საქმე და ზედმეტი ხარჯი რომ ამარიდა, რისი გაწევაც ძალზე გამიჭირდებოდა, რაკი ერთადერთი სახსარი ჩემი ძვირფასი ქმრის პენსიაა, ჩემი ნეტარხსენებული მეუღლის, ვინც იმ ქვეყნის დაცვას შეეწირა, საკუთარ თავს მის სამშობლოდ რომ იხსენიებს, ოღონდ ცხოვრებაში არაფერი დაუნახებია მისთვის, შეურაცხყოფისა და წყენის გარდაო. ბრბო უკვე იშლებოდა, საფრთხემაც გადაიარა, მაგრამ ქალი თავისას მიერეკებოდა: ეგებ თქვათ, გაქცევა არ უნდა ეკადრაო, ყველაფერი უნდა აეხსნა და პატიებაც ეთხოვაო; გეთანხმებით, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ მთლად დალაგებულს არ ჰგავს, სრულ ჭკუაზე არაა და კაცმა არ იცის, რა სჭირს, რამაც შესაძლოა, აქეთ გაგვიჩინოს

სინდისის ქენჯნა და დარწმუნებული ვარ, ვერც კი ხვდება, რა ჩაიდინაო. იმისმა გაბმულმა რატრატმა ისეთი სევდა მომრია, მზად ვიყავი, იქაურობას გავცლოდი, მაგრამ სად იყო და სად არა, ჩემ წინ წესრიგის მარად ფხიზელი გუშაგი აისვეტა. დიდი, წითელი, ბანჯგვლიანი ტორი ღონივრად ჩაავლო ველოსიპედის საჭეს და, სავარაუდოდ, შემდეგი საუბარი წამოიწყო ძაღლის პატრონთან: ქალბატონო, ნამდვილად ამ კაცმა გადაუარა თქვენს ძაღლს? დიახ, და რა მერე? – იკითხა იმანაც. არა, ამ უაზრო ლაქლაქის გადმოცემა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, ამიტომ მხოლოდ შევნიშნავ, რომ ბოლოს პოლიციელიც გაგვეცალა, ბუზღუნ-ბუზღუნით, უკან კი შემორჩენილი უსაქმურებიც მიჰყვნენ, საბოლოოდ იმედგადაწურულები, ჩემს აღსასრულს რომ შეესწრებოდნენ. ოღონდ პოლიციელი მალე მაინც უკან მობრუნდა და მითხრა, ეს ძაღლი აქაურობას მოაშორეო. რაკი, როგორც იქნა, წასვლის უფლება მომეცა, აღარ ვაპირებდი ფეხის ათრევას, მაგრამ მავანმა მისის ლოიმ თუ ლუსმა – ბარემ მოვიშორო იმისი ვინაობის გამხელაც, სახელი კი რაღაც სოფის მაგვარი ჰქონდა – პალტოს კალთაზე მომქაჩა, შემაჩერა და მგონი, ის სიტყვები მითხრა, რაც გავიგონე: ბატონო ჩემო, ძალიან მჭირდებითო. მერე, როცა ალბათ ჩემი გამომეტყველების მიხედვით მიხვდა – გამომეტყველება ხშირად გამცემს ხოლმე – რომ გავუგე, ეტყობა, იფიქრა, რახან ეს ნათქვამი გაიგო, სხვასაც ყველაფერს მიხვდებაო. არც შემცდარა, რადგან ცოტა ხანში მართლა ამომიტივტივდა გარკვეული აზრები თუ შეხედულებები, რომელთა წყარო და მიზეზიც მხოლოდ ეს ქალბატონი შეიძლებოდა ყოფილიყო; კერძოდ, გავიაზრე, რაკი ძაღლი მოვუკალი, ახლა ზნეობრივი ვალი მავალდებულებს, მეც მედოს წილი ამ საცოდავი არ-

სების შინ მიტანასა და დამარხვაში-მეთქი. კი მითხრა, ჩადენილის გამო თქვენი დასჯა სულაც არ მინდაო, მაგრამ ისიც დაამატა, ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ადამიანს გინდაო. უცნაური გარეგნობის მიუხედავად, თურმე მაინც საკმაოდ სანდომიან მამაკაცად მიმიჩნევდა და სიამოვნებით გამომიწვდიდა დახმარების ხელს. მოკლედ, რაღაც ამდაგვარს მიჩიჩინებდა, ნახევარი აღარც მახსოვს უკვე. როგორც გამოჩნდა, მარტო იმას კი არ ვჭირდებოდი, მეც მჭირდებოდა, იმას – ძაღლის დამარხვაში დამხმარედ, მე კი – უკვე აღარც მახსოვს, რისთვის. ალბათ მითხრა კიდეც. ამისთანა ქარაგმას უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი, როგორც სხვა დანარჩენს, ამიტომაც პირდაპირ ვაჯახე, არც თქვენ მჭირდებით და არც ვინმე სხვა-მეთქი, რაც, ცოტა არ იყოს, გაზვიადება გამომივიდა, რადგან დედაჩემი მაინც მჭირდებოდა, აბა, ასე გიჟივით რატომ ავიკვიატე მასთან მისვლა? ესეც ერთი მიზეზია უამრავიდან, თუ რატომ ვარიდებ თავს ლაპარაკს ასე მონდომებით. ეგ იმიტომ, მუდამ ან ზედმეტს რომ ვლაყბობ, ან ზედმეტად სიტყვაძუნწი ვარ, რაც ჩემნაირი სიმართლის მაძიებელი კაცისთვის მართლა საშინელი თვისებაა. ამიტომაც, ამ საკითხს არ გავექცევი, რადგან მისკენ მიბრუნების შესაძლებლობა, სავარაუდოდ, აღარასოდეს მომეცემა. ასე თავგზააბნეულიც კი ვეცდები, ჩემი უცნაური დაკვირვება გაგიზიაროთ: ხშირად დამმართვია, სანამ საბოლოოდ გავჩუმდებოდი, გავიფიქრებდი ხოლმე, საკმარისი არ მითქვამს-მეთქი, როცა სინამდვილეში, ძალიან ბევრიც მქონდა უკვე ნათქვამი და მეორე მხრივ, უაღრესად სიტყვაძუნწიც გამოვმდგარვარ, როცა, ჩემი აზრით, ენა მქონდა აქაფებული. ანუ, თუ კარგად დავუკვირდებით, საბოლოო ჯამში, ჩემი სიტყვის შეუკავებლობა სხვა არაფერი

იყო, თუ არა ენაბრგვილობა და პირიქით. ასე ცვლის ხოლმე დრო ზოგჯერ ცნებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ან ეგებ სხვა რამ რომ ვთქვათ, როცა არ უნდა მელაპარაკა, საკმარისი არასდროს იყო და ყოველთვის მეტისმეტი გამოდიოდა. ასეა, ჩუმად არასდროს ვყოფილვარ და არც დუმილი ჩამითვლია ოქროდ. აი, ამგვარად გეხმარება ღვთაებრივი ჭვრეტა საკუთარი თავისა და მოყვასთა შეცნობაში, თუკი ასეთები შემთხვევით მაინც გამოგიჩნდებიან; ხოლო იმის განცხადება, არავინ მჭირდებოდა-მეთქი, ბევრის თქმას კი არ ნიშნავს, არამედ სულ მცირედის თქმას იქიდან, რაც უნდა მეთქვა, ვერ ვთქვი, ვერც ვერასოდეს ვიტყოდი. დედის მოთხოვნილება – არა, ვერანაირი სიტყვა ვერ გამოხატავდა იმ ჟინს, რომელიც მღუპავდა! ამიტომ, მას – სოფის ვგულისხმობ – უთუოდ უნდა ჩამოეთვალა მიზეზები, თუ რატომ მჭირდებოდა მე ის, რაკი გავბედე და არ დავეთანხმე. და ალბათ, თუკი თავს შევიწუხებდი, ამ მიზეზებს ვიპოვიდი კიდეც, მაგრამ, დიდი მადლობა, თავის შეწუხება როგორმე სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა კი მოდით, ეს ბულვარი ჩავათავოთ – ბულვარი იქნებოდა, ნამდვილად. მთელი თავისი კანონმორჩილი გამვლელ-გამომვლელებით, წესრიგის დამცველებით, ხელებით და ფეხებით, რომლებიც ამაოდ ტკეპნიდნენ, ბღუჯავდნენ, ეპოტინებოდნენ, და რომელთაც მუდამ გამოუჩნდებათ ხოლმე ბღავილის მიზეზი; ამ საწვიმრად გამზადებული ცითა და უცხო მხარით, სადაც ხილული ხარ, ხაფანგში მოხვედრილი. ახლა ვიღაც ხელჯოხით უჩუჩხუნებდა მკვდარ ძაღლს. ძაღლი ერთიანად ყვითელი იყო, მე მგონი, უჯიშო. ან იქნებ პირიქით – ჯიშიანიც, განსხვავებას ვერასოდეს ვხვდებოდი. სიკვდილს მისთვის ნაკლები ტკივილი უნდა მიეყენებინა, ვიდრე ჩემთვის – დაცემას. ბოლოს

და ბოლოს, ის უკვე მკვდარი იყო. ველოსიპედის უნაგირზე გადავაწვინეთ და უკანდახეული ჯარივით დავიძარით იქიდან. მე მგონი, ერთმანეთს ვეხმარებოდით, ლეში ძირს რომ არ გადმოვარდნილიყო, ველოსიპედსაც ევლო და ჩვენც არ შევჩერებულიყავით მხიარულად მოზიმზიმე ბრბოს გადამკიდე. სახლი, სადაც სოფი ცხოვრობდა – არა, ასე ველარ დავუძახებ, ვეცდები, ლუსად მოვიხსენიო, „მისის"-ის გარეშე – იქვე, შორიახლოს იდგა, თუმცა არც მთლად ორ ნაბიჯში, და სანამ იქამდე მივაღწევდით, ყველაფერი ლამის უკვე ყელშიც ამომივიდა; ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთი მილიც რომ გვქონოდა გასავლელი, ნაღდად ამომივიდოდა. საერთოდაც ხომ ასეა: გგონია, რაღაცა უკვე ყელში ამოგივიდა, მაგრამ სინამდვილეში ძალიან იშვიათად ხდება ასე. ადამიანის ბუნება უცნაური რამაა. სახლი, სადაც ლუსი ცხოვრობდა. საჭიროა აღწერა? არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, ამ წუთისთვის მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერსაც არ აღვწერ. შეიძლება მერე, მოგვიანებით, თუკი გავშინაურდი. და ლუსი? ის მაინც არ უნდა აღვწერო? მგონი, კი. მაგრამ ჯერ ძაღლი დავმარხოთ. ორმო ქალმა ამოთხარა, ხის ქვეშ. ძაღლებს მუდამ ხის ქვეშ მარხავენ ხოლმე – არ ვიცი, რატომ. თუმცა ჩემი ეჭვები მაქვს. ორმო მან ამოთხარა, რადგან მე ნაღდად არ შემეძლო. მართალია, კაცი მე ვიყავი, მაგრამ ჩემი ფეხის გადამკიდე, ამას მაინც ვერ მოვახერხებდი. თოხით კიდე გავახერხებდი რამეს, ოღონდ ბარით – ვერანაირად. როცა საფლავს თხრი, ტანის სიმძიმე ცალ ფეხზე გადაგაქვს, მეორეთი კი ბარს აწვები მიწაში ჩასარჭობად. ჩემი მტკივანი ფეხი – დამავიწყდა, რომელი, და ამ შემთხვევაში, არცა აქვს მნიშვნელობა – ვერც თხრაში დამეხმარებოდა, ისე იყო გახევებული, და ვერც ტანის შეკავებაში –

მაგდენი ძალა სადღა ჰქონდა შერჩენილი. ასე ვთქვათ, ჩემს განკარგულებაში მხოლოდ ერთი ფეხი იყო. ჩვენში დარჩეს, მართლა ცალფეხა გახლდით. უფრო ბედნიერი და უნარიანი ვიქნებოდი, ფეხი საზარდულშივე რომ მოეჭრათ და კაკლებსაც თუ მიაყოლებდნენ, არც მაგაზე გავნაწყენდებოდი. ეს იმიტომ, რომ ასეთი კაკლები, ლამის მუხლებამდე საცოდავად ჩამოკიდებულები, საერთოდ რა სახსენებელია. ველარაფერს გამოადენ, ერთ წვეთსაც კი. ასე რომ, non che la speme il desiderio[1]... მეც ერთი სული მქონდა, როდის გაქრებოდნენ თავიანთი ძველთაძველი საბუდრიდან, სადაც ცრუ მოწმეებად ქცეულიყვნენ ცხოვრების მანძილზე ჩემთვის წაყენებული ყველა ბრალდების გამო. ისინი მათ გაცუცურაკებაში მდებდნენ ბრალს და თან ამისთვის მადლობასაც მეუბნებოდნენ თავიანთი გამომპალი აპკის შიგნიდან, სადაც მარჯვენა კაკალი უფრო დაბლა ეკიდა ვიდრე მარცხენა, ან პირიქით – დამავიწყდა უკვე. მასხარად მიგდებდნენ ეს ცირკის ჯამბაზები და, რაც მაგაზე უარესია, ხელსაც კი მიშლიდნენ, როცა სიარულს ვცდილობდი ან დაჯდომას მოვინდომებდი, თითქოს ჩემი მტკივანი ფეხი საკმარისი არ ყოფილიყო; ხოლო როცა ველოსიპედს ვატარებდი, ზევით-ქვევით დამიხტოდნენ პინგ-პონგის ბურთებივით. ამიტომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, საერთოდ თუ გაქრებოდნენ. სიამოვნებით მოვითავებდი ამ საქმეს საკუთარი ხელით – მჭრელი დანითა თუ სეკატორით, რომ არა შიში ფიზიკური ტკივილისა და აქოთებული ჭრილობებისა, რაც ერთიანად მზაფრავს ხოლმე. მთელი ცხოვრება ჩირქიანი ჭრილობების შიშით გავატარე, მე, ვისაც არასოდეს არაფერი დამჩირქებია, იმდენი

[1] არა მხოლოდ იმედი, არამედ სურვილიც (იტალ.) – ჯაკომო ლეოპარდის ლექსის სტრიქონი.

შხამი მაქვს დაგროვებული. მთელი ცხოვრება, მთელი ცხოვრება – ხანდახან მასზე ისე ვლაპარაკობ, როგორც რაღაც უკვე დამთავრებულზე, ხანდახან კი – როგორც რამე მასხარაობაზე, რაც ჯერაც გრძელდება. არადა, არც ერთია და არც მეორე, რადგან ერთდროულად დამთავრდა და გრძელდება, და, აბა, რომელი გრამატიკული დრო გინდა იხმარო?! მესაათემ საათი მომართა და სანამ მოკვდებოდა, მიწაში ჩაფლა. იმ საათის დაჟანგებული ზამბარა-კბილანები ერთ მშვენიერ დღეს მატლებს ღმერთზე დაუწყებენ ღაღადს. ოღონდ მივეჩვიე კია ამ ტყუპ მამაძაღლებს და ისევე მეძვირფასებიან, როგორც მავანს – საკუთარი იარები თუ საოჯახო ალბომი. ასეა თუ ისე, თხრა რომ არ შემეძლო, მათ ვერ დავაბრალებდი. ფეხის ბრალი იყო, ალალად. როგორც გითხარით, ორმო ისევ ლუსმა ამოთხარა, მე კი ამ დროს ძაღლი მყავდა ატატებული. უკვე გაცივებულიყო, თუმცა ყროლის სუნი ჯერ არ უდიოდა. ცუდი სუნი ჰქონდა, კი, ბატონო, მაგრამ როგორც ბებერ ძაღლს და არა მკვდარ ძაღლს. ერთ დროს ისიც თხრიდა ორმოებს, შეიძლება სწორედ ამ ადგილასაც. როგორც იყო, ისევე დავმარხეთ, არც ყუთში ჩაგვიწვენია და არც არაფერში გაგვიხვევია. მოკლედ, მართლა კარტეზიანელი ბერივით დავასაფლავეთ, ოღონდ არც საყელო და არც საბელი არ მოგვიხსნია. ორმოშიც ლუსმა ჩაუშვა, თუმცა ჩვენ ორში კაცი მე ვიყავი. მე ხომ არც დახრა შემიძლია, არც ჩამუხვლა, ჩემი გახევების გამო, და თუ დავიხარე ან ჩავიმუხლე, როცა კი ჩემი ყოფა მავიწყდება ხოლმე, ეჭვი არაა, ეს ვიღაც სხვაა და არა მე. ორმოში ჩაგდება ერთადერთი იყო, რისი გაკეთებაც შემეძლო და სიამოვნებით გავაკეთებდი, მაგრამ არ გავაკეთე. რამდენ რამეს ჩაიდენდა კაცი სიამოვნებით, ეგებ დიდი ხალისის გარე-

შე, მაგრამ მაინც სიამოვნებით; რამდენ რამეს ვერ უპოვი მიზეზს, რატომ არ უნდა ჩაიდინო, და მაინც არ აკეთებ! ვითომ თავისუფლები არა ვართ და იმიტომ? ეგებ ღირდეს ამაზე დაფიქრება, მაგრამ, საბოლოოდ, მე რა წვლილი მიდევს ამ დასაფლავებაში? ორმო ქალმა ამოთხარა, ძაღლიც იმან დამარხა და მიწაც თავად მიაყარა. მთლიანობაში, უბრალო დამკვირვებლად დავრჩი და ჩემი წვლილიც მხოლოდ იქ ყოფნით შემოიფარგლა. თითქოს საკუთარ დასაფლავებას ვესწრებოდი. ასეც იყო. ლარიქსის ქვეშ დავფალით. ეს ერთადერთი ხეა, რომელსაც დანამდვილებით ვცნობ. გაგეცინება კაცს, როგორ შეარჩია თავისი ძაღლის დასამარხად მაინცდამაინც იმ ხის ჩრდილი, რომელსაც მე ვცნობ, დანამდვილებით. ზურმუხტისფერი წიწვები დაწინწკლულია და აბრეშუმს ჰგავს. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ეს წინწკლები მოწითალო იყო, პაწაწინა, წითელი წინწკლები. ძაღლს ყურებში ტკიპები გასჩენოდა, ეგეთ რამეებს კარგად ვამჩნევ ხოლმე. ისინიც იმასთან ერთად დაიმარხნენ. როცა ქალი საფლავის მოსწორებას მორჩა, ბარი მომაწოდა და თავის საფიქრალსა თუ სადარდებელს მიეცა. მეგონა, ტირილს აპირებდა, ეს ყველაზე უპრიანიც იქნებოდა, მაგრამ პირიქით – სიცილი აუვარდა. ან იქნებ ეს იყო იმისი ტირილი? თუ მე შემეშალა და მართლა ტიროდა სიცილის ხმაზე? ტირილი და სიცილი – ეგ ორივე ჩემთვის ძნელი გასარჩევია. ველარასდროს ნახავდა თავის ტედის, დედისერთა შვილივით რომ უყვარდა. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, რაკი აშკარად მიზანმიმართულად დამარხა ძაღლი საკუთარ ეზოში, რატომ არ მოიყვანა ვეტერინარი და საცოდავი არსება წინასწარ არ დააძინებინა-მეთქი? ვითომ მართლა ვეტერინართან მიდიოდა, როცა ჩვენი გზები გადაიკვეთა? თუ ეს მხოლოდ იმი-

ტომ თქვა, ჩემი დანაშაული რომ შეემსუბუქებინა ხალხის თვალში? ცხადია, ექიმის გამოძახება ბევრად ძვირი ჯდება. მერე შინ შემიპატიჟა და სუფრა გამიშალა. საჭმელ-სასმელი – ეჭვი არაა, გემრიელი რამეები. საუბედუროდ, მე პირის გემოს დიდად არ დავეძებ, თუმცა შექეიფიანება მართლა მესიამოვნა. ხელმოკლედ თუ ცხოვრობდა, გარეგნულად ამას ვერაფერზე შეატყობდი. ამგვარ ხელმოკლეობას მაშინვე ვგრძნობ ხოლმე. როცა ნახა, როგორ ტკივილს მაყენებდა დიდხანს ჯდომა, პატარა სკამი მომიტანა გახევებული ფეხის ჩამოსადებად. თან სხვადასხვა ნუგბარს მთავაზობდა და თან რაღაც თავისას რატრატებდა გაუჩერებლად, რისი მეასედიც კი ვერ გავიგე. საკუთარი ხელით მომხადა ქუდი, წაიღო კიდეც სადღაც, ალბათ საკიდზე ჩამოსაკიდად, და მგონი, გაუკვირდა, როცა ზონარმა არ გაუშვა და ფეხი აარევინა. თუთიყუში ჰყავდა, ძალიან ლამაზი, სულ უცხო-უცხო ფერებში. ღმერთმანი, იმისი უკეთესად მესმოდა, ვიდრე პატრონისა. არ ვამბობ, მე უკეთესად მესმოდა თუთიყუშის, ვიდრე ქალს-მეთქი; უბრალოდ, მე ამ თუთიყუშის უკეთესად მესმოდა, ვიდრე – ქალის. დროდადრო წამოიძახებდა ხოლმე – გავკარი მაგ ნაბიჭვარს, გავკარი მაგ ნაბიჭვარს! ეტყობა, ვინმე ამერიკელი მეზღვაური ჰყავდა პატრონად, სანამ ლუსთან მოხვდებოდა. საზოგადოდ, შინაური ფრინველები ხშირად იცვლიან პატრონებს. სხვას ბევრს არაფერს ამბობდა. არა, ვტყუი – კიდევ თქვა: Putain de merde![2] ეტყობა, ჯერ ფრანგ მეზღვაურს ეკუთვნოდა, სანამ ამერიკელის საკუთრება გახდებოდა. Putain de merde! მარტო ეს რომ ჩაეხვია, არც ეგ გამიკვირდებოდა. ლუსი ცდილობდა, მისთვის ხალ-

[2] ფრანგული უხამსი ფრაზა.

ხური ლექსი ეთქმევინებინა მაგრამ მე მგონი, უკვე დაგვიანებული იყო. თუთიყუში ღრმად ჩაფიქრებული უსმენდა, გვერდზე თავგადახრილი, და მერე – გავკარი მაგ ნაბიჭვარსო! – ერეკებოდა თავისას. აშკარა იყო, რაც შეეძლო, ცდილობდა. ერთ მშვენიერ დღეს მისი დამარხვაც მოუწევდა. ალბათ, გალიიანად. ჩემიც – თუკი დავრჩებოდი, მეც მიმაბარებდა მიწას. ან არადა, მისამართს თუ გამოვართმევდი, მოვწერდი და ჩემს დასამარხად ჩამოვიდოდა. ჩამეძინა. მერე ლოგინში გამომეღვიძა, დედიშობილას. იმდენად გათავხედებულიყვნენ, დავებანე კიდეც. ამას საკუთარი სუნით ვგრძნობდი, ან უფრო – უსუნობით. კართან მივედი. ჩაკეტილი დამხვდა. მერე ფანჯარასთან მივედი. გისოსები აეკრათ. ჯერ მთლად არ ბნელოდა. კიდევ რა უნდა სცადო, როცა კარს და ფანჯარას მოსინჯავ? ალბათ, საბუხრე მილი. ჩემს ტანსაცმელს დავუწყე ძებნა. ჩამრთველს მივაგენი და თითი დავაჭირე. თქვენც არ მომიკვდეთ. მაგარ შარში კი გავეხვიე, აი. ამასობაში შემამცივნა კიდეც. ან თითქმის შემამცივნა. სკამზე მიყუდებული ჩემი ყავარჯნები დავლანდე. ეგებ უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, ჩამოთვლილი მოძრაობები უმაგათოდ რომ მოვახერხე. ყოველ შემთხვევაში, მე უცნაურად მეჩვენება. ახალგაღვიძებული, მაშინვე ვერ იხსენებ ხოლმე, ვინა ხარ. სკამზე თეთრი ღამის ქოთანი იდო, შიგ ჩაჩურთული ერთი გორგალი ტუალეტის ქაღალდით. ყველაფერი გაეთვალისწინებინათ. ამ ამბებს სულ წუთების სიზუსტით ვიხსენებ, შვებაც კია იმასთან შედარებით, რის მოახლოებასაც ვგრძნობ. სკამის წინ სავარძელი მივაჩოჩე და შიგ ჩავჯექი, გახევებული ფეხი კი სკამზე შემოვდე. ოთახი სავსე იყო სავარძლებითა და სკამებით. ბინდბუნდში გარინდებულიყვნენ ჩემ ირგვლივ. იყო რამდენიმე მაგიდაც;

პატარა, დაბალი, უზურგო სკამებიცა და წონოლა განჯინებიც. უცბად ჭაღიც აინთო, თავისით. შეშინებულმა სახეზე ვიტაცე ხელი. წვერი აღარა მქონდა. გავეპარსე კიდეც, ეს ჩემი თხასავით წვერი მოეპარსათ. როგორ გაუძლო ჩემმა ძილმა ამდენ სითამამეს? როგორც წესი, ფხიზელი ძილი ვიცი. ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი გამოვნახე, ოღონდ არ ვიცი, რომელი იყო სწორი – ალბათ ყველა მცდარი იქნებოდა. წვერი თანაბრად მხოლოდ ნიკაპსა და ხორხზე მეზრდება და იქ, სადაც სხვათა სახეებს ხშირი საფარი ამშვენებს, ჩემს სახეზე სრული უდაბნოა. მაგრამ, ასეა თუ ისე, ღერიც არ შემარჩინეს. ეგებ ჯერ შეღებვაც კი სცადეს, თუმცა ამას ვერაფრით დავამტკიცებ, ისევე, როგორც – ამის საპირისპიროს. მეგონა, შიშველი ვიჯექი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, თურმე ღამის პერანგი მცმია, თხელზე უთხელესი. რომ მოსულიყვნენ და ეთქვათ, მზის ამოსვლისას მსხვერპლად უნდა შეგწიროთო, არ გამიკვირდებოდა. რა სულელი შეიძლება იყოს ადამიანი! ისიც მეჩვენებოდა, თითქოს სუნამო მაპკურეს, მგონი, ლავანდისა. საბრალო დედაშენი რომ გხედავდეს-მეთქი, ვუთხარი საკუთარ თავს. ამგვარი უსაგნო განცხადებების მოძულე არც არასოდეს ვყოფილვარ. ის შორს იყო, დედაჩემი, ჩემგან ძალიან შორს და მაინც, წუხანდელთან შედარებით, თუ სწორად მახსოვს, ახლა ცოტათი უფრო მივუახლოვდი. მართლა ასე იყო? თუ საჭირო ქალაქში მოვხვდი, ესე იგი, წინ წამიწევია. მაგრამ ვიყავი კი საჭირო ქალაქში? მეორე მხრივ, თუკი სხვა ქალაქში ამოვყავი თავი, სადაც დედაჩემი ვერანაირად ვერ იქნებოდა, ესე იგი, გზა დამბნევია. ეტყობა, ჩამეძინა, რადგან სრულიად მოულოდნელად ფანჯრის ჩარჩოში ვეება, კაშკაშა მთვარეს ვკიდე თვალი. გისოსების ორი ძელი სამ ნაწილად ყოფდა,

რომელთაგან შუა უცვლელი რჩებოდა, მარჯვენა კი ნელი-ნელ იმდენსავეს იძენდა, რამდენსაც მარცხენა თმობდა. ეს იმიტომ, რომ მთვარე მარცხნიდან მარჯვნივ მიცურავდა, ანდა ოთახი მოძრაობდა მარჯვნიდან მარცხნივ. ან შეიძლება, ერთიც იყო და მეორეც – ერთდროულად. ანდა მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობდა ოთახი, ოღონდ არც ისე სწრაფად, როგორც მთვარე. შეიძლება ორივე მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობდა, მაგრამ ახლა უკვე მთვარე ჩამორჩებოდა ოთახს. განა შეუძლია კაცს მარჯვენა-მარცხენაზე საუბარი ამგვარ ვითარებაში? ეს უაღრესად რთული მოძრაობები, ერთი შეხედვით, თითქოს ნამდვილად ხდებოდა და მაინც, ეს ყველაფერი მარტივი ჩანდა: ვეება, ყვითელი შუქის ნელი გადანაცვლება გისოსებს მიღმა და მკვრივი კედელი, რომელიც მას ნელი-ნელ ფარავდა, ბოლოს კი სულაც შთანთქა. ჯერჯერობით მისი მშვიდი გადადინება სხვა კედლებზე ისახებოდა – ჩრდილთან დაწყვილებული გამონაშუქი, ფოთლების წამიერი გაჟრჟოლება, თუკი მართლა ფოთლები იყო; მერე ესეც გაქრა და სრულ სიბნელეში აღმოვჩნდი. რა ძნელია, მთვარეზე ისაუბრო, უტვინო მთვარეზე და სიტყვა არ გაგექცეს. ეტყობა, მუდმივად უკანალს გვიშვერს, სახეს კი მალავს. მართლა, ერთ დროს ასტრონომიამ გამიტაცა, მაგრამ ვაღიარებ, მერე ჩემი ცხოვრების რამდენიმე წელი გეოლოგიამ შეიწირა. შემდეგი თავსატეხი ანთროპოლოგია და კიდევ რამდენიმე ისეთი დარგი გამოდგა, როგორიცაა მასთან დაკავშირებული, მერე დაუკავშირებელი, მერე კი, ბოლოდროინდელი აღმოჩენებიდან გამომდინარე, ისევ დაკავშირებული ფსიქიატრია. ანთროპოლოგიაში ყველაზე მეტად უარყოფათა ამოუწურავი შესაძლებლობები მხიბლავდა, ადამიანის მისეული გაგება, თითქოს ის ღმერთზე უკეთესი

არაფრითაა – იმ თვალსაზრისით, რასაც არ წარმოადგენს. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული ჩემი მოსაზრებები მუდამ მეტისმეტად აბნეული გახლდათ, რაკი ადამიანთა ჩემეული ცოდნა ზერელეც იყო და არც ჩემი არსების მიღმა რაიმეს არსებობის მნიშვნელობა მესმოდა. ასეა, ყველაფერი ვცადე, ბოლოს მაგიასაც კი შევეჭიდე, ჩემი ნამსხვრევები დავუთმე და დღემდე, როცა აქეთ-იქით დავბოდიალობ, მის კვალსაც ვპოულობ ხოლმე. მეტწილად კი ჩემი ნამსხვრევებით სავსე სივრცეს არც რამ გეგმა აქვს, არც საზღვრები და მართალი გითხრათ, იქაურობაში ვერც მე გავრკვეულვარ – ისიც არ ვიცი, რისგანაა შეკოწიწებული და მით უმეტეს, რისთვის. რაღაც საგანი ამ ნამსხვრევებში – არ ვიცი, რა არის, რა იყო. არც ის, ნამსხვრევებშია საქმე თუ უფრო – უდროო საგანთა მოურეველ ქაოსში, თუკი სწორად გამოვხატე ჩემი სათქმელი. ასეა თუ ისე, ეს ადგილი იდუმალებისგანაა დაცლილი, ჯადოქრობამიტოვებული, სწორედ მისი ამ არაიდუმალების გამო. და თუკი იქით გული დიდად არ მიმიწევს, ალბათ მაინც ყველაზე მეტი ხალისით იქ მივდივარ, ვიდრე სადმე სხვაგან, მოხიბლული და დამშვიდებული – კინაღამ წამომცდა, მთვარეულივით-მეთქი. მაგრამ არა, ეგ არა. ოღონდ ეგეცაა, ეს იმგვარი ადგილი კი არაა, სადაც მიხვალ, არამედ სადაც აღმოჩნდები ხოლმე – ზოგჯერ არც იცი, როგორ; ადგილი, რომელსაც ნებით ვერ მიატოვებ. არც იქ აღმოჩენა განიჭებს დიდ სიამოვნებას, მაგრამ ალბათ მაინც უფრო მეტად გსიამოვნებს, ვიდრე ის ადგილები, საიდანაც, თუკი მოინდომე, თავს დააღწევ; ადგილები, რომლებიც იდუმალებითაა სავსე, სავსეა ნაცნობი საიდუმლოებებით. ვაყურადებ და სამყაროს უსასრულო ვარდნის ხმა მესმის, გაყინული სამყაროსი, უფერული, მშვი-

დი ცის ქვეშ მაინც რომ ხედავ და მის სუსხსაც შეიგრძნობ. ისიც მესმის, როგორ ბუტბუტებს, ყველაფერი ინგრევა, ყველაფერი პარტახდება გაუსაძლისი წნეხის ქვეშო, მაგრამ აქ არანაირი წნეხი არ არსებობს და მიწაც, წნეხისთვისა და შუქისთვისაც ერთნაირად გამოუსადეგარი, იმ აღსასრულისკენ მიექანება, რომელსაც ეტყობა, ვერასოდეს მიაღწევს. მართლაცდა, რა სავარაუდო ბოლო უნდა ჰქონდეს ამ გაპარტახებულ მიდამოს, სადაც ჭეშმარიტ შუქს არასოდეს გაუჭაჭანია, არასოდეს არაფერი წამომართულა, ნამდვილი საძირკველი არასოდეს გაჭრილა, მხოლოდ ეს ერთიანად წახრილი საგნებია და ყველაფერი ინგრევა, პარტახდება, დილის მახსოვრობადაკარგული და ღამის იმედგადაწურული ცის ქვეშ? რა საგნებია ეს – უსახელო, ვინ იცის, საიდან გაჩენილი, რისგან შექმნილი? იგივე ხმა ამტკიცებს, აქ არაფერი მოძრაობს, არასოდეს უმოძრავია, ვერც ვერასოდეს იმოძრავებსო. ჩემ გარდა, ვინც ასევე არ ვმოძრაობ, როცა იქა ვარ, მაგრამ ვხედავ და მხედავენ კიდეც. ასეა, სამყარო ილევა, გარეგნული იერის მიუხედავად, მოახლოვდა მისი ბოლო, დაიწყო დასასრული, რა, ასე ძნელი გასაგებია? მეც ვმთავრდები, როცა აქ ვარ. თვალდახუჭულს, ტანჯვა მიამდება და წერტილს ვსვამ, ცოცხლისთვის შეუძლებელ გზასავალს ვირჩევ. იმ შორეული, კარგა ხნის მიმწყდარი ჩურჩულისთვის კიდევ რომ მესმინა, ამ ყველაფერზე უფრო მეტს შევიტყობდი, მაგრამ ამჟამად მეტის მოსმენას აღარ ვაპირებ – არა, არ მომწონს ეს შორეული ჩურჩული. მაშინებს კიდეც. ოღონდ ეს ხმა იმ ხმებს არ ჰგავს, რომლებსაც, თუკი მოინდომებ, ყურს მიუგდებ და რომლებიც ზოგჯერ შეგიძლია მიაჩუმათო, თუკი გაეცლები ან ძალით დაიხშობ სმენას. ეს ის ხმაა, რომელიც გონებაში იწყებს ბორგვას, და ახლა

თავადაც ვერ მიმხვდარხარ, როგორ ან რატომ. ეს ხმა ყურებით კი არა, გონებით გესმის და ვერ აჩუმებ – თვითონვე ჩუმდება, როცა მოეგუნებება. ამიტომაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მივაყურადებ თუ არა, მაინც ყოველთვის გავიგონებ და თავად თუ არ მიყუჩდა, ჭექა-ქუხილის ხმასაც კი ჩაახშობს და არ გამაგონებს. ერთი ეგაა, არ მესმის, რა მაიძულებს ამაზე ლაპარაკს, როცა სურვილი არ გამაჩნია. არადა, ამწუთას ნამდვილად არ გამაჩნია. ახლა მხოლოდ ის მინდა, მთვარესთან ამ ურთიერთობებს წერტილი დავუსვა, მოვამთავრო. ჩემი ნებით, ჩემდა სასიკეთოდ. და თუკი ნაკლები წარმატებით მოვამთავრებ, ვიდრე იმ შემთხვევაში, ტვინი ასე ამღვრეული რომ არ მქონოდა, მაინც მოვამთავრებ, ყველაფრის მიუხედავად. რაც შეიძლება, უკეთესად. ასე მგონია. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ მთვარემ უეცრად ერთიანად გამაოგნა, ალბათ, უკეთესი იქნება თუ ვიტყვი – გამაოცა-მეთქი. ვაღიარებ, ჩვეულებისამებრ, გულგრილად ვაკვირდებოდი, უაზროდ მივჩერებოდი და მოულოდნელად, რატომღაც, საშინელმა შიშმა ამიტანა. რაკი ამოტივტივებული აზრი ჩაძიებას უთუოდ იმსახურებდა, მეც ჩავეძიე და რამდენიმე სხვასთან ერთად, შემდეგი დასკვნაც გამოვიტანე: ჩემი ფანჯრის წინ ეს-ესაა მედიდურად გაცურებული სავსე მთვარე, წუხელ ან გუშინწინ ღამით (კი, ეს უფრო ჰგავს სიმართლეს), მთლად ახლად დაბადებული გამომეცხადა, სიფრიფანა და პირაღმა მწოლიარე, და მაშინ იყო სწორედ, რომ ვთქვი: ახლა ვხვდები, ამ ახალ მთვარეს ელოდა, ვიდრე სამხრეთისაკენ მიმავალ უცნობ გზებს დაადგებოდა-მეთქი. მერე კი, ცოტა მოგვიანებით, სხვა აზრიც გამიჩნდა: ეგებ ხვალ მაინც წავიდე დედაჩემთან-მეთქი. მართლაცდა, როგორც ამბობენ, ამქვეყნად ყველაფერი ერთმა-

ნეთზეა გადაჯაჭვული – სულიწმინდის ნებით, და თუ ეს ამ-ბავი სათანადო ადგილას არ მოვიხსენიე, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცი ყველაფერს სათანადო ადგილას ვერ იხსენიებს ხოლმე. უნდა აარჩიო, რისი მოხსენიება არ ღირს და რისი – კიდევ უფრო მეტად. ასეა, თუკი მოჰყევი და ყველაფერი მოიხსენიე, ბოლოში ვერც გახვალ. არადა, მთავარი სწორედ ესაა – ბოლოში გასვლა, მოთავება. კარგად ვიცი, სახსენებ-ლიდან მხოლოდ რამდენიმე ამბავსაც თუ ახსენებ, მაინც ვერ მიხვალ წერტილამდე. ვიცი-მეთქი, გეუბნებით. ქაქი ყველა ერთნაირად ყარს, მაგრამ ცვლილება მაინც საჭიროა. ქაქის ერთი გროვიდან მეორისაკენ გადანაცვლება – დრო-დადრო მაინც. ასე ვთქვათ, პეპელასავით გადაფარფატება. ხოლო თუ ცდები, და ნამდვილად ცდები, როცა, წესით, მისა-ჩუმათებელ ვითარებებს იხსენებ და სხვებზე კრინტსაც არ სძრავ, გინდაც სამართლიანად – ოღონდ, აი, როგორ ვთქვა და, გონივრული მიზეზის გარეშე, დიახ-დიახ, სწორედაც სა-მართლიანად, მაგრამ გონივრული მიზეზის გარეშე, რო-გორც, მაგალითად, იმ ახალი მთვარის შემთხვევაში – ეს ხშირად წრეგადასული გულწრფელობის ნიშნად მაინც გამო-დგება ხოლმე. ნიშნავს კი ეს, რომ მთებში გატარებული იმ ღამიდან, როცა A და C დავინახე და მერე დედაჩემთან წასვ-ლა გადავწყვიტე, ამ ღამემდე მეტი დრო გავიდა, ვიდრე მე-გონა, კერძოდ – 14 სრული დღე, ან თითქმის ამდენი? და თუკი ასეა, რა დაემართა იმ თოთხმეტ დღეს, ან თითქმის იმდენს? სად გაფრინდნენ? რა ალბათობა არსებობდა მათ-თვის, მათი სიმძიმის მიუხედავად, რომ ადგილი გამო-ნახულიყო ჩემ მიერ განვლილი, ასე ზუსტად აკინძული მოვ-ლენების ჯაჭვში? განა გონივრული არ იქნებოდა, გვევარა-უდა, რომ ის მთვარე, რომელიც ორი ღამის წინ ვნახე, სუ-

ლაც არ იყო ახალი, როგორც მეგონა; უკვე ასავსებად გამ-ზადებულიყო, ანდა, მეორე მხრივ, ლუსის სახლიდან დანა-ხული მთვარე არ იყო სავსე – ეს მხოლოდ მეჩვენებოდა და სინამდვილეში ჯერაც პირველ მეოთხედში შედიოდა; ანდა სულაც ორ მთვარესთან მქონდა საქმე, არც ერთს არაფერი ეტყობოდა არც სიახლისა და არც სისავსისა, ოღონდ იმდე-ნად ჰგავდნენ ერთმანეთს მოხაზულობით, შეუიარაღებელი თვალი ვერც გაარჩევდა, ხოლო ამ ცდომილებას მიწიდან ანაორთქლი ნისლი და მზერის აბნევა იწვევდა. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ მოსაზრებების წყალობით დავმშვიდდი და დავწყნარდი ისევ, ბუნების ცელქობებს შევეგუე და, რაც გინდათ, დაარქვით, იმ ძველ, ჩემეულ უგრძნობლობას და-ვუბრუნდი. ხოლო როცა ისევ მომერია ძილი, იმ აზრმაც გა-მიელვა, ჩემი ღამეები უმთვაროა, უცხოა მთვარე ამ ჩემი ღამეებისათვის-მეთქი. ამიტომ ვერავითარ სხვა მთვარეებს მე ვერ ვნახავდი, ვერანაირი სხვა ფანჯრებიდან, და შესაბა-მისად, არც ახლა დანახული შემეძლო ოდესმე დამენახა. და-მავიწყდა, ვინ ვიყავი (მეპატიება), და ისიც, საკუთარ თავზე რომ ვლაპარაკობდი, როგორც ვიღაც სხვაზე, თითქოს ვი-ღაც სხვაზე ლაპარაკი მსიამოვნებდეს. კი, ზოგჯერ ხდება და მოხდება კიდეც, რომ ვერ ვიხსენებ, ვინ ვარ, და დიდის ამბით, უცხოსავით დავაბიჯებ საკუთარი თავის თვალწინ. მერე ნამდვილისაგან განსხვავებულ ცას ვხედავ და მიწაც ყალბ ფერებად იფერება. გეჩვენება, თითქოს ისვენებ, მაგ-რამ თავს იტყუებ მხოლოდ, ბედნიერი უჩინარდები იმ უცხო შუქში, რომელიც ერთ დროს ჩემი უნდა ყოფილიყო – მინდა, ეს ვირწმუნო; მერე კი დაბრუნების ჟინი ჩნდება, არ ვიტყვი – სად დაბრუნების, არ შემიძლია; ალბათ არარსებობაში. მარტო ის ვიცი, რომ უნდა დაბრუნდე, თორემ ისე დარჩენაც

საცოდაობაა და წასვლაც. მეორე დღეს საკუთარი ტანისამოსი მოვითხოვე. მსახური მოსატანად გაემართა. უკან მობრუნებულმა მაცნობა, ყველაფერი დაუწვავთო. ოთახის შესწავლა გავაგრძელე. ერთი შეხედვით, მართლა კუბის ფორმა ჰქონდა. მაღალი ფანჯრებიდან ხის ტოტებს ვხედავდი. ნელი-ნელ ირხეოდნენ, ოღონდ არა გამუდმებით, დროდადრო თუ შეათრთოლებდათ ხოლმე მოულოდნელი კრუნჩხვა. შევამჩნიე, ჭაღი ისევ ენთო. ჩემი ტანსაცმელი-მეთქი, – ვუთხარი. მერე ყავარჯნებიც მოვიკითხე. დამავიწყდა, სკამზე რომ იყო მიყუდებული. ერთხელაც მსახური გავიდა, კარი კი გამოღებული დატოვა. გამოღებული კარიდან კიდევ ერთი დიდი ფანჯარა დავინახე, კარზე უფრო დიდიც კი, შუქგაუმტარი. მსახური დაბრუნდა და ახლა მითხრა, თქვენი ტანსაცმელი მღებავებს გაუგზავნეს გადასაღებადო. ხელში ჩემი ყავარჯნები ეჭირა, რაც, წესით, უცნაურად უნდა მომჩვენებოდა, არადა, პირიქით, სრულიად ბუნებრივ ამბად ჩავთვალე. ერთ-ერთი გამოვართვი და ავეჯს დავუწყე რტყმა, თან ისე, რომ გადამეყირავებინა, ოღონდ არაფერი დამემტვრია. ღამესთან შედარებით, ოთახში ახლა ნაკლები ავეჯი იდგა. სიმართლე ითქვას, უფრო კი არ ვურტყამდი, ვატაკებდი ხოლმე, ვუბიძგებდი. ასეთ რამეს ტაკება არ დაერქმევა, მაგრამ ამას უფრო გავს, ვიდრე რტყმას. მერე ისიც გამახსენდა, თუ ვინ ვიყავი. ყავარჯენი მოვისროლე, შუა ოთახში გავირინდე და გადავწყვიტე, აღარც არაფერი მომეთხოვა და აღარც გაბრაზებულად მომეჩვენებინა თავი. ეგ იმიტომ, ტანსაცმლის დაბრუნების სურვილი, რაც მე მგონი, ნამდვილად მქონდა, არანაირად არ იძლეოდა მოჩვენებითი გაბრაზების მიზეზს, გინდაც მოტანაზე საერთოდ უარი ეთქვათ. ისევ მარტოდ დარჩენილმა, კვლავ განვაახლე ოთახის შე-

მოვლა და უკვე იქამდე მივედი, მზად ვიყავი, ჩემიც დამეტოვებინა იქ რამე. ამ დროს კი მსახური შემოვიდა და მახარა, ტანსაცმლისთვის ვიღაც გაგზავნეს და მალე მოგიტანენო. მერე გადაყირავებული მაგიდებისა და სკამების ადგილებზე დაბრუნებას შეუდგა, თან ხელში უეცრად გაჩენილი ბუმბულის მტვერსაწმენდით აცლიდა მტვერს. მეც, როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი – ასე მინდოდა დამემტკიცებინა, გულში არავის მიმართ არ მიდევს წყენა-მეთქი. ბევრი კი არაფერი – ამ ჩემი გახევებული ფეხის გამო, ბევრს, აბა, რას წავეშველებოდი, მაგრამ მონდომება არ დამიკლია, ანუ იატაკიდან აღებულ ყოველ ნივთს ხელს ვაშველებდი და დიდი სიფრთხილით ვაბრუნებდი ძველ ადგილას. მერე, ხელებაწეული, უკან ნაბიჯს გადმოვდგამდი გარჯის შედეგის შესაფასებლად და თუ რამ უშნოდ მომეჩვენებოდა, სახელდახელოდ ვაშორებდი. ღამის პერანგის კალთით, ვითომ ჩვარიაო, გულდასმით, სათითაოდ დავაპრიალე ყველაფერი, ოღონდ ეს სულელური თამაშიც მალე მომწყინდა და უცებ ისევ შუა ოთახში გავქვავდი ქანდაკებასავით. ერთი ეგაა, როცა შევამჩნიე, რომ მსახური წასვლას აპირებდა, მისკენ ნაბიჯი წავდგი და ახლა ველოსიპედი მოვიკითხე. ზედიზედ რამდენჯერმე გავუმეორე ერთი და იგივე სიტყვები, სანამ რაღაც მაინც არ შევასმინე. არც ვიცი, რა რასას ეკუთვნოდა, ჩია იყო და უასაკო. აშკარად ჩემგან განსხვავებული რასის უნდა ყოფილიყო. აღმოსავლელს ჰგავდა, მეტ-ნაკლებად. ამომავალი მზის მხარის შვილს. თეთრი შარვალი ეცვა, თეთრი პერანგი და ყვითელი ნატის ჟილეტი, ზედ თითბრის ღილებით. ფეხზე სანდლები ამოეცვა. არცთუ ხშირად მამახსოვრდება ხოლმე ასე ზედმიწევნით ადამიანთა სამოსი, და ძალიან მახარებს, ახლა თქვენ რომ ასე გაგიმართლათ. ამის

მიზეზი ალბათ ის გახლდათ, მთელი დილა ტანისამოსზე საუბარმა რომ წაიღო – ცხადია, ჩემსას ვგულისხმობ. ეტყობა, საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ჯერ ერთი, ამას შეხედე, ჩაცმულ-დახურული რა მშვიდად და მედიდურად გამოიყურება, და მერე საკუთარ თავს-მეთქი. დაბორიალებ ვიღაც კაცის ან სულაც ქალის ღამის პერანგით-მეთქი! ღამის პერანგი ხომ ვარდისფერი იყო და ნახევრად გამჭვირვალე, ათასნაირი ბაფთებითა და მაქმანებით გაწყობილი. მთვარის შუქზე ოთახს ბუნდოვნად ვხედავდი და ყოველი ახალი მოხილვისას შეცვლილი მეჩვენებოდა. სწორედ ამას უწოდებენ ბუნდოვან ხედვას, ცოდნა-განათლების ამჟამინდელი გადასახედიდან. ტოტებიც თითქოს თავისთავად ირხეოდნენ, საკუთარი ორბიტული სიჩქარით დამუხტულები. დიდ, შეთრთვილურ ფანჯარაში კარი სრულად კი აღარ ეწერებოდა, არამედ ოდნავ გადახრილიყო მარჯვნივ, ან ეგებ მარცხნივაც, უკვე დამავიწყდა, როგორ იყო – ისე, რომ მის ჩარჩოში თეთრი კედლის ნაწილი მოჩანდა, რომელზეც ვახერხებდი და მოძრაობისას მკრთალ ჩრდილებს ვტოვებდი. მაგრამ ამ ყველაფერს ბუნებრივი გამომწვევი მიზეზები შეიძლებოდა ჰქონოდა – ამ აზრს მეც სიამოვნებით გავიზიარებ, რაკიღა ბუნების შესაძლებლობები მართლაც ამოუწურავია. აი, თავად მე კი საკმარისად ბუნებრივი არ გახლდით საგანთა ამ წესრიგში ჩასაწერად და მისი ხიბლის დასაფასებლად. თუმცა მიჩვეული კი ვიყავი სამხრეთის მხარეში მზის ამოსვლის ცქერას, მიჩვეული ვიყავი, არ მცოდნოდა, საით მეჭირა გეზი, რას ვიტოვებდი ზურგსუკან, რა მომყვებოდა თან, როცა ირგვლივ ყველაფერი დამაბნევლად და გონის ამრევად ბრუნავდა და ტრიალებდა. დამეთანხმებით, ძნელია მავანი დედასთან მიდიოდეს, როცა ირგვლივ ყველაფერი ასე

აბნეულ-დაბნეულია – ბევრად ძნელი, ვიდრე ამქვეყნიურ ლუსებთან სტუმრობა ან პოლიციის განყოფილებებში ყურ-ყუტი, ანდა იმ სხვა ადგილების მოხილვა, რომლებიც ვიცი, სწორედ მე მელოდებიან. მაგრამ ახლა მსახურმა ქაღალდში გახვეული ტანსაცმელი მომიტანა, ფუთა ჩემს თვალწინ გახ-სნა და დავინახე, ქუდი არსად ჩანდა. მოვიკითხე, სადაა-მეთქი და როცა, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რას ვითხოვდი მისგან, გავიდა და მცირე ხნის შემდეგ ჩემი ქუდით ხელდამ-შვენებული დაბრუნდა. ახლა აღარაფერი აკლდა ჩემს სამო-სელს, ღილ-კილოში ქუდის დასამაგრებელი ზონრის გარდა, მაგრამ ვიცოდი, ამის ახსნა-გაგებინების იმედი არ უნდა მქონოდა, ამიტომ კრინტიც აღარ დამიძრავს. ძველი ზონ-რის შოვნა ყოველთვის შეიძლება, ვერც ერთი ზონარი ვერ ძლებს სამუდამოდ, ისე, როგორც ტანისამოსი – ნამდვილი ტანისამოსი. რაც შეეხება ველოსიპედს, ბუნდოვანი იმედი მქონდა, სადღაც კიბესთან მელოდება-მეთქი, ეგებ სულაც წინკარში – იმისთვის გამზადებული, რომ ამ საზარელი სა-ნახებიდან შორს წამიყვანოს-მეთქი. ვერ ვხვდებოდი, რა ხე-ირი დამადგებოდა, ერთხელაც რომ მომეკითხა, კიდევ ერთ-ხელ ჩამეგდო განსაცდელში საკუთარი თავიცა და ის საცო-დავი მსახურიც, როცა უამისოდაც მოვახერხებდი ფონს გასვლას. ყველა ამ საფიქრალმა თვალის დახამხამებაში გა-მიელვა გონებაში. ჯიბეებს რაც შეეხება, ჯამში სულ ოთხს, მსახურის თვალწინვე შევამოწმე მათი შიგთავსი და აღმო-ჩნდა, რომ რაღაც-რაღაცები დაკარგულიყო. კერძოდ, აღარ-სად ჩანდა საწუწნი კენჭი. ოღონდ ეგეცაა, ჩვენს სანაპი-როებზე ეგეთ საწუწნ კენჭებს რა გამოლევს, თუკი ისიც იცი, სად ეძებო. ამიტომაც, უფრო გონივრულად მივიჩნიე, მასზე სიტყვაც არ დამეძრა, მით უმეტეს, რომ ერთსაათიანი

კამათის შემდეგ მსახურს თავისუფლად შეეძლო წასულიყო და ბაღიდან საწუწნად სრულიად გამოუსადეგარი კენჭი მოეტანა ჩემთვის. ეს გადაწყვეტილებაც ლამის დაუფიქრებლად მივიღე. არც სხვა დაკარგულ ნივთებზე ჩამომიგდია სიტყვა, რადგან ზუსტად მაინც არ ვიცოდი, იმთავითვე რა მედო ჯიბეში და რა – არა, და ალბათ, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ჯერ კიდევ პოლიციის განყოფილებაში შეუმჩნევლად ჩამოერთმიათ ჩემთვის; ან, უბრალოდ, დაცემისას ამომვარდნოდა და ასე დამკარგვოდა; ან სულაც სხვა დროს დამკარგვოდა, ანდა თავადვე მომესროლა – მე ხომ ხანდახან ასე მოვისვრი, თუ რამ მაბადია, როცა რამეზე გავლიზიანდები ხოლმე. მაშ, რაღა აზრი აქვს მათზე ლაპარაკს? მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც გადავწყვიტე, ხმამაღლა გამეცხადებინა, ჩემი იშვიათი დანა დაიკარგა-მეთქი და ეტყობა, ეს განცხადება იმდენად შთამბეჭდავი გამომივიდა, მალე ძალზე ლამაზი, ხილ-ბოსტნეულის საჭრელი დანა მომართვეს, ეგრეთ წოდებული უჟანგავი ფოლადისა. ოღონდ მე კი მაინც მოვახერხე და ძალიან მალევე დავჟანგე. თანაც ეს დანა, სხვა მისდაგვარებისაგან განსხვავებით, მხოლოდ თავისი ნება-სურვილით იხსნებოდა და იკეცებოდა. ფიქსატორი კი ჰქონდა, მაგრამ მეტისმეტად არასანდო. ამიტომაც, ათივე თითზე უამრავი გადანასერი გამიჩნდა. მერე კიდე იმდენად დამიჩლუნგდა, კი აღარ მიჭრიდა, უფრო მიბეჟავდა ხორცს. ამ დანაზე სიტყვა იმიტომ გამიგრძელდა, მგონი, ჯერაც სადღაც უნდა მომეძევებოდეს ჩემს ავლადიდებაში და რადგან ახლა აქ ამდენი ადგილი დავუთმე, მერე აღარც მივუბრუნდები, როცა დრო მოვა, და თუ მოვა დრო, რომ ჩემი საკუთრების სრული ნუსხა ჩამოვწერო, ეს დიდი შვება იქნება, ნანატრი შვება, ამ წუთის დადგომა. ბუნებრივია,

ნაკლები დრო და ადგილი უნდა დამეთმო იმისთვის, რაც დავკარგე, იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა არ დამეკარგა, მაგრამ ახლა არც კი მიხსენებია. და თუ, ერთი შეხედვით, მუდამ არ მივდევ ამ პრინციპს, ეგ იმიტომ, რომ დროდადრო მისხლტება, გამირბის და ისე სწრაფად უჩინარდება, თითქოს არც არასოდეს ჩამომეყალიბებინოს. ვბოდავ რაღაცას, მაგრამ არა უშავს. მე ხომ უკვე აღარ ვიცი, რას ვაკეთებ, ან – რატომ. ყველაფერი სულ უფრო ნაკლებად და ნაკლებად მესმის, არც უარვყოფ, ან რა აზრი აქვს, ვის წინაშე უარვყო – თქვენ წინაშე, ვისაც ვერაფერს გამოგაპარებთ? და მერე რამის კეთება იმგვარი... არ ვიცი, ამის ახსნა შეუძლებელია, ჩემთვის მაინც, ახლა, ამდენი ხნის მერე, მაგრამ არ მბეზრდება, თავი ვიტეხო და ვარკვიო, რა და რომელი პრინციპით მოხდა. და მაინც, რასაც ვაკეთებ, რასაც ვამბობ, ყოველთვის თითქოს ერთი და იგივეა – კი, როგორც ადრე, და როცა პრინციპებზე ვსაუბრობ, როცა არანაირი პრინციპები არ არსებობს, უბრალოდ, თავს ვერ ვერევი და ასე მგონია, რაღაც პრინციპი სადღაც მაინც უნდა იყოსმეთქი. და თუკი მუდამ ერთი და იმავე რამის კეთება ერთი და იმავე პრინციპის დაცვა არ არის, ვერც ამისაგან შევიკავებ თავს. ოღონდაც, მაშინ როგორღა მიხვდები, იცავ თუ არა? ან როგორ შეიძლება ამის გაგება გინდოდეს? არა, ეს ყველაფერი უაზრობაა, არ ღირს ტვინის ჭყლეტად, შენ კი მაინც იჭყლეტ, რადგან ღირებულებათა შენეული განცდა გღალატობს; ხოლო ის ყველაფერი, რაც რამედ ღირს, ტვინის ჭყლეტის საფუძვლად არ მიგაჩნია, ნებაზე გაქვს მიშვებული, ამავე მიზეზით ან უფრო გონივრული მოსაზრებით – ეტყობა, იცი, რომ ყველა ამ კითხვას ფასეულობასა თუ ღირებულებაზე არაფერი ესაქმება შენთან. შენ ხომ ისიც კი არ

იცი, რას აკეთებ, რატომ აკეთებ და ამ არცოდნას უნდა მოებღაუჭო ჯიუტად, რაღაცის შიშით, ოღონდ ნეტავი მაცოდინა – რისი. ამაზე უარესის წარმოდგენა არასდროს შემეძლო, რასაც ახლა ვაკეთებ უმეცრების კარნახით, და არც ვიცი, რატომ ვაკეთებ, რაც სრულებით არ მაკვირვებს, რადგან არც არასდროს მიცდია საპირისპირო. მართლაც, უარესის წარმოდგენა რომ შემძლებოდა, ვერასოდეს ვეღირსებოდი სულიერ სიმშვიდეს, სანამ იმ უარესს არ მივიღებდი, თუკი ოდნავ მაინც ვიცნობ საკუთარ თავს. რაც მაქვს, რაც ვარ, საკმარისია. ყოველთვის საკმარისი იყო ჩემთვის, და რაც შეეხება ჩემს ძვირფას, პაწაწინა მომავალს, მასთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არ მღრღნის და არც შფოთვა მერევა. ვიცი, ნათელი მომავალი მელის. ჰოდა, ტანზე ვიცვამ, ოღონდ ჯერ ვრწმუნდები, რომ ტანისამოსი არ შეუცვლიათ, ანუ მართლა საკუთარ შარვალს, პალტოს, ქუდსა და ფეხსაცმელს ვირგებ. ჩემი ფეხსაცმელი. ვიტყოდი, წვივებამდე მწვდება მათი ყელი-მეთქი, წვივები ოდნავ მაინც რომ მიჩანდეს. სამაგრებითაც დავიმაგრებდი, ბალთებსაც შევიკრავდი, თუნდაც ერთი-ორ შემორჩენილს, მაგრამ წამლადაც აღარ შემორჩენია არც ერთი. ზონრებსაც გავუყრი – მე მგონი, ზონრები მაინც შემომრჩა. მერე ყავარჯნები ამოვიჩარე იღლიებში და ოთახიდან გამოვედი. ამ სისულელეებში მთელი დღე შემომეკარგა და გარეთ უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო. კიბეზე ჩამოსვლისას კარის ჭრილში დანახულ ფანჯარას დავაკვირდი – ფანჯრიდან შემოსული მრუმე-მოყავისფრო შუქი კიბის საფეხურებზე იღვრებოდა. ლუსი ბაღში იყო, საფლავთან ფუსფუსებდა. ზედ ბალახს რგავდა, ვითომ ბალახი თავისით ვერ ამოვიდოდა. საღამოს სიგრილით უნდოდა ესარგებლა. დამინახა და გაბადრული გამო-

ემართა ჩემკენ. ისევ საჭმელ-სასმელი შემომთავაზა. ფეხზედგომელა ვილუკმებოდი და ვსვამდი, თან თვალებით ჩემს ველოსიპედს დავეძებდი, ქალი კი გაუჩერებლად ლაქლაქებდა. სწრაფად დავნაყრდი. მერე ველოსიპედს დავუწყე ძებნა. ბოლოს ხშირ ბუჩქნარში ნახევრად შემალული ვიპოვე. ყავარჯნები მივაგდე და ხელით შევეხე მონატრებულ უნაგირსა და საჭეს. ვაპირებდი, ჯერ ცოტა გამეტარ-გამომეტარებინა, სანამ შემოვაჯდებოდი და სამუდამოდ მივატოვებდი ამ დაწყევლილ ადგილს. ოღონდ სულ ტყუილად ვაწვებოდი და ვეჯაჯგურებოდი – არც ერთი ბორბალი არ ტრიალებდა. თითქოს მუხრუჭის ხუნდები გაჭედილიყო. არადა, ღმერთმა ხომ იცის, ეს ვერანაირად ვერ მოხდებოდა – ჩემს ველოსიპედს საერთოდ არ ჰქონდა ეგეთი რამ. უცებ დაღლილობის საოცარი შემოტევით გათანგულმა – არადა, საღამოხანს მუდამ ძალის მოჭარბებას ვგრძნობ ხოლმე – ველოსიპედი ისევ ბუჩქებში მივაგდე და პირდაპირ მიწაზე, ბალახში მივწექი. ნამიც კი ფეხებზე დავიკიდე, მაგის არასოდეს მშინებია. სწორედ მაშინ ისარგებლა ლუსმა ჩემი სისუსტით, გვერდით ჩამიცუცქდა და რაღაც-რაღაცების შემოთავაზება დამიწყო, რასაც, ვაღიარებ, უყურადღებოდ, თუმცა მაინც ვუსმენდი. სხვას ვერაფერს ვიზამდი, სხვა არც შემეძლო არაფერი. ეჭვი არაა, რაღაც ჩამიყარა ლუდში, მოსალღობ-მოსაღვენთად, მოლოის მოსალბობად და შედეგსაც მიაღწია, რაკი მართლა ცვილივით მოვრბილდი და ჩამოვიღვენთე. ამ შემოთავაზებებიდან, რომლებსაც დინჯად და მკაფიოდ მიყალიბებდა, თითოეულ სიტყვას რამდენჯერმე მიმეორებდა, საბოლოოდ შემდეგი დავასკვენი – ალბათ ყველაზე არსებითი: არ შემეძლო ჩემ მიმართ მის სისუსტეებს გავმკლავებოდი, როგორც თავად ვერ უმკლავდე-

ბოდა; მის ჭერქვეშ ვიცხოვრებდი, როგორც საკუთარ სახლში; საჭმელ-სასმელი არ მომაკლდებოდა, ისევე, როგორც თამბაქო, თუკი მწეველი ვიყავი და საერთოდ, არც არაფერი – მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება უღრუბლოდ და უზრუნველად ჩაივლიდა. ისე გამოდიოდა, ჩემ მიერვე მოკლული ძაღლის ადგილს ვიკავებდი, როგორც ძაღლს დაეკავებინა თავის დროზე შვილის ადგილი ამ ქალის ცხოვრებაში. როცა მომესურვებოდა, და თუ მომესურვებოდა, შემეძლო ბაღშიც მივხმარებოდი, საოჯახო საქმეშიც შემეშველებინა ხელი. ოღონდ ეზოს გარეთ ფეხი არ უნდა გამედგა, რადგან შეიძლებოდა გზა დამბნეოდა და უკან ველარც დავბრუნებულიყავი. ჩემთვის ყველაზე შესაფერისი ცხოვრების კალაპოტს უნდა მოვრგებოდი: მაშინ ავმდგარიყავი, მაშინ დავწოლილიყავი, მაშინ მესვა და მეჭამა, როცა ჩემს გულს გაუხარდებოდა. თავის მოვლა, ლამაზ-ლამაზი ტანისამოსი, ხშირ-ხშირი ბანაობა და ასეთი რამეები არ მომაკლდებოდა, მაგრამ არც ძალას დამატანდა ვინმე – მართალია, ეწყინებოდა, მაგრამ მისი წყენა და ტკივილი ჩემს სატკივართან, აბა, რა მოსატანი იქნებოდა. ერთადერთს ითხოვდა: იქვე, გვერდით ვყოლოდი და უფლება მიმეცა, დროდადრო ეცქირა ამ ჩემი უჩვეულო სხეულისათვის, გინდ მოუსვენრობისა და გინდ მოსვენების ჟამს. ხშირ-ხშირად ვაწყვეტინებდი ხოლმე სიტყვას და ვეკითხებოდი, რა ქალაქში ვართ-მეთქი, ოღონდ არ ვიცი, კითხვას ვერ მიგებდა თუ ერჩია, შეგნებულად დაეტოვებინა უპასუხოდ. ეს მაინც არ მითხრა. ისევ თავისას ერეკებოდა, დაუღალავად იმეორებდა ყოველ წინადადებას და მერე უკვე, შემპარავად, იმაზეც ალაპარაკდა, როგორ ვიხეირებდით ორივე, თუკი მის ჭერქვეშ დაბინავებას დავთანხმდებოდი. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ყველაფე-

რი არ გაქრა ამ ჯიუტი, დუდღუნა ხმის გარდა, ჩამოწოლილ ღამესა და დამბალი მიწის სურნელში, რომელიღაც ყვავილის მძაფრ სუნს რომ გაეჯერებინა. გვიანღა მივხვდი, ლავანდა უნდა ყოფილიყო. ბაღში ყველგან ის ხარობდა, რადგან ლუსს მისი ყვავილი უყვარდა – ეტყობა თვითონვე მითხრა, სხვაგვარად ვერც გავიგებდი. ყველა სხვა მცენარეზე მეტად უყვარდა სუნის, იერისა და შეფერილობის გამო. მეც, ყნოსვის შეგრძნება რომ არ გამქრობოდა, ეს ყვავილი მუდამ ლუსს გამახსენებდა, ასოციაციური მიზეზ-შედეგობრიობის ცნობილი წესიდან გამომდინარე. მე მგონი, აყვავებულ ლავანდას კრეფდა, მერე გასაშრობად ინახავდა და ბოლოს, პატარ-პატარა ტომსიკებში შენახულს, კარადებში აწყობდა ცხვირსახოცების, თეთრეულისა და საცვლების საამო სურნელით გასაჟღენთად. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ხანდახან მაინც მესმოდა დროის დინება – კედლისა თუ ქალაქის კოშკის საათის გადამკიდე. ისინი ხან სულ უფრო და უფრო დიდხანს რეკდნენ, ხან, რატომღაც – ძალიან მოკლე-მოკლედ, მერე კი – კვლავ გრძლად და უსასრულოდ. ამით მეტ-ნაკლებად მიხვდებოდა კაცი, რამდენი დრო დასჭირდა ლუსს ჩემს მოსათვინიერებლად, რამდენი მოთმინება და ფიზიკური გამძლეობა, რადგან სულ ჩემ გვერდით ჩაცუცქება თუ ჩამუხვლა უწევდა, როცა მე, ბალახზე უდარდელად გაწოლილი, ხან ზურგზე გადავტრიალდებოდი, ხან პირქვე ვწვებოდი, ხან ერთ გვერდზე და ხან მეორეზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გაჩუმებულა, მაშინ, როცა მე მხოლოდ პირს ვაფჩენდი ხოლმე, უფრო და უფრო იშვიათად და ნაკლები დაჟინებით, იმის საკითხავად, რომელ ქალაქში ვართ-მეთქი. ბოლოს კი საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული, ან უბრალოდ, იმას მიმხვდარი, რაც შემეძლო ყველა-

ფერი ვიღონე და შემდგომ დაჟინებას აზრი აღარ აქვსო, წამოდგა და გამეცალა. არ ვიცი, სად წავიდა, რადგან მე სადაც ვიყავი, იქვე დავრჩი, ცოტა არ იყოს, სინანულის განცდით შეპყრობილი. ეგ იმიტომ, რომ ჩემში მუდამ სახლობდა ორი ბრიყვი, სხვა ყველასთან ერთად: ერთი არაფერს ითხოვდა, შეჩვეულ ადგილზე დარჩენის გარდა, მეორეს კი, რატომღაც, წარმოედგინა, თითქოს ოდნავ უფრო შორს ცხოვრება სულ ცოტა ნაკლებად საზარელი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომაც, ასე ვთქვათ, იმედი არასოდეს გამიცრუვდებოდა – სულერთია, რაც არ უნდა მეკეთებინა ჩემს შემოსაზღვრულ სასიცოცხლო სივრცეში. და ამ განუყრელ ბრიყვებს დროდადრო შეგნებულად ვუნაცვლებდი ხოლმე ერთიმეორეს – ეგებ საკუთარ სიბრიყვეს მიმხვდარიყვნენ. იმ ღამით კი მთვარეზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, არც რამე სხვა შუქი კრთოდა და მარტო ჩქამისა თუ შრაშუნისათვის უნდა გესმინა ბაღში, ფოთლებისა და ღეროების მორცხვი შარიშურისთვის და ჰაერის ჩურჩულისთვის, იქ რომ სულ სხვანაირად მოუბერავდა ხოლმე, ვიდრე სხვაგან, სადაც ნაკლები თავისუფლებაა – ეს ჰაერი დღისით ასე არ ირხევა, როცა მეტი დაძაბულობაა; და კიდევ რაღაც ბუნდოვანისა და გაურკვევლისთვის უნდა გესმინა, რაც არც ჰაერის ხმაა და არც იმის, რასაც ის ახმიანებს – შორეული, უცვლელი გამოძახილი, რომელსაც მიწა გამოსცემს და მხოლოდ ხანმოკლე დროით ახშობს ყველა სხვა ხმა, რადგან მათგან არ მოდის ის ხმიანობა, რაც გესმის, როცა მართლა აყურადებ, როცა ყველაფერი მიჩუმებული გეჩვენება. იყო კიდევ სხვა ხმაც, ჩემი ცხოვრების ამ ბაღის ცხოვრებად გარდაქმნის, ოდეს ეს ჩემი ცხოვრება ამქვეყნიურ ულრანსა და ხრიოკში დაბორიალობდა. კი, იყო დრო, როცა არა მარტო ის მავიწყდებოდა, თუ

ვინ ვიყავი, არამედ ისიც, რომ საერთოდ ვარსებობდი, თვით არსებობაც კი მავიწყდებოდა. ასეთ დროს იმ დაბეჭდილ ჭურჭლად ველარ ვვარგოდი, რომელსაც ვუმადლოდი საკუთარ ხელუხლებლობას, მაგრამ კედელი ირღვეოდა, ხვიარები და ფესვები მედებოდნენ, ასაბრიალებლად გამზადებული, გამომშრალი ღეროები მეძალებოდნენ, ღამის მილევა და განთიადის გარდუვალობა, და მერე პლანეტის გარჯა, მოწადინებული რომ მიგორავდა ზამთრისაკენ – იმ ზამთრისაკენ, რომელიც ამ შემაწუხებელი, გამაბეზრებელი ნადებისაგან გაათავისუფლებდა. სწორედ ზამთარი მამშვიდებდა წინდაწინვე. თოვლის დნობა, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია, და ყველა მისეული ზაფრაც მომაბეზრებლად მეორდება, გაუთავებლად. ოღონდ ეს ხშირად როდი მემართებოდა – მეტწილად ჩემსავე ჭურჭელში ვრჩებოდი, რომელმაც არაფერი უწყოდა არც წელიწადის დროებისა და არც ბაღებისა. თავისთავად, მშვენიერი კია, მაგრამ იმ ჭურჭელში მომწყვდეულიც ფრთხილად უნდა იყო, საკუთარ თავს შეკითხვები უნდა დაუსვა: მაგალითად, არსებობ თუ არა ჯერაც? და თუ არა, როდის შეწყვიტე არსებობა? ხოლო თუ არ შეგიწყვეტია, კიდევ რამდენ ხანს გაგიგრძელდება? მოკლედ, ათას კითხვას უნდა გასცე პასუხი, თუ არ გინდა, რომ ზმანებათა ძაფი გაგიწყდეს. ჩემდათავად, სიამოვნებით ვუსვამდი კითხვებს საკუთარ თავს, ერთიმეორის მიყოლებით, მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცნაირად მაინც ამეწონდამეწონა. არა, სიამოვნებით კი არა, გონების კარნახით, რათა მერწმუნა, ჯერაც იქ ვარ-მეთქი. ოღონდ არც ჯერაც იქ ყოფნა ნიშნავს ჩემთვის რამეს. უბრალოდ, ამ ყველაფერს ფიქრს ვეძახდი და თითქმის განუწყვეტლივ ვფიქრობდი, ვერ ვბედავდი, ფიქრი გამეწყვიტა. ეგებ ჩემი მიამიტობის

მიზეზიც სწორედ ეს იყო? მართალია, ცოტა არ იყოს, გაცვეთილი ჩანდა, მაგრამ სასიამოვნო იყო იმის ცოდნა, რომ ეს მაინც გამაჩნდა, ნამდვილად. დიდი მადლობა, – მითხრა ერთხელ ვიღაც ბავშვმა, ვისაც მისივე მარმარილოს ბურთულა მივაწოდე; არ ვიცი, რატომ, რა მრჯიდა და ალბათ იმასაც ერჩია, თავადვე აეღო. ან ეგებ სულაც არავის ასაღები არ იყო? არადა, როგორ გამიჭირდა, ამ ჩემი გახევებული ფეხის პატრონს! სიტყვები კი სამუდამოდ ჩამებეჭდა მახსოვრობაში, ალბათ იმიტომ, მაშინვე რომ ჩავწვდი აზრს, რაც ხშირად არ მახასიათებს ხოლმე. არა, სმენას კი არ ვუჩივი, საკმაოდ მახვილი ყური მაქვს და ზუსტი მნიშვნელობით დაუტვირთავ ბგერებსაც, ალბათ, ბარე ორზე უკეთ ვიჭერ. მაშ, რა მოხდა, რის ბრალია? ეტყობა, გაგების რაღაც ზადი უნდა იყოს. გაგების მექანიზმი მხოლოდ მაშინ იწყებს მუშაობას, როცა გამაღიზიანებლებს განმეორებით იღებს. ანდა, თუ გნებავთ, მხოლოდ მაშინ მუშაობდა, როცა გააზრებასთან შედარებით უფრო დაბალ ან მაღალ სიხშირეზე იმართებოდა, თუკი მსგავსი რამ დასაშვებია. და რომ დასაშვებია, ფაქტია – რადგან, აი, ხომ დავუშვი კიდეც. დიახ, მკაფიოდ გაგონილ სიტყვებს პირველივე ჯერზე ვიგებ, მერე – მეორეზეც და ხშირად – მესამეზეც კი, როგორც ყოველგვარი მნიშვნელობისაგან დაცლილ სუფთა ბგერებს. ალბათ ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ნებისმიერი საუბარი მუდამ წარმოუდგენლად მტკივნეული გახლდათ ჩემთვის. ხოლო ჩემ მიერვე ამოლუღლუღებული სიტყვები, რაც თითქმის ყოველთვის გონების დაძაბვის ფასად მიჯდებოდა, ხშირად მწერის ბზუილად მეჩვენებოდა ხოლმე. ალბათ, ესაა სწორედ ჩემი სიტყვაძუნწობის ერთ-ერთი მიზეზიც. იმ სირთულეს ვგულისხმობ, რაც ჩემთვის არა მარტო სხვათა ნათქ-

ვამის, არამედ ჩემ მიერ სხვათათვის თქმულის გაგებას ახლდა. მართალია, სათანადო მოთმინების გამოჩენის შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ვაიძულებდით, ერთმანეთისა გაგვეგო, მაგრამ გეკითხებით, რისი წყალობით და რა მიზნით? ცხადია, ბუნების ხმებსა და ადამიანების მიერ წარმოქმნილ ხმაურზე მუდამ ჩემებურად ვრეაგირებდი და არც ვცდილობდი, რაიმე დასკვნა გამომეტანა. ის ჩემი თვალიც, რომლითაც ვიყურები, ეტყობა, სულ არა ჰგავს ობობისას, რადგან მიჭირს, სახელი დავარქვა იმას, რაც შიგ ირეკლება და ხშირად – საკმაოდ მკაფიოდაც კი. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო და არ ვთქვა, სამყაროს ამოყირავებულს ვხედავდი-მეთქი (ეს მეტისმეტად იოლი რამ იქნებოდა), სინამდვილეში მე მას წმინდად ფორმალისტურად აღვიქვამდი, თუმცა არც ესთეტი ვყოფილვარ ოდესმე და არც მხატვარი. ჩემი ორი თვალიდან მეტ-ნაკლებად გამართულად მხოლოდ ერთი ასრულებს მოვალეობას; არასწორად განვსაზღვრავ დანარჩენი სამყაროსაგან გამყოფ მანძილს და ხშირად გამიწვდენია ხელი იმის შესახებად, რაც შორს სცდებოდა ხელმისაწვდომობის ფარგლებს; მეორე მხრივ, ხშირად გადავწყდომივარ იმგვარ წინაღობას, ბუნდოვნად რომ იკვეთებოდა სადღაც, სიშორეში. ოღონდ ასე მემართებოდა მაშინაც, როცა ორივე თვალი საღი მქონდა – ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება, მაგრამ ეგებ ვცდები, რადგან ეს ჩემი ცხოვრების კარგა ხნის წინ გარდასული ხანაა და ამ მოგონებასაც ძნელად თუ დაარქმევ ზუსტს. ახლა, რაკი ამაზეც მიდგა საქმე, ბარემ ვიტყვი, რომ არც გემოვნებისა და ყნოსვის მხრივ გამოვდექი უფრო იღბლიანი. ვერ ვხვდებოდი, რის გემოს ვგრძნობდი და რისი სუნი მცემდა ხოლმე, საამო იყო თუ უსიამო, და იშვიათად ვცნობდი ერთსა და იმა-

ვეს. ჩემი აზრით, უბადლო ქმარი ვიქნებოდი, ვერც ცოლს გავაბეზრებდი საყვედურებით და, მხოლოდ და მხოლოდ ჩემივე გონებადაფანტულობის გამო, ღალატითაც ვერ ვუ-ღალატებდი. ახლა ალბათ ისიც უნდა ვთქვა, რატომ დავყავი საკმაო ხანი ლუსთან, მაგრამ არა, არ შემიძლია. ანუ კი შე-მიძლია პასუხი ვივარაუდო, თავს თუ შევიწუხებ, მაგრამ რა მრჯის? მხოლოდ ის, რომ დავამტკიცო, სხვა გზა არ მქონ-და-მეთქი? საბოლოო ჯამში, ალბათ სწორედ ამ დასკვნამდე მივიდოდი. მე, ვისაც ასე მხიბლავდა ახალგაზრდობაში და-ღუპული ბებერი გეილინკსის სახე, რომელმაც ულისეს შავ ხომალდზე მოხვედრილი გამათავისუფლა, რის შემდეგაც აღმოსავლეთისაკენ ხოხვით გავუყევი გემბანს. ვისაც აღმო-მჩენის ჟინი არ გააჩნია, მისთვის ეს უდიდესი თავისუფლე-ბაა. და მეც, კიჩოზე მოკალათებული, ტალღებს მიჩერებუ-ლი, სევდიანად მოზეიმე მონა, თვალს ვაყოლებ წყალზე გე-მის დანატოვარ ამაყსა და სწრაფწარმავალ კვალს. ხომალდი კი, არარსებული სამშობლოდან ჩემი წამომყვანი, არარსე-ბული კატასტროფისკენ მიმაქანებს. მოკლედ, კარგა ხანს დავრჩი ლუსთან. კარგა ხანს რა – ალბათ, რამდენიმე თვე, შეიძლება წელიწადიც. მახსოვს, იქიდან რომ წამოვედი, ჯერ ისევ თბილოდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა ქვეყნიერების იმ ნაწილში, სადაც სითბო, სიცივე ან, უბრალოდ, წყნარი ამინდი თითქოს წლის ნებისმიერ დროს შეიძლება იყოს, და დღეები მშვიდად არასდროს ენაცვლებიან ერთიმეორეს, ნამდვილად არა. შეიძლება მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა კიდეც. ერთი სიტყვით, დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, მისვლისას და წამოსვლისას თითქმის ზუსტად ერთნაირი ამინდი იდგა-მეთქი. ცხადია, იმის გათვალისწი-ნებით, რამდენად მქონდა საერთოდ ამინდის ცნობის უნარი.

თანაც, იმდენ ხანს ვიყავი ამინდს მინდობილი, ყველანაირ ამინდში გამოვლილი, საკმაოდ კარგად შემეძლო განსხვავებების პოვნა – ჩემს სხეულს შეეძლო და მგონი, საკუთარი სიმპათია-ანტიპათიებიც კი ჰქონდა. მე მგონი, რამდენიმე ოთახში ვცხოვრობდი, ერთიმეორის მიყოლებით, ზუსტად ვერ გეტყვით. ხსოვნას რამდენიმე ნაცნობი ფანჯარა შემორჩა, მაგრამ შეიძლება, ეს ერთი და იგივე ფანჯარაა, მის წინ ჩავლილი სამყაროსკენ სხვადასხვა კუთხით გამოღებული. სახლი უძრავად იდგა, და შეიძლება სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა სხვადასხვა ოთახს ვახსენებ. უძრავი იყო სახლიცა და ბაღიც, ჩემთვის გაუგებარი რაღაც მანქანების წყალობით, და მეც, როცა არ ვმოძრაობდი, რაც ხშირად ხდებოდა ხოლმე, უძრაობას ვიძენდი; ხოლო როცა ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდი, ეს ძალიან ნელა ხდებოდა, როგორც დროის მიღმა დაკიდულ გალიაში, მეცნიერულად რომ ვთქვათ. ბოლომდე ზუსტი თუ ვიქნები, დროისა და სივრცის მიღმა გამოკიდულში. ეგ იმიტომ, ერთის მიღმა ყოფნა და მეორის მიღმა – არა, ჩემზე უფრო ჭკვიანთათვისაა, მე კი ჭკვიანი კი არა, ერთი მოსულელო ვინმე მეთქმის. მაგრამ იქნებ ძალიანაც ვცდები და ის ფანჯრები, რომლებიც იმ დღეებზე ფიქრისას ჩემს მახსოვრობაში იხსნებიან, მართლა არსებობდნენ და კვლავაც არსებობენ იმის მიუხედავად, მე რომ წამოვედი, ანუ ვერც მათ გაღებადაკეტვას ველარ ვხედავ და აღარც ოთახის კუთხეში მიყუჟული ვიმტვრევ თავს მათ ჩარჩოებში მომწყვდეულ საგანთა რაობაზე. ოღონდ ამ ეპიზოდზე დიდხანს არ შევყოვნდები: სასაცილოდ ხანმოკლეა, როცა მასზე ფიქრობ და არსებითად – უაღრესად არაფრისმთქმელი. არც სახლისა და არც ბაღის საქმეებში არ მივხმარებივარ მასპინძელს. წარმო-

დგენაც არ მქონდა, რას საქმიანობდნენ იქ, დღისით თუ ღამით – არაფერი მესმოდა ხმების გარდა, ხან დაგუდულის და ხან მკვეთრის. ბოლო ხანს კი ხშირად მთელი ძალით შერყეული ჰაერის გუგუნიც მესმოდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა, თუმცა სინამდვილეში იქნებ სულაც უბრალო კოცონის ხმაც ყოფილიყო. სახლს ბაღი მერჩია, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რამდენი გრძელი საათი გავატარე იქ: დღისა თუ ღამის მეტ ნაწილს სწორედ იქ ვატარებდი, სულერთია, დარი იდგა თუ ავდარი. იქ სულ ვიღაც კაცები საქმიანობდნენ – არ ვიცი, რისთვის. ბაღს ხომ თითქმის არანაირი ცვლილება არ ეტყობოდა. დღიდან დღემდე ერთნაირი ჩანდა, თუკი, ცხადია, იმ მცირეოდენ ცვლილებებს არ ჩავთვლით, რასაც დაბადების, სიცოცხლისა და კვდომის დადგენილი წრებრუნვა იწვევს. იმ კაცებს შორისაც ისე დავბორიალობდი, როგორც გაზაფხულამდე შემორჩენილი ხმელი ფოთოლი, სხვა დროს კი შიშველ მიწაზე ვწვებოდი და ისინიც ისე ფრთხილად გადამაბიჯებდნენ ხოლმე, ვითომ რაღაც იშვიათი ნარგავი ვყოფილიყავი. კი, ეჭვი არაა, მათი ამ დაუღალავი გარჯის მიზანს აშკარა ცვლილებებისაგან ბაღის დაცვა წარმოადგენდა. ჩემი ველოსიპედი ისევ სადღაც გაქრა და ზოგჯერ მისი ძებნის ჟინი წამომივლიდა ხოლმე, მინდოდა მეპოვა და გამერკვია, რა დამართოდა, ან სულაც ბაღის სხვადასხვა ნაწილის დამაკავშირებელ ბილიკებზე გამესეირნა მცირე ხნით. მაგრამ ამ ჟინის დაკმაყოფილების ნაცვლად, მე, ასე ვთქვათ, ამ ჟინის ჭვრეტით ვკმაყოფილდებოდი და ვხედავდი, თანდათან როგორ ილეოდა და ბოლოს სულაც ქრებოდა იმ ცნობილი საბედისწერო ტყავივით, ოღონდ – კიდევ უფრო სწრაფად. ეგ იმიტომ, რომ სურვილთა გაჩენისას, ეტყობა, ქცევის ორგვარი გეზი არსებობს –

ქმედითი და მჭვრეტელობითი, და მართალია, ორივე ერთნაირ შედეგს იძლევა, მაგრამ მე მაინც, ჩემი შინაგანი წყობიდან გამომდინარე, უკანასკნელს ვამჯობინებდი. ბაღს მაღალი კედელი ერტყა გარს, ზედ ამოშვერილი შუშის ნამტვრევებით, თევზის ფარფლებს რომ მოგაგონებდათ. სრულიად მოულოდნელი კი ის გახლდათ, რომ ამ კედელში დატანებული კუტიკარი პირდაპირ გზაზე გადიოდა და არასოდეს იკეტებოდა. ამაში დარწმუნებული ვიყავი, რადგან არაერთხელ სრულიად დაუბრკოლებლად გამიღია და დამიკეტავს კიდეც, დღისითაც და ღამითაც. ისიც მინახავს, სხვებიც ზუსტად ასევე რომ იქცეოდნენ – შემომსვლელებიცა და გამსვლელებიც. გამოვაღებდი, ცხვირს გარეთ გავყოფდი და საჩქაროდ ისევ მივკეტავდი ხოლმე. აქვე ერთი-ორი შენიშვნაც უნდა დავამატო: ქალი ამ შემოგარენში არასოდეს დამინახავს; შემოგარენში კი არა მარტო ბაღს ვგულისხმობ, როგორც უფრო სავარაუდო იქნებოდა, არამედ – სახლსაც. მხოლოდ კაცებს ვხედავდი და ცხადია, ჩემს მასპინძელსაც. გამოგიტყდებით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რას ვხედავდი და რას არა, მაგრამ მაინც ვთქვი, ისე, სიტყვის მასალად. ხშირად არც ლუსს ვხვდებოდი, იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე. არ ვიცი, ეგებ მორიდებულობის ბრალი იყო – შიშობდა ალბათ, არ ავაფორიაქოო. მაგრამ მე მგონი, ხშირ-ხშირად კი მითვალთვალებდა, ბუჩქს ან ფარდას ამოფარებული. ან ეგებ სულაც მეორე სართულის ბნელ ოთახში შეყუჟული, ალბათ დურბინდმომარჯვებული. აკი თავადვე მითხრა, ყველაზე მეტად შენი ცქერა მინდაო – სულერთია, აქეთ-იქით ივლი თუ ერთ ადგილს იქნები მიჯაჭვულიო. სათვალთვალოდ კი ან ჭუჭრუტანა გინდა, ან ღიობი ფოთლებს შორის, რაღაც ეგეთი, რაც თავად უჩინარს დაგტო-

ვებს და ერთბაშად ბევრი რამის დანახვას კი შეგაძლებინებს. არა? რა ვიცი. ასეა, ნელ-ნელა მსწავლობდა, მაკვირდებოდა, დასაწოლად გამზადებულსაც, მძინარესაც, ახლადგაღვიძებულსაც, ნაშუადღევს წაძინებულსაც. ამ მხრივ ჩემი ჩვევის ერთგული დავრჩი, ანუ საერთოდ თუ მეძინა, უფრო დღის შუქზე. ოღონდ ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რამდენიმე დღე რული არ მეკარებოდა და ამით სულაც არ ვგრძნობდი თავს უარესად. ეგ იმიტომ, ჩემი ღვიძილი რომ ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ძილისაგან. ძილით კი სულ სხვადასხვა ალაგას მეძინა ხოლმე – ხან ბაღში, ხან სახლში, სიდიდით ბაღს რომ არ უდებდა ტოლს. ეტყობა, სწორედ ჩემი ძილის დროისა და ადგილის ეს გაურკვევლობა აღაფრთოვანებდა, და დროის მდინარებასაც სასიამოვნოდ უქცევდა. მაგრამ არ ღირს ჩემი ცხოვრების ამ ხანაზე ყურადღების გამახვილება – თუკი კვლავაც ჯიუტად ჩემს ცხოვრებად მოვიხსენიებ, ბოლოს თავადვე ვირწმუნებ ამას. სწორედ ესაა რეკლამის პრინციპი. ჩემი ცხოვრების ეს ხანა. როცა მასზე ვფიქრობ, წყლის მილში ჩარჩენილი ჰაერი მახსენდება. ამიტომ მხოლოდ იმას დავამატებ, ეს ქალი კვლავინდებურად ნელი-ნელ მწამლავდა-მეთქი. არ ვიცი, რა შხამს ურევდა ჩემთვის მორთმეულ საჭმელ-სასმელში, ერთშიცა და მეორეშიც, ან ერთ დღეს – ერთში და მეორე დღეს – მეორეში. მძიმე ბრალდებაა, რაღა თქმა უნდა, და მეც ასე ჰაიჰარად არაფერს ვამტკიცებ. მაგრამ რაკი ასე ვამბობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მიმართ რაღაც გაღიზიანების მსგავსს ვგრძნობ. კი, ბრალს ვდებ, ოღონდ მისდამი ყოველგვარი მტრობის გარეშე ვამტკიცებ: საჭმელ-სასმელში საწამლავს მიყრიდა – დამბანგავ და უსუნო ფხვნილებსა თუ წვეთებს. სუნიც რომ ჰქონოდათ, მაინც ხომ არაფერი შეიც-

ვლებოდა, ისევე ჩავყლაპავდი, ისეთივე მოწადინებით. მაგალითად, თუნდაც ნუშის სუნის მფრქვეველი დარიშხანიც კი მადას ვერ დამაკარგვინებდა. ჩემი მადა! მშვენიერი თემაა სასაუბროდ. ლაპარაკი არ მოგბეზრდებათ. არადა, ვერც იმას ვიტყვი, როდისმე მქონდა-მეთქი. მუდამ ჩიტივით ვიკენკებოდი. მაგრამ რაც არ უნდა მცირედით დავკმაყოფილებულიყავი, ყველაფერს იმგვარი სიხარბით ვეძალებოდი, როგორსაც, ჩვეულებრივ, იშვიათი პირის გემოს მქონე ხალხს მიანერენ ხოლმე, თან სრულიად დაუმსახურებლად, რადგან ამგვარი ხალხი, როგორც წესი, აუჩქარებლად და დაგემოვნებით მიირთმევს საკვებს – პირის გემოს ცნება ამას თავისთავად გულისხმობს. მე კი ნებისმიერ რამეს დავაცხრებოდი ხოლმე, მეოთხედს ან სულაც ნახევარს ორ ლუკმად, დაუღეჭავად (ან რით დავღეჭავდი?!) შევთქვლეფდი და მერე ზიზღით ვიშორებდი თეფშს. მავანი იფიქრებდა, მუცელი ამოიყორაო. სმითაც ზუსტად ასევე ვსვამდი, ერთ ჯერზე ხუთ-ექვს კათხა ლუდს ჩავიცლიდი და მერე ერთი კვირა წვეთს არ ვიკარებდი. აბა, რა გეგონათ? ადამიანი რაცაა, ისაა. ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ვერაფერს გააწყობ, ბევრს ვერაფერს. რაც შეეხება იმ ნივთიერებებს, რომლებიც ამ გზით შეჰყავდა ჩემს ორგანიზმში, ვერ ვიტყვი, სტიმულატორები იყო თუ სულაც, დეპრესანტები. საქმე ისაა, რომ მეტ-ნაკლებად მაინც ჩვეულებრივად ვგრძნობდი თავს, ანუ თუ თავს მივუშვებდი, ისევ იმგვარივე შიში მიპყრობდა, რომ გრძნობები – ცნობიერებაზე თუ აღარაფერს ვიტყვით – ლამის ერთიანად მიჩლუნგდებოდა და მხოლოდ შიგადაშიგ თუ მეწვეოდა რაღაც-რაღაც გამონათებები. ამგვარ ნეტარებასთან რას გააწყობდა ლუსის საცოდავი სამსალა და ისიც – სულ მცირე ულუფებად დაყო-

ფილი! ეტყობა, საკუთარი სიამოვნების გახანგრძლივება თუ სურდა ამით. ვერ ვიტყვი, ვერანაირ შედეგს ვერ აღწევდა-მეთქი – არა, ამის თქმა უკვე მეტისმეტი იქნებოდა: დროდადრო მიწას ვწყდებოდი ხოლმე, სულ ცოტა, ორი-სამი ფუტით მაინც, მე – ვინც არასოდეს ავმხტარვარ. ეს ყველაფერი ლევიტაციას უფრო ჰგავდა. ხანდახან კიდე, როცა უბრალოდ მივაბიჯებდი ან სულაც ხეს ვეყრდნობოდი, მუხლები მეკეცებოდა და ძირს ვებერტყებოდი, ძაფებგადაჭრილი ტიკინასავით, და მერე ასე ვეგდე კარგა ხანს, მართლა ბამბით გამოტენილივით. დიახ, ეს ნაკლებად უცნაური მეჩვენებოდა, რაკი ამგვარი უეცარი ღონის გამოცლა ადრეც მჩვეოდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ წინდაწინ ვგრძნობდი და ვემზადებოდი კიდეც, ბნედიანივით, შეტევის მოახლოებას რომ ხვდება. იმას ვგულისხმობ, როცა გავიაზრებდი, უნდა წავიქცე-მეთქი, წინდაწინვე ვწვებოდი, ან სადაც ვიყავი, იქ ვცდილობდი ფეხის მოკიდებას ისე მყარად, რომ მიწისძვრის გარდა ვერაფერს შევერყიე, და ასე ველოდი მოსახდენს, ოღონდ ყოველთვის როდი ვიქცეოდი ასე – ზოგჯერ დაწოლას ან ერთ ადგილას გახევებას ისევ წაქცევას ვამჯობინებდი ხოლმე. აი, ლუსთან ყოფნისას კი ვერცერთხელ ვერ მოვახერხე, წაქცევისაგან წინასწარ დამეზღვია თავი. ამის მიუხედავად, ყოველი დაცემა ნაკლებად მაკვირვებდა, ეს უფრო ჩემეული იყო, ვიდრე ის მოკლე-მოკლე შეხტომები. ეგ იმიტომ, რომ არ მახსოვს, როდისმე მეხტუნაოს, ბავშვობაშიც კი, თუნდაც სიბრაზისა თუ ტკივილისაგან. მოკლედ, ბავშვიც კი არ ვიქცეოდი ასე. რაც შეეხება საჭმელს, როგორც ახლა მახსენდება, ისე, იმ დროს და იქ შევექცეოდი, სადაც მომეგუნებებოდა. თავად არასოდეს მომითხოვია – ლანგრით მოჰქონდათ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი. თუ

მოვინდომებ, ახლაც შემიძლია თვალნათლივ წარმოვიდგინო ის ლანგარი – მრგვალი, ოდნავ შემაღლებული კიდეებით, არაფერი რომ არ გადმოვარდნილიყო. წითელი ლაქი ესვა, აქა-იქ უკვე დამსკდარი. მომცრო გახლდათ და სრულიად საკმარისი იყო ერთი თეფშისა და პურის ნაჭრის დასატევად. მართალია, ცოტას ვჭამდი, მაგრამ რასაც ვჭამდი, სულ ხელით, და სასმელსაც პირდაპირ ბოთლიდან ვსვამდი, რომელიც ცალკე მოჰქონდათ, პაწია კალათით. ოღონდ იმ კალათს ჩემზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, არც ავი და არც კარგი, ამიტომ ვერ გეტყვით, როგორი იყო. ძალიან ხშირად, როცა ამა თუ იმ მიზნით აქეთ-იქით დავყიალობდი, იმ ადგილს მოშორებული, სადაც საჭმელი მოეტანათ, როცა შიმშილი შემაწუხებდა, ლანგარს უკვე ველარ ვაგნებდი. სად არ ვეძებდი, ხშირად – წარმატებითაც, რადგან მეტ-ნაკლებად უკვე გავცნობოდი ჩემს საბორიალო არემარეს, მაგრამ ასევე ხშირად – სულ ამაოდ. ზოგჯერ არც ვიწყებდი ძებნას, რადგან წყურვილი და შიმშილი მერჩია ძებნით თავის შეწუხებას, თუ იმის იმედი არ მქონდა, რომ ნაღდად ვიპოვიდი. ვითხოვდი, სხვა ლანგარი მოეტანათ, სხვა კალათიც, ან იგივე, ოღონდ ახლა უკვე იქ, სადაც იმწუთას ვიმყოფებოდი. აი, ასეთ დროს კი მოვისაკლისებდი ხოლმე ჩემს საწუწნ კენჭს. როცა ვამბობ, ვამჯობინებდი ან მოვისაკლისებდი-მეთქი, ისე არ უნდა გამიგოთ, თითქოს ნაკლებ ბოროტებას ველტვოდი და ვთანხმდებოდი კიდეც; ეს არასწორი იქნებოდა. მე ხომ ზუსტად არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი; გავურბოდი, ვაკეთებდი და გავურბოდი კიდეც ყოველგვარი ეჭვის გარეშე, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დიდი ხნის მერე, კვლავაც მომიწევდა დროით გახუნებულ-გაფერმკრთალებული ქმედებებისაკენ და უმოქმედობებისაკენ

მიბრუნება და ჰედონიზმის ნაგავსაყრელზე მათი მითრევა. ისიც უნდა ვთქვა, რომ ლუსთან ყოფნისას ჩემი ჯანმრთელობა დიდად არ გაუარესებულა. რაც ისედაც მჭირდა, ნელნელა იმატებდა, ეს კი სავსებით მოსალოდნელი იყო. ტკივილისა თუ ინფექციის ახალი კერა არსად გამჩენია, თუ არ ჩავთვლით უკვე არსებული წანაზარდებიდან და ატროფიებიდან გავრცელებულებს. ოღონდ შეიძლება ძალიანაც ვცდებოდე. რაც შეეხება სამომავლო ავადმყოფობებს, როგორიცაა, მაგალითად, მარცხენა ფეხის თითების სრულად დაკარგვა – არა, მარჯვენა უნდა მეთქვა – აბა, ზუსტად ვინ იტყვის, ჩემს უმწეო თიხაში როდის გაჩნდა ამის გამომწვევი მომაკვდინებელი თესლი! ამიტომ, მხოლოდ იმას ვიტყვი და ძალიან ვეცდები, მეტი აღარც არაფერი დავამატო, რომ ლუსთან ჩემი სტუმრობის დროს პათოლოგიური ხასიათის არანაირი ახალი სიმპტომები არ გამჩენია – მანამდე უცნობსა და უცნაურს ვგულისხმობ; არაფერი, რასაც წინდაწინ ვერ განვჭვრეტდი, თუკი ძალიან მოვინდომებდი; არაფერი, რაც ფეხის ათი თითიდან ხუთის უეცარ გაქრობას შეედრებოდა. ეს კი ისეთი რამაა, რასაც ვერასოდეს ვიწინასწარმეტყველებდი და რის მნიშვნელობასაც ვერასოდეს ჩავწვდებოდი – ჩემს სხვა სატკივრებთან ამ ამბის კავშირს ვგულისხმობ, ისევ და ისევ სამედიცინო საკითხების უცოდინრობიდან გამომდინარე. სხეულის უსასრულო გიჟმაჟობებში ყველაფერი ერთ კალაპოტში მიედინება – ამას ვგრძნობ, მაგრამ აზრი არა აქვს, ამოვგლიჯო ჩემი – როგორ ვთქვა – ჩემივე არსებობის ეს ერთი თავი, რადგან მე მგონი, ეს არც არაფერს მოიტანს. ეს ის ცურია, რომელსაც ამაოდ ვებლაუჭები და ვერაფერს ვადენ, რაღაც ბუშტულებისა და თითოოროლა წვეთის გარდა. ამიტომაც მოკლე, დამატებითი შე-

ნიშვნებით შემოვიფარგლები, რომლებიც იმას შეეხება, რომ ლუსი უჩვეულოდ ბრტყელი ქალი გახლდათ, ცხადია, ფიზიკური თვალსაზრისით – იმდენად, რომ ახლაც, ამ საღამოს, ჩემი უკანასკნელი სავანის სიმყუდროვეში, ჯერაც თავს ვიტეხ, ეგებ სულაც მამრი იყო ან, ყოველ შემთხვევაში, ანდროგინი მაინც-მეთქი. რაღაცნაირად თმიანი სახე ჰქონდა – ნუთუ ამას თხრობის გასამძაფრებლად ვიგონებ? საცოდავი ქალი, იშვიათად ვხედავდი, იშვიათად ვუცქერდი. განა ხმაც რაღაც საეჭვოდ დაგუდული არ ჰქონდა? თუ დღეს მეჩვენება ასე? თავს ნუ იტანჯავ, მოლოი: ქალი, კაცი – რა მნიშვნელობა აქვს?! არადა, მაინც არ შემიძლია ჩემს თავს შემდეგი კითხვა არ დავუსვა: შეიძლებოდა კი ნებისმიერ ქალს, დედისკენ მიმავალი, გზაზე შევეჩერებინე? ალბათ შეიძლებოდა. უფრო ღრმადაც ჩავეძიები: საერთოდ შესაძლებელი იყო თუ არა მსგავსი შეხვედრა ჩემსა და ნებისმიერ ქალს შორის? კაცები – კარგი, თავის დროზე რამდენიმეს გადავყრივარ, მაგრამ – ქალები?! კეთილი, ახლა შემიძლია ვაღიარო: დიახ, ერთხელ ქალსაც გადავეყარე – დედაჩემს არ ვგულისხმობ. გადავეყარე და მეტიც, და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მოდი, დედაჩემი ამ ყველაფრიდან საერთოდ გამოვრიცხოთ. იმ სხვაზე ვლაპარაკობ, ვინც შეიძლებოდა დედაჩემი ყოფილიყო და მგონი, ბებიაჩემიც კი, განგებას სხვანაირად რომ არ გადაეწყვიტა. ერთი უსმინეთ, განგებაზეც რომ ალაპარაკდა ბიჭი! სწორედ იმან მაზიარა სიყვარულს. როგორც მახსოვს, მშვიდი სახელი – რუთი ერქვა, თუმცა შეიძლება ვცდები კიდეც. იქნებ მისი სახელი ივდითი იყო და ფეხებშუა ხვრელი ჰქონდა – არა, ბოთლის ყელს კი არ მიუგავდა, როგორც მე წარმომედგინა – ნაპრალი ჰქონდა, რომელშიც მე იმას ვჩრიდი, უფრო სწორად, თვითონ იჩ-

რიდა ჩემს ე.წ. მამაკაცურ საწყისს. არცთუ იოლად. მე კი მანამ ვცოდვილობდი და ვჯახირობდი, ვიდრე არ დავიცლებოდი ან უიმედოდ ხელს არ ჩავიქნევდი, ანდა თავად არ შემეხვეწებოდა, გაჩერდიო. ჩემი აზრით, დიდად ბრიყვული თამაშობა-გასართობია და დიდხანს თუ გაგიგრძელდა, გვარიანად დამღლელიც. ოღონდ მე საკმარისი ხალისით ვმონაწილეობდი მასში, რადგან ვიცოდი, სიყვარული ერქვა, როგორც იმ ქალმა ამიხსნა. ტახტზე წაიხრებოდა ხოლმე – რევმატიზმი აწუხებდა – და მეც უკნიდან ვადგებოდი. მხოლოდ ამ ერთადერთ მდგომარეობაში შეეძლო, ხშირი წელკავების გადამკიდეს. მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, რაკი არაერთხელ წამესწრო ძაღლებისთვის და ძალიანაც გამიკვირდა, როცა მითხრა, ამ ყველაფრის კეთება სხვანაირადაც შეიძლებაო. ახლაც არ ვიცი, მაინც რას გულისხმობდა – სწორ ნაწლავში შეყვანას? სათქმელადაც არ ღირს, რომ ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ ვითომ ნამდვილი სიყვარული ისაა, სწორ ნაწლავზე რომ მიდგება საქმე? აი, ეს ხანდახან მაინც მაფიქრებს ხოლმე: ნუთუ ნამდვილი სიყვარული არც არასოდეს გამომიცდია? ისიც უაღრესად ბრტყელი ქალი გახლდათ და მოკლე-მოკლე ნაბიჯებით დაიარებოდა, შავი ხის ხელჯოხს დაყრდნობილი. შეიძლება ისიც კაცი იყო. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ჩვენი კაკლები რაკარუკს ატეხდნენ, სანამ საქმეში ვიყავით. ეგებ თავისები ხელში მაგრად ეჭირა, სწორედ ეს რომ აეცილებინა თავიდან? ფართო, შრიალა, მაქმანებიანი ქვედაკაბების ჩაცმა უყვარდა და კიდე რაღაც-რაღაც ეგეთივე საცვლების, რომელთა სახელებიც უკვე აღარ მახსოვს. ტალღა-ტალღა, შარიშურით ფრიალებდნენ და გვეფარებოდნენ, მერე კი, როცა მოსახდენი მოხდებოდა, ნება-ნება გვეფინე-

ბოდნენ. მაშინ უკვე მხოლოდ მის დაძაბულ, ყვითელ კისერს ვხედავდი, რასაც დროდადრო კბილებს ვასობდი ხოლმე – აღარ მახსოვდა, რომ აღარც ერთი არ შემრჩენოდა... რას იზამ, ასეთია ინსტინქტის ძალა. ერთმანეთს ნაგავსაყრელზე შევხვდით, სრულიად განსხვავებულზე, თუმცა ეგენი ხომ ყველა ერთმანეთს ჰგავს – ნაგავსაყრელებზე ვამბობ. არ ვიცი, იქ რას აკეთებდა. მე კოჭლობ-კოჭლობით დავბორიალებდი ნაყარნუყარის გროვაში და ალბათ ვამბობდი – მაშინ ჯერ კიდევ მქონდა განზოგადების უნარი – აი, ესაა ცხოვრება-მეთქი. იმას დრო არ ჰქონდა დასაკარგი, მე კი – საერთოდ არაფერი. თხასთანაც კი ვისიყვარულებდი იმის გასაგებად, რა ბედენა იყო ეს სიყვარული. კოხტა ბინა ჰქონდა. არა, კოხტა არა – უბრალოდ, მოგანდომებდა, სადმე კუთხეში მიწოლილიყავი და აღარც ამდგარიყავი იქიდან არასოდეს. ძალიან მომწონდა. კოხტა ავეჯით იყო სავსე. ჩვენი გამწარებული ბიძგებისას ტახტი ბორბლებზე მიდიმოდიოდა, კარადიდან უჯრები ცვიოდა და საერთოდ, ყველაფერი ყანყალებდა. ჩვენს ურთიერთობას სინაზეც ახლდა: ხელებაცახცახებული მაჭრიდა ფეხის თითებზე ფრჩხილებს და მეც ნაოჭების მოსაშორებელ საცხს ვუსვამდი ხოლმე დუნდულებზე. ოღონდ ეს სიამტკბილობა ხანმოკლე გამოდგა. საწყალი ივდითი. იქნება და მე დავაჩქარე იმისი აღსასრული. ასეა თუ ისე, ყველაფერი თავად დაიწყო ნაგავსაყრელზე, როცა ჩემს ხვანჯარს წაატანა ხელი. უფრო ზუსტად, ნაგვის გროვისაკენ წახრილი ვიდექი და იმედი მქონდა, რამე ისეთს ვიპოვი, რაც სამუდამოდ გამიქრობს ჭამის სურვილს-მეთქი, როცა უკნიდან მომადგა, ხელჯოხი ლაჯებს შორის გამიტარა და ჩემს ავლადიდებას გაუსვ-გამოუსვა, რამდენჯერმე. ყოველ ჯერზე ფულს მაძლევდა ხოლმე – მე,

ვინც მზად ვიყავი, სიყვარული შემეცნო, ძირისძირამდე შემესწავლა სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ. ის ხომ იდეალისტი იყო. ასე მგონია, ჩემთვის უფრო უპრიანი ნაკლები ზომის, ნაკლებად გამომშრალი ხვრელი იქნებოდა; მაშინ სიყვარულზე, ალბათ, მაინც უკეთესი წარმოდგენა შემექმნებოდა. რას ვიზამთ, ამასთან შედარებით, თვითმომსახურება მართლა სამოთხე იქნებოდა. მაგრამ ეჭვი არაა, სიყვარული ამ ქვენა მოთხოვნებზე მაღლა დგას: აქ საქმე ის კი არაა, რამდენად უკეთ ახერხებ, მთავარია, შენი გავეშებული ასო თავშესაფარს დაეძებდეს, სველ, წებოვან გარსს პოულობდეს სახახუნოდ და წინააღმდეგობას თუ არ წააწყდება, უკან კი არ იხევდეს, უფრო და უფრო სივდებოდეს; მაშინ, ეჭვი არაა, ჭეშმარიტი სიყვარული ბევრად აღემატება მკვრივსა თუ მობოშებულ სამყოფელში რაღაცის ძებნას, ამ ყველაფერზე მაღლდება და სულ მაღლა-მაღლა იწყებს ფრენას. და თუკი ამას პედიკიურისა და მასაჟის მცირე ულუფასაც წავუმატებთ – რასაც, სხვათა შორის, ნეტარების წამთან უშუალო კავშირი არ გააჩნია – მაშინ მე მგონი, ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლდება და უსაგნო გახდება. ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთი რაც მაწუხებს – რამდენად გულგრილი დავრჩი მისი სიკვდილის ამბის შემსწრე იმ ბნელ ღამეს, როცა მისკენ გავხოხდი. თუმცა კი ეს გულგრილობა ცოტათი მაინც შეარბილა შემოსავლის წყაროს დაკარგვით გამოწვეულმა ტკივილმა. თბილი აბაზანის მიღებისას მოკვდა. ასეთი განბანა სჩვეოდა, ჩემს მოლოდინში. თბილი წყალი მამშვიდებსო, ასე ამბობდა. იმის წარმოდგენაც კი მზარავს, რომ შეიძლებოდა ჩემს მკლავებში ამოხდომოდა სული! წყლით სავსე კასრი გადაბრუნებულიყო, იქაურობაც დაეტბორა და ქვედა მეზობელსაც ჩასვლოდა, ვინც ატეხა კიდეც

განგაში. უყურე შენ! არც მეგონა, ეს ამბავი ასე კარგად თუ მახსოვდა. მეზობელი ქალი იქნებოდა, თორემ მთელ სამეზობლოში ატყდებოდა ერთი მითქმა-მოთქმა. მეორე მხრივ, სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ქვეყნიერების ჩემს მხარეში ხალხი უცნაურად ჩაკეტილი და სიტყვაძუნწია, თუმცა ეგებ ყველაფერი შეიცვალა კიდეც ჩემს დროსთან შედარებით. ისიც სავსებით შესაძლოა, რომ კაცის პოვნა იქ, სადაც, წესით, ქალი უნდა ეპოვათ, მაშინვე მიაჩუმათეს და დაივიწყეს კიდეც იმ ადამიანებმა, ვისაც, სამწუხაროდ, ამის შეტყობა მოუხდათ. არც ისაა გამორიცხული, რომ ყველამ ყველაფერი ისედაც იცოდა და ლაპარაკითაც ბევრი ელაპარაკათ. მე კი ერთი რამ მტანჯავს, როცა ამ ყველაფერს ვუბრუნდები: მინდა გავიგო, მთელი ცხოვრება უსიყვარულოდ გავატარე თუ რუთის მეშვეობით, მართლა ვეზიარე სიყვარულს? დანამდვილებით მხოლოდ ეს ვიცი: ამ გამოცდილების გამეორება აღარ მიცდია – ეტყობა, ალღო მკარნახობდა, რომ ეს ყველაფერი თავისებურად განუმეორებელი და სრულყოფილი იყო და ხსოვნა შეურყვნელი უნდა დაიტოვო გულში, გინდაც ამისთვის დროდადრო ეგრეთ წოდებულ ხელმრუშობის ცელქობებსაც უხადო ხარკი. ახლა იმ მოახლეზე არ დამიწყოთ ლაპარაკი, ვითომ მას არასოდეს ვახსენებდე. ეგ დიდი ხნით ადრე იყო, მაშინ ავად ვიყავი. შეიძლება არანაირი მოახლე არც ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. მოლოი, ანუ ცხოვრება მოახლის გარეშე. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ ლუსთან შეხვედრა და მასთან ერთგვარი სიახლოვე მაინცდამაინც მის სქესს არ უკავშირდებოდა. ამიტომაც, შეგნებულად მინდა, მასზე კვლავაც ისე ვიფიქრო, როგორც ერთ მოხუც, დაქვრივებულ, მომჭკნარ ქალზე, ხოლო რუთზე – როგორც კიდევ ერთ ქალზე;

ისიც ხომ ხშირად ახსენებდა გარდაცვლილ ქმარს და მის უუნარობას, მეუღლის კანონიერი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა. გამოერევა ხოლმე დღეები, როგორც, მაგალითად, აი, ეს საღამო, როცა ჩემი მახსოვრობა ორივეს ერთმანეთში ურევს და ცდუნების წინაშე მაყენებს, ისე გავიხსენო, როგორც ერთი და იგივე ბებრუხანა, ცხოვრებით ნაცემ-ნაგვემი და ჭკუიდან გადასული. ღმერთო, შეგცოდე ამ საზარელი სიმართლის თქმისთვის: ზოგჯერ მათ სახებას დედაჩემისაც შეერევა ხოლმე, რაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ისეთი გაუსაძლისია, თითქოს ჯვარზე გაკრავენო. არ ვიცი, რატომ, და არც მინდა ვიცოდე. მოკლედ, ბოლოს და ბოლოს, ერთ თბილ, ჩახუთულ ღამით ლუსიც მივატოვე, გამოუმშვიდობებლად, რაც, წესით, არ უნდა მექნა. არც იმის საშუალება მიმიცია, აზრი შეეცვლევინებინა ჩემთვის, თუნდაც შელოცვებით. არადა, ალბათ დაინახა, როგორ წამოვდექი, ყავარჯნები დავიიღლიავე და ხტუნვა-ხტუნვით გამოვეცალე იქაურობას. ალბათ დაინახა, როგორ გამოვიკეტე კუტიკარი, უფრო სწორად, ჩემ უკან თავისით რომ მიიხურა ზამბარის წყალობით, და იმასაც მიხვდა, სამუდამოდ რომ წამოვედი. ადრე ბევრჯერ ენახა, როგორ მივდიოდი ამ კუტიკართან, გარეთ გავიჭვრიტებოდი და მერე სასწრაფოდ უკანვე ვბრუნდებოდი. არ უცდია, შევეჩერებინე, დავებრუნებინე. თავისი ძაღლის საფლავთან თუ ჩამოჯდა, გარკვეულწილად, ჩემი საფლავის მაგიერთან, რომელზეც, სხვათა შორის, მართლა ბალახი კი არ დაერგო, როგორც ეს ადრე მეგონა, არამედ ათასნაირი პაწია, ჭრელ-ჭრელი ყვავილები, მე მგონი, საგანგებოდ იმნაირად შერჩეული, ზოგი რომ ჭკნობას იწყებდა, სხვები სწორედ ამ დროს იწყებდნენ ყვავილობას. ველოსიპედი დავუტოვე, გული მქონდა მასზე

აცრუებული და ვეჭვობდი კიდეც, რაღაც ბოროტი ძალის გამტარად იქცა და ეგებ ჩემი ბოლოდროინდელი უიღბლობების მიზეზიც ეგაა-მეთქი. ამის მიუხედავად, მაინც გავაყოლებდი ხელს, რომ მცოდნოდა, სად მეძებნა, ან გამართულად თუ იმუშავებდა. ეს კი არ ვიცოდი. თან მეშინოდა, გარკვევას თუ შევეცდებოდი, ჩუმი ხმა მაშინვე შეწყვეტდა ჩურჩულს: გაეცალე, აქაურობას გაეცალე, მოლოი, აიღე შენი ყავარჯნები და წადიო. კარგა დრო დამჭირდა ამ მისი სიტყვების გასარჩევად, დიდხანს ჩამესმოდა ყურში უაზროდ, მაგრამ იქნება და სულაც სხვა რამეს მეუბნებოდა? გაგებით მაინც ხომ გავუგე რაღაც და ეს უკვე სიახლე გახლდათ. იმასაც ვფიქრობდი, ეგებ სამუდამოდ არც მივდივარ და ერთ მშვენიერ დღეს უკან დავბრუნდე, შემოვლითი გზებით ისევ მოვადგე ამ ადგილს, ახლა რომ ასე გულცივად ვტოვებ, და ვინ იცის, იქნება და ჩემი სავალი ჯერ ბოლომდე არცაა გავლილი-მეთქი. გზაზე ქარი უბერავდა. ეს უკვე სულ სხვა სამყარო იყო და რაკი არ ვიცოდი, სად ვიმყოფებოდი, ხოლო აქედან გამომდინარე, არც ის ვიცოდი, რა გზას უნდა დავდგომოდი, მას მივყევი. როცა ყავარჯნები კარგად მოვირგე და დავიძარი, მივხვდი, თუ როგორ მეხმარებოდა ეს, ღმერთმა უწყის, საიდან მონაბერი სუსტი ზურგის ქარი. ახლა ვარსკვლავებზე ლაპარაკი არ დამიწყოთ – ჩემთვის ყველა მუდამ ერთნაირად გამოიყურება. კი, ასეა. ვარსკვლავებით გზის გაგნება არ შემიძლია, ასტრონომიაში მთელი ჩემი განსწავლულობის მიუხედავად. პირველსავე ფარდულს შევაფარე თავი და გათენებამდე იქ დავრჩი, რადგან ვიცოდი, უთუოდ პირველივე პოლიციელი შემაჩერებდა და მკითხავდა, აქ რას აკეთებო. ამ კითხვაზე, მოგეხსენებათ, სწორი პასუხის გაცემას ვერასოდეს ვახერხებდი. ოღონდ ფარდული

ნამდვილი თავშესაფარი ვერ იქნებოდა და არც გათენებამდე დავრჩენილვარ იქ, რადგან კვალდაკვალ მომყვა ვიღაც კაცი და იქიდან გამომაბუნძულა. არადა, ორი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა შიგ. მე მგონი, დარაჯის მაგვარი ვინმე უნდა ყოფილიყო. ეტყობა, ვიღაცამ დაიქირავა რაღაც საგზაო სამუშაოების სამეთვალყურეოდ. მე მგონი, თხრიდნენ რაღაცას. იქვე მაყალი იდგა. როგორც იტყვიან ხოლმე, ჰაერში შემოდგომის სუნი ტრიალებდა. მოკლედ, იქაურობას გამოვერიდე და მალე ერთი მომცრო საცხოვრებელი სახლის კიბის ქვეშ შევიყუჟე. სადარბაზოს ან კარი არ ჰქონდა, ან არ იკეტებოდა – არ ვიცი. გათენებამდე დიდი ხნით ადრე, სახლი ნელ-ნელა იცლებოდა მობინადრეებისაგან. კიბეზე ხალხი ჩამოდიოდა, კაცებიც და ქალებიც. კედელს ავეკარი. ყურადღება არავის მოუქცევია, სიტყვაც არ დასცდენია ვინმეს. ბოლოს მეც გარეთ გამოვედი, როცა ეს გონივრულად მივიჩნიე. ქალაქში ბორიალს მოვყევი, ნაცნობი ძეგლის მოსაძებნად, რათა მეთქვა, ბოლოს და ბოლოს, ჩემს ქალაქში ვარ, სულ აქ არ ვიყავი-მეთქი? ქალაქი იღვიძებდა, იღებოდა და იკეტებოდა კარები. მალე ეს ხმა სულაც გამაყრუებელი გახდებოდა. ორ მაღალ შენობას შორის ვიწრო გასასვლელი შევნიშნე. აქეთ-იქით მიმოვიხედე და იქ ვდურთე თავი. ამ გასასვლელში, ორივე მხრიდან, ყველა სართულზე პატარ-პატარა, ერთმანეთს მიჩერებული ფანჯრები გამოდიოდა. ალბათ, საპირფარეშოებისა იყო. ყველაფრის მიუხედავად, ხანდახან რაღაც ისეთს გადააწყდები, აქსიომის დამაჯერებლობის ძალას რომ გაგრძნობინებს, შენთვის უცნობი მიზეზების გამო. გასასვლელს მეორე ბოლო არ ჰქონდა, ანუ ჩიხი გამოდგა. ჩიხის ბოლოს კი აქეთ-იქით ორი შელრმავებული ნიშა დაეტოვებინათ კედლებში, ახლა ათასნაირი

ნაგვითა და განავლით გამოტენილი. ეტყობა, ძაღლებისა და იმათი პატრონების განავლითაც. ზოგი უკვე გამომშრალიყო და სუნიც გაჰქრობოდა, ზოგს ჯერაც ასდიოდა ოხშივარი. კიდევ უამრავი გაზეთი იყო, რომლებსაც ველარავინ წაიკითხავდა ხელახლა, ეგებ არც აქამდე წაეკითხა ვინმეს. აქ, ალბათ, ღამღამობით, შეყვარებულები წვებოდნენ და ერთმანეთს ეფიცებოდნენ. ერთ-ერთ ნიშაში შევაბიჯე – ისე, ნიშა მაინცდამაინც სწორი სიტყვა არაა – და კედელს მივეყუდე. მერჩია, სულაც დავწოლილიყავი და ვინ იტყოდა, ასე რომ არ მოვიქცეოდი. ოღონდ იმწუთას იმითღა დავკმაყოფილდი, რომ კედელს მივეყრდენი, თან ფეხები წინ წავდგი და კინაღამ ჩამოვცურდი კიდეც, მაგრამ სხვა საყრდენებიც ხომ მქონდა – ჩემი ყავარჯნები. რამდენიმე წუთში მაინც გადავედი მეორე მხარეს და მოპირდაპირე ნეფში შევაბიჯე – მე მგონი, ესაა სწორი სიტყვა – სადაც ვიგრძენი, რომ შეიძლებოდა უკეთ მეგრძნო თავი და კვლავ იგივენაირად მივეყრდენი კედელს. მართლაც, თავიდან ნამდვილად ვიგრძენი მცირეოდენი უკეთესობა, ოღონდ მალევე გამიჩნდა ის აზრი, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე. წამოჟინჟღლა. ქუდი მოვიხადე და კეფა გავიგრილე. თავის ქალა ერთიანად დაჩეხილ-დაღარული მქონდა, თითქოს ცეცხლი უკიდიაო, ისე მიხურდა. კიდევ იმიტომაც მოვიხადე, კედელზე აყუდებულს, ქუდი კისერში რომ მაწვებოდა. მოკლედ, ორი საფუძვლიანი მიზეზი მქონდა საამისოდ, რაც არც ისე ცოტაა, თუმცა ერთიც ხომ საკმარისი იქნებოდა. დაუდევრად, ღონივრად მოვისროლე და ისიც უკან დამიბრუნდა, ზონარს გამობმული. რამდენჯერმე გავიმეორე იგივე, სანამ ბოლოს ფეხებთან არ დაეცა. მერე დავფიქრდი, ანუ უფრო გულმოდგინედ მივაყურადე ხმას. ძალიან მცირე ალბათობა ჩანდა, აქ

ვინმეს ვეპოვე. შემეძლო იმდენ ხანს შემენარჩუნებინა სულიერი სიმშვიდე, ვიდრე ეს სიმშვიდე თავს არ მომაბეზრებდა. წამით იმაზეც დავფიქრდი, აქ ხომ არ დავბინავდე, აქაურობა ჩემს სავანედ და ბუნაგად ხომ არ ვაქციო-მეთქი. ერთი წამით. ის ჩემი ხილის სათლელი დანა ამოვიღე ჯიბიდან, მაჯაზე დავისვი. მაგრამ ტკივილმა უცებვე მაჯობა – ჯერ შევყვირე, მერე ფარ-ხმალი დავყარე, დანა დავკეცე და ისევ ჯიბეში ჩავიჩარე. მართალი გითხრათ, იმედგაცრუებული არ დავრჩენილვარ. გულისგულში უკეთესს არაფერს ვიმედოვნებდი. ამაზე მოვრჩეთ. აი, ზურგით კედელზე ჩაცურება ერთთავად მთრგუნავდა, მაგრამ ეტყობა, ცხოვრება ასეთი ცურებ-ცურებებისაგან შედგება და სიკვდილიც, თავისთავად, რაღაც მსგავსი უნდა იყოს, რაც სრულებითაც არ გამიკვირდებოდა. გითხარით, ქარი ჩადგა-მეთქი? წვრილად ცრიდა, რაც ერთბაშად გამორიცხავდა ქარზე ფიქრს. უშველებელი მუხლები მაქვს, უნდა გითხრათ, და ახლა მოვკარი თვალი, როცა წამით წამოვიმართე. ორივე ფეხი ისეთივე უდრეკია, როგორც სასამართლოს განაჩენი, მაგრამ ზოგჯერ მაინც წამოვდგები ხოლმე. აბა, რა გგონიათ – ასე და ამგვარად, დროდადრო მაინც, ჩემს ამჟამინდელ არსებობას ვიხსენებ, რასთან შედარებითაც ეს ყველაფერი საბავშვო ზღაპარია. ოღონდ მხოლოდ დროდადრო, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდეს ითქვას, ეს არსება ჯერაც ცოცხალიაო. ანდა ასე: ეს მხოლოდ დღიურია და მალე დაესმება თხრობას წერტილიო. ის, რომ დიდი მუხლები მაქვს, ის, რომ ჯერაც შემიძლია ხანდახან წამოვდგე, ერთი შეხედვით, არაფერს განსაკუთრებულს არ ნიშნავს, და მაინც, უფრო ხალისით ვიწერ ამას. როგორც იქნა, იქიდანაც წამოვედი, სადაც სანახევროდ ფეხზე მდგომს და სანახევროდ მწოლი-

არეს, თავისუფლად შეიძლება ცოტა ხანი მძინებოდა კიდეც – ჩემი ხანმოკლე, დილის ძილით; და მერე, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მზისკენ დავაღირე თავი. რატომაც არა, ქარი ხომ აღარ უბერავდა. უფრო სწორად, ზეცის ყველაზე ნაკლებად ჩაჟამებული ნაწილისაკენ, რომელიც შუბისტარიდან დასალიერამდე ვეება ღრუბელს დაეფარა. სწორედ ამ ღრუბლიდან იწრიტებოდა უკვე ნახსენები წვიმაც. ხედავთ, როგორაა ყველაფერი ერთმანეთზე გადაბმული? ჩვენში დარჩეს, იოლი საქმე არ გამოდგა იმის გადაწყვეტა, ცარგვალის რომელი ნაწილი იყო ყველაზე ნაკლებ ჩაჟამებული. ეგ იმიტომ, ერთი შეხედვით, მთელი ზეცა ერთნაირად მოქუფრულიყო. მაგრამ პატარ-პატარა ტკივილების ფასად (ცხოვრებაში ისეთი წუთებიც მიდგება ხოლმე, როცა პატარ-პატარა ტკივილებს განვიცდი) შედეგს მაინც მივაღწიე, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, გადაწყვეტილება მივიღე. მოკლედ, შემეძლო გზა გამეგრძელებინა და საკუთარი თავისთვის მეთქვა, მზისკენ მივემართები, ანუ თეორიულად, აღმოსავლეთისკენ, ან შეიძლება სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაც კი-მეთქი. უკვე ლუსთან აღარა ვარ, კვლავ დავუბრუნდი წინდაწინ განპირობებული იმ ჰარმონიის გულისგულს, რაც მუსიკას ტკბილხმოვნად აქცევს; სადაც ტკბილხმოვანი მუსიკა ჟღერს იმისთვის, ვისთვისაც ამ მუსიკის მოსასმენად ყური მოუმადლებია ღმერთს. ხალხი აქეთ-იქით მიიჩქაროდა, მეტწილად – გაღიზიანებული. ზოგი ქოლგას შეფარებოდა, სხვებს, ალბათ, ნაკლებად გამძლე საწვიმრები მოესხათ. ძალზე ცოტანი ეფარებოდნენ ხეებსა და თაღებს. ისინი კი, უფრო თამამნი თუ ნაკლებად ფრთხილნი, აქეთ-იქით რომ მიმოდიოდნენ, და ისინიც, ვინც დასველებას ერიდებოდნენ და რაღაცის ქვეშ გაჩერებულიყვნენ, ალბათ ამბობდნენ,

სხვები უფრო ჭკვიანები გამოდგნენ ჩემთან შედარებითო. სხვებში, მე მგონი, განსხვავებული გადაწყვეტილებების მიმღებებს გულისხმობდნენ. ბევრი, ალბათ, იმასაც ამბობდა, რა ჭკვიანურად მოვიქეცით, ესენი რაღამ გააგიჟაო, და თან იმ ავდართან ბრძოლას აგრძელებდნენ, რომელმაც ამგვარი გამჭრიახობის გამოვლენის საშუალება მისცათ. მაგრამ როცა ვიწრო კარის ჭრილში მარტოდმარტო მდგომ, აცახცახებულ, გასაცოდავებულ, გაურკვეველი ასაკის კაცს ვკიდე თვალი, უცებ გამახსენდა, რა გადაწყვეტილება მივიღე ლუსთან და მის ძაღლთან შეხვედრის დღეს, რის განხორციელებაშიც სწორედ ამ შეხვედრამ შემიშალა ხელი. ამიტომაც მივედი და გვერდით ამოვუდექი, მასავით დაიმედებული, ვინც თავისთვის ამბობს, აი, ჭკვიანი კაცი, მოდი, მეც მის მაგალითს მივბაძავო. მაგრამ სანამ ჩემს მოკლე სიტყვას წამოვიწყებდი, რაც მინდოდა, უნებური, წინდაწინ მოუმზადებელი გამოჩენილიყო, იმან ისევ წვიმაში გააბიჯა და იქაურობას გაეცალა. ვინაიდან ამ ჩემს მიმართვას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, შეურაცხყოფის მიყენება თუ არა, გაკვირვება ნამდვილად შეეძლო, ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი მისი წარმოთქმა სწორად შერჩეულ დროს და სწორი ინტონაციით. ბოდიშს გიხდით ამ წვრილმანებისთვის – მალე უფრო აჩქარდება თხრობა, ბევრად უფრო, და მაშინ ისევ მოგვიწევს ბინძურ ვითარებათა ჭაობში ჩაფლობა, მაგრამ, თავის მხრივ, აქაც გამოჩნდება დიდრონი ფრესკები, სახელდახელოდ, ნაჩქარევად მიხატულ-მოხატული. მიმხვედრი კაცი ვერ ისვენებს და თავადვე ავსებს სიცარიელეს. და, აი, უკვე მარტო ვდგავარ იმ კარის ჭრილში. ასე შეიძლებოდა იმედი მქონოდა, ვინმე მოვა და გვერდში დამიდგებამეთქი – ამ ალბათობასაც არ გამოვრიცხავდი. მშვენიერი

კარიკატურაა იმისა, თუ რაგვარი იყო ჩემი ფიქრთა მდინარება იმწამს. საბოლოო ჯამში, იქ დავრჩი, სადაც ვიყავი. ლუსს ცოტაოდენი ვერცხლეული მოვპარე – არა, ბევრი არაფერი, მეტწილად, ძველებური, მძიმე ჩაის კოვზები და კიდე რაღაც პატარ-პატარა საგნები, რომელთა დანიშნულებას ვერც კი მივხვდი, მაგრამ ვიფიქრე, რაღაც ღირებულება მაინც ხომ ექნებათ-მეთქი. იყო ამათ შორის ერთი, რომელიც დროდადრო ახლაც მახსენდება ხოლმე. ორი ჯვრისაგან შედგებოდა, რომლებიც გადაკვეთის წერტილში ერთმანეთზე მაგრდებოდა თხელი ფირფიტით; პაწია სახერხ ხარიხას წააგავდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნამდვილი ხარიხის გადაჯვარედინებული ნაწილები მთლად ჯვრები კი არაა, არამედ წვერწაკვეთილები, მაშინ, როცა ამ პატარა საგნის ჯვრები სრულყოფილი გახლდათ, ანუ თითოეული მათგანი ორი სრულიად ერთნაირი რომაული ხუთიანისგან შედგებოდა. ერთი, ზედა, ზემოთკენ იყო თავგახსნილი, როგორც ყველა ასეთი ხუთიანი, ხოლო მეორე, ქვედა, ქვემოთ იხსნებოდა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ოთხი სრულიად ერთნაირი რომაული ხუთიანი იყო – ორი ეს-ესაა ვახსენე და კიდევ ორი – ერთი მარჯვნივ და მეორეც მარცხნივ; შესაბამისად, მარჯვენა და მარცხენა მხარე თავგახსნილი გახლდათ. მაგრამ ალბათ აქ სრულიად უადგილოა მარჯვენა-მარცხენასა და ზემო-ქვემოზე საუბარი, რადგან ამ პატარა საგანს, ეტყობა, ფუძე არც ჰქონდა და ერთნაირად მყარად იდგა ოთხიდან ერთ-ერთ საყრდენზე, გარეგნულად კი არანაირი ცვლილება არ ეტყობოდა, რასაც ნამდვილ ხარიხაზე ვერაფრით ვიტყვი. ეს უცნაური ხელსაწყო, ვგონებ, ჯერაც სადღაც უნდა მქონდეს შეჩურთული, რაკი ვერაფრით გავიმეტე გასაყიდად, უკიდურესი გაჭირვების დროსაც კი. ვერ

მივხვდი, რა მიზანს ემსახურებოდა და მიახლოებითაც კი ვერაფერი ვივარაუდე მასთან დაკავშირებით. დროდადრო ჯიბიდან ამოვიღებდი და დავაცქერდებოდი ხოლმე, გაოცებული და ნაზი მზერით, თითქოსდა სინაზის კიდევ მეცხორამე. გარკვეული დროის მანძილზე, მგონი, რაღაც მოწიწების მსგავსსაც კი მიჩენდა, რადგან წამითაც არ დავეჭვებულვარ, რომ ამ საგანს ჩემთვის სამუდამოდ ამოუხსნელი, უაღრესად საგანგებო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამიტომ ყოველგვარი ხიფათისაგან დაცულს, შემეძლო უსასრულოდ მეფიქრა მასზე, რადგან არაფრის ცოდნა არაფერია, არაფრის ცოდნის არნდომაც ეს არის, მაგრამ თუ საშუალება არა გაქვს, რამე გაიგო, თუ იცი, რომ გაგებას ვერასოდეს მოახერხებ, ეს იგივე სულის სიმშვიდესთან ზიარებაა – იმგვარი მადლი, რაც ცნობისწადილმოკლებულ მაძიებელს მიენიჭება. აი, სწორედ მაშინ იწყება ჭეშმარიტი გაყოფა, ვთქვათ, ოცდაორისა შვიდზე, და ბოლო-ბოლო, ფურცლები ნაღდი ციფრებით ივსება. ოღონდ სჯობს, ამასთან დაკავშირებით არაფრის მტკიცებას არ მოვყვეთ. უეჭველი კი ის მგონია, რომ აშკარას, უფრო სწორად, ძალზე სავარაუდოს გავლენით, კარის ჩარჩო თავშესაფრად რომ დავიგულე, გამკვრივებულ ჰაერში წინ და უკან ნელა-ნელა რწევაც გავბედე. მერე კი საერთოდ გამოვეცალე იქაურობას. არის, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს რაღაც ნეტარება ყავარჯნებით სიარულში: პატარ-პატარა გადაფრენების, მიწაზე ფეხდაუდგმელად გადანაცვლების ხიბლი. აფრინდები და მერე ძირს დაეშვები სრულუფლებიან გამვლელთა შორის, რომელთაც ტერფის მიწისთვის მოშორება ვერ გაუბედავთ, ვიდრე მეორეს არ მიუჭედებენ გვერდით. ჩემი ეს ჩლახუნი ნებისმიერ მათ ჩქარ სიარულზე უფრო ჰაეროვანია. თუმცა

ეს მხოლოდ მსჯელობაა, რასაც საფუძვლად განსჯა უდევს. მართალია, ჩემი გონება ჯერაც დედაზე ფიქრით და იმ სურვილით იყო სავსე, როგორმე გამეგო, კიდევ შორი გზა დამრჩენოდა თუ არა მასთან მისასვლელად, იგი ნელ-ნელა მაინც მითავისუფლდებოდა. შეიძლება ჯიბეებში ჩაყრილი ვერცხლეულის წყალობით, მაგრამ მაინც არა მგონია. ალბათ იმიტომ, რომ დედაზე ფიქრი დიდი ხანია მდევდა, გონებას კი არ შეუძლია მუდამ ერთი და იმავეთი იყოს შეპყრობილი – დროდადრო ახალი საზრუნავი სჭირდება, რათა კარგა ხნის გარდასულ საზრუნავებს მერე ახალი გზნებით დაუბრუნდეს. მაგრამ რამდენად დასაშვებია, დედაზე ზრუნვას ძველი ან ახალი უწოდო? მე მგონი, არ ივარგებს, თუმცა ამის დამტკიცება კი გამიჭირდებოდა. ერთადერთი, რაც შემიძლია თამამად ვამტკიცო, ისაა, რომ სულ უფრო ნაკლებად მანაღვლებდა, რომელ ქალაქში ვიმყოფებოდი, მალე ვნახავდი თუ არა დედას და რამდენად მოვახერხებდი ჩვენი საქმის მოგვარებას. ამ საქმის არსიც ჩემთვის უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდებოდა, მაგრამ მთლიანად მაინც არ იბურებოდა. ეგ იმიტომ, საქმე სახუმარო არ გახლდათ, და მეც იმთავითვე გულდასმით მოვეკიდე. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ვუბრუნდებოდი ხოლმე, ასე მგონია. ცხადია, იმდენად, რამდენადაც საერთოდ შემეძლო რაიმე საქმეს მივყოლოდი. გულით მინდოდა მომეგვარებინა ეს ამბავი ჩემსა და დედაჩემს შორის, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ მივაღწიე. როცა საკუთარ თავს ვეუბნებოდი, დრო გადის, მალე გვიან იქნება-მეთქი, და შეიძლება უკვე გვიანიც იყო იმ საქმის მოგვარება, რაზეც ახლა ვსაუბრობ, ვგრძნობდი, როგორ მექაჩებოდა ათასი სხვა საზრუნავი, როგორ მითრევდნენ აჩრდილები... ამიტომ, ახლა ქალაქის სახელის გაგებას

კი არ ვჩქარობდი, არამედ იქიდან წამოსვლას; გინდაც ჩემი მშობლიური ქალაქი ყოფილიყო და მასში დიდხანს, ეგებ სულაც დღემდე ეცხოვრა დედაჩემს. ასე მეჩვენებოდა, თუკი სწორ ხაზზე ვივლიდი, ადრე თუ გვიან მაინც მოვშორდებოდი იქაურობას. ამიტომ მთელი მონდომებით გავეშურე წინ, თუმცა დედამიწის წრებრუნვისთვის ხელი არ შემიშლია, ოდნავ მარჯვნივ გადავენაცვლებინე იმ სუსტი შუქისაგან, რომლისკენაც ახლა მეჭირა გეზი. ჩემმა სიჯიუტემ გაამართლა – უკვე ღამდებოდა, როცა ქალაქის გალავანს მივაღწიე, მანამდე კი ლამის წრის მეოთხედიც შემომეხაზა. ნავიგაცია არასოდეს მისწავლია. არ დაგიმალავთ, დასასვენებლად ხშირად ვჩერდებოდი, ოღონდ მცირე ხნით. ვგრძნობდი, უნდა მეჩქარა, უნდა წავსულიყავი, ეგებ მცდარი გზითაც კი. მაგრამ სოფლურ არემარეს თავისი კანონები აქვს და თავისივე მსაჯულები ჰყავს. როცა ქალაქის გალავნის ნანგრევებს გამოვცდი, იძულებული გავხდი, მეღიარებინა, რომ ცა მოიწმინდა, სანამ სხვა, ახლა უკვე ღამის საბურველი დაფარავდა. კი, უშველებელი ღრუბელი გაირღვა და ნაჭერ-ნაჭერ გამოაჩინა ცა – უფერული, მომაკვდავი. მზის დისკო უკვე თვალს მიფარებოდა, ზენიტისკენ სწრაფად ატყორცნილი, მერე დაქანებული და ისევ სიმაღლეს შეჭიდებული, თუმცა თავს ცეცხლის მომაკვდავი ენებით გვახსენებდა, ზეცაზე უფრო უსიცოცხლო და უფერული; და სანამ აელვარებას მოასწრებდა, უკვე ჩასაქრობად იყო განწირული. თუ სწორად მახსოვს, მსგავსი მოვლენა ოდესღაც ჩემი მხარისთვისაც იყო დამახასიათებელი. დღეს შეიძლება იქაურობას უკვე სხვა მახასიათებლები გამოარჩევს. მაინც ვერ ვხვდები, ჩემი თვალების პატრონს, ვისაც არასოდეს მიმიტოვებია ის ჩემი მხარე, რანაირად შემიძლია მის მახასი-

ათებლებზე მსჯელობა? დიახ, დიახ, ვერც ვერასოდეს მოვახერხე იქაურობის მიტოვება და მის საზღვრებზე მიახლოებითი წარმოდგენაც არასოდეს მქონია. თუმცა ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი ამ საზღვრების სიშორეში. არ ვიცი, რა მაძლევდა ამგვარი დარწმუნების მიზეზს – ეს, უბრალოდ, რწმენა იყო, რადგან თუკი ჩემი მხარე იქამდე არ დამთავრდებოდა, სადამდეც ფეხებს (და ყავარჯნებს) შეეძლოთ მივეყვანე, უთუოდ ვიგრძნობდი, რა ნელა იცვლიდა იერს. რამდენადაც ვიცი, არც ერთი მხარე არ მთავრდება უცებ, თანდათან გადადის რომელიღაც სხვაში. ოღონდ მე მსგავსიც არაფერი შემიმჩნევია, რა მიმართულებითაც არ უნდა წავსულიყავი – თავს ზემოთ იგივე ზეცა, ფეხქვეშ იგივე მიწა და ასე, ყოველდღე, ყოველ ღამით. მეორე მხრივ, თუკი ერთი მხარე თანდათანობით მართლა გადადის მეორეში, რაც ჯერაც დასამტკიცებელია, მაშინ სავსებით დასაშვებია, ჩემი მხარე არაერთხელ დამეტოვებინოს და თან მეფიქროს, ჯერ კიდევ მის ფარგლებში ვრჩები-მეთქი. მაგრამ მაინც ვამჯობინე, ჩემს განცდას და შინაგან ხმას მივნდობოდი, რომელიც მეუბნებოდა: მოლოი, შენი მხარე ვრცელზე ვრცელია, არასოდეს მიგიტოვებია და არც არასოდეს მიატოვებო. სადაც არ უნდა იხეტიალო, თუნდაც მის შორეულ საზღვრებთან, ყველაფერი ზუსტად ისეთივე დარჩებაო. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ჩემს გადაადგილებებს არაფერი ესაქმებათ გადაადგილებისდა მიხედვით გამქრალ ადგილებთან; ისინი რაღაც სხვას უნდა უკავშირდებოდნენ, მაგალითად, მონჯღრეულ ბორბალს, რომელიც მოკლე-მოკლე, აცაბაცა, წინდაწინ გამოუცნობი ბიძგებით მიმაგორებდა დაღლილობიდან მოსვენებისაკენ და პირუკუ. მაგრამ ახლა ხომ უკვე აღარ დავეხეტები საერთოდ არსად. ეგ კი არა, საერთოდ ძლივს

ვინძრევი და მაინც არაფერი შეცვლილა. ჩემი ოთახის, ჩემი საწოლის, ჩემი სხეულის საზღვრებიც ისევე შორსაა ჩემგან, როგორც – ჩემი მხარის საზღვრები უწინდელი ხეტიალისას. და კვლავ მეორდება ერთი და იგივე, შემარყეველ მონაცვლეობათა რიგი: გაქცევა, დასვენება, გაქცევა, დასვენება – უსასრულო ეგვიპტეში, სადაც აღარც დედაა და აღარც ყრმა. როცა საკუთარ ხელებს ვხედავ იმ ზეწარზე, რომლის ჭმუჭნაც ასე სიგიჟემდე უყვართ, ისინი მე არ მეკუთვნიან – ახლა უფრო ნაკლებად, ვიდრე ოდესმე. ხელები არა მაქვს, არის, უბრალოდ, რაღაც უცხო წყვილი, რომელიც სასიყვარულო თამაშის მაგვარ თამაშს ეთამაშება ზეწარს და მეჩვენება, თითქოს ერთ-ერთი ძალიან ცდილობს, ზემოდან მოექცეს მეორეს. ოღონდ ეს თამაში დიდხანს არ გრძელდება, ნელ-ნელა ვახერხებ, ხელები დავიბრუნო – უკვე დასვენების დრო მოვიდა. ფეხებსაც იგივე ემართებათ ხანდახან, როცა საწოლის ბოლოში დავინახავ ხოლმე. ერთს – თითებიანს, მეორეს კი – უთითებოს. ისე, ეს ჩემი ფეხები მეტ ყურადღებას იმსახურებენ, რადგან ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ ხელების მსგავსნი, ახლა სრულიად უძრავნი და გარუმბულნი გამხდარან და მე წამითაც არ შემიძლია დავივიწყო, როგორც ხანდახან მეტ-ნაკლებად საღსალამათ ხელებს ვივიწყებ ხოლმე. და მაინც, ფეხებსაც ვივიწყებ და უბრალოდ, ხან ერთს მივაჩერდები, ხან მეორეს. ისინი კი ამ დროს სადღაც, ძალიან შორს ერთმანეთს შესცქერიან. ოღონდ ჩემი ფეხები მაინც არაა ჩემივე ხელები და მე მათ უკან ვეღარ დავიბრუნებ, როცა კვლავ ფეხებად იქცევიან. ამიტომ ასე რჩებიან იქ, შორს, თუმცა ახლა უკვე ოდნავ ახლოს, ვიდრე ადრე. მოგონებების დასასრული. ეგებ ფიქრობთ, ქალაქის ფარგლებს გამოცდენილმა უკან რომ მივიხედე იმის დასანახად,

რაც ჯერ კიდევ ჩანდა, მოვახერხე და გავარკვიე, ბოლო-ბოლო, იყო თუ არა ეს ჩემი მშობლიური ქალაქი? არა, სულ ტყუილად გავცქეროდი, ეტყობა. თან არც ცნობისმოყვარეობის გამო – უბრალოდ, შევტრიალდი, ბედს თუ მოვუწყვე გამოცდა. სავარაუდოდ, მხოლოდ თავს ვაჩვენებდი ისე, ვითომ ვუცქერდი. ველოსიპედის უქონლობას თითქმის ვერ ვგრძნობდი, გეფიცებით, რადგან მზად ვიყავი, ისე გამეგრძელებინა ჩემი გზა, როგორც უკვე აღვწერე – თანაბარ-თანაბარი რწევით, ნარნარი ფრენით ბინდბუნდში, უკაცრიელი სოფლური გზების თავზე. ადრეც ვთქვი, რა მცირე იყო ალბათობა გზაში ჩემი შეშინების – უფრო იქით შეეშინდებოდა ნებისმიერს, ვინც კი უნებურად მკიდებდა თვალს. დილა მიმალვის დროა. დილაობით მხნე და მხიარული ხალხი იღვიძებს, რომლებიც მოითხოვენ კანონის დაცვას, მშვენიერებით აღტაცებასა და სამართლიანობის დამყარებას დედამიწაზე. დიახ, დილის რვა-ათი საათიდან შუადღემდე ყველაზე სახიფათო დროა, თუმცა სადღაც ნაშუადღევისკენ უკვე ერთგვარი სიმშვიდე ისადგურებს. ყველაზე შეურიგებლები დანაყრებას ასწრებენ და თავ-თავიანთ სახლებს მიაშურებენ. მართალია, სრულყოფილებამდე ჯერაც შორია, მაგრამ მაინც ხომ სანაქებოდ გაისარჯნენ. არიან გადარჩენილებიც, მაგრამ ისინი უხიფათო ხალხია. დროა, ნადავლი დაითვალოს. დღისით კი ყველაფერი თავიდან იწყება – ნადიმების, საზეიმო ღვთისმსახურების, ზეიმ-მილოცვებისა და საჯარო გამოსვლების მერე. დილის გარჯასთან შედარებით, ეს უკვე არაფერია – ნამდვილი გასართობი. ასე, ოთხი-ხუთი საათისთვის, ცხადია, საღამოს ცვლა გამოდის ასპარეზზე, მუშაობა ხელახლა იწყება, მაგრამ დღე უკვე ილევა, ჩრდილები გრძელდებიან, კედლები მაღლდებიან, შენც ზედ ეკრობი,

წინდახედულად მოკუნტული, მონური მორჩილების გამოხატულებად ქცეული. დასამალი არაფერი გაქვს, მაგრამ უბრალო შიშის გამო იმალები, არც მარჯვნივ იყურები, არც მარცხნივ, თვალშისაცემადაც არ ცდილობ, მიიმალო. მუდამ მზად ხარ, ისევ გამოხვიდე სამზეოზე, გაიღიმო, ყური დაუგდო, მიხოხდე, ზიზღით განაწყო შენ მიმართ ყველა. ოღონდ ვირთხასავით მოსაკლავად კი არ გაგიმეტებენ, უბრალოდ, ცხვირს აიბზუებენ, როგორც გომბეშოს დანახვაზე. მერე კი უკვე ნამდვილი ღამეც მოდის, საშიში, მაგრამ თან საამურიც იმისთვის, ვინც იცნობს, ვინც მზადაა, საპასუხოდ მიეგებოს, როგორც ყვავილი ეგებება მზეს; იმისთვის, ვინც თავადაც ღამეა, დღისითაც და ღამითაც. არა, ღამის დასაცავად ბევრს ვერაფერს იტყვი, თუმცა – მაინც უფრო მეტს, ვიდრე დღის დასაცავად და შეუდარებლად მეტს – დილის დასაცავ სათქმელთან შედარებით. ღამეული წმენდები ხომ მეტწილად საქმის მცოდნე ხალხის ხელშია. სხვა არაფრით არიან დაკავებულნი. მოსახლეობის ძირითად ნაწილს ამასთან არანაირი შეხება არა აქვს და ამჯობინებს, ღამე საკუთარ ლოგინში გაატაროს. ლინჩის წესით გასამართლების ჟამი დღეა, რადგან ძილი წმინდათა წმინდაა, განსაკუთრებით დილაობით, საუზმესა და შუადღეს შორის. ამიტომ, რამდენიმე მილი რომ გავიარე ამ უკაცრიელ დილით, პირველ რიგში, იმაზე ვიზრუნე, დასაძინებლად რაიმე ბუნაგი მეპოვა. ძილიც ხომ თავდაცვის სახეობაა, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს – მართლაც, მძინარე მსხვერპლი მისი ხელში ჩაგდების სურვილს კი გვიღვივებს, მაგრამ მოკვლის, სისხლის დაღვრის ჟინს გვინელებს, რასაც ნებისმიერი მონადირე დაგიდასტურებთ. მოძრავი ან გაფაციცებით გაყურსული მხეცისათვის დანდობა არ იქნება, მაგრამ მძინა-

რეს თუ წაადექი თავს, ეგებ თბილი გრძნობებიც აღგიძრას, სასხლეტის გამოკვრისა თუ იარაღის ქარქაშში ჩაგების სურვილიც გაგიჩინოს. ეგ იმიტომ, სულის სიღრმეში მონადირე კეთილია და გულჩვილი. მისი თანაგრძნობით სავსე ბუნების გამოისობითა და სწორედ ტკბილი ძილის წყალობით, რაც ზაფრასა თუ ქანცის გაწყვეტას მოსდევს, ბევრი მტაცებელი, მართლა განადგურების ღირსი, მშვიდად ასრულებს არსებობას ზოოპარკის სამხეცეში და ძილსაც მხოლოდ ბავშვების უბოროტო სიცილი თუ მათი მშობლების შემწყნარებლური ღიმილი უკრთობს კვირაობითა თუ სადღესასწაულო დღეებში. რაც შემეხება მე, სიკვდილს ყოველთვის მონობა მერჩია – მოკვდინებას ვგულისხმობ. სიკვდილი ის მდგომარეობაა, რომლის დამაკმაყოფილებლად წარმოდგენა ვერა და ვერ მოვახერხე და ამიტომ არც შეიძლება შეტანილ იქნას კეთილისა და ბოროტის რეგისტრაციის ჩემეულ წიგნში. ამავდროულად, ჩემი წარმოდგენები მოკვდინებაზე სანდოობით გამოირჩეოდა – სულ ერთია, ჰქონდათ საფუძველი თუ არა. ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევებში, ვგრძნობდი კიდეც, უფლებამოსილი ვიყავი, მათი სახელით მემოქმედა. არა, ეს წარმოდგენები თქვენსას არ ჰგავდა, პირადად მე მგავდნენ და კრუნჩხვების, ოფლისა და ცახცახისაგან იყვნენ ნაქსოვი. მისხალი საღი აზრი თუ ცივსისხლიანობა არ მოიძებნებოდა მათში და ეს ძალიანაც მაძლევდა ხელს. გულწრფელად ვიტყვი, ჩემი ფიქრები სიკვდილზე იმდენად აბურდული გახლდათ, რომ ზოგჯერ მიფიქრია კიდეც, გავიხედე და სიკვდილი სიცოცხლეზე უარესიამეთქი! ამიტომაც მიმაჩნდა ბუნებრივად, არ დამეჩქარებინა სიკვდილი, ხოლო მაშინ, როცა იმდენად მებინდებოდა გონება, რომ შეიძლებოდა საპირისპირო მეცადა, დროზევე ვა-

ხერხებდი შეჩერებას. აი, ესაა ჩემი ერთადერთი გამართლება. მოკლედ, როგორც ჩანს, ვიღაცის სოროში შევძვერი და ლოდინი დავიწყე. ძილს გმინვა-ოხვრას ვუნაცვლებდი, ხან ამოვისლუკუნებდი ხოლმე, ხან ჩამეცინებოდა, ხან სხეულს მოვისინჯავდი – აბა, ერთი, რამე ხომ არ შესცვლია, სანამ დილის რიარია ამტყდარა-მეთქი. მერე კი გზას გავუდექი. რა მეწია და საით ვიარე მომდევნო თვეები თუ სულაც წლები, ამაზე არაფერს ვიტყვი, არა – მომბეზრდა მსგავსი მონაჩმახი და თან მაჩქარებენ კიდეც. თუმცა კიდევ რამდენიმე ფურცელი რომ შევავსო ამ აბდაუბდით, ვიტყვი, რომ გარკვეული დრო ზღვის პირას გავატარე განსაკუთრებული თავგადასავლების გარეშე. არიან ადამიანები, ვისაც ზღვა არ უხდებათ – ისინი მთებსა თუ დაბლობს ამჯობინებენ. აი, მე კი ზღვაზე სულაც არ ვგრძნობ თავს უარესად, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას. ცხოვრების მეტი წილი ხომ ისედაც ამ მოლივლივე სარკესთან მქონდა გატარებული, ხან ყალყზე შემდგარი და ხან უდრტვინველი ტალღების მუსიკით მონუსხულს, როცა სიმშვიდეს მოქცევის კლანჭებში ვპოულობდი. ამ სარკესთან – ქვიშაზე გართხმულს თუ სანაპიროზე, გამოქვაბულში შეყუჟულს. წამოწოლილი, ჩემს სტიქიაში ვიყავი, ქვიშას თითებს შორის ვატარებდი ნება-ნება, მოვბოჭავდი და მაშინვე შრიალით ვაპარებდი უკანვე, ან ეგებ თავადვე იბნეოდა, მე კი მაინც მუჭა-მუჭა ვაბნევდი ჰაერში და შიგაც ბევრჯერ ჩავმარხულვარ თავფეხიანად. იმ მყუდრო გამოქვაბულში, რომელსაც ღამღამობით შუქურების სინათლე ანათებდა, ვიცოდი, როგორ მეცხოვრა, რათა იქ უარესად არ მეგრძნო თავი, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას. სულაც არ მადარდებდა, იქით – ყოველ შემთხვევაში, ერთ მხარეს მაინც – ხმელეთი რომ არ არსებობდა. ნეტარება იყო

იმის გაცნობიერება, სულ ცოტა, ერთი მიმართულება მაინც არსებობს და თუ მას ავირჩევ, მომიწევს ჯერ დასველება და მერე დახრჩობა-მეთქი. მუდამ ამას ვუმეორებდი საკუთარ თავს: ჯერ სიარული ისწავლე, მოლოი, და მერე იარე ცურვის გაკვეთილებზე-მეთქი. ოღონდ არ გეგონოთ, ჩემი მხარე ზღვის ნაპირით თავდებოდეს – ეგ ძალზე დიდი შეცდომა მოგივათ: ზღვაც ჩემი მხარე იყო, თავისი კლდე-მეჩეჩებით, შორეული კუნძულებით, წყალქვეშა ღრმულებით. ერთხელ უნიჩბო კანჯოთი შევცურე, დამპალ ფიცარს ვუსვამდი, ერთ დროს ნაპირზე გამორიყულს. ხანდახან თავს ვეკითხები ხოლმე, ვითომ დავბრუნდი კი იმ მოგზაურობიდან? მშვენივრად მახსოვს ზღვის ზედაპირზე ჩემი გადაადგილება და თავთხელში დიდი ხნის შეუსვლელობა, თუმცა არ მაგონდება, როგორ დავბრუნდი; ვერც სანაპირო კლდეებთან აქაფებულ წყალს ვხედავ და არც კანჯოს მყიფე ფსკერის ქვიშაზე გახახუნების ხმა ჩამესმის. ზღვისპირას ყოფნით ვისარგებლე და საწუწნი კენჭების მარაგი შევივსე. კი, მნიშვნელოვანწილად. კენჭები თანაბრად გადავანაწილე ოთხივე ჯიბეში და რიგრიგობით ვწუწნიდი. თანმიმდევრობის საკითხი თავდაპირველად შემდეგნაირად მოვაგვარე: დავუშვათ, 16 კენჭი მქონდა – ოთხ-ოთხი თითოეულ ჯიბეში (შარვლის ორ და პალტოს ორ ჯიბეში); პალტოს მარჯვენა ჯიბიდან კენჭს ვიღებდი, პირში ვიდებდი, ხოლო პალტოს ამ მარჯვენა ჯიბეში გადმომქონდა კენჭი უკვე შარვლის მარჯვენა ჯიბიდან, სადაც ვიდებდი კენჭს შარვლის მარცხენა ჯიბიდან, რომელშიც პალტოს მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ კენჭს ვაბრუნებდი, ხოლო პალტოს ამ მარცხენა ჯიბეში ვიდებდი ეს-ესაა გამოწუწნულ კენჭს. ასე და ამგვარად, ოთხიდან თითოეულ ჯიბეში ოთხ-ოთხი კენჭი გროვდებოდა, ოღონდ უკვე არც

მთლად ისინი, რომლებიც მანამდე იყო. როცა კენჭის წუწნის ჟინი ხელახლა მომივლიდა, ისევ პალტოს მარჯვენა ჯიბეში ვიყოფდი ხელს, სრულიად დარწმუნებული, რომ ის კენჭი აღარ ამომყვებოდა, რომელიც წინა ჯერზე დავაგემოვნე. და ვიდრე იმ ერთს ვწუწნიდი, ამასობაში დანარჩენ კენჭებს უკვე აღწერილი თანმიმდევრობითა და გზით ვუცვლიდი ადგილს და ა.შ. და ა.შ. ოღონდ ეს გადაწყვეტილება ბოლომდე ვერ მაკმაყოფილებდა, რადგან არც იმაზე ვხუჭავდი თვალს, რომ განგების ოინბაზობით თავისუფლად შეიძლებოდა მუდამ ერთი და იმავე ოთხ ქვას ეტრიალა. ასეთ შემთხვევაში, თექვსმეტივე ქვას კი ველარ გამოვწუწნიდი, არამედ – მხოლოდ ოთხს, ჯერი-ჯერზე. ჯიბეებში ხელს მთელი მონდომებით ვურევდი, ვიდრე საწუწნს ამოვიღებდი და მერეც, სანამ ადგილების შეცვლას შევუდგებოდი. ასე ვიმედოვნებდი, ჯიბიდან ჯიბეში გადასვლისას სხვადასხვა კენჭის ამოღების მეტი ალბათობისთვის მიმეღწია. ოღონდ მსგავსი საალალბედო ეშმაკობა ჩემნაირ კაცს დიდხანს როგორ დააკმაყოფილებდა, ამიტომაც ძიებას შევუდექი: თავში მოსულმა პირველივე აზრმა მიკარნახა, ეგებ უკეთესი იყოს ქვების თითოთითოდ კი არა, ოთხ-ოთხად გადალაგებაო; ანუ წუწნისას პალტოს მარჯვენა ჯიბეში დარჩენილი სამი ქვის ამოღება და მათ ადგილას შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ოთხი ქვის ჩალაგება, მერე შარვლის მარცხენა ჯიბის ოთხი ქვით მათი ჩანაცვლება და იმათი კიდევ – ოთხი ქვით უკვე პალტოს მარცხენა ჯიბიდან; ბოლოს კი ამ ჯიბეში პალტოს მარჯვენა ჯიბის სამი და კიდევ იმ ერთი ქვის დაბინავება, გამოწუწნულს პირიდან რომ გამოვიღებდი. თავიდან მომეჩვენა, ამ გზით უკეთეს შედეგს მივაღწევდი, მაგრამ ცოტა ტვინი რომ გავანძრიე, იძულებული გავხდი, მეღიარებინა: ოთხ-

ოთხი ქვის მონაცვლეობაც ზუსტად იმავე შედეგს იძლეოდა, რაც თითო-თითოსი. მართალია, პალტოს მარჯვენა ჯიბეში ჩაყოფილ ხელს იქ უთუოდ წინამორბედთაგან განსხვავებული ოთხი ქვა დაუხვდება, მაგრამ მაინც რჩება იმის ალბათობა, რომ ნებისმიერი ოთხქვიანი ჯგუფიდან მაინც ერთსა და იმავე ქვას ამოვიღებ და შესაბამისად, თექვსმეტივე ქვას კი არ გამოვწუწნი რიგრიგობით, როგორც ეს იმთავითვე მინდოდა, არამედ – მხოლოდ ერთსა და იმავე ოთხს, ჯერიჯერზე. ასე და ამგვარად, გამოსავალი კენჭების წრებრუნვის ცვლილებაში კი არ უნდა მეძებნა, არამედ რაღაც სხვაში, რადგან კენჭების წრებრუნვის რაობის მიუხედავად, მუდმივად ერთი და იგივე საფრთხე ჩნდებოდა. მალე ჩემთვის ნათელი გახდა: თუკი ჯიბეების რაოდენობას გავზრდიდი, ამით გაიზრდებოდა ალბათობაც, ისე მეწუწნა ეს კენჭები, როგორც მომეპრიანებოდა – კერძოდ, ერთიმეორის მიყოლებით, სანამ ყველას არ გავუსინჯავდი გემოს. ასე, მაგალითად, ოთხის ნაცვლად რვა ჯიბე თუ მექნებოდა, მაშინ ბედის ყველაზე დიდი ცელქობაც კი ვერ შემიშლიდა ხელს, ჩემი თექვსმეტიდან, სულ ცოტა, რვა კენჭი მაინც გამომეწუწნა რიგრიგობით. საბოლოოდ ვიტყვი, რომ სასურველი შედეგის მისაღებად, არც მეტი, არც ნაკლები, თექვსმეტი ჯიბე უნდა მქონოდა. კარგა ხანს ეს გადაწყვეტილება ერთადერთი მეგონა: იმ თექვსმეტი ჯიბის გარეშე, რომლებშიც თითო-თითო კენჭი იდებოდა, ჩემ წინაშე დასახულ მიზანს ვერასოდეს მივაღწევდი, თუ, რა თქმა უნდა, ბედი ძალიან არ გამიღიმებდა. გინდაც, ვთქვათ, რამდენიმე ქინძისთავის დახმარებით, ყოველი ჯიბე ორად გამეყო და ასე გამეორმაგებინა მათი რიცხვი, გაოთხმაგება მაინც ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა. რაღაც ნახევარზომებისთვის დავიდარაბის

წამოწყებას კი არც ვაპირებდი. იმდენ ხანს ვიმტვრიე თავი ამ საკითხის გადაჭრაზე, ზომიერების ყოველგვარი შეგრძნება დავკარგე და ერთსლა ვიმეორებდი: ან ყველაფერი, ან არაფერი-მეთქი. და თუკი წამით იმაზე ფიქრი მაცდუნებდა, ჯიბეებსა და კენჭებს შორის უფრო სამართლიანი თანაფარდობა დამემყარებინა, ეს ფიქრი მალევე ქრებოდა, რადგან, ამ შემთხვევაში, საკუთარი დამარცხება უნდა მეღიარებინა. ზღვის ნაპირას მჯდომს, ჩემი თექვსმეტივე კენჭი მელაგა წინ და გააფთრებული და თან დაბნეული თვალმოუშორებლად დავცქეროდი. ვიჯექი – ძირს ვიჯექი, რადგან სკამზე თუ სავარძელზე ჯდომა მიჭირდა გახევებული ფეხის გამო, რაც ძნელი მისახვედრი არაა; ხოლო მიწაზე მჯდომს, მტანჯველი განცდა ნაკლებად მქონდა ამავე გახევებული ფეხის წყალობით და მეორის წყალობითაც, რომელიც მიბუჟდებოდა. სწორედ ასეთ დროს ჩემი ჯანმრთელი ფეხი – ჯანმრთელი იმ აზრით, რომ ჯერ კიდევ იხრებოდა – თავის დრეკადობას ნელ-ნელა კარგავდა. ცხადია, მუხლისთავს საყრდენი სჭირდებოდა, ისევე, როგორც მთელ ბარძაყს, და ამ საყრდენად მიწა მევლინებოდა. და, აი, როცა განრისხებული და დაბნეული, დაჟინებით მივჩერებოდი ჩემს კენჭებს, გაორმაგების ერთნაირად უვარგის შესაძლებლობებს ვატრიალებდი გონებაში და პეშვიდან ქვიშას ვაბნევდი, რომელიც თითებს შორის გავლით ისევ ნაპირს უბრუნდებოდა, დიახ, სწორედ მაშინ, როცა გონებას და სხეულის ნაწილს ვძაბავდი, თავში უეცრად გამიელვა – ოღონდ ბუნდოვნად – შესაძლოა მიზანს მივაღწიო, როგორც ჯიბეების რაოდენობის გაუზრდელად, ისე კენჭების რიცხვის შეუმცირებლად, თუკი, უბრალოდ, სიმეტრიის პრინციპს გავწირავ-მეთქი. ამ სიტყვების აზრი, რომელთაც ჩემში ისე გაიჟღერეს, რო-

გორც ესაიას წინასწარმეტყველებამ თუ იერემიას გოდებამ, მაშინვე ვერც ამოვიცანი – კერძოდ, სიტყვა „სიმეტრიის“ მნიშვნელობა, რომელიც მანამდე არსად შემხვედროდა. ბოლოს და ბოლოს, მგონი, მაინც მივხვდი, რომ ამ შემთხვევაში, სიტყვა „სიმეტრია“ არაფერს სხვას, არაფერს მეტს არ ნიშნავდა, გარდა ქვების ოთხ ჯგუფად დანაწილებისა, თითო ჯგუფში ოთხ-ოთხი ქვითა და თითო ჯიბეში – თითო ჯგუფით, რადგანაც სწორედ ნებისმიერი სხვაგვარი განაწილების უარყოფა აბათილებდა ყველა ჩემს გაანგარიშებას და კვანძის გახსნას იმთავითვე შეუძლებლად აქცევდა. ამ გააზრების საფუძველზე, სულერთია, მართებული იყო ის თუ უმართებულო, საბოლოოდ მაინც იმ გადაწყვეტილებამდე მივედი, რომელიც დიდად მომხიბლავი არ გახლდათ, თუმცა საიმედო კი მეჩვენა. ახლა გულწრფელად მინდა ვირწმუნო და ურყევად მჯერა კიდეც, რომ ჩემი თავსატეხის გადასაწყვეტად სხვა გამოსავალიც შეიძლებოდა გამონახულიყო – ჯერ კიდევ შეიძლება გამოინახოს, არანაკლებ საიმედო და ბევრად უფრო მომხიბვლელი, გარდა იმისა, რის აღწერასაც ქვემოთ შევეცდები. ისიც მჯერა, რომ მეტი სიჯიუტის, მეტი სიმტკიცის გამოვლენის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილებებს თავადაც მივაგნებდი. მაგრამ დავიღალე, დავიღალე და სრულიად უსახელოდ დავკმაყოფილდი ამ პრობლემის პირველივე შესაძლო გადაწყვეტით. არ შევუდგები იმ სულისშემძვრელი საფეხურების ხელახლა ჩამოთვლას, რომლებიც ამ გადაწყვეტილებისაკენ მიმავალ გზაზე გავიარე; უბრალოდ, შეულამაზებელი სიტყვით შემოგთავაზებთ. ერთადერთი (ერთადერთი!), რაც საჭირო გახლდათ: იმთავითვე ექვსი კენჭი უნდა ჩამედო პალტოს მარჯვენა ჯიბეში, რომელსაც პირობითად შეგვიძლია მომარაგების ჯიბე ვუწო-

დოთ; მერე ხუთი კენჭი – შარვლის მარჯვენა ჯიბეში და ხუთიც – იმავე შარვლის მარცხენა ჯიბეში. ჯამში, ორჯერ ხუთი ათია, მერე კიდევ ექვსიც და ნაშთი ნულის ტოლი იქნებოდა, ანუ პალტოს მარცხენა ჯიბეში – ნული კენჭი და, შესაბამისად, ეს ჯიბე დროებით თავისუფალი დარჩებოდა, ცხადია, კენჭებისაგან თავისუფალი, თორემ ჩვეულებრივი შიგთავსი, ისევე, როგორც სხვადასხვა შემთხვევითი ნივთი, ხელუხლებლად დარჩებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი აზრით, აბა, სად დავმალავდი ხილის სათლელ დანას, ვერცხლის კოვზებს, მაშველსა და სხვა რამეებს, რაც ჯერაც არ მიხსენებია და ეგებ სულაც არ ვახსენო მომავალშიც. ამას მოვრჩით. ახლა წუწნას ვიწყებ. ყურადღებით მომადევნეთ თვალი: კენჭს პალტოს მარჯვენა ჯიბიდან ვიღებ და წუწნით გულს რომ ვიჯერებ, პალტოს მარცხენა ჯიბეში ვიდებ – იმაში, რომელიც თავისუფალია (კენჭებისაგან). მერე ვიღებ მეორე კენჭს პალტოს მარჯვენა ჯიბიდან, პირში ვიდებ და ცოტა ხანში ისევ პალტოს მარცხენა ჯიბეში ვათავსებ და ასე შემდეგ, ვიდრე პალტოს მარჯვენა ჯიბე არ დაცარიელდება (მის ჩვეულებრივ თუ შემთხვევით შიგთავსს არ ვგულისხმობ), ხოლო უკვე გამოწუწნული ექვსი კენჭი, ერთიმეორის მიყოლებით, პალტოს მარცხენა ჯიბეში არ გადაბარგდება. ამის შემდეგ ოდნავ ვითქვამ სულს, ყურადღებას ვიკრებ – ვინძლო რამე სისულელე არ ჩავიდინო – და კენჭებისაგან უკვე დაცლილ პალტოს მარჯვენა ჯიბეში გადამაქვს ხუთი კენჭი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან, რომელთა ნაცვლადაც ვათავსებ ხუთ კენჭს შარვლის მარცხენა ჯიბიდან, რომლების ადგილსაც იმ ექვსს ვაკავებინებ, მანამდე პალტოს მარცხენა ჯიბეში რომ მქონდა. დგება წუთი, როცა პალტოს მარცხენა ჯიბე კვლავ თავისუფლდება (კენ-

ჭებისაგან), ხოლო პალტოს მარჯვენა ჯიბე სავსეა (კენჭებით) – სწორედ ისე, როგორც მე მჭირდება, ანუ სავსეა სულ სხვა კენჭებით და არა იმით, რომლებიც ეს-ესაა მოვწუწნე. მერე ვიწყებ იმ სხვა კენჭების წუწნასა და რიგრიგობით გადანაცვლებას პალტოს მარცხენა ჯიბეში, თან სრულებითაც არ მეპარება ეჭვი, რამდენადაც ეს ასეთ საქმეშია შესაძლებელი, რომ უკვე იმ კენჭებს კი არ ვწუწნი, რომლებიც ცოტა ხნის წინ გამოვწუწნე, არამედ – სხვებს. როცა პალტოს მარჯვენა ჯიბე ისევ იცლება (კენჭებისაგან), ხოლო ის ხუთეული, რომელიც ეს-ესაა მოვწუწნე, პალტოს მარცხენა ჯიბეშია დაბინავებული, კვლავ ვახორციელებ იმავე გადანაწილებას, რაც წინა ჯერზე განვახორციელე, ზუსტად ისეთს, ანუ პალტოს თავისუფალ მარჯვენა ჯიბეში გადამაქვს ხუთი კენჭი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან და ამათ ვანაცვლებ ექვსი კენჭით შარვლის მარცხენა ჯიბიდან, სადაც შემდეგ ვილაგებ ხუთ კენჭს პალტოს მარცხენა ჯიბიდან. ასე და ამგვარად, კვლავ მზად ვარ, ყველაფერი თავიდან დავიწყო. კიდევ გავაგრძელო? არა, აღარ გავაგრძელებ, რადგან სავსებით ნათელია, რომ წუწნისა და გადალაგების მორიგი ჯერის შემდეგ ერთხელაც წარმოიშობა ამოსავალი ვითარება – კერძოდ, მომარაგების ჯიბეში აღმოჩნდება ექვსი კენჭი, ხუთი – ჩემი აქოთებული, ძველი შარვლის მარჯვენა ჯიბეში და დანარჩენი ხუთი – იმავე შარვლის მარცხენა ჯიბეში. ჩემი თექვსმეტივე კენჭი პირველად იქნება გამოწუწნული უზადო თანმიმდევრობით: არც ერთი მათგანი ორჯერ ზედიზედ არ მომხვდება პირში და არც ერთი არ გამოტოვებს თავის რიგს. ეგეცაა, მომდევნო ჯერზე ალბათ მაინც გამიჭირდება, იმავე თანმიმდევრობით მოვახერხო ჩემი კენჭების წუწნა, და არ ივარგებს, დავიჟინო, რომ,

ვთქვათ, პირველი რიგის პირველი, მეშვიდე და მეთორმეტე კენჭი, შესაბამისად, მეორე რიგის მეექვსე, მეთერთმეტე და მეთექვსმეტე არ აღმოჩნდება. მსგავსი შეცდომების თავიდან აცილება შეუძლებელია და თუ ყველა რიგში უთუოდ იქნება აბნეულობა, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც მეცოდინება ზუსტად, რა ხდება თითოეულ რიგში; იმდენად ზუსტად, რამდენადაც ეს მსგავსი საძნელო საქმის კეთებისასაა შესაძლებელი. რადგან ყველა რიგი სრულიად ერთნაირი რომ გამოდგეს, მხოლოდ ღმერთმა უწყის, ეს რაში მჭირდება – ან თექვსმეტი ჯიბე უნდა მქონდეს, ან დანომრილი კენჭები უნდა მეწყოს ჯიბეებში. თუმცა თორმეტი ჯიბის დამატებას ან კენჭების დანომვრას ვამჯობინე, იმ შედარებითი სულიერი სიმშვიდით დავმტკბარიყავი, რომელიც თითოეული რიგის დროს მეუფლებოდა. ეგეც რომ არა, კენჭების დანომვრა საკმარისი არაა: აუცილებელია, ყოველი კენჭის პირში ჩადებისას მომდევნო ნომერიც გაიხსენო და სწორედ იმ ნომრის მქონე კენჭი ეძებო ჯიბეში. ეს კი სამუდამოდ გამიქრობდა კენჭების წუწნის ხალისს და თან საკმაოდ სწრაფადაც, რადგან დარწმუნებული არ ვიქნებოდი, შეცდომა არ დამიშვია-მეთქი; თუ, რა თქმა უნდა, საგანგებო დავთარს არ გავიჩენდი, რათა იქ წუწნის რიგისდა მიხედვით ჩამენიშნა კენჭების ნომრები. ოღონდ ეგ, მე მგონი, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. საიდანაც არ უნდა მიუდგე, ბოლო-ბოლო, ყველაზე უკეთესი გადაწყვეტილება მაინც თექვსმეტი ჯიბე იქნებოდა, სიმეტრიულად განლაგებული – თითოში თითო კენჭით. მაშინ არც დანომრვა დამჭირდებოდა, არც დამახსოვრება, უბრალოდ, სანამ ერთი კენჭის წუწნით ვიქნებოდი დაკავებული, დანარჩენ თხუთმეტს ჯიბიდან-ჯიბეში გადავიდებდი. საფრთხილო საქმეა, იმთავითვე ასე ჩანს, მაგრამ

მაინც შესაძლებელი. თან შემეძლება მაშინ ჩავიყო ჯიბეში ხელი, როცა წუწნის იშტაზე მოვალ. თექვსმეტი ჯიბე ყველა თავსატეხს ამაცილებდა, და არა მარტო ცალკეულ რიგში, არამედ მათ ერთობლიობაშიც, გინდაც რიგების რაოდენობა უსასრულო ყოფილიყო. მაგრამ რაოდენ არასრულყოფილადაც არ უნდა ჩანდეს ეს ჩემი გადაწყვეტილება, მაინც მახარებდა, დამოუკიდებლად რომ მივაგენი – მართლა გულით მახარებდა. და თუ ახლა, გამოგიტყდებით, ნაკლებად საიმედო მეჩვენება, მეორე მხრივ, ხიბლიც არ მომატებია. ხიბლის ნაკლებობა კი, ჩემი აზრით, პირველ რიგში, იმას უკავშირდებოდა, რომ ჯიბეებში კენჭების არათანაბარზომიერი გადანაწილება ფიზიკურ ტკივილს მაყენებდა, თუმცა ზოგჯერ ერთგვარ წონასწორობას მაინც ვაღწევდი. ეს ყოველი რიგის დაწყებისას ხდებოდა, კერძოდ – მესამე და მეოთხე მოწუწნას შორის, ოღონდ დიდხანს არ გრძელდებოდა და მთელი დანარჩენი დრო, პირდაპირ გეტყვით, კენჭების სიმძიმე ხან ერთ მხარეს გადამძლევდა ხოლმე, ხან – მეორე მხარეს. ამგვარად, სიმეტრიის პრინციპზე უარის თქმით მე არა მარტო თავად პრინციპი მოვიშორე თავიდან, არამედ საკუთარი სხეულის მოთხოვნილებებიც უგულებელვყავი. მეორე მხრივ, როცა კენჭებს ვწუწნიდი უკვე აღწერილი გზით, არა ალალბედზე, არამედ გარკვეული წესის დაცვით, მაინც ვემორჩილებოდი სხეულის მოთხოვნილებებს; შესაბამისად, თავს იჩენდა ორი მოთხოვნილების შეუთავსებლობა და წინააღმდეგობა. ასე ხშირად ხდება ხოლმე, მე კი გულის სიღრმეში სულაც არ მანაღვლებდა, წონასწორობას თუ ვერ ვიცავდი, ხან მარცხნივ მაქანებდა, ხან – მარჯვნივ, ხან – უკან და ხან – წინ; ისევე, როგორც სულ ფეხებზე მეკიდა, ყოველ ჯერზე ახალ კენჭს ვწუწნიდი თუ ერთსა და იმავეს, სამყა-

როს აღსასრულამდე. ეგ იმიტომ, ყველა კენჭს ერთნაირი გემო რომ ჰქონდა, და თუ თექვსმეტი მოვაგროვე, არა იმიტომ, რომ ერთგვარი წონასწორობა მაინც დამეცვა და არც იმიტომ, რომ რიგრიგობით მეწუწნა თექვსმეტივე, არამედ, უბრალოდ, მარაგი დავიგულე, რათა მერე უცებ ცარიელტარიელი არ დავრჩენილიყავი. თუმცა გულის სიღრმეში სულაც არ მადარდებდა, თუკი საერთოდ მარაგის გარეშე დავრჩებოდი, როცა კენჭები გამომელეოდა. ასე იქნებოდა თუ ისე, მაინც გამომელეოდა და ამით უარესი არაფერი დამემართებოდა, თითქმის არაფერი. ბოლო-ბოლო, გადავწყვიტე, ყველა კენჭი მომესროლა ერთის გარდა, რომელსაც ხან ერთ, ხან მეორე ჯიბეში ვინახავდი და ბოლოს, ცხადია, გადავაგდებდი, ან ვინმეს ვაჩუქებდი, ანდა გადავყლაპავდი. იმ ადგილას სანაპირო უკაცრიელი იყო. არ მახსოვს, ვინმეს დიდად გაეწყალებინოს ჩემთვის გული. შავი პაწია წერტილი ქვიშის უსასრულო სივრცეში – ვის რა უნდა დაეშავებინა მისთვის? ზოგჯერ ვიღაც მოვიდოდა, დახედავდა: ნეტა რა არის, ზღვას ხომ არ გამოურიყავს რამე ჩაძირული გემიდანო? მაგრამ როცა ნახავდნენ, ეს გამორიყული ნივთი ცოცხალი კაცი იყო და თან რიგიანად, თუმცა ღარიბულად ჩაცმული, უსიტყვოდ მაქცევდნენ ხოლმე ზურგს. მოხუცი ქალები – სხვათა შორის, ახალგაზრდებიც, გეფიცებით – ნაპირზე ფიჩხის მოსაგროვებლად დაიარებოდნენ და თავდაპირველად გაოცებულები შემომცქეროდნენ. მუდამ ერთი და იგივე ქალები მოდიოდნენ და მართალია, ადგილს ცოტა კი ვიცვლიდი ხოლმე, ბოლოს მაინც ყველამ გაიგო, ვინ და რა ვიყავი და თავი უკვე შორს ეჭირათ ჩემგან. მგონი, ერთხელ ერთ-ერთი მათგანი დანარჩენებს ჩამორჩა, მომიახლოვდა და რაღაც საჭმელი გამომიწოდა.

უხმოდ მივაჩერდი მანამ, სანამ არ გამეცალა. კი, მგონი, მსგავსი რამ მოხდა იმ დროს, მაგრამ გამორიცხული არაა, ზღვის სანაპიროზე ჩემს სხვა ყოფნას ვიხსენებდე, უფრო ადრინდელს, რადგან ის, რაზეც ვსაუბრობ, ბოლოა, ან ბოლოსწინა. ბოლო კი არ არსებობს. ასეა თუ ისე, თვალწინ ახალგაზრდა ქალი მიდგას: აი, მიახლოვდება, დროდადრო ჩერდება და დანარჩენებისკენ აპარებს თვალს. ისინიც, ცხვრებივით შექუჩებულები, უცქერენ, როგორ შორდება მათ, ხელის ქნევით ამხნევებენ და ეჭვი არაა, იცინიან. მგონი, ჩამესმის კიდეც ამ შორეული სიცილის გამოძახილი. მერე კი უკვე მის ზურგს ვხედავ, ისევ შებრუნებულა და ახლა მე მშორდება, ოღონდ უკვე აღარ ჩერდება, დროდადრო. ისე, იქნება და ორ მოვლენასა და ორ ქულას ვაერთიანებ და ვამთლიანებ... ერთი დობილთაგანი ამ სიცილ-კისკისში გაუბედავად მოემართება ჩემკენ, მეორე კი, ზურგშექცეული, ჩემგან შორს მიეშურება სწრაფი ნაბიჯით. ჩემკენ მომავალთა მოძრაობას შორიდანვე ვხედავ დროის მეტი წილის განმავლობაში. ესეცაა სანაპიროს უპირატესობა: შორიდანვე ვამჩნევ ხოლმე შავ-შავ წერტილებს, ვხედავ, როგორ მოძრაობენ; შემიძლია თვალი ვადევნო მათ გადაადგილებას და ჩემთვის ვთქვა, მშორდება, ანდა, პირიქით, მიახლოვდება-მეთქი. ასეა, მოულოდნელად თავზე ვერავინ წამომადგებოდა. ახლა კი ნება მიბოძეთ, ერთობ უცნაური რამ გაგანდოთ: ზღვის პირას შეუდარებლად უკეთ ვხედავდი! დიახ, დიახ, ჩემი ჯანმრთელი თვალი სიგრძე-სიგანეზე რომ მოიხილავდა უსასრულო სიბრტყეს, რაზეც არც რამე იდო და არც რამე იდგა, ბევრად უფრო მკაფიოდ აღიქვამდა ყველაფერს. გარკვეულ დღეებში ჩემი მტკივანი თვალიც კი არჩევდა რაღაც-რაღაცებს. არათუ უკეთ ვხედავდი, იმ საგ-

ნებსაც დაუფიქრებლად ვასახელებდი, რასაც ვხედავდი. აი, ეს გახლავთ ზღვისპირეთის უპირატესობაცა და ნაკლიც. ან იქნებ მე ვიცვლებოდი ამდაგვარად? შეიძლება, რატომაც არა?! დილაობით, ზოგჯერ კი ღამითაც, როცა ქარიშხალი ბობოქრობდა ქვიშნარის ქვაბულში, ვგრძნობდი, რომ თითქმის არ მესმოდა არც ბუნების ძალებისა და არც ცოცხალი არსებების. ოღონდ ამის საფასურიც უნდა გეხადა. ცოტა ხანს ხალისითაც იხდი, მაგრამ ამის უსასრულოდ გაგრძელება არ შეგიძლია. არ შეგიძლია მუდმივად ყიდულობდე ერთსა და იმავეს შენი საცოდავი გროშებით. სამწუხაროდ, არსებობს სხვა მოთხოვნილებებიც, მშვიდად და წყნარად ხრწნის გარდა, თუ სწორად გამოვთქვი. ცხადია, საკუთარ დედას ვგულისხმობ. ერთი ხანობა მინავლებული მისი მოგონება თანდათან ისევ მტანჯველად მეძალებოდა. ამიტომ გამოვბრუნდი, ნელ-ნელა გამოვშორდი ზღვას, რადგან, სიმართლე ითქვას, ჩემი ქალაქი მთლად ზღვასთან არ იყო, ვინც არ უნდა ამტკიცოს საპირისპირო. იქამდე მისასვლელად ჯერ ზღვა უნდა მოგეტოვებინა ზურგსუკან – სხვა გზა, ყოველ შემთხვევაში, მე, ნამდვილად არ ვიცოდი. ქალაქსა და ზღვას შორის ჭაობი გაწოლილიყო, რომელიც – თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ჩემი მოგონებების უმეტესობა კი ფესვებით უახლოეს წარსულსაა მიბმული – უნდა დაეშროთ, ალბათ, არხების გაყვანის მეშვეობით, ანდა დიდ საზღვაო დოკებიან ნავსადგურად უნდა ექციათ. შეიძლება სულაც – მუშათა დასახლებად. ერთი სიტყვით, ეს ჭანჭრობი უნდა აეთვისებინათ. ამავდროულად, სამარცხვინო დაღისგანაც გათავისუფლდებოდნენ – ამ მყრალი, აშმორებული ალაგისაგან ზედ ქალაქის გალავანთან. ჭაობი ყოველდღიურად უამრავი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა. ამწუთას ზუსტი

რიცხვი არ მახსოვს და დარწმუნებული ვარ, არც არასოდეს გამახსენდება, იმდენად არ მანაღვლებს ამ საკითხის მოცემული მხარე. სიმართლე ითქვას, რაღაც-რაღაც სამუშაოები მართლა წამოიწყეს და გარკვეულ ადგილებში ჯერაც გრძელდება, თუმცა ძალიან შეუსაბამო პირობებში – ათასნაირი სირთულის, ეპიდემიისა და ადგილობრივ ხელისუფალთა სრული უმოქმედობის ფონზე. ამის უარყოფას არც ვაპირებ. ოღონდ აქედან გამომდინარე, განცხადება – ზღვა უკვე ჩემი ქალაქის კედლებს მოსდგომია-მეთქი, მეტისმეტი გადაჭარბება იქნებოდა ჩემის მხრივ. ჩემდათავად, მსგავს გაყალბებაზე ხელს არ მოვაწერ, ვიდრე არ მაიძულებენ, ან თავადვე არ ჩავთვლი ამას საჭიროდ. ჭაობს კი მეტ-ნაკლებად ვიცნობდი და რამდენჯერმე გამიზნულადაც შემიგდია სიცოცხლე სასწორზე იქ ხეტიალით. ის ხანა უფრო მდიდარი გახლდათ გარკვეული ზმანებებით, ვიდრე შემდგომი, რომლის აღწერასაც ახლა აქ ხატოვნად ვცდილობ. ანუ მხოლოდ გარკვეული ზმანებებით მდიდარი, ხოლო სხვებით, პირიქით – უფრო ღარიბიც კი. შესაბამისად, ზღვის მხრიდან ჩემს ქალაქამდე მისვლა შეუძლებელი იყო. საამისოდ შორს, ჩრდილოეთში ან სამხრეთში უნდა მოხვედრილიყავი და იქიდან წამოსულიყავი, თან ისიც უნდა გაგეთვალისწინებინა, რომ აქ ჯერ რკინიგზაც არ არსებობდა. ჩემი გადაადგილება, მუდამ ნელი და მტანჯველი, ამ ჯერზე კიდევ უფრო ნელი და მტანჯველი გამოდგა, ვიდრე ადრე – ამ ჩემი მოკლე, გახეევებული ფეხის გამო. კარგა ხანია ვიცოდი, რომ გაშეშებულიყო, როგორც საერთოდ შეიძლება ფეხი გაგიხევდეს, მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, კიდევ უფრო მეტად გახევდა, რასაც ვერაფრით წარმოვიდგენდი და თან ყოველდღე უფრო და უფრო მოკლდებოდა, ოღონდ ძირითადად მაინც – ჩემი მე-

ორე ფეხის გამოისობით, რომელსაც ბოლო დრომდე გაშლა-მოკეცვა შეეძლო. თავის მხრივ, ისიც შეშდებოდა ხოლმე, დამოკლების კი, საუბედუროდ, არც არაფერი ეტყობოდა. როგორც უკვე ვთქვი, ტკივილს გახევებული ფეხი მაყენებდა – პირველად გახევებულ ფეხს ვგულისხმობ, მეორე, ასე ვთქვათ, საყრდენად მქონდა, ან შემოსატრიალებლად. მაგრამ მერე ამ მეორე ფეხმაც მიმუხთლა: ესეც ნელ-ნელა მიხევდება – სავარაუდოდ, ნერვებისა და მყესების გადანაცვლების მიზეზით – და ახლა ეს უფრო დიდ სატკივრად მექცა, ვიდრე პირველი. რა საშინელებაა. მთავარია, თავგზა არ ამებნეს. საქმე ის გახლავთ, რომ ძველ ტკივილს, გარკვეულწილად, მივეჩვიე კიდეც, დიახ, მხოლოდ გარკვეულწილად. მეორეს კი, თუმც იგივე წარმომავლობისა გახლავთ, ჯერჯერობით მაინც ვერ შევეგუე ვერანაირად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როცა ერთი ფეხი მტკივანი გაქვს, მეორე კი – მეტ-ნაკლებად ჯანმრთელი, შეგიძლია პირველი დაზოგო და სატანჯველი შეიმსუბუქო, თუკი სიარულისას ეცდები, სიმძიმე მხოლოდ ჯანმრთელზე გადაიტანო. აი, მე სწორედ ეს შესაძლებლობა გამომეცალა. აღარ მქონდა უკვე ერთი მტკივანი და მეორე მეტ-ნაკლებად ჯანმრთელი ფეხი. უკვე ორივე ერთნაირად მტკიოდა. ის კი არა, მგონი, მანამდე ჯანმრთელი – უფრო მეტადაც კი. შედარებით ჯანმრთელი, რომლის მდგომარეობის გაუარესებასაც ჯერ ვერ შევეჩვიე. ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი ფეხი კვლავაც მტკივანი მაქვს, მეორე კი – ჯანმრთელი ან არც ისე მტკივანი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არც ისე მტკივანად ახლა სხვა ფეხი იქცა. ამიტომაც ახლა უფრო და უფრო ხშირად ვცდილობდი, ყავარჯნების ორ აქნევას შორის ადრე ატკივებულ ფეხს დავყრდნო-

ბოდი. ეგ იმიტომ, რომ ტკივილისადმი გამძაფრებულად მგრძნობიარე, ის ახლა უფრო ნაკლებად გრძნობდა ტკივილს, ვიდრე მეორე; ან, თუ გნებავთ, მის მიმართ ძველებურად მგრძნობიარე რჩებოდა, თუმცა მე არ მეჩვენებოდა ასეთად, ამ საქმეში მისი პირველობიდან გამომდინარე. მაგრამ მაინც არ შემეძლო. რა? მასზე დაყრდნობა. ეს იმიტომ, რომ, ხომ გახსოვთ, სულ უფრო და უფრო მიმოკლდებოდა, მეორე კი, მართალია, ხევდებოდა, მაგრამ არ მოკლდებოდა; ხოლო თუ მოკლდებოდა კიდეც, ამ მხრივ იმდენად ჩამორჩებოდა თავის თანამოძმეს, იმდენად, რომ ჯანდაბას იმისი თავი, ამას მნიშვნელობაც აღარ აქვს ჩემთვის. მუხლში ან თუნდაც საზარდულში მოხრა მაინც რომ შემძლებოდა და ამ გზით ცოტა ხნით მაინც მისი მეორესავით დამოკლება, მაშინ უფრო მოკლე ფეხზე დაყრდნობასაც მოვახერხებდი, მაგრამ ეს არ შემეძლო. რა? მისი მოხრა. აბა, რანაირად მოვხრიდი, როცა გამიხევდა? ამიტომაც იძულებული ვიყავი, იმავე ფეხს დავყრდნობოდი, რომელსაც ადრე ვეყრდნობოდი, იმის მიუხედავად, რომ ახლა, ყოველ შემთხვევაში, მგრძნობიარობის თვალსაზრისით, ორიდან უარესი ეს იყო და ნამდვილად იმსახურებდა დაზოგვა-დანდობას. ეგეცაა, ხანდახან გამიმართლებდა ხოლმე და ზომიერად ოღრო-ჩოღრო გზაზე სიარულისას, ან არცთუ ღრმა თხრილებსა თუ მიწის სხვა უსწორმასწორო ადგილებში, ეშმაკობა მყოფნიდა, დროებით დამეგრძელებინა ჩემი მოკლე ფეხი და სწორედ მას დავყრდნობოდი და არა მეორეს. მაგრამ ამ ბოლო დროს ისე ხშირად მიწევდა საყრდენის მაგივრობას, უკვე გადაეჩვია კიდეც· ალბათ თეფშების გროვა უკეთესად შემაკავებდა, ვიდრე ეს უსარგებლო ფეხი. არადა, პატარაობაში რა სანდო რამე იყო! გაწონასწორების პროცესს კიდევ ერთი გარემოება უშლიდა

ხელს – გარემო პირობებთან შეგუებას ვგულისხმობ და კიდევ – ჩემს ყავარჯნებს. წესით, ისინიც სხვადასხვა ზომის უნდა ყოფილიყო – ერთი მოკლე, მეორე კი გრძელი, რათა შვეულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავი. არა? თუმცა არ ვიცი. ასეა თუ ისე, ჩემ მიერ ამორჩეული გზები მეტწილად ტყის ვიწრო ბილიკები გახლდათ და არც არჩევანის მიზეზის გამოცნობაა ძნელი: დონეების მონაცვლეობა. თუმცა ისინი იმდენად ცვალებადი და უწესრიგოა, რომ განსაკუთრებულ დახმარებას ვერც გამიწევდნენ. სხვა მხრივაც, ბოლო-ბოლო, აბა, დიდი რა განსხვავებაა, ტკივილის შემთხვევაში, მოსვენებული მქონდა ფეხი თუ საყრდენად ვიყენებდი? მე მგონი, არც არაფერი, რადგან უმოქმედო ფეხის ტანჯვა მუდმივი იყო და ერთფეროვანი, მაშინ, როცა ჯაფადამდგარი ფეხი, შრომის შედეგად ტკივილის გაძლიერებისათვის განწირული, ტკივილის შენელებასაც განიცდიდა ხოლმე, როცა დროებით, თუნდაც წამით, მასზე დაყრდნობა არ მიწევდა. მე ხომ ადამიანი ვარ და ამიტომაც ვფიქრობ, ჩემი გადაადგილება, აღწერილი ვითარებიდან გამომდინარე, მტანჯველი და თან მუდამ ნელი და ძნელი, ბოდიში მომითხოვია და, გოლგოთაზე უსასრულო ასვლას ემსგავსებოდა, თანაც ჯვარცმის ყოველგვარი იმედის გარეშე. მერე რა, რომ მე ვამბობ ამას და არა სვიმეონი, ხშირ-ხშირი შესვენებების ჟამს. დიახაც, ჩემივე წინსვლა მაიძულებდა ხშირ-ხშირ შესვენებებს, და ბოლოს უკვე ეს შესვენებები მექცა გადაადგილების ერთადერთ საშუალებად. თუნდაც იმსახურებდნენ კიდეც, ჩემს განზრახვას მაინც არ წარმოადგენს გამოსყიდვის ამ ხანმოკლე, დაუვიწყარი წამების დაწვრილებითი განხილვა. მოკლედ აღვწერ, ჩემი კეთილი გულიდან გამომდინარე, რადგან ჩემი ამბავი, აქამდე ესოდენ მკაფიო

და გასაგები, უეცრად არ ჩაიძიროს ბუნდში, ირგვლივ შემოჯარულ ტყეთა უღრანში, ამ ვეება ტოტებში, რომელთა შორისაც მივჩლახუნობდი, ვაყურადებდი, ვეცემოდი, ვდგებოდი, ისევ ვაყურადებდი და ისევ მივჩლახუნობდი. ხანდახან ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამაზე საუბარი, თუკი ისევ მეწერა ამ საძულველი შუქის ხილვა, ყოველ შემთხვევაში, არასასურველის, მკრთალად რომ კრთოდა ხეთა უკანასკნელი რიგის მიღმა, და დედაჩემის, რომელთანაც საქმე უნდა მომეგვარებინა. ვფიქრობდი, უკეთესი ხომ არ იქნება, სულ ცოტა, ნაკლებად უარესი მაინც, თუკი ლიანას დავიხვევ ხელზე და პირველსავე ტოტზე ჩამოვიხრჩობ თავს-მეთქი, რაკიღა, გამოგიტყდებით, შუქი ჩემთვის აღარაფერს ნიშნავდა მაშინ, დედა კი, სავარაუდოდ, აღარც მელოდა, იმდენი დრო გასულიყო. თან ეს ჩემი ფეხებიც, ჩემი ფეხები... ოღონდ თვითმკვლელობის სურვილი დიდხანს მაინც არ გამყოლია, არ ვიცი, რატომ. მაშინ მეცოდინებოდა, თითქოს ვიცოდი კიდეც, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ – არა. რაოდენ მომხიბვლელიც არ უნდა ყოფილიყო თავის ჩამოხრჩობის განზრახვა, ხანმოკლე შინაგანი ბრძოლის შემდეგ მუდამ ვახერხებდი, მოვრეოდი. მოდით, ჩვენ შორის დარჩეს: ჩემი სასუნთქი სისტემა ყოველთვის გამართულად მუშაობდა, ცხადია, თუ არ ჩავთვლით ამ სისტემასთან დაკავშირებულ უბრალო ავადობებს. დიახ, თითებზე შემიძლია გადავითვალო ის დღეები, როცა ამ კურთხეული ჰაერის ჩასუნთქვა არ შემეძლო, მასთან ერთად კი, ვგონებ – ჟანგბადისაც, და როცა ჩასუნთქვას ვახერხებდი, სისხლის კოლტი არ ამომეყოლებინა ამონასუნთქისათვის. დიახ, ასთმა – ჩემი ასთმა. რა ხშირად მომრევია ცდუნება, ყელი გამომეჭრა და მისთვის წერტილი დამესვა. ოღონდ ბოლომდე მაინც არასოდეს დამითმია.

მხოლოდ ხიხინი თუ მამხელდა, და სახეზეც ავჭარხლდებოდი ხოლმე. უფრო ხშირად ეს ღამღამობით ხდებოდა, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ვერაფერს გეტყვით. თუკი ფერის მოულოდნელი ცვლილება ღამით ნაკლებად შესამჩნევია, მეორე მხრივ, ნებისმიერი უცნაური ხმა ღამით უკეთესად ისმის, დღე-ღამის ამ მონაკვეთისათვის დამახასიათებელი მდუმარების წყალობით. ოღონდ ეს ჩვეულებრივი შეტევები იყო და, აბა, ცალკეული შეტევა რაა იმასთან შედარებით, რაც არასოდეს წყდება – არც მიქცევა-მოქცევა ახასიათებს, არც დინებები ჯოჯოხეთურ სიღრმეებში, ტყვიისფერი ზედაპირის ქვეშ. მაგრამ, არა, არც ერთი სიტყვა იმ შეტევების წინააღმდეგ, მე რომ მეძალებოდნენ, შიგანს მიტრიალებდნენ და ბოლოს უსულგულოდ მიმატოვებდნენ ხოლმე უსუსურსა და მიუსაფარს. უმსგავსი ხიხინის ჩასახშობად თავს პალტოს ქვეშ ვმალავდი, ანდა ვითომ ჩვეულებრივად ვახველებდი, ყველგან მისაღები და დასაშვები ხველით, რასაც მხოლოდ ერთი ზადი ახლავს – შესაძლოა სიბრალულით განაწყოს ვინმე თქვენ მიმართ. ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, და ეგებ დადგა დრო, შევნიშნო, რომ ჩემი ჯანმრთელი ფეხის ნაკლოვანების გამო მუდმივად შენელებული გადაადგილების ფონზე სიმართლის მხოლოდ უმნიშვნელო მისხალს ვამხელ. სიმართლე კი ისაა, რომ სხვა სუსტი ადგილიც არაერთი მომეძევებოდა მთელ სხეულში და ისინი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ, რისი გამოცნობაც იმთავითვე არ იყო რთული. აი, რას ვერ განჭვრეტდი ვერანაირად – იმ სისწრაფეს, რა სისწრაფითაც სუსტდებოდნენ ზღვისპირეთიდან წამოსვლის მერე, რადგან სანამ ზღვის სიახლოვეს ვრჩებოდი, ჩემი სუსტი ადგილები, ალბათ, უფრო მეტად კი სუსტდებოდნენ, რაც მოსალოდნელიც

იქნებოდა, მაგრამ ეს თითქმის შეუმჩნევლად ხდებოდა. ასე რომ, თითს თუ უკანალში ვიტაკებდი, ვერ გავბედავდი, წამომეძახა – ჯანდაბას, გუშინდელთან შედარებით გაუარესებულა, არ მჯერა, ეს თუ იგივე ხვრელია-მეთქი. ბოდიშს კი გიხდით ამ უმსგავსი ხვრელის ხსენებისთვის, მაგრამ ხომ იცით, მუზა მბრძანებელია! გამორიცხული არაა, ეს ხვრელი განვიხილოთ არა როგორც თვალისთვის შეურაცხმყოფელი რამ სახილველი, არამედ უფრო – როგორც იმის სიმბოლო, რაზეც დუმილს ვამჯობინებ. ვაღიაროთ კიდეც მისი ღირსება, რაც, სავარაუდოდ, მისსავე ცენტრალური მდებარეობიდან მომდინარეობს; აგრეთვე, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც უკავშირდება ჩემი და მთელი დანარჩენი სამყაროს ქაქის დამაკავშირებელი რგოლის დანიშნულებას. ჩემი აზრით, არასათანადოდ ვაფასებთ ამ პატარა ხვრელს, უწმაწურ სიტყვასაც ვუძებნით სახელად და თავსაც ისე ვაჩვენებთ ერთმანეთს, თითქოს გვძულდეს. მაგრამ განა ის არაა ჩვენი არსობის ჭეშმარიტი კარიბჭე, მაშინ, როცა ჩვენივე ნეტარხსენებული ბაგენი მხოლოდ და მხოლოდ სამზარეულოს კარია და მეტი არაფერი? ეს ხვრელი არაფერს ატარებს, თითქმის არაფერს, ყველაფერს იქვე უარყოფს, თითქმის ყველაფერს. დიახ, თითქმის ყველაფერს, რაც გარედან მოდის. ის იშორებს და მგონი, რაც იქამდე შიგნიდან მოდის, არც იმას ეგებება დიდად გულგახსნილი. განა ეს ყოველივე გასათვალისწინებელი არაა? დრო გვიჩვენებს. და მაინც, ყველაფერს ვიღონებ, რათა მომავალში სამზეოზე არ გამოვაჭენო. ეს მით უფრო იოლია, რამდენადაც მომავალი არანაირად არ გახლავთ გამოუთქმელი. ხოლო როდესაც ჯერი ყველაზე უფრო არსებითის უგულებელყოფაზე მიდგება, ვფიქრობ, ამას დიდი ძალისხმევის გარეშეც მოვახერხებ; მე-

ტიც, მეორეხარისხოვნად მივიჩნევ. მაგრამ მოდით, ისევ ჩემს სუსტ წერტილებს დავუბრუნდეთ და ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო: ზღვის პირას ისინი ნორმალურად მძიმდებოდნენ, ვერაფერს პათოლოგიურს მე მათში ვერ ვამჩნევდი. არ ვიცი, ეგებ ჩემი სასიქადულო ფეხის გარდასახვებით მონუსხული, მათ სათანადო ყურადღებას ვერც ვაქცევდი, ანდა შეიძლება, ამ თვალსაზრისით, ღირსშესანიშნავი მართლაც არაფერი მომხდარა. მაგრამ წამოვედი თუ არა ზღვისპირეთიდან, მაშინვე მტანჯველი შიში და წინათგრძნობა ამეკვიატა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემისაგან შორს მყოფს, გამომეღვიძებოდა და აღმოვაჩენდი: ველარც ერთ ფეხს ვერ ვხრი, ისინიც ყავარჯნებივით გამხევებია, ჩემი სუსტი წერტილები კი ერთიანად გამოცოცხლებულან და მათი სისუსტე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მომაკვდინებელი გამხდარა, აქედან გამომდინარე ყველა თავსატეხით. ცხადია, იმ წერტილებს ვგულისხმობ, რომელთა მნიშვნელობაც სასიცოცხლო არ გახლავთ. ვადასტურებ: სწორედ იმხანად მიღალატეს და მიმუხთლეს ფეხის თითებმა – ასე ვთქვათ, ბრძოლის ველზე მუხანათურად მიმატოვეს. ეგებ ვინმე შემეკამათოს კიდეც, რომ მათი ღალატი ჩემი ფეხების ზოგადი მიმოხილვის შემადგენელი ნაწილია და რამე განსაკუთრებულს არ წარმოადგენს, რადგან, ნებისმიერ შემთხვევაში, განსახილველ ტერფს მაინც ვერ ვადგამდი მიწას. შეიძლება, ყველაფერი შეიძლება. მაგრამ თქვენთვის ცნობილია, რომელ ფეხზე ვლაპარაკობ? არა, არაფერიც არაა ცნობილი – არც თქვენთვის და არც, მით უფრო, ჩემთვის. მაცადეთ, დავფიქრდე. ცხადია, მართალი ბრძანდებით: მკაცრად თუ განვსჯით, ფეხის თითები, ვფიქრობ, ჩემს სუსტ წერტილად ვერ ჩაითვლებოდა,

რადგან თავს შესანიშნავად გრძნობდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე კოჟრს, წანაზარდს, ჩაზრდილ ფრჩხილსა და მოკრუნჩხვისაკენ მიდრეკილებას. დიახ, სუსტი წერტილები მართლაც სულ სხვაგან იყო საძიებელი და თუკი დაუყოვნებლივ, აქვე არ წარმოვადგენ მათ შთამბეჭდავ სიას, მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავსის შედგენას საერთოდ არ ვაპირებ. ასეთ სიას არასოდეს ჩამოვწერ – არა, ეგებ ჩამოვწერო კიდეც. და კიდევ, არ მინდა, ჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ვინმეს მცდარი წარმოდგენა შეექმნას, რადგან მართალია, არც ისეთი უზადო და გამორჩეული გახლდათ, მაგრამ სიმყარის გვარიანი მარაგი კი მოეძევებოდა. აბა, სხვაგვარად როგორ მივაღწევდი მოწიფულობის იმ ასაკს, ახლა რომ მიდგას? ვითომ ზნეობრივი თვისებების წყალობით? ჰიგიენის დაცვით? სუფთა ჰაერით? შიმშილით? უძილობით? სიმარტოვით? დევნით? უსასრულო, უხმო გოდებით (აკი გოდება ჯანმრთელობას ვნებსო?!)? ყოველდღიური ვედრებით – ეგებ მიწამ პირი მიყოსო? კარგი ერთი! ბედი, ცხადია, გულღრძოა, მაგრამ არც მთლად ასეთი უტიფარი. მოდით, მაგალითისთვის, დედაჩემი ვახსენოთ: ბოლოს და ბოლოს, რამ გამათავისუფლა მისგან? ხანდახან მართლა გულით მომინდება ხოლმე ამის გარკვევა. იქნებ ცოცხლად დამარხეს? სულაც არ გამიკვირდებოდა, ღმერთმანი! ო, ეგ ბებერი ძუკნა. მაგარი საჩუქარი მისახსოვრეს იმან და იმის უვარგისმა, მოურეველმა გენებმა. ჩვილობიდანვე ერთიანად დამუწუკებული ვიყავი და რა ხეირი მერე?! გული ჯერ ისევ ცემს, მაგრამ როგორ და რანაირად? და ჩემი საშარდე გზები? არა, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. და შარდის ბუშტი? შარდსაწვეთი? ასოს თავი? ვაი, ჩემს თავს უბედურს! პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ჭეშმარიტი ჯენტლმე-

ნის სიტყვას, რიგიანად დაცლაც კი არ შემიძლია. არადა, გონიერი კაცი მიხვდება, საოხრიდან დღისითაც და ღამითაც მუდმივად შარდი რომ მეპარება. ყოველ შემთხვევაში, მე შარდი მგონია, ისე კი თირკმელების სუნიც დაჰკრავს. რა ხდება? აკი მეგონა, ყნოსვა კარგა ხნის წინ გამიქრა-მეთქი?! ისე, ჩვენში დარჩეს და, განა ამ შემთხვევაში შარდვაზე ლაპარაკი უპრიანია? ვეჭვობ, ვეჭვობ. აი, ოფლს კი – სხვათა შორის, მუდმივად ვოფლიანობ – რაღაც გაუგებარი სუნი უდის. შეიძლება ეს ნერწყვის სუნიც კია, ნერწყვიც ულევად მადგება პირზე. მოკლედ, ვჟონავ და ვიწრიტები. ისე, მაინც არა მგონია, ურემიამ მომიღოს ბოლო. სამყაროში სამართლიანობა თუ არსებობს, მაშინ მეც ცოცხლად დამმარხავენ მოთმინებადაკარგულები. ხოლო ჩემი სუსტი წერტილების სიას ვერც ველარასოდეს ჩამოვწერ იმის შიშით, რომ ბოლოს მომიღებს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, შევადგინო კიდეც, როცა მთელი ჩემი უძრავ-მოძრავი ქონების აღწერის ჟამი დადგება. იმ დღეს, თუკი როდისმე დადგა ის დღე, ნაკლებად შემეშინდება, რამე ბოლოს მომიღებს-მეთქი – ბევრად ნაკლებად, ვიდრე ახლა მეშინია. ახლა კი მართალია, ნამდვილად არ ვგრძნობ თავს ახალბედად ცხოვრების გზაზე, მაინც არა მაქვს საფუძველი, ვივარაუდო, ამ გზის დასალიერს ვუწიე-მეთქი. ამიტომაც ვიზოგავ ძალებს საფინიშო სპურტისათვის. სათანადო დროს ბოლო აწყვეტისთვის მზად თუ არ აღმოჩნდი, ეს იგივეა, გინდაც თამაშგარე დარჩენილხარ; თამაშგარე დარჩენა კი ისევე აკრძალულია, როგორც შეჩერება, თუნდაც წამით. და მეც ველოდები, მსუბუქი ჩორთით მივიწევ წინ და ველოდები, როდის დარეკავს ზარი – ბოლო გაბრძოლებისა და ფინიშის მაუწყებელი შენთვის, მოლოი. აი, ასე ვმსჯელობ და ჩემი მდგომარეობისთ-

ვის ნაკლებად შესაფერის მეტაფორებს ვიშველიებ. ვერ მოვრევივარ წინათგრძნობას – არ ვიცი, რატომ; იმ განცდას, რომ დადგება დღე, როცა მაინც მომიწევს, მოვყვე, რა დამრჩა იმ ყველაფრიდან, რაც ოდესმე მქონია. ოღონდ ამ დღეს ჯერ კიდევ უნდა ველოდო და საბოლოოდ დავრწმუნდე, რომ მეტი აღარაფერი შემიძენია, არ დამიკარგავს, არ გადამიგდია და არ გამიჩუქებია. მაშინ უკვე შეცდომის დაშვებისაც აღარ შემეშინდება და ხმამაღლა განვაცხადებ, საბოლოო ჯამში, რა შემომრჩა იქიდან, რასაც ვფლობდი. ეს იქნება შეჯამების დღე, მანამდე კი, ალბათ, კიდევ გავლარიბდები ან გავმდიდრდები. არა, არც იმდენად, ჩემი ახლანდელი მდგომარეობა შეიცვალოს, მაგრამ საკმარისად კი, რათა აქვე, ახლავე, ალაგობრივ არ განვაცხადო, რა დამრჩა ძველი ქონებიდან. ეგ იმიტომ, ახლა არა მაქვს ის ყველაფერი, რაც მაშინ მექნება. ამ წინათგრძნობის აზრი არ მესმის, მაგრამ გამიგია, უტყუარი წინათგრძნობის აზრის ამოცნობა, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიაო. რატომღაც მგონია, ეს წინათგრძნობა უტყუარი უნდა იყოს და მომავალში გამართლდება კიდეც. ისე, ვითომ მცდარი წინათგრძნობის აზრი უფრო გასაგებია? ალბათ კი. მგონი, ყველაფერი ის, რაც მცდარია, იოლად შეიძლება დავიყვანოთ ყველა სხვა ცნებისაგან განსხვავებულ, მკაფიო გაგებამდე. ან შეიძლება ვცდები კიდეც. თანაც წინათგრძნობები არ მჩვევია, უფრო – გრძნობები, ნება მომეცით ვთქვა, გრძნობათა მონარჩენები-მეთქი. ეგ იმიტომ, ყოველთვის ყველაფერი წინდაწინვე ვიცოდი და შესაბამისად, წინათგრძნობაც არაფერში მჭირდებოდა. მეტსაც გეტყვით (რა მაქვს დასაკარგავი?!): ყველაფერი მუდამ წინდაწინვე ვიცოდი; სამაგიეროდ, მომხდართან დაკავშირებით არაფერი გამეგებოდა, რაც, ალბათ, თა-

ვადაც შეამჩნიეთ; ან თუ ვიგებდი, მხოლოდღა წარმოუდგენელი დაძაბვის ფასად, განვლილზე კი სრულებითაც არ მქონდა წარმოდგენა და სრულ გაუგებრობაში ვიმყოფებოდი. ეს ყველაფერი ერთად – თუკი ამგვარი გაერთიანება შესაძლებელია – ბევრ რამეს ახსნის, კერძოდ – ჩემს გასაოცარ ხნოვანებას, ალაგ-ალაგ რომ შემორჩენია სიჭაბუკის კვალი. ისიც უნდა დავუშვათ, რომ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ყველა კითხვაზე პასუხს ვერ გასცემს. უბრალო დაშვება, რომელიც არაფერს დამავალდებულებს. ჩემი წინსვლა ამ ეტაპზე სულ უფრო და უფრო შენელებული და მტანჯველი ხდებოდა, მე კი ხაზს ვუსვამ, რომ ამის მიზეზი არა მარტო ჩემი ფეხები იყო, არამედ უამრავი ე.წ. სუსტი წერტილი, რომელთაც ფეხებთან არაფერი ესაქმებოდათ, თუკი, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოდ არ ვივარაუდებთ, რომ ისინიცა და ფეხებიც ერთი და იმავე სინდრომის ნაწილები არიან, რაც, ამ შემთხვევაში, უაღრესად რთულად გასარკვევი იქნებოდა. სინამდვილეში – ამას ვნანობ კიდეც, თუმცა რაიმეს გამოსწორება ახლა უკვე ძალზე გვიანია – მთელი ამ თხრობის მანძილზე ფეხებს განსაკუთრებული დატვირთვა მივანიჭე, სხვა ყველაფრის საზარალოდ. ეგ იმიტომ, რომ მე ერთი ჩვეულებრივი ხეიბარი არ გახლდით, ნამდვილად არ ვიყავი ჩვეულებრივი და ისეთი დღეებიც გამოერეოდა ხოლმე, როცა სწორედ ფეხები მუშაობდნენ სხვა ყველაფერზე უკეთესად – რა თქმა უნდა, ტვინს არ ვგულისხმობ, რომელიც მსჯელობის უნარს არასოდეს კარგავდა. მოკლედ, იძულებული გავხდი, სულ უფრო და უფრო ხშირად შევჩერებულიყავი და – თქვენთვის ამის შეხსენება არასოდეს მომბეზრდება – ზრდილობის ყველა წეს-კანონის უგულებელყოფით, იქვე

მივწოლილიყავი, ხან პირქვე და ხან გულაღმა, ხან ერთ გვერდზე და ხან მეორეზე; თან ვცდილობდი, თრომბების დასაშლელად, რაც შეიძლება მაღლა ამეწია ფეხები. არადა, ფეხებაწეული წოლა, მით უფრო, როცა ეს ფეხები გაგხევებია, არც ისე იოლია. ისე, თქვენ ნუ ღელავთ და მაინც ვახერხებდი. როცა ჩემს პირად კომფორტზეა საუბარი, ნებისმიერი მსხვერპლის გასაღებად მზად ვარ. ყოველი მხრიდან ტყე მერტყა გარს და წარმოუდგენლად მაღლა გადახლართული ტოტები საიმედოდ მიცავდნენ შუქისგანაც და ავდრისგანაც. ზოგჯერ სულ ოცდაათი-ორმოცი ნაბიჯით თუ წავიწევდი ხოლმე წინ, გეფიცებით. ვერ ვიტყვი, სრულ წკვარამში მივჩლახუნობდი-მეთქი, არა, კი მივჩლახუნობდი, მაგრამ – წკვარამში არა. ირგვლივ მოიისფრო ბინდი ჩამოწოლილიყო, ჩემი თვალი კი მაინც ყველაფერს არჩევდა. მიკვირდა, ბინდი იისფერი რომ იყო და არა მწვანე. მე მას სწორედ იისფრად აღვიქვამდი და ალბათ არც ვცდებოდი. ასე განვსაჯე: ეტყობა, ფოთლეულის სიმწვანეს მზის სინითლე შეერია და იისფერიც აქედან გაჩნდა-მეთქი. აი, ასე და ამგვარად ვმსჯელობდი ხოლმე, ოღონდ – მხოლოდ შიგადაშიგ. რა სინაზითაა ნათქვამი, რა სისასტიკით! თუმცა დროდადრო კაშკაშა ვარსკვლავის მსგავს გზაჯვარედინზე გამოვდიოდი – ასეთს ყველაზე უღრან ტყეშიც კი გადააწყდები კაცი. და მაშინ რიგრიგობით გავხედავდი ხოლმე ჩემგან გაქცეულ ბილიკებს – ყველას, ჯერი-ჯერზე; თავად არ ვიცი, რის მოიმედე, სრულ წრეს, ან სრულზე ნაკლებსა თუ **მასზე** მეტს შემოვხაზავდი ხოლმე, იმდენად ერთგვაროვანი მეჩვენებოდა ყველა ბილიკი. ოღონდ ბინდი აქ ნაკლებად მრუმე იყო და მეც ვჩქარობდი, დროზე გავცლოდი აქაურობას. არ მიყვარს გამკრთალი ბინდი, არის მასში რაღაც ორაზროვა-

ნი. ამ თვეში რამდენიმე შეხვედრაც მარგუნა ბედმა, რაც, თავისთავად, უაღრესად ბუნებრივია – აბა, სად არ ხდება მსგავსი რამ, ოღონდ არაფერი არსებითი ამ შეხვედრებს არ მოჰყოლია. ერთხელ ერთ მენახშირეს გადავეყარე და ვფიქრობ, შემიყვარდებოდა კიდეც, სამოცდაათი წლით ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი. თუმცა თავს მაინც ვერ დავდებ. ბოლო-ბოლო, მაშინ ხომ ისიც ამდენითვე ახალგაზრდა იქნებოდა... არა, ამდენითვე არა, მაგრამ მაინც – ბევრად უფრო. ზედმეტი სიყვარული არასოდეს განმიცდია, ჩემი პაწია წილი კი ბავშვობისას დავხარჯე და ეს წილი ძირითადად მოხუცებისთვის იყო განკუთვნილი. ვეჭვობ, ერთი-ორჯერ მეც მოვასწარი შეყვარება – არა, ჭეშმარიტი სიყვარულით არა; იმ ბებრუხანას არ ვგულისხმობ – ისევ დამავიწყდა მისი სახელი, მგონი, როუზი ერქვა – თუმცა ისედაც ხომ ხვდებით, ვინც ვიგულისხმე. და მაინც, ასე ვთქვათ, ვიღაც მიყვარდა ნაზი სიყვარულით, რითაც უკეთესი სამყაროს მიჯნაზე მდგომნი უყვართ ხოლმე. კი, დროზე ადრე მომწიფებული ბავშვი ვიყავი და დაკაცებითაც ადრე დავკაცდი. ეს ახლა მომყირჭდა ყველაფერი – მწიფეც, მკვახეცა და ყუნწზევე მიმპალიც. მართლა თავი ამხადა, მეხვეწებოდა, ჩემს ქოხში დაიდე ბინაო, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა. ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანი. ეტყობა, სიმარტოვემ თუ დაღალა. მენახშირე-მეთქი, ვამბობ, ოღონდ ზუსტად მაინც არ ვიცი, ვინ იყო. სადღაც, შორს ბოლი იგრაგნება. რას, რას და ბოლს ყოველთვის ვამჩნევ. მერე ხანგრძლივი საუბარი გავაბით, მძიმე-მძიმე ამოოხვრებით გაჯერებული. ხომ ვერ ვკითხავდი, ჩემს მშობლიურ ქალაქამდე როგორ მივიდე-მეთქი, როცა ამ ქალაქის სახელს ჯერაც ვერ ვიხსენებდი. ამიტომ ვთხოვე, იქნებ უახლოესი ქალაქის გზა მიმასწავლოთ-მეთ-

ქი, და საამისოდ საჭირო სიტყვები და კილოც გამოვნახე. გზა არ იცოდა. ეტყობა, ტყეში დაიბადა და მთელი ცხოვრებაც იქ გაატარა. ვთხოვე, აეხსნა, ტყიდან სწრაფად როგორ გავსულიყავი. თანდათან მჭერმეტყველადაც კი ვიქეცი. აი, იმის პასუხი კი სრულიად გაუგებარი მეჩვენა. ან მე ვერ გავიგე მისი ნათქვამი ვერც ერთი სიტყვა, ან იმან ვერ გაიგო, მე რა ვუთხარი; ან არ იცოდა, რა ეთქვა, ანდა უნდოდა, მასთან დავრჩენილიყავი. ყალბი თავმდაბლობის გარეშე, მე უფრო ამ მეოთხე ვარაუდისკენ ვიხრები, რადგან დავიძარი თუ არა, მაშინვე სახელოზე მწვდა. მოვახერხე, მარჯვედ გამოვათავისუფლე ყავარჯენი და რაც ძალი და ღონე მქონდა, თავში ვთხლიშე. ამან ცოტა დაამშვიდა ის ბებერი ნაბიჭვარი. ფეხზე წამოვდექი და გზა გავაგრძელე, მაგრამ სულ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, რამდენიმე ნაბიჯი კი მაშინ ჩემთვის მართლა რაღაცას ნიშნავდა, ნახევარწრე შემოვხაზე და უკან დავბრუნდი მის დასახედად. როცა დავრწმუნდი, ისევ სუნთქავდა, იმითღა დავკმაყოფილდი, ერთი-ორი გვარიანი წიხლი რომ ჩავაზილე ნეკნებშუა. ახლა ისიც ვთქვათ, ეს როგორღა მოვახერხე. ჯერ გულდასმით შევარჩიე ადგილი, ძირს გართხმული სხეულიდან რამდენიმე ნაბიჯზე. ეს ადგილი დავიკავე და ცხადია, სხეულს ზურგი შევაქციე. მერე ყავარჯნებს შორის მოხერხებულად მოვეწყვე და წინ და უკან ქანაობას მოვყევი, მაგრად ტერფებმიტყუპებული. უფრო ზუსტად, მუხლები მაგრად მივაჭირე ერთმანეთს, თორემ ტერფების მიტყუპებას როგორ მოვახერხებდი, თუკი იცით უკვე, რა დღეშიც მქონდა ფეხები. ოღონდ ეგეცაა, იმავე პირობებში მუხლებს როგორღა მივაჭერდი? არადა, ხომ მივაჭირე და თანაც – მაგრად, მორჩა და გათავდა! გინდ დაიჯერეთ და გინდა – არა. თუ არ მიმიჭერია?

ჩვენში დარჩეს და, საბოლოო ჯამში, ამას რა მნიშვნელობა აქვს? ერთადერთი იმასა აქვს მნიშვნელობა, წინ და უკან რომ ვირწეოდი, სულ უფრო და უფრო მეტად, ვიდრე არ გადავწყვიტე, ახლა კი დროა-მეთქი და მაშინ უკვე მთელი ძალით წინ გადავქანდი, წამში კი უკანვე დავბრუნდი, რამაც სასურველი შედეგი მომიტანა. რამ მომცა საამისო ძალა? სისუსტემ, ცხადია. დარტყმამ უკან გადამაგდო. მიწაზე გავიშხლართე. გამარჯვება არასოდესაა სრული, ეს ხშირად შემიმჩნევია. ცოტა რომ შევისვენე, წამოვდექი, ყავარჯნები ავკრიფე. ახლა ძირს გართხმულ სხეულს მეორე მხრიდან ამოვუდექი და უკვე გამოცდილი მეთოდით სავარჯიშო გავიმეორე. ყოველთვის ვგიჟდებოდი სიმეტრიაზე. ოღონდ ამჯერად, ეტყობა, ცოტა ქვემოთ მომივიდა დარტყმა და ჩემი ქუსლიც რაღაც რბილში ჩაეფლო. თუ ეს ქუსლი ნეკნებს ავაცილე, ესე იგი, თირკმელში მომირტყამს, მაგრამ არც ისეთი ძალით, გამეგლიჯა. მე მგონი, არა. ხალხს ასე წარმოუდგენია, თუკი ბებერი ხარ, ღატაკი, ნატანჯი და დამფრთხალი, მოძალადეს სათანადო პასუხს ვერ გასცემ, რაც, ზოგადად, სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ თუ ხელსაყრელ ვითარებაში მოხვდი, თუ შენივე წონის, სუსტი და მოუქნელი მოწინააღმდეგე გერგო და თუ ეს თქვენი შეხვედრა სადმე მოფარებულში შედგა, მშვენიერი შესაძლებლობა შეიძლება მოგეცეს, დაამტკიცო, მართლა ხნავს თუ არა ბებერი ხარის რქები... მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი შესაძლებლობა გამომეყენებინა, ეგებ ზედმეტადაც შევყოვნდი ამ ისეთსავე ნაკლებად საინტერესო შემთხვევაზე, როგორიცაა ყველა სხვა, რასაც გარკვეული ჭკუის სასწავლებელი დასკვნა ახლავს. ერთი ეგეც ვიკითხოთ, ვჭამდი კი რამეს, თუნდაც დროდადრო? ცხადია, ვჭამდი, მაგალითად, რაღაც-რაღაცე-

ბის ფესვებს, კენკრას, ზოგჯერ – ცოტაოდენ თუთას, ხანდახან – ოღონდ კი მაინც გულისკანკალით – სოკოსაც, რადგან სოკოებში მთლად კარგად ვერ ვერკვეოდი. კიდევ რას? გამახსენდა – ტყის პანტას, ღორების საყვარელ საცმუცნავს. მოკლედ, რასაც მოვიხელთებდი ამ უღრანში. გამიგონია, უფრო სწორად, იმ დროს ამომიკითხავს სადღაც, როცა მეგონა, თვითგანათლება ან სულაც გართობა, ან კიდევ, უბრალოდ, თავის რაიმეთი გამოტენა თუ დროის მოკვლა არ მაწყენს-მეთქი: ტყეში მოხვედრილი კაცი, როცა ჰგონია, პირდაპირ მივაბიჯებო, სინამდვილეში წრეზე დადისო. ამიტომ ძალიან ვცდილობდი, წრე-წრე მევლო იმ იმედით, რომ ამგვარად უფრო სწორი გზით ვივლიდი. ეს ჩემი თავი სასარგებლო ცნობების ყულაბა აღმოჩნდა და თუ ასე, წრე-წრე ტრიალით მაინც ვერ ვპოულობდი სწორ გეზს, ყოველ შემთხვევაში, წრეზე მაინც არ მიბორიალია, რაც, თავისთავად, უკვე რაღაცას ნიშნავს. ყოველღამე ასე ვაგრძელებდი სვლას და წინდაწინ ვხარობდი, ერთ მშვენიერ დღეს როგორ გამოვაღწევდი ამ ტყიდან. ეგ იმიტომ, რომ ჩემი მხარე მთლიანად ტყით არ ყოფილა დაფარული – სულაც არა. იქ ველიც იყო, მთაც, ზღვაც, ქალაქებიცა და სოფლებიც, რომლებსაც ერთმანეთთან შარაგზები თუ ვიწრო ბილიკები აკავშირებდათ. ოდნავი ეჭვიც არ მეპარებოდა, ტყიდან რომ გამოვაღწევდი. მით უფრო, ეს ადრეც არაერთხელ მომეხერხებინა და ამიტომ მშვენივრად ვაცნობიერებდი, რა ძნელია, არ გაიმეორო ის, რაც უკვე გაგიკეთებია. მართალია, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მაინც არ მტოვებდა იმედი, ერთხელაც იქნება და უძრავ, თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ, გაქვავებულ ტოტებს შორის შუქის ციალსა და უცხო დაბლობის სინათლეს დავინახავ, მის მშფოთვარე და

დაბინდულ ციმციმს-მეთქი. ეს დღე მაშინებდა კიდეც, თუმცა ადრე თუ გვიან მისი დადგომა არ მაეჭვებდა. ტყეში ხომ არც ისე ცუდი იყო, უარესის წარმოდგენაც სავსებით შემეძლო და, ჩემი ნება თუ იქნებოდა, სიკვდილამდე დავრჩებოდი იქ, უდრტვინველად. დიახ, სწორედაც უდრტვინველად და არც დღის შუქი მომენატრებოდა, არც მინდორ-ველი და არც ჩემი მხარის სხვა რამ ხიბლი. ეგ იმიტომ, ყველაფერს მშვენივრად რომ ვიცნობდი, ანუ ჩემი მხარის ხიბლს, და არცთუ უსაფუძვლოდ მიმაჩნდა, ტყეში ყოფნა არაფრითაა უარესი-მეთქი. არათუ არაფრით უარესი, ჩემი აზრით, უკეთესიც კი იყო – იმ გაგებით, თავად მეც რომ ტყეში ვიმყოფებოდი. უცნაური თვალსაზრისია, არა? ეგებ არც იმდენად უცნაური, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს? რადგან თუ ტყეში ხარ ისეთ ადგილას, რომელიც სხვებზე არც უარესია, არც უკეთესი, და თან იქ სამუდამოდ დარჩენის შესაძლებლობაც გაქვს, განა ბუნებრივი არ იქნება, პატივისცემით იფიქრო მასზე არა იმის გამო, რასაც ის წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ თავად ხარ იქ? მე კი იქ ვიყავი და იქ მყოფს აღარ მჭირდებოდა ტყეში საგანგებოდ წასვლა. ამგვარ ამბავს აგდებულად არ უნდა მიუდგე კაცი, საკუთარი ფეხებისა და, ზოგადად, მთელი სხეულის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე. აი, სულ ეს მინდოდა მეთქვა და თუ თავიდანვე არ ვთქვი, ესე იგი, ამას რაღაცამ შეუშალა ხელი. მაგრამ ტყეში დარჩენა არ შემეძლო. იმას ვამბობ, რომ ეს შეუძლებელი გახლდათ; ანუ, ფიზიკური თვალსაზრისით, როგორ არ შემეძლო, ამაზე ადვილი რა იქნებოდა, მაგრამ მე ხომ მხოლოდ ხორციელი არ ვიყავი. ტყეში დარჩენილი, გარკვეულ იმპერატივს უთუოდ ავუჯანყდებოდი, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება ნამდვილად დამრჩებოდა. იქ-

ნებ ვცდებოდი, იქნებ სჯობდა, ტყეში დავრჩენილიყავი და შესაძლოა დავრჩენილიყავი კიდეც – ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე და არ დავეტანჯე ჩემს შეცდომას, ლამის ცოდვის სუნი რომ უდიოდა. მე ხომ ყოველთვის ბევრს ვცოდავდი მათ წინაშე, ვინც მასწავლიდა, როგორ მოვქცეულიყავი. და თუკი წესი და რიგი არ მაძლევს ნებას, ამით გავიხარო, ვერც სინანულის საბაბს ვხედავ. იმპერატივები კი სულ სხვა საქმეა და მუდამ მჩვეოდა მათი მორჩილება – თავადაც ვერ გეტყვით, რატომ. მით უფრო, რომ ისინი არასოდეს მაყენებდნენ გზაზე – პირიქით, ყოველთვის იმ ადგილებს მომწყვეტდნენ ხოლმე, სადაც კარგად თუ არ ვგრძნობდი თავს, არც უარესად ვიყავი, ვიდრე ნებისმიერ სხვა გარემოში; მერე კი დამუნჯდებოდნენ და ასე, მეჩეჩზე გარიყულს მიმატოვებდნენ საკუთარი თავის ანაბარა. ასე რომ, ჩემს იმპერატივებს კარგად ვიცნობდი და ამის მიუხედავად, მაინც ვემორჩილებოდი. ეს ჩვევად მექცა. ვაღიარებ, თითქმის ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხს უკავშირდებოდა – კერძოდ, ჩემს ურთიერთობას დედასთან და მოთხოვნილებას, რაც შეიძლება სწრაფად მომეფინა ნათელი ამ ურთიერთობისათვის; მეტიც, იმასაც უკავშირდებოდა, თუ რაგვარი ნათელი უნდა მომეფინა და როგორ უნდა მომეგვარებინა ეს ყველაფერი რაც შეიძლება მოხერხებულად. დიახ, ჩემი იმპერატივები უაღრესად გამოკვეთილი და, მე ვიტყოდი, ზუსტად დადგენილი გახლდათ მანამ, სანამ მკვდარი წერტილიდან დამძრავდნენ, მერე კი ნელ-ნელა სიტყვაძუნწნი ხდებოდნენ, ბოლოს მთლად მუნჯდებოდნენ. მე, როგორც უკანასკნელმა ყეყეჩმა, არ ვიცოდი, ან საით წავსულიყავი, ან რისთვის მივდიოდი იქით. მგონი, უკვე შევნიშნე კიდეც, რომ ყველა მათგანი ერთსა და იმავე მტანჯველ და საჩოთირო

საკითხს შეეხებოდა. არა მგონია, ამ მხრივ, ერთი მაინც ყოფილიყო გამონაკლისი. ისიც კი, რომელიც ტყიდან რაც შეიძლება სწრაფად გამოსვლას მირჩევდა, არანაირად არ განსხვავდებოდა იმათგან, რომელთაც იმთავითვე მივეჩვიე, თუნდაც მათი შინაარსიდან გამომდინარე. სამაგიეროდ, როგორც მომეჩვენა, ფორმამ რაღაც ახალი შეიძინა: უკვე ჩვეულებად ქცეულ ტირადას ახლა პირქუში შეგონება მოსდევდა – ეგებ უკვე ძალიან გვიანაა. თანაც, ლათინურად წარმოთქმული: nimis sero. მგონი, ეს მართლაც ლათინური უნდა იყოს. მითხარით, აბა, რა სჯობს ჰიპოთეტურ იმპერატივებს! მაგრამ თუკი მე მაინც ვერ დავუსვი წერტილი დედაშვილობის საკითხს, ამის გამო მთელი ბრალეულობა იმ ხმას არ უნდა დავაკისროთ, ყოველ ჯერზე, დროზე ადრე რომ დუმდებოდა. ის მხოლოდ ნაწილობრივაა დამნაშავე, და საყვედურიც, შესაბამისად, მარტო ამისთვის ეკუთვნის. ჩემს წინსვლას ხომ გარე სამყაროც ეწინააღმდეგებოდა თავისი ეშმაკობებითა და მამაძაღლობებით, რისი რამდენიმე მაგალითიც უკვე ჩამოვთვალე. და გინდაც ხმას მოეხერხებინა და მთლად მოქმედების ადგილამდე მივეთრიე, შესაძლოა ამ შემთხვევაშიც კი ვერ მიმეღწია წარმატებისათვის – ჩემს გზაზე გამოჩენილი სხვა წინაღობების გამოისობით. თავად ბორძიკ-ბორძიკით ნაკარნახევ ბრძანებაშიც, რასაც მალევე მოჰყვა სრული დუმილი, უკვე იგრძნობოდა გამოუთქმელი ვედრება – მოლოი, ამას ნუ იზამო! როცა უსასრულოდ მახსენებდა საკუთარ ვალდებულებას, განა ამით არ სურდა, ამ ვალდებულების სრული უაზრობაც დაენახვებინა? არ გამოვრიცხავ. საბედნიეროდ, ხმა მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამდა, თუ გნებავთ, შეფარულად აღიზიანებდა სრულყოფილებისადმი ჩემს შინაგან მიდრეკილებას.

ვფიქრობ, მთელი ცხოვრება დედისკენ მივდიოდი, რათა ჩვენი, უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობები ნაკლებად მერყევ საძირკველზე დამემყარებინა. მაგრამ როცა მასთან მივდიოდი – ამას კი საკმაოდ ხშირად ვახერხებდი – ისევ უნიათოდ ვბრუნდებოდი უკან. ხოლო იქიდან წამოსული, კვლავ იქით მივბრუნდებოდი ხოლმე იმ იმედით, ამჯერად მაინც ყველაფერს უკეთესად მოვახერხებ-მეთქი. ხოლო როცა თითქოს ფარ-ხმალს ვყრიდი, რამე სხვას ვკიდებდი ხელს ან, უბრალოდ, უსაქმურობას ვეძლეოდი, სინამდვილეში კვლავ და კვლავ იმავე გეგმებს ვაწყობდი და მისი სახლისაკენ სავალ გზას დავეძებდი. დიდად უცნაურად ლაგდება ყველაფერი. ეს იმიტომ, რომ ე.წ. იმპერატივის გარეშე, რომელსაც მაინც სათუოდ მივიჩნევ, გამიჭირდებოდა ტყიდან გამოსვლა, რადგან იძულებული გავხდი, იმ უღრანში დედაჩემის არარსებობა მეღიარებინა. ოღონდ ყველა სირთულის მიუხედავად, როგორც ჩანს, ჩემთვისვე აჯობებდა, იქ დავრჩენილიყავი. არადა, უკვე ხომ ვთქვი, ცოტაც და მოვლენათა განვითარების გათვალისწინებით, მოძრაობას ველარ შევძლებ და იძულებული გავხდები, დავრჩე იქ, სადაც აღმოვჩნდები, თუკი ვინმემ არ გადამაადგილა-მეთქი. შეიძლება ეს ყველაფერი მთლად მკაფიოდ ვერ გამოვთქვი: როცა ვამბობ, მე ვთქვი და ა.შ., მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ ბუნდოვნად ვაცნობიერებდი, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს და ზუსტად ვერ ვიტყოდი – მაინც რა და როგორ. ყოველ ჯერზე, როცა ვამბობ, ესა ვთქვი თუ ისა ვთქვი-მეთქი, ან როცა იმ შინაგან ხმაზე ვმსჯელობ, რომელიც ამბობს: მოლოი! – რასაც მოსდევს მეტ-ნაკლებად მარტივი და გასაგები ღირსშესანიშნავი სიტყვები; ან როცა იძულებული ვხდები, მკაფიოდ ნათქვამი სიტყვებით სხვებს მივმართო დახმარები-

სათვის; ან როცა მესმის, როგორ ურთიერთობს ჩემი ხმა სხვა ხმებთან, მეტ-ნაკლებად ნათლად გამოცემული ბგერებით, უბრალოდ, ხარკს ვუხდი ხოლმე რაღაც პირობითობას, რომელიც ჩემგან ან ტყუილს მოითხოვს, ანდა – დუმილს. სინამდვილეში, სულ სხვა რამ ხდებოდა: არასოდეს მითქვამს, ცოტაც და, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ასე და ასე-მეთქი; მაგრამ ეს იმას ჰგავს, რასაც ალბათ ვიტყოდი, თუკი მოვახერხებდი. მე კი არც არაფერს ვამბობდი, მხოლოდ რაღაც ჩურჩული მესმოდა, რაღაც უბედურება სჭირდა სიჩუმეს და მეც სმენას ვძაბავდი რომელიღაც მხეცივით, რომელიც კრთება და თავს იმკვდარუნებს. მერე რაღაც ამიზავთდებოდა შიგნით, რაღაც ბუნდოვანი, რასაც ამ სიტყვებით გამოვხატავდი: მე ვთქვი და ა.შ., ანდა – მოლოი, ნუ იზამ ამას! ანდა – ეგაა დედათქვენის გვარი? – მკითხა პოლიციელმა (სიტყვასიტყვით დამამახსოვრდა). ამ განცდას ზოგჯერ პირდაპირ კი არ გამოვხატავ, არამედ ისეთი მაცდური რიტორიკული ფიგურებით, როგორიცაა, ვთქვათ, მომეჩვენა, თითქოს და ა.შ., ანდა შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს და ა.შ. არადა, არაფერი მეჩვენებოდა, სრულებით არაფერი, და არც არანაირი შთაბეჭდილებები არ მიჩნდებოდა – უბრალოდ, სადღაც რაღაც იცვლებოდა და, აქედან გამომდინარე, მეც უნდა შევცვლილიყავი, ან თავად სამყარო უნდა შეცვლილიყო, რათა არაფერს შესტყობოდა ცვლილება. ამისთანა უზადო მორგება, რაც ზიარჭურჭლებისთვისაა აუცილებელი, მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი სიტყვებითღა შემიძლია გამოვხატო: მე მეშინოდა რომ; ანდა – იმედი მქონდა, რომ; ანდა – ესაა დედათქვენის გვარი? – მკითხა პოლიციელმა. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სხვანაირად და უკეთაც შემეძლო გამომეთქვა, თუკი თავს შევიწუხებდი;

ეგებ ოდესმე შევიწუხო კიდეც, როცა გარჯა ისეთ საშინელებად აღარ მომეჩვენება, როგორც დღეს. ოღონდ ეს მაინც ნაკლებად სავარაუდოა. მოკლედ, ასე ვთქვი: ცოტაც და, მოვლენათა განვითარების გათვალისწინებით, მოძრაობას ველარ შევძლებ, იძულებული გავხდები, იქვე დავრჩე, სადაც აღმოვჩნდები, თუკი ვინმემ არ გადამაადგილა-მეთქი. მართლაც, ჩემი გადაადგილებები სულ უფრო მოკლე-მოკლე ხდებოდა, შედეგად კი, დასვენება უფრო და უფრო ხშირად მიწევდა. აქვე დავამატებდი – უფრო და უფრო დიდი ხნითაც, რამდენადაც ცნება „ხანგრძლივი დასვენება“, თუ კაცი ჩაუკვირდება, სულაც არ გამომდინარეობს ცნებიდან „მოკლე მანძილზე გადაადგილება“, ზუსტად ისევე, როგორც – ცნებიდან „ხშირი დასვენება“, თუკი, რა თქმა უნდა, სიტყვას „ხშირი“ იმ მნიშვნელობას არ მივანიჭებთ, რაც მას არ გააჩნია და რაც დიდად არც მე მხიბლავს. მით უმეტეს, რომ ტყიდან გამოსვლა სასურველადაც მეჩვენა და მომინდა, რაც შეიძლება სწრაფად გამოვსულიყავი, თორემ მალე ძალ-ღონეც აღარ მეყოფოდა საიდანმე გამოსაღწევად. როგორც ჩანს, ზამთარი იდგა, ნამდვილად. ბევრ ხეს დასცვივდა ფოთოლი. ეს ჩამოცვენილი ფოთლები მერე ჩაშავდა და ჩალპა, ჩემი ყავარჯნები კი უკვე ღრმად ეფლობოდნენ ამ ნეშომპალაში. უცნაურია, მაგრამ ვერ ვგრძნობდი, ჩვეულებრივზე მეტად რომ მციოდა. ეგებ სულაც ჯერ ისევ შემოდგომა იდგა? ასეა თუ ისე, ტემპერატურის ცვლილებისადმი დიდად მგრძნობიარე არ გახლავართ. აი, ბინდ-ბუნდი კი, თუკი უწინდელივით იისფრად არ მეჩვენებოდა, მაინც ძველებურად მრუმე რჩებოდა. მერე ვთქვი კიდეც, ის ისეთივე იისფერი აღარაა, რადგან სიმწვანის წილი მოაკლდა, ოღონდ კვლავაც მრუმეა, ზამთრის ტყვიისფერი ცის გამო-მეთქი.

ორიოდ სიტყვა შავ წვეთებზე, შავი ტოტებიდან რომ წვეთავდა, თუ რაღაც ამდაგვარი... ფოთლების შავი, წებოვანი სისველე სულ უფრო მეტად ანელებდა ჩემს გადაადგილებას. თუმცა ამის გარეშეც იძულებული გავხდი, უარი მეთქვა წელგამართულად, ადამიანივით სიარულზე. დღესაც ნათლად მახსოვს ის დღე, როცა პირქვე ვიწექი, ასეთნაირად ვისვენებდი, წესისა და რიგის უგულებელყოფით, და უცებ წამოვიყვირე, თან შუბლზე ვიტკიცე ხელი: დაიცა და, ხომ შემეძლო ხოხვით მევლო?! ოღონდ რამდენად მოვახერხებდი ამას ჩემი სხეულისა და ფეხების გადამკიდე? თავზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ახლა, სანამ გავაგრძელებდე, ორიოდ სიტყვა ტყის ჩქამ-ჩურჩულებზე: სულ ტყუილად ვაყურადებდი, ჩქამის მაგვარიც კი არაფერი გამიგია. სამაგიეროდ, დიდ-დიდი შუალედებით, ჩემს სმენას სადღაც შორიდან მომავალი გონგის ხმა სწვდებოდა. ტყეს უფრო ბუკი შეეფერება, ელი კიდეც იმის ხმიანობას, მარეკის გამოჩენას, მაგრამ – გონგი?! უკიდურეს შემთხვევაში, ტამტამთა ცემაც კი არ გამაკვირვებდა, გონგი კი... ეს მამცირებდა – ელოდები ტყის ნაქებ შრიალს ან იმას, რომ რაღაც ამდაგვარს გაიგონებ და ამის მაგივრად სადღაც შორიდან, გრძელ-გრძელი შუალედებით, გონგის ხმა ჩაგესმის! ერთი ხანობა იმედი ჩამესახა, ეგებ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემივე გულისცემის ხმაა-მეთქი, მაგრამ ეს – სულ ერთი წუთით. ის არ ცემს. ჩემი გული არ ცემს. სჯობს, ჰიდრავლიკის კანონებს გადაავლოთ თვალი, რათა თავად წარმოიდგინოთ, როგორ ფართხალებს ეს დაძველებული დგუში. სხვათა შორის, მე იმ ფოთლებსაც ვაყურადებდი, ჯერ რომ არ ჩამოცვენილიყვნენ. გაფაციცებით ვაყურადებდი, თუმცა სულ ამაოდ. უძრავნი და ბრინჯაოსავით უდრეკნი, ჩქამსაც არ გამოსცემდნენ. მგონი, ეს

უკვე ვთქვი, არა? მაგრამ მოდით, ტყის ხმებს მოვეშვათ, საკმარისია. დროდადრო მე გამოვცემდი ხოლმე ბუკისმაგვარ ხმას, ჩემი პალტოს ჯიბის უხეშ ქსოვილს მოვისინჯავდი და იქ დაბინავებულ ველოსიპედის საყვირს ვახმიანებდი. საყვირი ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. როდის მოვხსენი ეს საყვირი ველოსიპედს? არ ვიცი. ახლა კი მოდით, მოვათავოთ. პირქვე ვიწექი, ყავარჯნები სააბორდაჟე კავების მაგივრობას მიწევდა. მთელი ძალით გავისვრიდი ხოლმე წინ და როცა დავრწმუნდებოდი, რაღაცას კარგად მოედო-მეთქი, ხელებით ვექაჩებოდი და ამგვარად მივათრევდი სხეულს წინ. საბედნიეროდ, გაჩხინკულობის მიუხედავად, მაჯებში ძალა ჯერ კიდევ შემრჩენოდა, თუმცა ქრონიკულ ართრიტს ისინიც გვარიანად გაეტანჯა. აი, მოკლედ იმის თაობაზე, რანაირად გადავაადგილდებოდი. ამ ხერხის უპირატესობა გადაადგილების სხვა შესაძლებლობებთან შედარებით – ცხადია, პირადად ჩემს გამოცდილებას ვგულისხმობ – იმაში მდგომარეობს, რომ თუ დასვენება მოგინდათ, მაშინვე წყვეტთ მოძრაობას და დაუყოვნებლივ ისვენებთ, ყოველგვარი განსაკუთრებული დავიდარაბის გარეშე. დგომა ხომ, ისევე, როგორც ჯდომა, დასვენება არაა. არიან ადამიანები, რომლებიც მჯდომარე გადაადგილდებიან, ან სულაც მუხლებზე მდგომნი მიათრევენ წინ საკუთარ თავს, საგანგებო საბიჯგელების დახმარებით. ის კი, ვინც ჩემნაირად, ქვეწარმავალივით მუცელზე გართხმული მიხოხავს, სწორედ იმ წამს იწყებს დასვენებას, რა წამსაც საამისო გადაწყვეტილებას მიიღებს და თავად მისი გადაადგილებაც დასვენების ნაირსახეობად აღიქმება სხვა მოძრაობებთან შედარებით – რასაკვირველია, იმ მოძრაობებს ვგულისხმობ, რომლებიც მღლიდა და ქანცს მაცლიდა. აი, ასე მივი-

წევდი წინ, ტყეში. ნელ-ნელა, ოღონდ – უთუო სიჯიუტით. ყოველდღიურად გავდიოდი ჩემს იმ თხუთმეტ ნაბიჯს, ყოველგვარი განსაკუთრებული ჭაპანწყვეტის გარეშე. კიდევ ზურგზეც დავხოხავდი ხოლმე, ბრმად მოვისვრიდი ყავარჯნებს ტევრში და ამ დროს ცა კი არა, შავი ტოტები დასცქეროდნენ ჩემს მაგრად დახუჭულ თვალებს. დედისკენ მივემართებოდი. დროდადრო ვამბობდი – დედა-მეთქი. ალბათ, თავის გამხნევებას თუ ვცდილობდი. ხშირ-ხშირად მეკარგებოდა ქუდი, ზონარი კარგა ხნის წინ გამიწყდა. ასე მანამდე გრძელდებოდა, სანამ ბოლოს, გაცოფებულმა, ისეთი ძალით არ ჩამოვიფხატე ქუდი თავზე, რომ მერე ველარც მოვიხადე. ნაცნობ ქალბატონებს რომ შევხვედროდი გზად – საერთოდ რომ მყოლოდა ნაცნობი ქალბატონები – ვერაფრით მოვახერხებდი იმგვარად მისალმებას, როგორც ამას ზრდილობა მოითხოვს. აი, ჩემი ტვინი კი უწინდებურად მუშაობდა, თუმცა თან შენელებულადაც, და წამითაც არ მავიწყდებოდა მხარის ცვლის აუცილებლობა. ამდენად, სამი-ოთხი გადახოხების მერე გეზს ვიცვლიდი, რის შედეგადაც წრეს თუ ვერ დავარტყამდი, ყოველ შემთხვევაში, მრავალკუთხედს მაინც მოვხაზავდი და იმედიც მქონდა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ისევ დედისკენ მივიწევ-მეთქი. მართლაც, დადგა დღე და ტყე დამთავრდა. შუქი დავინახე, დაბლობის შუქი, რასაც ვვარაუდობდი კიდეც. ოღონდ შორიდან არ ვხედავდი და არც ის ციმციმებდა ხაოიანი ღეროების მიღმა, როგორც მანამდე წარმომედგინა: მოულოდნელად სწორედ ამ შუქში აღმოვჩნდი თავფეხიანად გახვეული, თვალები გავახილე და მივხვდი, მოვსულვარ-მეთქი. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ კარგა ხნის მანძილზე თვალებს ან საერთოდ არ ვახელდი, ან – ძალზე იშვიათად. გეზის უმნიშვნელოდ შეცვ-

ლასაც ბრმად ვახერხებდი, ასე ვთქვათ, ალალბედზე. ტყე თხრილით ბოლოვდებოდა, არ ვიცი, რატომ. მეც სწორედ ამ თხრილში მოვეგე გონს და ყველაფერი გავაცნობიერე. ვფიქრობ, თვალიც სწორედ თხრილში ჩავარდნამ ამიხილა, აბა, სხვა რა ახსნა შეიძლება მოიძებნოს? ჩემ წინ გადაშლილ უსაზღვრო და უსამანო ველს გავცქეროდი. თუმცა არა – არც მთლად უსაზღვროს, რადგან დღის შუქს შეჩვეული ჩემი თვალები ცისკიდურზე უკვე არჩევდნენ ქალაქის კოშკურებისა და სამრეკლოების სულ ოდნავ შესამჩნევ მოხაზულობას, რაც, ცხადია, ჯერ კიდევ არ ადასტურებდა, რომ ეს ჩემი ქალაქი გახლდათ. საამისოდ დამატებითი საბუთები მჭირდებოდა. ერთი ეგაა, ველი ნაცნობი მომეჩვენა, თუმცა ჩემს მხარეში ყველა ველი ერთმანეთს ჰგავს და ერთი თუ გეცნო, სხვა დანარჩენიც გეცნობა. ასეა თუ ისე, ჩემი ქალაქი იყო ეს თუ არა, იქ, სადღაც, ამ ლივლივა ჰაერის საბურველში, მძიმედ სუნთქავდა დედაჩემი, ან აქედან ასიოდე მილის მოშორებით წამლავდა ჰაერს. ვინ იცის, იქნებ ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის ეს შეკითხვები სრულიად უსაგნოდაც მოჩანდა, თუმცა, თავისთავად, უთუოდ ატარებდა გარკვეულ შემეცნებით ხასიათს. აბა, ისე საიდან მომეცემოდა ძალა, ამ უკიდეგანო საძოვრებზე გადამეთრია ჩემი სხეული? იქნებ – გორებ-გორებით? და მერე? რა, დედაჩემის სახლამდე ვიგორავებდი ასე? ჩემდა საბედნიეროდ, ამ მტანჯველ წამს, რაც ოდესღაც ვივარაუდე კიდეც, თუმცა კი ამდენად მტანჯველადაც არ მესახებოდა, ხმა გავიგონე – მეუბნებოდა, ნუ იტანჯები, საშველი მალე დაგადგებაო. სიტყვასიტყვით, ასე მითხრა. ნათქვამმა სმენა და გონი გაარღვია, ისე მკაფიოდ ჩამებეჭდა შიგ, როგორც – ამ შედარების არ შემეშინდება – იმ ბიჭის ნათქვამი მადლობა, მარ-

მარილოს ბურთულა რომ მივაწოდე. ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება. ნუ იტანჯები, მოლოი, უკვე მოვდივართ. რას იზამ, როგორც ჩანს, ყველაფერი უნდა გამოსცადო ერთხელ მაინც, მათ შორის – დახმარებაც, თუ გინდა, რომ ჩვენი პლანეტის შესაძლებლობებზე სრული წარმოდგენა შეგექმნას. თხრილის ფსკერზე ჩავგორდი. სავარაუდოდ, გაზაფხული უნდა ყოფილიყო, გაზაფხულის დილა. მომეჩვენა, თითქოს ჩიტების სტვენა მესმოდა. ალბათ, ტოროლების. კარგა ხანი იყო, ჩიტების ხმიანობა აღარ მსმენოდა. როგორ მოხდა, ტყეში მაინც რომ არ მომიკრავს ყური? არც დამინახავს თუნდაც ერთი მაინც. ოღონდ ეს უცნაურად არ მომჩვენებია. ვითომ ზღვასთან კი მესმოდა? თოლიების გნიასი. არ მახსოვს. მარტო ჭილყვავები გამახსენდა. მახსოვრობაში ორი მგზავრიც ამომიტივტივდა. ერთს სქელი ჯოხი ეჭირა. აღარ მახსოვს არც ერთი. მერე ისევ დავინახე ცხვრები. ან იქნებ ახლა მეჩვენება ასე? არ ვიტანჯებოდი. ჩემს თვალწინ ჩემი ცხოვრების სხვა სურათებიც ენაცვლებოდა ერთმანეთს. მგონი, გაწვიმდა, მერე მზე გამოჩნდა – სწორედ ამ თანმიმდევრობით. მართლაც გაზაფხულის ამინდი იდგა. სურვილი გამიჩნდა, ისევ ტყეში დავბრუნებულიყავი. არა, არა – მოურეველი სურვილი არა. მოლოის შეეძლო იქაც დარჩენილიყო, სადაც ახლა აღმოჩნდა.

II

შუაღამეა. ფანჯარას წვიმა ეხლება. მშვიდად ვარ. სხვებს სძინავთ. მე კი ვდგები და საწერ მაგიდასთან მივდივარ. დაძინება არ შემიძლია. მაგიდის სანათიდან რბილად და თანაბრად იღვრება შუქი. წინდაწინ დავამოკლე პატრუქი. დილამდე გაძლებს. ჭოტის ხმა მესმის. მაგარია! სისხლს გაგიყინავს ძარღვებში. ადრე კი სრულიად მშვიდად ვუსმენდი. ჩემს ვაჟიშვილს სძინავს. ეძინოს. ისეთი ღამეც დადგება, როცა უძილობით შეპყრობილი, თავადაც წამოდგება და საწერ მაგიდასთან მივა. მე აღარც ვემახსოვრები.

ჩემი მონათხრობი გრძელი იქნება. შეიძლება ვერც დავასრულო. ჟაკ მორანს მეძახიან. ამ სახელითა და გვარით მიცნობენ. დავიღუპე. მეცა და ჩემი ვაჟიშვილიც დავიღუპეთ. ოღონდ ის ჯერ ვერაფერს ხვდება. ეტყობა, ფიქრობს, ნამდვილი ცხოვრების ზღურბლზე ვდგავარო. ასეცაა. ჩემი არ იყოს, მასაც ჟაკი ჰქვია. მაგრამ არავითარ დაბნეულობას ეს არ გამოიწვევს.

მშვენივრად მახსოვს ის დღე, როცა მოლოის მიხედვა დამავალეს. კვირა დღე იყო. ზაფხული იდგა. ჩემს მომც-

რო ბაღში, მოწნულ სავარძელში ვიჯექი და მუხლებზე შავ-ყდიანი წიგნი მედო. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა. ეკლესიაში წასვლა ჯერ ადრე იყო. კვირადღით ვტკბებოდი, თუმცა კი მას ისეთ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, როგორსაც ზოგიერთ სხვა სამწყსოში ანიჭებენ. ჩემი აზრით, ამ უქმე დღეს შრომა ან თამაში უცილობლად გაკილვას არ უნდა იმსახურებდეს. ასე მგონია, ყველაფერი იმის შემართებაზეა დამოკიდებული, ვინც შრომობს ან თამაშობს, და კიდევ – თავად სამუშაოსა თუ თამაშის ხასიათზეც. სიამოვნებით გავიფიქრე, რომ ამგვარი, ცოტა არ იყოს, ლიბერალური თვალსაზრისი სულ უფრო და უფრო მეტად ვრცელდებოდა სასულიერო პირთა შორის, რომელნიც, მგონი, მზად იყვნენ, ელიარებინათ, რომ წირვაზე დასწრებისა და ეკლესიისათვის შესაწირის გაღების პირობით, კვირა დღე თამამად შეიძლებოდა, ბევრი თვალსაზრისით, ისეთსავე დღედ მიჩნეულიყო, როგორიც დანარჩენი ექვსი დღეა. პირადად მე ეს საკითხი არ მაღელვებდა. მცირედი მცონარობა მუდამ მიყვარდა და შესაძლებლობა თუ მექნებოდა, სადაგ დღეებშიც სიამოვნებით დავისვენებდი. არა, უიმედო მუქთახორად ნამდვილად ვერ ჩავითვლებოდი, საქმე ეგ არ იყო. როცა ვუცქერდი, როგორ კეთდებოდა რაღაც, რასაც მე უკეთესად გავართმევდი თავს, თუკი ამას მოვისურვებდი და ვაკეთებდი კიდეც, როცა კი ამის აუცილებლობა ჩნდებოდა, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს მხოლოდ ასე ვამართლებდი საკუთარ დანიშნულებას, და არანაირ სამუშაოს არ შეეძლო იგივე განცდა გამოეწვია ჩემში. თუმცა მსგავსი სიხარულით ტკბობის საშუალებას სადაგ დღეებში თავს იშვიათად ვაძლევდი.

ამინდიც არ დაიწუნებოდა. უგულისყუროდ გავცქეროდი ჩემს სკებს, აქეთ-იქით მორიალე ფუტკრებს. მესმოდა, რო-

გორ ხრაშუნებდა ხრეში ჩემი ვაჟიშვილის ფეხქვეშ – ეტყობა, დაჭერობანას თუ ეთამაშებოდა საკუთარ თავს, დიდი მონდომებით. გავძახე, არ დაისვარო-მეთქი. პასუხი არ გაუცია.

გარშემო ყველაფერი დადუმებულიყო. სიოც კი არ ქროდა. მეზობელი სახლების საბუხრე მილებიდან სწორ ხაზად ამოდიოდა მოცისფრო კვამლი. მერე რაღაც ხმები გაისმა, ოღონდ უაღრესად დამამშვიდებელი: ბურთზე ხის ჩაქუჩის მირტყმის ხმა, ხრეშზე ფოცხის გასმის ხმა, ბალახის საკრეჭი მანქანის შორეული ღუღუნი, ზარების რეკა ჩემი საყვარელი ეკლესიიდან და, რა თქმა უნდა, ჩიტების ჟივჟივიც. შაშვები რაღაც თავისას სტვენდნენ, მაგრამ ხვატით გათანგული ფრინველების მღერა, სადაც იყო, სევდიანად მიჩუმდებოდა – ჩიტები იმ ხეთა კენწეროებს ტოვებდნენ, რომლებზეც განთიადს შეხვედროდნენ და ახლა ბუჩქების ბინდბუნდს აფარებდნენ თავს. ხარბად ვისუნთქავდი მოზვრიკუდას სურნელს.

აი, ამგვარ გარემოში გაირბინა ჩემი სიმშვიდისა და ბედნიერების უკანასკნელმა წუთებმა.

ბაღში კაცი შემოვიდა და სწრაფად გამოემართა ჩემკენ. ამ კაცს კარგად ვიცნობდი. დიდი ხანია, მოურეველი აღშფოთება აღარ მიპყრობს, როცა ვხედავ, როგორ მოაბიჯებს მეზობელი ჩემს ბაღში კვირადღით – იმისთვის, რომ, თუკი საჭიროდ ჩათვალა, მომიკითხოს. არავის ხილვა დიდად არ მეფინებოდა გულზე. ოღონდ ეს ახლადმოსული მეზობელი არ გახლდათ. ჩვენი ურთიერთობა თავიდან ბოლომდე საქმიან ხასიათს ატარებდა. ჩემი სიმშვიდისა და განმარტოების დასარღვევად ეს კაცი შორიდან მოსულიყო. ამიტომაც ვამჯობინე, ხაზგასმით ცივად შევგებებოდი, მით უფრო, რომ თავხედობა ეყო, პირდაპირ იქ, ვაშლის ხის ქვეშ მომდგო-

მოდა. იმასთან, ვინც ასე უტიფრად იქცევა, ბევრი იწილობიწილოს გაბმა არა მჩვევია. თუკი ჩემთან საუბარი სურთ, კეთილი ინებონ და სახლის კარზე მომიკაკუნონ. ამის თაობაზე კარგა ხანია, სათანადო მითითებები მაქვს მიცემული მართასთვის. მეგონა, საიმედოდ ვიყავი დაცული ყველასგან, ვინც შეიძლებოდა ჩემს სამფლობელოში შემოჭრილიყო. მოკლე გზაა ბაღის კუტიკარიდან შესასვლელ კარამდე. კუტიკარის ჯახუნის გაგონებისას უკმაყოფილოდ შემოვტრიალდი და ფოთოლნარს მოფარებულმა დავინახე, როგორ მოაბიჯებდა ჩემკენ ეს მაღალ-მაღალი სტუმარი მდელოზე. არც წამოვმდგარვარ და მისთვის არც ჩამოჯდომა შემითავაზებია. თავზე დამადგა და ერთი ხანობა უსიტყვოდ შევაჩერდით ერთმანეთს. მუქი ფერის უზადო საგარეო სამოსი ეცვა, რამაც ლამის საბოლოოდ გამომიყვანა წყობიდან. გარეგნობაზე ამგვარი ვულგარული ზრუნვა, მაშინ, როცა სული ძონძებშიც ხარობს, მუდამ დამთრგუნველად მოქმედებდა ჩემზე. ვიჯექი და მოსულის ვეება ტერფებს დავცქეროდი, დაუნანებლად რომ სრესდნენ ჩემს ღიღილოებს. არც კი იცით, რა სიამოვნებით დავიფრენდი სახრით! საუბედუროდ, ის არ იყო ყველაფრის თავი და თავი. დაბრძანდით! – ვუთხარი იმის გაფიქრებით ცოტა გულმომბალმა, ეს კაცი მხოლოდ და მხოლოდ შუამავალია-მეთქი. მეტიც, უეცრად სიბრალულიც კი ვიგრძენი მის მიმართაც და საკუთარი თავის მიმართაც. ჩამოჯდა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. ჩემს ვაჟიშვილს მოვკარი თვალი, ბუჩქს მოფარებული მოგვჩერებოდა. იმხანად ცამეტი-თოთხმეტი წლის თუ იქნებოდა. ასაკის კვალობაზე ბრგე და ჯანიანი ყმაწვილი ეთქმოდა. გონებრივ განვითარებას რაც შეეხება, ზოგჯერ მართლა დალაგებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთი სიტყ-

ვით, ჩემი ალიკვალი გახლდათ. დავუძახე და ერთი ბოთლი ლუდის მოტანა დავავალე. თვალთვალი ჩემი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და შვილიც უნებურად მე მბაძავდა. ჩემდა გასაკვირად, სწრაფად დაბრუნდა. ორი ჭიქა და ლუდის ლიტრიანი ბოთლი მოიტანა, თავსახური მოხსნა და სასმელიც ჩამოგვისხა. ბოთლების გახსნაზე გიჟდებოდა. ვუთხარი, ხელ-პირი დაიბანე, ტანსაცმელი მოიწესრიგე და მოკლედ, ხალხში გამოსაჩენად მოემზადე-მეთქი. წირვის დრო ახლოვდებოდა. შეუძლია დარჩესო, – თქვა გაბერმა. არ მინდა, რომ დარჩეს-მეთქი, – მივუგე მე. შვილისკენ შევტრიალდი და ნათქვამი კიდევ ერთხელ გავუმეორე. იმხანად ბევრი არაფერი მაბრაზებდა ისე, როგორც წირვაზე დაგვიანება. ნება თქვენიაო, – მითხრა გაბერმა. ადრე რამდენჯერმე ვცადეთ, შენობით მიგვემართა ერთმანეთისთვის, მაგრამ ამ ამბიდან არაფერი გამოვიდა. შენობით მხოლოდ ორ ადამიანს მივმართავ... მივმართავდი. ჟაკი ბუზღუნ-ბუზღუნით გაგვეცალა, თან თითს იწუწნიდა. საზიზღარი და არაჰიგიენური ჩვევაა, მაგრამ თუ ყველაფერს საფუძვლიანად აწონ-დაწონის კაცი, ალბათ მაინც უფრო ასატანია, ვიდრე ცხვირში თითის შეყოფა. პირში ჩადებული თითი თავისთავად გამორიცხავდა იმას, რომ ჩემი ვაჟიშვილი მას ცხვირში თუ სადმე, სხვა ადგილას შეიყოფდა, ასე რომ, ის, გარკვეული თვალსაზრისით, სრულიად გამართლებულად იქცეოდა.

აი, ახალი მითითებები თქვენთვისო, – მითხრა გაბერმა, ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და კითხვას შეუდგა. დროდადრო წიგნაკს მოკეცავდა ხოლმე, თუმცა შიგ თითის სანიშნესავით ჩატოვება არ ავიწყდებოდა და წაკითხულის განმარტებას იწყებდა. სრულიად ზედმეტად იწუხებდა თავს, რადგან ჩემი საქმე მშვენივრად ვიცოდი. როცა, ბო-

ლოს და ბოლოს, მოამთავრა, ვუთხარი, ამ ყველაფერში დიდად საგულისხმოს ვერაფერს ვხედავ და სჯობდა, შეფს სხვა აგენტისათვის მიემართა-მეთქი. ღმერთმა უწყის, რატომ, მაგრამ მაინცდამაინც თქვენ უნდა მოჰკიდოთ ამას ხელიო, – მიპასუხა გაბერმა. ალბათ გეტყოდათ რაღაც მიზეზს-მეთქი, – არ მოვეშვი მე. თან მის ნათქვამში პირფერობაც ვიგრძენი, რის მიმართაც გულგრილი არასოდეს ვყოფილვარ. ასე თქვა, – მომიგო გაბერმა, – ამ დავალებას მის გარდა ვერავინ შეასრულებსო. თითქმის სიტყვასიტყვით წარმოთქვა ის, რის მოსმენასაც ველოდი. და მაინც, – გავაგრძელე, – მე მგონი, ჩიტი ბდღვნად არ ღირს. ამის გაგონებაზე გაბერი ჩვენი საერთო უფროსის ლანძღვას მოჰყვა, ვისაც შუაღამისას, სწორედ იმ დროს წამოეგდო ლოგინიდან, როცა ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებას ცდილობდა. თან ამისთანა სისულელისთვის, – დაამატა ბოლოს. მოიცათ, მართლა ასე თქვა, ამ საქმეს სხვას ვერავის ვანდობო? – ჩავეკითხე. თვითონაც არ იცის, რას ბოდიალობს, – აიმრიზა გაბერი, მერე კი დაამატა: – ან რას აკეთებს... ქუდის სარჩულს ხელი გამოუსვა, მერე ამოტრიალებულ ქუდშიც ჩაიხედა, თითქოს რაღაცას დაეძებდა შიგ. ასეთ შემთხვევაში უარის თქმა ძნელია-მეთქი, – ვუთხარი. მშვენივრად ვხვდებოდი, უარს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვიტყოდი. უარის თქმა?! ჩვენ, აგენტები, ხშირად ვირთობთ თავს იმით, ერთმანეთთან ბუზღუნ-წუწუნს რომ წამოვიწყებთ ხოლმე. თავისუფალ ხალხადაც სულ ტყუილად მოგვაქვს თავი. დღესვე უნდა გაემგზავროთ, – მითხრა გაბერმა. როგორ თუ დღესვე? – გულწრფელად გავიკვირვე, – რა, მართლა სულ გადაირია? თქვენი შვილიც თქვენთან ერთად წამოვა, – მითხრა გაბერმა. მე არაფერი მიპასუხია. როცა საქმე საქმეზე

მიდგება, სიტყვაძუნწი ვხდები ხოლმე. გაბერმა უბის წიგნაკი დახურა, ჯიბეში ჩაიდო და ჯიბე ღილით დაიმაგრა. მერე წამოდგა, დანამული ხელისგულები მკერდზე ჩამოისვა. ერთი ლუდიც არ მაწყენდაო, – თქვა. სამზარეულოში მიბრძანდით, მოახლე გაგიმასპინძლდებათ-მეთქი, – ვუთხარი. კარგად ბრძანდებოდეთ, მორან! – დამემშვიდობა.

წირვაზე დავიგვიანე. ამაში დასარწმუნებლად საათზე დახედვა აუცილებელი არ იყო – ისედაც ვგრძნობდი, საკვირაო ღვთისმსახურება უჩემოდ რომ დაწყებულიყო. წირვა არასოდეს გამეცდინა და მაინცდამაინც ამ კვირა დღეს არ მომიწია! სწორედ მაშინ, როცა განსაკუთრებულად მჭირდებოდა ახალი ძალის მოსაკრებად. ამიტომ გადავწყვიტე, მოგვიანებით, ცალკე მივსულიყავი ზიარებაზე. უსაუზმოდ როგორმე გავძლებდი, მამა ემბროუზი კი იმდენად დამთმობი და გულისხმიერი ვინმე გახლდათ, უარს არ მეტყოდა.

ჟაკს გავძახე. პასუხი არ გამცა. ვიფიქრე, ეტყობა, საუბარი რომ გაგვიგრძელდა, ეკლესიაში უჩემოდ წავიდა-მეთქი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორადაც მივარაუდია. მაგრამ მაინც გამკრა გულში, წასვლის წინ როგორ არ გამაფრთხილა-მეთქი. საერთოდ, მონოლოგის სახით განსჯა-მსჯელობა მჩვეოდა და უნებურად, ტუჩებსაც ვაცმაცუნებდი ხოლმე. ცხადია, ბიჭს შეეშინდა, ხელი არ შევუშალო და არ გამიბრაზდესო. ეგ იმიტომ, ზოგჯერ მართლა გავცხარებულვარ და ცოტაოდენი შიშის საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. მე ბავშვობაში იშვიათად მსჯიდნენ. თუმცა არც მანებივრებდნენ – უბრალოდ, უგულებელმყოფდნენ. შედეგად, მავნე ჩვევები იმდენად ღრმად გამიჯდა ძვალ-რბილში, უმკაცრესი ღვთისმოსაობაც კი ვერ ამაღებინებდა მათზე ხელს. ბიჭს სილას რომ ვტკეცდი ხოლმე, რასაც მერე მიზე-

ზის ახსნა მოსდევდა, იმედი მქონდა, ამით სწორედ უბედურებას ვაცილებდი თავიდან. ფიქრით კი ისევ იმაზე ვფიქრობდი, ეყოფოდა თუ არა დაბრუნებულს იმის თქმის თავხედობა, წირვაზე ვიყავიო, თუკი სინამდვილეში ეკლესიაში კი არ ყოფილა, არამედ, ვთქვათ, იმ თავის დოსტებთან ერთად მიაშურა სასაკლაოს უკან უშენ ადგილს. ამ ყველაფრის გარკვევა მამა ემბროუზთან გადავწყვიტე. არ უნდა ეგონოს ჩემს შვილს, თითქოს დაუსჯელად მომატყუებს როდისმე. ხოლო თუ მამა ემბროუზი სიმართლეში ვერ გამარკვევს, მაშინ იძულებული გავხდები, დახმარებისათვის ეკლესიის დარაჯს მივმართო, ვის ფხიზელ თვალსაც არაფრით გამორჩებოდა, ესწრებოდა თუ არა ჟაკი საკვირაო წირვას. მე ხომ ზუსტად ვიცოდი, რომ დარაჯს მრევლის სრული სია ჰქონდა შედგენილი და ემბაზს მოფარებული, ცოდვების მიტევებისას ყოველი მათგანის ყოფნა-არყოფნას აღნუსხავდა. თუმცა ამ ყველაფრის შესახებ მამა ემბროუზმა არაფერი უწყოდა, რაკიღა გულის სიღრმემდე სძულდა ნებისმიერი თვალთვალი და მიყურადება. ის დარაჯს უთუოდ სხვა საქმეს გამოუნახავდა, ოდნავადაც რომ გასჩენოდა ეჭვი, ამგვარ თავხედობას ბედავსო. სავარაუდოდ, მხოლოდ საკუთარი სიკეთისთვის თუ ადგენდა დარაჯი ამ ყოველკვირეულ სიებს ასეთი რუდუნებით. ჩემი ნათქვამი მხოლოდ შუადღის წირვას ეხება, რადგან სხვა დროს ღვთისმსახურებას არც ვესწრებოდი. თუმცა გადმოცემით კი ვიცოდი, რომ ზუსტად ამგვარივე თვალთვალი ხორციელდებოდა ნებისმიერი ღვთისმსახურების დროს – როგორც თავად დარაჯის, ასევე მისი ვაჟიშვილის მხრიდანაც, იმ შემთხვევებში, როცა სამსახურეობრივი მოვალეობა დარაჯს ეკლესიაში დგომის საშუალებას არ აძლევდა. უცნაური სამწყსო გახლდათ, სადაც მრევლის წევრები საკუთარ

მწყემსზე უკეთ იყვნენ გარკვეულნი იმ საქმეებში, რაც, წესით, მწყემსს უფრო მეტად ეხებოდა, ვიდრე მათ. აი, ამაზე ვფიქრობდი, როცა ვაჟის დაბრუნებას და გაბერის წასვლას ველოდი, ვისი ნაბიჯების ხმაც ჯერ კიდევ არ მესმოდა. ახლა, სწორედ ამ ღამით, გასაკვირი მეჩვენება, რანაირად მომდიოდა თავში ასეთი აზრები ასეთ საპასუხისმგებლო ჟამს: იმას ვგულისხმობ, რასაც ვფიქრობდი შვილზე, საკუთარი აღზრდის ნაკლოვანებებზე, მამა ემბროუზზე, ეკლესიის დარაჯ ჯოლისა თუ მის სიებზე. ნუთუ მას მერე, რაც მოვისმინე, სხვა საქმე და საფიქრალი არაფერი მქონდა? ცხადია, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ დაკისრებულ მოვალეობას სათანადო გულისყურით ჯერ არ მოვკიდებოდი. არადა, ზერელობა ჩემთვის, ზოგადად, უცხო რამ გახლდათ. ეგებ ჩემდაუნებურად ვეწინააღმდეგებოდი გონებას, რომ ამ საკითხს არ ჩაღრმავებოდა და მსურდა, სიმშვიდის კიდევ რამდენიმე წუთი მომეგო? გინდაც, გაბერის ნათქვამიდან გამომდინარე, დავალება ჩემთვის შეუფერებლად მიმეჩნია, შეფის დაჟინება – ნებისმიერი სხვა აგენტიდან მაინცდამაინც მე ამოვერჩიე და თან შვილის წამოყვანაც მოეთხოვა, ამ ყველაფრის უჩვეულობის განცდას უთუოდ გამიჩენდა. მით უფრო უცნაური ჩანდა, რომ ახალ საფიქრალში დაუყოვნებლივ თავფეხიანად ჩაყურყუმალავების ნაცვლად, ვიჯექი და მშვიდად განვიკითხავდი ჩემს მოყვასთა ავკარგიანობას. და მაინც, შემოპარებულ შხამს უკვე დაეწყო მოქმედება. სავარძელში მოუსვენრად ვცქმუტავდი, მალი-მალ ვიფშვნეტდი სახეს, ხან ერთ ფეხს გადავიდებდი მეორეზე, ხანაც – პირიქით და მაინც ვერ ვისვენებდი. უკვე სამყაროს ფერი და წონაც იცვლებოდა და მალე იძულებულიც გავხდი, მეღიარებინა, შფოთვამ ერთიანად ამიტანა-მეთქი.

სინანულით გამახსენდა ცოტა ხნის წინ დალეული ლუდი. მაზიარებდნენ კი უფლის სხეულს ერთი კათხა თუნდაც მსუბუქი „ვალენშტეინის“ მერე? სულ რომ არ დამეძრა კრინტი? შვილო ჩემო, დღეს უზმო თუ ხარ? არა, არც კი იკითხავდა. მაგრამ უფალი? ადრე თუ გვიან, მაინც ხომ შეიტყობდა ყველაფერს. ეგებ მომიტევოს კიდეც? აი, ზიარება თუ იქნება ფუჭი, თუნდაც მსუბუქი ლუდის შემდეგ? ასეა თუ ისე, ცდა ბედის მონახევრეა. რას გვასწავლის ამის თაობაზე ეკლესია? მკრეხელობის ზღვარზე ხომ არ ვდგავარ? გადავწყვიტე, მღვდლის სახლისაკენ მიმავალს, პიტნანარევი შაქარყინული გამეწუწნა.

სავარძლიდან წამოვდექი და სამზარეულოსაკენ გავემართე. იქ ვიკითხე, ჟაკი ხომ არ დაბრუნებულა-მეთქი. მე არ დამინახავსო, – მითხრა მართამ. აშკარად რაღაცაზე იყო გულარძნილი. და ის კაცი? – ვკითხე ისევ. ვინ კაცი? – გაიკვირვა. კათხა ლუდის დასალევად რომ შემოვიდა, – მივუგე. აქ არავინ შემოსულა, – მომიჭრა მან. სხვათა შორის, დღეს სადილობას არ ვაპირებ, – ვუთხარი. ვცდილობდი, სიმშვიდე შემენარჩუნებინა. ცუდად ხომ არა ხართ? – მკითხა. ეგ იმიტომ, ჭამა-სმის დიდი მოყვარული რომ გახლდით ყოველთვის. განსაკუთრებით, საკვირაო სადილს ვცემდი პატივს, მუდამ მრავალკერძიანს. სამზარეულოში ახლაც მადისაღმძვრელი სუნი ტრიალებდა. დღეს ცოტა მოგვიანებით ვისადილებ, ეგაა და ეგ, – ვთქვი. მართამ ბრაზიანი მზერა მესროლა. ასე, ოთხ საათზე, – დავაზუსტე. ვიცოდი, ამ გამომშრალ, ბებერ თავის ქალაში ახლა ნამდვილი გრიგალი ბობოქრობდა. საუბედუროდ, დღეს ვერ წახვალთ, – ვუთხარი ცივად. სიბრაზისაგან ენაჩავარდნილი, თავის ქვაბებსა და ტაფებს ეცა. ჩემი მოსვლისთვის ეგებ ყველაფერი ცხლად

დამახვედროთ, – დავუგდე ბოლო სიტყვა და რაკი ვიცოდი, ჩემს მოწამვლაზეც არ დაიხევდა უკან, ისიც დავამატე, შეგიძლიათ ხვალ მთელი დღე დაისვენოთ-მეთქი.

მერე გამოვტრიალდი და ქუჩაში გამოვედი. მაშ, გაბერს ლუდი აღარ დაულევია? არადა, როგორ უნდოდა! თან „ვალენშტეინიც“ მშვენიერი რამაა. ჟაკს ველოდებოდი. ეკლესიიდან მომავალი, მარჯვნიდან უნდა გამოჩენილიყო, ხოლო თუ მართლა სასაკლაოსკენ წაეხეტა, მაშინ – მარცხნიდან. მეზობელმა ჩაიარა, ათეისტმა. რაო, დღეს გააცდინეთ ღვთისმსახურება? – შემეხმიანა თავისებურად. კარგად იცოდა ჩემი ჩვევები, უფრო სწორად, კვირა დღის განრიგი. ისე, სხვებმაც იცოდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, ჩემმა უფროსმა – ყველაზე უკეთ, იმის მიუხედავად, გვარიანი მანძილი რომ გვაშორებდა ერთმანეთს. კაცმა რომ შემოგხედოთ, იფიქრებს, მოჩვენება დაინახაო, – მითხრა მეზობელმა. ბევრად უარესი, – მივუგე, – თქვენ დაგინახეთ. მერე შინ შევბრუნდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს ზურგს ჩვეული საძაგელი ღიმილით უღიმოდა. წარმომედგინა კიდეც, როგორ მიცუხცუხებდა თავისი თანამეცხედრისკენ, რათა დაეტრაბახა, ერთი განახა, როგორ მოვუჭერი სიტყვა მაგ უბედურის ერთ მორანსო! კრინტიც ვერ დაძრა, ადგა და უხმოდ შეიძურწა სახლშიო.

მალე ჟაკიც დაბრუნდა. გართობის არანაირი კვალი არ ეტყობოდა. მითხრა, ეკლესიაში მარტო წავედიო. რამდენიმე ჩამჭრელი შეკითხვა დავუსვი ღვთისმსახურების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სხაპა-სხუპით მპასუხობდა. ვუთხარი, ხელი დაიბანე და წაიხემსე-მეთქი. მე თვითონ ისევ სამზარეულოს მივაშურე. უსაქმოდ დავბორიალებდი წინ და უკან. შეგიძლიათ სადილი გამიცხელოთ-მეთქი, –

ვუთხარი მართას. ნამტირალევი ჩანდა. ქვაბებში ჩავიჭყიტე. ჩაშუშული ცხვრის ხორცი ირლანდიურად. მაწიერი და იოლი მოსამზადებელი კერძია, თუმცა კი – არც მთლად ადვილად მოსანელებელი. მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი სამშობლოს. სუფრას ოთხზე მივუჯდები-მეთქი, – ვუთხარი. სიტყვა „ზუსტად“ არ დამიმატებია. არც იყო საჭირო. ზედმიწევნით პუნქტუალური კაცი ვარ და ვინც ჩემს ჭერქვეშ ბინადრობს, კეთილი ინებოს და დროის ყადრი იცოდეს. ჩემს ოთახში ავედი. იქ ფარდები ჩამოვუშვი, საწოლზე გავიწვართე და პირველად შევეცადე, მოლოის საქმე ამეწონ-დამეწონა.

თავიდან პირველი რიგის საჭიროებებზე დავფიქრდი, აუცილებლად მოსამზადებელ საკითხებზე. თავად საქმის არსს ისევ უგულისყუროდ ვეკიდებოდი, ვგრძნობდი, რომ ჯერ საამისოდ ვერ მოვიცლიდი.

ვითომ ღირდა მოპედით გამგზავრება? ჯერ ეს უნდა გადამეწყვიტა. მე მეთოდური აზროვნება მახასიათებდა და არასოდეს ვიწყებდი დავალების შესრულებას, სანამ ხანგრძლივი განსჯა-ფიქრის შემდეგ გადაადგილების საუკეთესო საშუალებას არ შევარჩევდი. ზოგადად, ნებისმიერი ძიების დაწყებისას, ჯერ ამ საკითხის მოგვარებაა აუცილებელი და მეც არასოდეს ვიძროდი ადგილიდან, სანამ გადაადგილების საშუალებას არ გამოვნახავდი. ეს ხან მოპედი გახლდათ, ხან – მატარებელი, ხან – ავტომობილი. ზოგჯერ სულაც ფეხით ან ველოსიპედით, უხმაუროდ, ღამით გავდგომივარ გზას. ეს იმიტომ, რომ თუ ჩემსავით მტრებითა ხართ გარშემორტყმული, არ შეიძლება თუნდაც ღამით გაემგზავროთ მოპედით – უთუოდ შეგნიშნავენ, თუკი, რა თქმა უნდა, მასაც ისევე არ მართავთ, როგორც ჩვეულებრივ ველოსიპედს,

რაც თავისთავად სრული უაზრობაა. პირველ რიგში, ტრანსპორტის საჩოთირო საკითხის გადაწყვეტის ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვევის მიუხედავად, ვერანაირ საბოლოო დასკვნას ვერ გამოვიტანდი, თუკი ამასთან დაკავშირებულ ყველა ფაქტორს არ გავითვალისწინებდი. აბა, როგორ უნდა აირჩიო გადაადგილების საშუალება, თუკი წინდაწინ არ გაიგე, სად მიდიხარ და მეტ-ნაკლებად მაინც არ იცი საბოლოო მიზანი? მოცემულ შემთხვევაში, ტრანსპორტის თაობაზე კი ვჭოჭმანობდი, მაგრამ ხელთ მხოლოდ გაბერის მოტანილი, მწირი და აბდაუბდა ცნობები მქონდა. თუ მოვისურვებდი, მისი შეტყობინების უმცირეს დეტალებსაც კი აღვიდგენდი, მაგრამ ეს არ გამიკეთებია და არც ვაპირებდი. თავს ვუმეორებდი, ერთი ჩვეულებრივი საქმეა და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საკითხის დასმაც სრული სიგიჟე იქნებოდა-მეთქი. არადა, სწორედ ამით არ ვიყავი ახლა დაკავებული?! ვატყობდი, უკვე თავგზა მერეოდა. მოპედით გამგზავრება მიყვარდა, არ ვიყავი გულგრილი გადაადგილების ამ საშუალების მიმართ და რაკი არაფერი ვუწყოდი საწინააღმდეგო მიზეზთა თაობაზე, არჩევანიც სწორედ მოპედზე შევაჩერე. ასე და ამგვარად, მოლოის საქმის ზღურბლზევე გამოიკვეთა საბედისწერო პრინციპი – სიამოვნება.

ფარდის ღრიჭოში მზის სხივები აღწევდა და მათ შუქზე მკაფიოდ ჩანდა მტვრის ნამცეცების ბზრიალ-ტრიალი. აქედან გამომდინარე, დავასკვენი, ჯერაც მშვენიერი დარი დგას-მეთქი, რამაც დიდად გამახარა. როცა გზას მოპედით დაადგები კაცი, კარგი ამინდი ნამდვილად სასურველია. მაგრამ თურმე ვცდებოდი – ამ ამინდს მშვენიერი უკვე აღარ ეთქმოდა, ცაზე ღრუბლები იგრაგნებოდნენ და სადაც იყო,

გაწვიმდებოდა კიდეც. თუმცა ჯერ კიდევ მზე ანათებდა და მეც ამის საფუძველზე გამოვიტანე საოცრად ქარაფშუტული დასკვნები.

შემდეგ, ტრადიციულად, მთავარ საკითხს მივადექი – რა უნდა წამეღო თან? ამ საკითხსაც სრულიად დაუდევრად გადავჭრიდი, ჩემი შვილი რომ არა, რომელიც უცებ მომადგა და მკითხა: – შეიძლება გარეთ გავიდე? თავი შევიკავე. ხელის ზურგით იწმენდდა ტუჩებს, რაც ჭირივით მეჯავრება. თუმცა ხელის ამაზე უფრო ამაზრზენი მოძრაობებიც არსებობს, საკუთარი გამოცდილებით ვიცი.

გახვიდე? – ვკითხე, – სად უნდა გახვიდე? ვერ ვიტანდი ბუნდოვანებას. ნელ-ნელა შიმშილიც ვიგრძენი. თელებში, – მითხრა. ასე ეძახიან ჩვენს პატარა საზოგადოებრივ პარკს. თუმცა, როგორც გადმოცემით ვიცი, იქ წამლადაც არ დგას არც ერთი თელა. რისთვის? – ვკითხე. ბოტანიკის გასამეორებლად, – მიპასუხა. ზოგჯერ შვილზე ეჭვი მიმქონდა, რაღაცას იტყუება-მეთქი. ახლაც მსგავსი განცდა გამიჩნდა. თითქმის მინდოდა კიდეც ეპასუხა, სასეირნოდ ან გოგოების სადევნელადო, მაგრამ უბედურება ის გახლდათ, რომ ბოტანიკაში ჩემზე ბევრად უკეთესად ერკვეოდა. სხვა შემთხვევაში, შინ დაბრუნებულს უთუოდ დავუსვამდი რამდენიმე ჩამჭრელ შეკითხვას. პირადად მე მცენარეები მომწონდა, მათი უმანკოება და უბრალოება. ზოგჯერ სწორედ მათ შემხედვარეს გამიჩნდებოდა ხოლმე ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი დამატებითი საბუთი. წადი, – ვუთხარი, – ოღონდ ხუთის ნახევარზე დაბრუნდი, შენთან დალაპარაკება მინდა. კარგი, მამიკო, – მითხრა. კარგი, მამიკო – როგორია?!

ცოტა თვალი მოვატყუე. ახლა ცოტა ფეხსაც ავუჩქარე. ეკლესიას რომ ჩავუარე, რაღაცამ შემაჩერა. კარს შევხედე,

ბაროკოს სტილის მშვენიერი ნამუშევარი გახლდათ. მე პირადად დიდად უგვან რამედ მიმაჩნდა. მღვდლის სახლისკენ გავეშურე. მამა ემბროუზს სძინავსო, – მითხრა მოახლემ. დაველოდები-მეთქი, – მივუგე. საჩქაროა რამე? – ჩამეძია. თან კი და თან – არა-მეთქი, – ავუბნიე თავგზა. სასტუმრო ოთახში შემიძღვა. მერე, თვალების ფშვნეტა-ფშვნეტით, თავად მამა ემბროუზიც შემობრძანდა. შეგაწუხეთ, მამაო, – მოვუბოდიშე. უარის ნიშნად მხოლოდ ენა გააწკლაპუნა. თავს არ შეგაწყენთ იმის აღწერით, თუ როგორ ჩაიარა ყველაფერმა. ის თავის როლს ასრულებდა, მე – ჩემსას. მერე სიგარა შემომთავაზა. მეც თავაზიანად გამოვართვი და ჯიბეში ჩავიდე, საწერ-კალამსა და ფანქარს შორის. მამა ემბროუზი თავს იტყუებდა, დახვეწილი მანერებით გამოვირჩევიო. თავად თამბაქოს არ ეტანებოდა. ყველა ამბობდა, ფართო თვალსაწიერის კაციაო. ვკითხე, წირვაზე ჩემი შვილისთვის თვალი ხომ არ მოგიკრავთ-მეთქი. რა თქმა უნდაო, – მიპასუხა. ვისაუბრეთ კიდეცო. ეტყობა, გაოცებული სახე მქონდა. დიახ, – დამიდასტურა, – ჩვეულ ადგილზე რომ ვერ შეგნიშნეთ, შევშფოთდი და ვიფიქრე, ავად ხომ არ გახდა-მეთქი, თქვენი საყვარელი ბიჭი მოვიხმე და იმანაც დამამშვიდა. მოულოდნელი სტუმარი მეწვია, – ვიმართლე თავი, – და დროზე ვერ მოვიცილე თავიდან. თქვენმა ბიჭმაც ზუსტად ასე ამიხსნა, – მითხრა და დაამატა: – ჩამოვსხდეთ მაინც, მატარებელზე ნამდვილად არ გვაგვიანდება. მერე გაიცინა, ანაფორის მძიმე კალთები აიკეცა და დაჯდა. ერთ ჭიქას ხომ არ ინებებთ რამეს? – მკითხა. მისმა ნათქვამმა, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა. ვაითუ ჟაკმა ენას კბილი ვერ დააჭირა და ლუდის თაობაზე წამოაყრანტალა რამე-მეთქი. ასეთები ეხერხება. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, – ვუთხარი.

ბრძანეთ, – მომიგო. ერთმანეთს თვალებში შევცქეროდით. საქმე ისაა, – წამოვიწყე, – რომ კვირა დღე ზიარების გარეშე ჩემთვის იგივეა, რაც... ხელის აწევით გამაწყვეტინა. ძალიან გთხოვთ, მკრეხელურ შედარებებს მოერიდეთ, – გამაფრთხილა. ეტყობა, ფიქრობდა, შედარებისთვის რამე როყიოს მოვიტანდი – ვთქვათ, უგულო კოცნაობის ან უმდოგვო სოსისის მაგვარს. არ მიყვარს, როცა სიტყვას მაწყვეტინებენ. გუნება მომეშხამა. შეგიძლიათ აღარ გააგრძელოთ, – მითხრა, – ვხვდები, ზიარების მისაღებად მობრძანებულხართ. თავი ჩავქინდრე. არც მთლად ჩვეულებრივი საქმეა, – მითხრა. ნეტა დღეს თავად თუ მიირთვა რამე? ცნობილი იყო, რომ დიდხანს იცავდა ხოლმე მარხვას, ხორცს ითრგუნავდა, ცხადია. თუმცა თავშეკავება ექიმსაც ერჩია მისთვის. მოკლედ, ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდა. ოღონდ ამის თაობაზე არავინ უნდა გაიგოს, – მითხრა. ყველაფერი ჩვენ შორის და... – თითი და თვალები ჭერისკენ აღაპყრო. უცნაურია, – დაამატა მერე, – ნეტა ეს რა ლაქაა? მეც ჭერს ავხედე. ნესტის ბრალია-მეთქი, – ვუთხარი. სამწუხარო ამბავია, – თქვა. ამაზე სულელური სიტყვები ბევრი არ მსმენია ცხოვრებაში. ისეთი წუთებიც დგება, – გააგრძელა საუბარი, – როცა სასოწარკვეთა ცდუნებად გვევლინება. ფეხზე წამოდგა, ჩემს რაღაცებს მოვიტანო, მითხრა. ზუსტად ასე, ჩემს რაღაცებსო. მარტოდ დარჩენილმა, ისეთი ძალით მოვმუშტე თითები, მეგონა, სახსრები ამიტკაცუნდებოდა და ღმერთს დახმარება შევთხოვე. უშედეგოდ. ეს უნდა დამემსახურებინა. იმისდა მიხედვით, როგორი მზაობით გაეშურა მამა ემბროუზი თავისი მოწყობილობების მოსატანად, მომეჩვენა, რომ არაფერს ეჭვობდა. თუ, უბრალოდ, იმის თვალნათლივ ნახვა ეწადა, რამდენად შორს შევტოპავდი? თუ ჩემი ცდუნე-

ბა ანიჭებდა კმაყოფილებას? ვითარება შემდეგნაირად ავხსენი: თუკი იცის, ლუდი რომ დავლიე და მაინც მაზიარებს, მისი ცოდვა ჩემი ცოდვის ტოლფარდი იქნება და, შესაბამისად, დიდი არაფერი სარისკო ამბავი მელის-მეთქი. მომცრო, გადასატანი საწილეთი ხელდამშვენებული დაბრუნდა, გახსნა და ისე მაზიარა, სულ მცირედაც არ შეყოყმანებულა. წამოვდექი, მხურვალე მადლობა ვუთხარი. არაფრის, არაფრისო, – მომიგო. ახლა შეგვიძლია ვისაუბროთ კიდეცო.

მასთან სალაპარაკო მეტი აღარაფერი მქონდა. ახლა მხოლოდ ერთი რამ მინდოდა – რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნებულიყავი შინ და ჩაშუშული ცხვრის ხორცით ამომეყორა სტომაქი, ანუ სულის საზრდო რომ მივიღე, ახლა ხორცი არ დამრჩენოდა მშიერი. თუმცა დღის წესრიგს ოდნავ მაინც წინ ვუსწრებდი და ამიტომაც თავს ნება მივეცი, მღვდლისთვის რვა წუთი დამეთმო. ეს წუთები თითქოს უსასრულოდ გაიწელა. მამა ემბროუზმა მამცნო, აფთიაქარის მეუღლე და თავადაც უბადლო აფთიაქარი, მისის კლემანი ლაბორატორიაში კიბიდან დაგორდა და რაღაცის ყელი დაიზიანაო... ყელი – როგორ? – გავიკვირვე. თეძოს ყელი, – დამიზუსტა, – ბოლომდე მათქმევინეთ. მერე, რატომღაც, ისიც დაამატა, ეს მოსალოდნელიც იყოო. მე კიდე, ვალში რომ არ დავრჩენოდი, ქათმებთან დაკავშირებულ დავიდარაბაზე ვუამბე, კერძოდ – ნაცარა კრუხზე, რომელსაც თვეზე მეტი იყო, კვერცხი არ დაედო და დილიდან საღამომდე მტვერში ჰქონდა კურტუმი ჩაფლული. როგორც იობს? – გაეცინა მამა ემბროუზს. მეც ავყევი. კარგია სიცილი, ხანდახან, – თქვა მან. ნამდვილად, – კვერი დავუკარი. არაფერი ადამიანური არაა ჩვენთვის უცხო, – მითხრა მღვდელმა. რა თქმა უნდა, – დავუდასტურე ესეც. ხანმოკლე სიჩუმემ დაისადგურა.

რას აჭმევთ? – მკითხა. სიმინდს, – ვუპასუხე. მოხარშულს თუ უმს? – ჩამეძია. იმასაც და იმასაც, – მივუგე და ისიც დავამატე, სხვას არაფერს ეკარება-მეთქი. ცხოველები არასოდეს იცინიან, – გამანდო. ჩვენ ეს უცნაურად გვეჩვენება, – ვცადე ისევ აყოლა. რაო? – ეტყობა, ვერ გამიგო. ჩვენ ეს უცნაურად გვეჩვენება-მეთქი, – გავუმეორე უფრო ხმამაღლა. ღრმად ჩაფიქრდა. ქრისტეც არასოდეს იცინოდა, – თქვა მერე. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, – დაურთო იქვე. გამომცდელად შემომხედა. ეს ამბავი არ გაკვირვებთ? – ვკითხე. ცოტა არ იყოს, კი, – მომიგო. სევდიანად ჩაგველიმა ორივეს. დაიცათ და, იმ თქვენს ქათამს ეგებ სირსველი გაუჩნდა? – გამოთქვა აზრი. მე ვუთხარი, ყველაფერი შეიძლება გასჩენოდა მაგის გარდა-მეთქი. ისევ ჩაფიქრდა. ორჟანგი არ გიცდიათ? – მკითხა. უკაცრავად? – მართლა ვერ გავუგე. ნატრიუმის ორჟანგი არ გიცდიათ? – დამაკვალიანა. გამოგიტყდებით და, არა, – დავირცხვინე. ჰოდა, სცადეთ, – მირჩია სიხარულისაგან სახეაწითლებულმა, – ყოველდღე, რამდენიმე თვის განმავლობაში, თითო კოვზი გადააყლაპეთ და გარწმუნებთ, ველარც იცნობთ, ისეთი გახდება ეგ თქვენი ნაცარა. ფხვნილად? – ვკითხე ისევ. ცხადია, – მიპასუხა. თქვენი დიდი მადლობელი ვარ-მეთქი. დღესვე დავიწყებ-მეთქი. ეგეთ კრუხს გაფრთხილება უნდაო, – დამმოძღვრა. ახალ-ახალ კვერცხს, აბა, რა სჯობსო. უფრო სწორად, ხვალიდან დავიწყებ-მეთქი. დამავიწყდა, კვირაობით აფთიაქს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში რომ აღებდნენ. ახლა კი თითო ჭიქაც დავაჭაშნიკოთო, – შემომთავაზა. მაგრამ მე ვიუარე.

მამა ემბროუზთან საუბარმა მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა. ჩემთვის კვლავაც სასიამოვნო პიროვნებად კი რჩე-

ბოდა, ოღონდ მაინც... ეტყობა, მის სახეზე, როგორ ვთქვა... კეთილშობილების ანარეკლის არარსებობამ გამაკვირვა. დავამატებ, რომ არც ზიარებას უმოქმედია ჩემზე რამენაირად. შინ მიმავალი, თავს იმ კაცად ვგრძნობდი, რომელიც ტკივილგამაყუჩებლის მიღების შემდეგ ჯერ გაკვირვებულია, მერე კი – აღშფოთებული, რატომ ვერ ვგრძნობ ვერანაირ შვებასო. ლამის ეჭვიც კი შემეპარა, ეგებ მამა ემბროუზმა ჩემი დილანდელი ცელქობის ამბავი შეიტყო და სულაც უკურთხი სეფისკვერი შემომაპარა-მეთქი; ანდა, წმინდათა წმინდა სიტყვების წარმოთქმისას, ფიქრში სულ სხვას ამბობდა-მეთქი. მოკლედ, შინ საზიზღარ გუნებაზე დავბრუნდი, თანაც თქეშში თავფეხიანად გალუმპული.

უნდა გითხრათ, ცხვრის ხორცის კერძმაც გვარიანად გამიცრუა იმედი. ხახვი არ უქენით-მეთქი? – ავყვირდი. მიიწვაო, – მიპასუხა მართამ. ხახვის საძებრად სამზარეულოში გავვარდი, თუმცა ეჭვი მაქვს, ხახვს იქვე, ნაგავში გადაუძახებდა, რაკი კარგად მოეხსენებოდა, რარიგ მიყვარდა. ნაგავიც მოვქექე, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ვერაფერს მივაგენი. მართა კი დამცინავი ღიმილით მადევნებდა თვალს.

ჩემს ოთახში ავედი, ფარდები გავწიე, რადგან ცა ფეხად ჩამოდიოდა, და დავწექი. ვერ გავრკვეულიყავი, რა მჭირდა. იმ დროს ჩემთვის ჯერ კიდევ არ იყო მტკივნეული რაღაცაში ვერ გარკვევა. შევეცადე, თავი მომეთოკა. არაფერი გამომივიდა. ეს კი უნდა გამეთვალისწინებინა. ჩემი ცხოვრება ახლა, ეშმაკმა უწყის, საით მიემართებოდა. მაინც მოვახერხე ჩათვლემა, რაც არც ისე ადვილი ამბავია, როცა არ იცი, რა გაწუხებს. სწორედ ამგვარ ძილ-ბურანში ვიყავი, როცა ოთახში დაუკაკუნებლად შემოვიდა ჩემი ვაჟიშვილი. ვერ

ვიტან, როცა ასე უბოდიშოდ დამადგებიან ხოლმე თავზე. სწორედ ამ დროს მაღალი, გრძელფეხებიანი სარკის წინ ხელმრუშობით რომ ვყოფილიყავი დაკავებული?! ამისთანა რამე ბავშვის სანახავი არაა. წესი და რიგი შევახსენე. შემეპასუხა – ორჯერ დავაკაკუნეო. ასჯერაც რომ დაგეკაკუნებინა, ეს მაინც არ გაძლევს ასე დაუპატიჟებლად შემოსვლის უფლებას-მეთქი, – ვუთხარი. კი, მაგრამ... – დააპირა რაღაცის თქმა. რა მაგრამ? – შევუტიე. შენ არ მითხარი, ხუთის ნახევარზე ჩემს ოთახში იყავიო? – შემახსენა. ცხოვრებაში პუნქტუალურობაზე მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს, მაგალითად, მოკრძალება, – ვუთხარი და ამ შეგონების გამეორება მოვთხოვე. მის ამრეზილ ბაგეს დაცდენილი იგივე სიტყვები ახლა სასირცხვილოდ მომეჩვენა. სველი ტანისამოსი ეცვა. რას ათვალიერებდი? – ვკითხე. ზამბახისებრთა ნარგავებს, მამიკო, – მიპასუხა. ზამბახისებრთა ნარგავებს, მამიკო! როცა უნდოდა, ჩემთვის ტკივილი მოეყენებინა, ეს ჩემი შვილი სიტყვა „მამიკოს“ რაღაც განსაკუთრებულად გამოთქვამდა ხოლმე. ახლა მისმინე! – ვუთხარი. გატანჯულ სახეზე ყურადღებიანი კაცის ნიღაბი მოირგო. ამ საღამოს მივემგზავრებით და სკოლის ფორმა ჩაიცვი, მწვანე, – რაღაც ამდაგვარი ვუთხარი. კი, მაგრამ, მამიკო, ის მწვანე კი არა, ლურჯია, – მითხრა. ეგ სულერთია, – მრისხანება გამომერია ხმაში, მერე კი გავაგრძელე: – ზურგჩანთაში, დაბადების დღეზე რომ გაჩუქე, ის პირსაბანი მოწყობილობა, ერთი პერანგი, შვიდი საცვალი და შვიდი წყვილი წინდა ჩაალაგე, გასაგებია? რომელი პერანგი, მამიკო? – მკითხა ისევ. სულერთია, ნებისმიერი! – ვუღრიალე. ფეხზე რა ჩავიცვა? სულ ორი წყვილი ფეხსაცმელი გაქვს: ერთი საგარეო, მეორე – საყოველდღეო და რაღას მეკითხები-მეთქი? მერე წამო-

ვდექი და სიტყვად დავუგდე – შენგან თავხედურ ლაპარაკს არ მოვითმენ-მეთქი.

ასე და ამგვარად, ვაჟიშვილს ზუსტი მითითებები კი მივეცი, მაგრამ – რამდენად ზუსტი? კაცმა რომ თქვას, ეგებ მალე მათი გაუქმებაც დამჭირდეს. არადა, შვილის დასანახად გადაწყვეტილებები არასოდეს შემიცვლია. ახლა ყველაზე უარესისათვის უნდა ვყოფილიყავი მზად.

სად მივდივართ, მამიკო? – მკითხა. არადა, რამდენჯერ ვთხოვე, შეკითხვებს ნუ მისვამ-მეთქი. ისე, მართლა და – სად მივდიოდით? გააკეთე, რაც გითხარი, – შევუღრინე. ხვალ მისტერ პაისთან ვარ დაბარებული, – მითხრა. სხვა დროს მიხვალ, – მივუგე. ეგ რანაირად, კბილი მტკივა, – დაიჩივლა. არა უშავს, სხვა ექიმებიც არსებობენ, – ვუთხარი, – მისტერ პაი ერთადერთი კბილის ექიმი არაა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. თანაც, უდაბნოში კი არ მივდივართ, – დავამატე წინდაუხედავად. სამაგიეროდ, კარგი ექიმია, – დაიჩემა. ეგენი ყველანი ერთნაირები არიან, – მოვუჭერი. შემეძლო ჯანდაბამდე გზა დამელოცა იმისთვისაც და იმისი კბილის ექიმისთვისაც, მაგრამ არა, მშვიდად ვუხსნიდი და ვარწმუნებდი, ისე ველაპარაკებოდი, როგორც ტოლსა და სწორს. მეტიც, შემეძლო ტყუილში გამომეჭირა და დამემტკიცებინა, კბილის ტკივილს იგონებ-მეთქი. კი, ერთი ხანობა მართლა სტკიოდა უკანა საღეჭი კბილი, ოღონდ უკვე გაუარა. ეგ თვითონ პაიმ მითხრა, თქვენს შვილს ნერვი ჩავუკალი და ანი ტკივილი აღარ შეაწუხებსო. მშვენივრად მახსოვს ეს საუბარი. როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან ცუდი კბილები აქვსო, – არც ეს დამიმალა პაიმ. რას ნიშნავს, როგორც მოსალოდნელი იყო, მაგით რისი თქმა გინდათ-მეთქი? – ჩავეძიე. ეგეთი დაიბადა და მთელი ცხოვრება

ეგრე იქნებაო, – ამიხსნა. ცხადია, მე, ჩემდათავად, ცდას არ დავაკლებო, – დაამატა. ამ ნათქვამში იგულისხმებოდა, მოწოდებული ვარ, ყველაფერი ვაკეთო, რაც კი შემეძლება, მთელი ცხოვრება იმას გავაკეთებ, რასაც მოვახერხებ, გარდუვალობიდან გამომდინარეო. ეგეთი დაიბადა და რა ვქნაო! რაც შეეხება ჩემს საკუთარ კბილებს, მარტო წინები შემრჩა, ზემოთაც და ქვემოთაც.

კიდე წვიმს? – ვკითხე. ჩემმა შვილმა ჯიბიდან პატარა სარკე ამოაძვრინა, ზედა ტუჩი თითით აიქაჩა და პირის ღრუს დათვალიერებას შეუდგა. ააა, – მიპასუხა ამ საქმით გართულმა. პირში თითების თხრას მოეშვი! – ვუყვირე. – გაყავი ფანჯარაში თავი და ნახე ერთი, წვიმს თუ არა! ფანჯარასთან მივიდა. ჯერ არ გადაუღია, – მომახსენა. მოღრუბლულია? – ვკითხე. ერთიანად, – მომიგო. მზის ნატამალიც არ ჩანს? – არ მოვეშვი. წამლადაც რომ გინდოდეს, – მთლად გადამიწურა იმედი. ფარდები გაწიე! – ვუთხარი. საამო წამია, სანამ თვალი სიბნელეს ეჩვევა. ჯერაც აქა ხარ? – შევეხმიანე. იქ იყო, კი. ვკითხე, რას ელოდები, მე რაც სათქმელი მქონდა, უკვე ყველაფერი გითხარი-მეთქი. ჩემი შვილის ადგილას მე უკვე კარგა ხნის გასული ვიქნებოდი მამის ოთახიდან. არ იყო ეს ბიჭი ჩემი ღირსი. ნამდვილად სულ სხვა ცომით იყო მოზელილი. ეს დასკვნა თავისთავად ჩნდებოდა. არადა, დიდი ვერაფერი შვებაა შვილის წინაშე საკუთარი უპირატესობის განცდა, მით უფრო, იმდენად უმნიშვნელო უპირატესობის, რომ მისი ამქვეყნად მოვლინების გამო სინდისის ქენჯნასაც ვერ გიყუჩებს. შეიძლება მარკებიც წამოვიღო? – მკითხა. ორი ალბომი ჰქონდა: დიდი – მთავარი კოლექციისათვის და მომცრო – გადასაცვლელებისთვის. მეორის წამოღების ნება დავრთე. როცა საკუთარი პრინცი-

პების შეუბღალავად შემიძლია ვინმეს ვასიამოვნო, არასოდეს ვამბობ ამაზე უარს. ბიჭი ოთახიდან გავიდა.

წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი. შინაგან შფოთვას ვერაფრით მოვრეოდი. ფარდა ცოტათი გადავწიე და თავი გავყავი. ცა დაბლა ეკიდა, წვრილად ცრიდა. ბიჭს არ მოვუტყუებივარ. ასე, რვა საათისთვის ალბათ ღრუბლებს მაინც გადაყრიდა. დიდებული დაისი, ბინდი, ღამე. მთვარე მხოლოდ შუაღამისკენ გამოჩნდებოდა. ზარი დავაწკარუნე, მართა ვიხმე და მერე ისევ მივწექი. შინ ვივახშმებთ-მეთქი, – მართას ვუთხარი. გაოცებულმა შემომხედა. განა მუდამ შინ არ ვვახშმობდით? მისთვის ჯერაც არ მეთქვა, გამგზავრებას თუ ვაპირებდით. არც ვაპირებდი ამის თქმას ბოლო წუთამდე, სანამ, როგორც იტყვიან ხოლმე, უნაგირზე არ შემოვჯდებოდი. სავსებით ვენდობოდი ამ ქალს. სულ ბოლო წუთს ვუხმობდი და ვეტყოდი – მართა, ჩვენ მივემგზავრებით, ერთი დღით, ორით, სამით, ერთი კვირით, ერთი თვით, ღმერთმა უწყის, რამდენი ხნით და, აბა, შენ იცი, კარგად იყავი-მეთქი. არა უჭირს, დარჩეს გაურკვევლობაში. მაშ, რიღასთვის ვუხმე? ვახშმის სუფრას ნებისმიერ შემთხვევაში გაგვიშლიდა, როგორც ყოველთვის. შევცდი, როცა საკუთარი თავი მის ადგილას წარმოვიდგინე. ეს თავისთავად ცხადია. რა უხეში შეცდომა იყო მისთვის იმის თქმა, შინ ვივახშმებთ-მეთქი, რადგან ეს თავადაც იცოდა. ეგონა, ვიციო. ნაღდად ეგონა. ჩემი უაზრო შეხსენების შედეგად კი მიხვდება, რაღაც რომ იგეგმება, ამიტომ თვალთვალს დაგვიწყებს იმ იმედით, რაღაცას მაინც შევიტყობო. ეს პირველი შეცდომა. მეორე კი – დროში პირველი – ის გახლდათ, რომ ბიჭისთვის არ მიბრძანებია, კრინტი არავისთან დაეძრა ჩემს ნათქვამზე. არა მგონია, ამას რამე შეეცვალა

და მაინც, უნდა დამეჟინა, როგორც მევალებოდა და მომეთ-ხოვებოდა კიდეც. შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდი, არადა, მართლა წინდახედულ კაცად მიმაჩნია თავი. რაღაც-რაღა-ცების გამოსწორებას შევეცადე და ნათქვამს დავამატე – მოგვიანებით, ასე, ცხრა საათზე-მეთქი. მართა შებრუნდა, გასვლა დააპირა. მისი უეშმაკო გონება უკვე შეეპყრო დაბ-ნეულობას. არავისთვის არა ვარ შინ-მეთქი, – მივადევნე. ვი-ცოდი, რასაც იზამდა. მხრებზე პალტოს მოისხამდა, ბაღში გაცუნცულდებოდა და ბაღის კიდეზე გასული, ანას შეეხმი-ანებოდა, დები ელზნერების ბებერ მზარეულს. მერე კარგა ხანს იჩურჩულებდნენ რკინის მესრის აქეთ-იქით მდგომნი. ანა ქუჩაში არ გამოდიოდა, არ უყვარდა სახლიდან შორს ყოფნა. დები ელზნერები სამეზობლოდ არ დაიწუნებოდნენ, ერთი ეგაა, ძალზე ხშირად უკრავდნენ მუსიკას, ოღონდ ეს მათი ერთადერთი ნაკლი გახლდათ. მუსიკა საშინლად მიშ-ლის ნერვებს. ყველაფერი, რასაც ვამტკიცებ, უარვყოფ ან ეჭვქვეშ ვაყენებ აწმყო დროში, ჩემთვის ამწუთასაც ასეა. თუმცა უფრო ხშირად წარსული დროის სხვადასხვა კილოს მივმართავ ხოლმე, რაკიღა ბევრი რამ არ ვიცი, ან სხვაგვა-რად ვიცოდი, ანდა ჯერ არ ვიცი თუ, უბრალოდ, არ გამე-გება და ეგებ ვერც ვერასოდეს გავიგო. ერთი ხანობა დებ ელზნერებზე ვფიქრობდი. ჯერ არაფერი დამეგეგმა, იმათ-ზე ფიქრი კი ამეკვიატა. შოტლანდიური ტერიერი ჰყავდათ, სახელად ზულუ. ხანდახან, თუ კარგ გუნებაზე ვიყავი, შე-ვეხმიანებოდი ხოლმე: ზულუ! ზულიკუნა! – და ისიც მესერს მოადგებოდა მოსასალმებლად. ოღონდ საამისოდ სათანადო განწყობა მჭირდებოდა, რადგან, საზოგადოდ, ცხოველები არ მიყვარს. უცნაური ამბავია: არც ადამიანები მიყვარს, არც ცხოველები. რაც შეეხება ღმერთს, ნელ-ნელა მასზე

გული მიცრუვდება. დავიხრებოდი ხოლმე და გისოსებს შორის ხელგაყოფილი, ძაღლს ყურის უკან ვფხანდი, თან გულსგარეთ საალერსო სიტყვებსაც ვეუბნებოდი. ის ვერ ხვდებოდა, რამდენად მძაგდა, შედგებოდა უკანა თათებზე და მკერდით მთელი ძალით აწვებოდა გისოსებს. აი, ამ დროს ვხედავდი ხოლმე დამბალი ბალნით შემოსილ იმის მოშავო ასოს. მყარად ვერ იდგა ფეხზე – ბარკლები უცახცახებდა, პატარა თათები საყრდენს ვერ პოულობდნენ, ხან ერთი გაექცეოდა გვერდზე, ხან – მეორე. მეც ძნელად ვინარჩუნებდი წონასწორობას და ჩაცუცქული, თავისუფალი ხელით მესერს ვებღაუჭებოდი. არ გამოვრიცხავ, იმასაც თუ ვძაგდი. აი, ამ სულელურ ფიქრებს ვიყავი აყოლილი. ვერც თავს მოვრეოდი.

უეცარი აღშფოთების წამს თავში გამიელვა, ნეტა რა მაიძულებს, ამ ახალ საქმეს შევუდგე-მეთქი. მაგრამ უკვე გვიანი იყო, პირობა მქონდა მიცემული. თან ღირსების ამბავიც იყო. მოკლედ, მალევე მოვახერხე, ყალბი ოქროთი დამეფერა საკუთარი უძლურება.

ვითომ არ შეიძლებოდა ეს გამგზავრება სახვალიოდ გადამედო? ანდა სულაც, მარტო გავდგომოდი გზას? სულ უნაყოფო გახლდათ ეს ყოყმანი. ასეა თუ ისე, შინიდან მაინც ბოლო წუთს გავიდოდით. თითქმის შუაღამისას. ამას წყალი არ გაუვა-მეთქი, – ვუთხარი საკუთარ თავს. მით უმეტეს, რომ ცაზე მთვარის მდებარეობაც სასიკეთოდ წაადგებოდა ჩემს გადაწყვეტილებას.

ის მოვიმოქმედე, რასაც მუდამ ვაკეთებდი უძილობისას: საკუთარ ცნობიერებაში აუჩქარებლად დავბორიალებდი. ლაბირინთის ყველა კუთხე-კუნჭულს ვინიშნავდი, ყველა გვირაბს, რომელთაც ისევე კარგად ვიცნობდი, როგორც

საკუთარი ბაღის ბილიკებს, და მაინც, მუდამ იმდენად ახლებურად და უკაცრიელად მესახებოდა, რამდენადაც შეიძლება მესურვა, ანდა, პირიქით, ახალ-ახალი შეხვედრებით გამოცოცხლებულად მესახებოდა. მესმოდა შორეული წინწილების ხმიანობა, ჯერ ისევ არის დროო, ჯერ ისევ არისო. არადა, დრო აღარ იყო, რადგან მე ერთიანად გავირინდე, სხვა ყველაფერი გაქრა და ფიქრში ისევ შევეცადე, მოლოის საქმეს დავბრუნებოდი. ისე, ცნობიერებას რას გაუგებ: ხან ზღვაა და ხან კიდე – შუქურა.

ჩვენ, აგენტები, ჩანაწერების კეთებას ვერიდებით. აი, გაბერი კი არ იყო აგენტი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. გაბერი კურიერი გახლდათ. იმას ჰქონდა უფლება, უბის წიგნაკი ეტარებინა. ამისთანა შიკრიკს გამორჩეული უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს. მართლაც, რიგიანი შიკრიკი კიდევ უფრო დიდი იშვიათობაა, ვიდრე რიგიანი აგენტი. ასე, მაგალითად, მე, უზადო აგენტი, ვერაფერი შვილი შიკრიკი გამოვდგებოდი. ეს არაერთხელ მინანია. აი, გაბერი მართლა ყველა თვალსაზრისით დაცული გახლდათ: მხოლოდ მისთვის გასაგებ დაქარაგმებებს იყენებდა. ნებისმიერი შიკრიკი, სანამ ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდა, ვალდებული იყო, უფროსობისათვის საკუთარი ქარაგმების სია წარედგინა. გაბერს კი მის მიერ მიტანილი შეტყობინებებისა არაფერი ესმოდა: როცა მათი შინაარსის ამოცნობაზე იტეხდა თავს, სრულიად წარმოუდგენელ დასკვნებამდე მიდიოდა ხოლმე და არათუ მათი ინჩი-ბინჩი არ ესმოდა, ეჩვენებოდა, ყველაფერიც მესმისო. ეგ კიდევ რა – იმდენად უვარგისი მახსოვრობა ჰქონდა, მისატანი შეტყობინებებიდან სიტყვას ვერ იმახსოვრებდა და უბის წიგნაკში იწერდა ყველაფერს. საკმარისი იყო, უბის წიგნაკი წკაპუნით დაეკეტა, შინაარსი ერ-

თიანად უქრებოდა თავიდან. როცა ვამბობ, შეტყობინებებზე თავს იტეხდა და დასკვნები გამოჰქონდა-მეთქი, ეს იგივე არ არის, ამ შეტყობინებებზე მე და თქვენ რომ გვეფიქრა, წიგნაკში ჩაუხედავად. როცა ფურცელს თვალს მოაშორებდა, თავს აიღებდა და შენიშვნების კეთებას იწყებდა. წამსაც კი არ კარგავდა, რადგან წამი თუ დაეკარგებოდა, ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდებოდა – ტექსტიცა და საკუთარი შენიშვნებიც. არაერთხელ მიფიქრია, შიკრიკებს იძულებით რაიმე ქირურგიულ ოპერაციას ხომ არ უტარებენ, ამგვარი განსაკუთრებულად შეზღუდული მახსოვრობის გამოსაწვევად-მეთქი. თუმცა, არა მგონია. ნებისმიერი კურიერი მშვენივრად იმახსოვრებდა ყველაფერს, რაც კი შეტყობინებებს არ შეეხებოდა. ასე, მაგალითად, იგივე გაბერი სრულიად დამაჯერებლად მიამბობდა ხოლმე თავისი ბავშვობისა და ოჯახის ამბებს. ზოგადად, დიდი იშვიათობაა, როცა ერთადერთი ხარ, ვინც საკუთარ თავში ამთლიანებ ისეთ ძვირფას თვისებებს, როგორიცაა საკუთარი ჩანაწერების ამოკითხვის უნარი, ვერგაგება, გადასაცემი მითითებების შინაარსის გაუცნობიერებლობა და მახსოვრობიდან სრული ამოშლა – გადაცემიდან სულ რამდენიმე წამში. ჩვენს შიკრიკებს ხომ სწორედ ეს მოეთხოვებოდათ. იმ ფაქტს, რომ მათ უფრო მეტად აფასებდნენ, ვიდრე აგენტებს, ვისი ნიჭიც უფრო ჩვეულებრივი გახლდათ, მათი ხელფასის ოდენობაც ადასტურებს: კვირაში რვა ფუნტი, მაშინ, როცა ჩვენ ექვს ფუნტსა და ათ შილინგს გვიხდიდნენ, ოღონდ პრემიებისა და სამივლინებო ხარჯების გარეშე. აგენტებსა და შიკრიკებზე მრავლობით რიცხვში კი ვლაპარაკობ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან გაბერის გარდა, თვალით არ მინახავს არც ერთი შიკრიკი და არც ერთი აგენტი – ცხადია, საკუთარ

თავს თუ არ ჩავთვლი. თუმცა ორივე ვხვდებოდით, რომ ერთადერთი წყვილი არ უნდა ვყოფილიყავით. დარწმუნებული ვარ, ამაში არც გაბერს ეპარებოდა ეჭვი. ჩვენს შესაძლებლობებსაც კი აღემატება, რომ საკუთარი თავი ერთადერთებად და განუმეორებლებად წარმოვიდგინოთ. ამიტომაც, ეტყობა, ბუნებრივად გვეჩვენებოდა: მე – ის, რომ ყოველი აგენტი თავის შიკრიკს იყო მიბმული და გაბერს კი – ის, რომ ყოველი შიკრიკი მხოლოდ თავის აგენტს უკავშირდებოდა. ასე და ამგვარად, თავისუფლად შემეძლო, გაბერისთვის მეთქვა – შეფმა ეს სამუშაო ვინმე სხვას მიანდოს, რადგან მასზე გული დიდად არ მიმდის-მეთქი, გაბერს კი შეეძლო ეპასუხა – მას უნდა, მაინცდამაინც თქვენ მოჰკიდოთ ამას ხელიო. ეს უკანასკნელი სიტყვები – თუ რა თქმა უნდა, ჩემს ჯინაზე თვითონ გაბერმა არ მოიგონა, შესაძლოა შეფს ერთადერთი მიზნით წარმოეთქვა – როგორმე გაემყარებინა ჩვენი ილუზია, თუკი ეს მართლა ილუზია გახლდათ. როგორც ხედავთ, ეს ყველაფერი არცთუ ისე მარტივი და გასაგებია.

ის, რომ საკუთარ თავს რაღაც დიდი საიდუმლო ორგანიზაციის წევრებად აღვიქვამდით, უთუოდ ადამიანთათვის ჩვეული განცდიდან მომდინარეობდა – იმ მოსაზრებიდან, ერთად დამარცხება – თუ მეშლება და მწუხარებაზე ამბობენ ხოლმე – უფრო იოლი გადასატანიაო. ოღონდ ეს – არა ჩემთვის, ვისაც ყურს არ მჭრიდა საღი აზრის გამყივანი ხმა და მშვენივრად მომეხსენებოდა, რომ მე და გაბერი ჩვენს საკეთებელს ცალ-ცალკე, მარტოები ვაკეთებდით. დიახ, გონების გამონათების ჟამს, ეს სრულიად დასაშვებად და შესაძლებლად მიმაჩნდა. თქვენ წინაშე სრულიად გულწრფელი თუ დავრჩები, იმასაც ვიტყვი, რომ ზოგჯერ ამგვარი გამონათება ისეთი ძლიერი იყო, უკვე თავად გაბერის არ-

სებობაშიც კი ეჭვი მეპარებოდა ხოლმე. საჩქაროდ უკან, უმეცრების ბურანში ჩაძირვა რომ არ მეცადა, ეგებ უკიდურესობამდეც მივსულიყავი და მარტო გაბერი კი არა, გონებიდან თავად შეფიც გამედევნა და საკუთარი საცოდავი არსებობის ერთადერთ მიზეზად, ერთადერთ დამნაშავედ ჩემივე თავი შემერაცხა. საცოდაობაა, აბა რა, ექვსნახევარი ფუნტი კვირაში! თუნდაც პრემიებისა და სამივლინებო ხარჯების გარეშე. ხოლო როცა გაბერსა და შეფს (მავან იუდის) გავუსწორდებოდი, როგორღა მეთქვა უარი საკუთარი თავისთვის იმ სიამოვნების მინიჭებაზე, რასაც ალბათ უთქმელადაც მიმიხვდებით? ოღონდ მე დიადი, ყოვლისშთანმთქმელი შუქისთვის არ ვიყავი გაჩენილი. მბჟუტავი სანათური – აი, მთელი ჩემი ხვედრი და კიდევ – უსასრულო მოთმინება, რითაც ამ სანათურის შუქს უსხეულო ჩრდილებისაკენ მივმართავდი. მე სხეული გახლდით, სხვა სხეულთა შორის.

სამზარეულოში ჩავედი. არ ველოდი, მაგრამ მართა იქ დამხვდა. ბუხართან მიმჯდარიყო, თავის სარწეველა სავარძელში, და გაუჩერებლად, წინ და უკან ქანაობდა. არ დამიჯერებთ, სწორედ ამ სავარძელს უფრთხილდებოდა, ერთადერთს თავისი ავლადიდებიდან, და ცოცხალი თავით, მთელი სამეფოს ფასადაც კი არ დათმობდა. ყურადღება მიაქციეთ, საკუთარ ოთახში კი არ დადგა, არამედ სამზარეულოში, ბუხართან. დასაძინებლად გვიან წვებოდა ხოლმე, დილით ადრე დგებოდა და სავარძლით ბოლომდე ტკბობას მხოლოდ სამზარეულოში თუ ახერხებდა. ბევრ ბატონს – მეც მათ რიცხვს განვეკუთვნები – დასანახად სძულს მოსასვენებლად განკუთვნილი ავეჯი იმ ადგილას, რომელიც, წესით, ჯაფისა და შრომისთვისაა განკუთვნილი. დასვენება მოუნდა მოახლეს? კეთილი ინებოს და საკუთარ ოთახს

მიაშუროს. სამზარეულოში ყველაფერი მყარი და თეთრად შეღებილი უნდა იყოს. ისიც უთუოდ სათქმელია, რომ ჩემთან სამუშაოზე მოწყობისას მართამ იმთავითვე ითხოვა სარწეველა სავარძლის სამზარეულოში დადგმის უფლება. მე აღშფოთებულმა ვიუარე, თუმცა მისი შეუვალობის შემხედვარემ, ბოლოს მაინც დავყარე ფარ-ხმალი. არა, ვინც რა უნდა თქვას, გული მაინც კეთილი მაქვს.

ლუდის მთელი კვირის მარაგი – ექვსი ლიტრიანი ბოთლი ყოველ შაბათს მოჰქონდათ ჩემთან. მეორე დღემდე ხელს არ ვკიდებდი, რადგან ნებისმიერი ლუდი, თუნდაც მცირეოდენი ნჯღრევის მერე, აუცილებლად უნდა დაწნდეს. ამ ექვსი ბოთლიდან გაბერმა და მე ერთად მხოლოდ ერთი დავცალეთ, შესაბამისად, ხუთი ხელუხლებელი უნდა ყოფილიყო და კიდევ – წინა კვირის მონარჩენიც. საკუჭნაოში შევიხედე. იქ ხუთი თავდალუქული ბოთლი იდგა და ერთიც – გახსნილი, სამ მეოთხედზე დაცლილი. მართა დაჟინებით მომჩერებოდა. სიტყვის უთქმელად გამოვტრიალდი და ისევ ზემოთ ავედი. მოკლედ, ძირითადად მხოლოდ ასე, ზევით-ქვევით მივდი-მოვდიოდი. ახლა ვაჟიშვილის ოთახსაც მივაშურე. საწერ მაგიდას მისჯდომოდა და მარკებს ათვალიერებდა წინ გადაშლილ ორივე ალბომში – დიდშიცა და მომცროშიც. ჩემი ფეხის ხმის გაგონებისას საჩქაროდ დახურა. მაშინვე მივხვდი, რაც ჩაეფიქრებინა. ოღონდ ჯერ მაინც ვკითხე, ყველაფერი თუ ჩაალაგე-მეთქი. წამოდგა, ზურგჩანთას დასწვდა და გამომიწოდა. შიგ ჩავიხედე, მერე ხელიც ჩავყავი და შიგთავსი მოვსინჯე. თან ვითომ დაბნეული მზერით სადღაც ვიყურებოდი. მართლა ყველაფერი ჩაელაგებინა. ზურგჩანთა დავუბრუნე. რას აკეთებ-მეთქი? – ვკითხე. მარკებს ვათვალიერებო, – მიპასუხა. შენ ამას მარკების თვალიერებას

ეძახი-მეთქი? რა თქმა უნდაო, – მომიგო წარმოუდგენელი უტიფრობით. ხმა-კრინტი, შე პატარა გაიძვერა-მეთქი! – ვუყვირე. იცით, რით გახლდათ სინამდვილეში დაკავებული? გასაცვლელებში გადაქონდა თავისი, ასე ვთქვათ, ძვირფასი და იშვიათი მარკები, რომელთაც, როგორც წესი, ყოველდღე თვალებით ჭამდა და რამდენიმე დღითაც კი ვერ ელეოდა. აბა, ერთი, ის შენი ახალი თიმორის მარკა მაჩვენე, ხუთრაისიანი, ნარინჯისფერი! – მოვთხოვე. აშკარად ყოყმანობდა. მაჩვენე! – ვუყვირე ისევ. მე თვითონ ვაჩუქე, მთელი ფლორინი დამიჯდა, შემთხვევით გადავეყარე სადღაც. აი, აქ ჩავდე, – მითხრა საწყალობლად და გასაცვლელმარკებიანი ალბომი გამომიწოდა. მეც მხოლოდ ამის გაგება მეწადა, უფრო სწორად – მისივე პირიდან ამის მოსმენა, რადგან ცოდნით ისედაც მშვენივრად ვიცოდი ყველაფერი. ძალიან კარგი! – ვთქვი და კარისაკენ გავემართე. ორივე ალბომს შინ დატოვებ, დიდსაც და პატარასაც, – დავუგდე სიტყვა. საყვედური არ დამცდენია და სათქმელიც მომავალ დროში წარმოვთქვი – სწორედ ისე, როგორც იუდის სჩვევია. თქვენი შვილი თქვენთან ერთად გამოემგზავრება. ოთახიდან გამოვედი, მაგრამ სანამ მოკლე-მოკლე ნაბიჯებით, ლამის ცუხცუხით მივუყვებოდი დერეფანს ჩემი ოთახისაკენ და, ჩვეულებისამებრ, ნოხის უზადო სირბილეს შევხაროდი, ერთმა აზრმა გამიელვა თავში, რამაც მაიძულა, უკან, ვაჟიშვილის ოთახში მივბრუნებულიყავი. ამჯერადაც უწინდელ ადგილას იჯდა, ოღონდ ცოტა სხვანაირად: ხელები მაგიდაზე დაეწყო და თავი ზედ ჩამოედო. შემძრა ამ სანახაობამ და ამის მიუხედავად, მაინც ბოლომდე მოვიხადე მშობლის ვალი. ბიჭი არ ირხეოდა. მეტი საიმედოობისთვის, უკან მობრუნებამდე ალბომები სეიფში შევინახოთ, – ვუთხარი. არც ახლა განძ-

რეულა. გესმის? – ჩავეკითხე. სკამიდან წამოხტა, ისე მოწყვეტით, რომ სკამი გადაყირავდა. გაცოფებულმა მომახალა, რაც გინდა, ის უქენი, მე ეგენი აღარაფერში მჭირდებაო. მიმაჩნია, რომ კაცმა რისხვა უნდა ჩაიცხრო და აუღელვებლად იმოქმედო. მეტი სიტყვა აღარ მითქვამს, ალბომებს დავწვდი და ოთახიდან გამოვედი. ჩემს შვილს მამისადმი პატივისცემა აშკარად აკლდა, მაგრამ ახლა ამის მითითების დრო არ იყო. დერეფანში გატრუნულმა, დაცემისა და დარტყმის ხმა გავიგონე. სხვა, ვისაც ნაკლებად ეხერხება თავის მოთოკვა, ჩემს ადგილას, ალბათ, უკანვე შებრუნდებოდა, ოღონდ მე სულაც არ გამოვუყვანივარ წყობიდან იმ ამბავს, რომ ჩემმა შვილმა დარდს ამგვარი გამოხატულება უპოვა. ეს განწმენდას უწყობს ხელს. მე მგონი, გულში ჩატოვებული დარდი ბევრად უფრო მავნებელია.

ალბომებდაიღლიავებული, ჩემს ოთახში დავბრუნდი. დიდი ცდუნება ავაცილე ბიჭს, თან წამოელო საყვარელი მარკები და გზაში ეთვალიერებინა. თავისთავად, რამდენიმე ზედმეტ მარკას თუ გამოაყოლებდა ხელს, ამაში არანაირად არ იქნებოდა რაიმე საძრახისი, თუმცა დაუმორჩილებლობის გამოვლინებად კი უთუოდ ჩაითვლებოდა. მარკების სათვალიერებლად იძულებული იქნებოდა, საკუთარ მამას დამალვოდა, ხოლო როცა დაკარგავდა, არადა, აუცილებლად დაკარგავდა, მათი გაქრობის მიზეზის ასახსნელად ათასი ტყუილის მოგონება დასჭირდებოდა. ეგეც არ იყოს, თუკი საკუთარი კოლექციის მარგალიტებთან განშორებას ვერ ახერხებდა, მაშინ უკეთესი იქნებოდა, მთელი ალბომი წამოელო, რადგან იმის დაკარგვა უფრო ძნელია, ვიდრე ერთი რომელიმე მარკისა. მე მაინც მასზე ბევრად უკეთ შემეძლო განმესაჯა, რა შეიძლებოდა და რა – არა. ვიცოდი,

რომ ეს გამოცდა სასიკეთოდ წაადგებოდა – Sollst entbehren[3]. მინდოდა, გაკვეთილი მანამდე დაესწავლა და დაემახსოვრებინა, ვიდრე ასაკი მოემატებოდა და გრძნობები მოუჩლუნგდებოდა. ძვირფასი სიტყვებია, ოღონდ თხუთმეტ წლამდე მე ვერც კი წარმოვიდგენდი, მათი ასე შეწყვილება თუ შესაძლებელი იქნებოდა. და გინდაც ჩემს ქცევას არა მარტო ჩემი თავი, არამედ, საერთოდ, მამისა და მამობის ცნებები შეეძულებინა, ჩემს საკეთებელს მაინც უწინდელი გზნებით გავაკეთებდი. იმაზეც ვფიქრობდი, რომ ორ დღეს შორის – ჩემი და მისი სიკვდილის დღეებს ვგულისხმობ – ის წამით მაინც შეწყვეტდა ჩემს წყევლა-კრულვას და დაეჭვდებოდა, იქნებ მამაჩემი სწორი იყოო. ეს ჩემთვის საკმარისი იქნებოდა. ასე დამიფასდებოდა მთელი გარჯა, რაც გამეწია და, ბუნებრივია, კვლავაც გავწევდი. ცხადია, პირველ ჯერზე, ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებდა და ისევ წყევლა-კრულვას მოჰყვებოდა, მაგრამ ეჭვის თესლი ნელ-ნელა მაინც გაღვივდებოდა და არ მოასვენებდა. აი, ასე ვმსჯელობდი.

ვახშმობამდე რამდენიმე საათი რჩებოდა. გადავწყვიტე, ეს დრო რაც შეიძლება სასარგებლოდ გამომეყენებინა, რადგან ვახშმობის შემდეგ, როგორც წესი, რული მერევა ხოლმე. ქურთუკი და ფეხსაცმელი გავიხადე, შარვალზე ქამარი მოვიბოშე და საწოლზე მივწექი. სწორედ სითბოსა და სიბნელეში მწოლიარე ვახერხებ ყველაზე უკეთ საკბილოს ცნობას, იმ გეზის შერჩევას, რომელმაც მიზანთან უნდა მიმიყვანოს და ტანჯვაში სიმშვიდე მაპოვნინოს. ყველასა და ყველაფერს მოშორებული, სამყაროს ხმაურსა და ფუსფუსს მოცილებული, მისი სიგიჟეებისგან, სიმწარისა და სუსტი სი-

[3] თავი უნდა შეიკავო (გერმ.).

ნათლისაგან დაცული, ვახერხებ, რომ განაჩენი გამოვუტანო ამ სამყაროსაც და იმათაც, ვინც ჩემსავით თავფეხიანადაა მასში ჩაფლული; კიდევ იმათაც, ვისაც სჭირდებათ, რომ მე გავათავისუფლო – მე, ვისაც საკუთარი თავის გათავისუფლებაც კი არ შემიძლია. ირგვლივ სიბნელეა, ოღონდ – ბუნებრივი სიბნელე, რომელიც მალამოსავით ედება ნაგვემ სულს. ერთიანად იწყებს მოძრაობას სიმრავლე, შეუვალი ვითარცა კანონი. რისი სიმრავლე? უაზრობაა ამის კითხვა. სადღაც აქ ადამიანიცაა, ვეება ლოდი, ყველა ბუნებრივი სტიქიისაგან გამოძერწილი, ისეთივე მარტოსული და ამოუცნობი, როგორც კლდე. და ამ ლოდში ახლა საკბილო განაბულა – ფიქრობს, ჩემ შესახებ არავინ არაფერი იცისო, მაგრამ დაწყებულ საქმეს ვიღაც მაინც მიიყვანს ბოლომდე. მე ხომ ძებნაში მიხდიან ფულს. მე მივდივარ, ის მშორდება. მთელი ცხოვრება ჩემს მისვლას ელოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ კაცთა შორის დაწყევლილი იყო – გადარჩენილი, ჩვეულებრივი, წარმატებული. აი, ასე მოქმედებს ხანდახან ჩემზე სითბო, სიბნელე და საკუთარი საწოლის სუნი. ვდგები, ოთახიდან გავდივარ და ყველაფერი უცებ იცვლება: თავი სისხლისაგან მეცლება, ყოველი მხრიდან სხვადასხვა ხმაური მიტევს, ნაწილებად იშლება, მერე ნაწილები ერთმანეთს ერწყმიან, იმსხვრევიან, ჩემი თვალები კი ამაოდ დაეძებენ ერთმანეთის მსგავს ორ საგანს. ჩემი კანის თითოეული უჯრედი რაღაც თავისას გაიძახის, მოვლენების მორევში ვიძირები. იძულებული ვარ, ამ განცდა-შეგრძნებათა ნება-სურვილით ვიცხოვრო და ვიმუშაო, რომელთა მოჩვენებითობაც, საბედნიეროდ, ჩემთვის სრულიად ნათელია. მათი წყალობით, ჩემს საკუთარ არსს შევიმეცნებ, როგორც უეცარი ტკივილისგან გამოღვიძებული ადამიანი. ის იტრუნება, სუნთქვას იკრავს,

რაღაცას ელოდება, ამბობს, ცუდი სიზმარი დამესიზმრა, ანდა ნევრალგიამ შემომიტიაო. მერე ისევ ამოისუნთქავს და შიშისაგან ჯერაც აცახცახებული, ისევ შეიბრუნებს ძილს. და მაინც, რაოდენი სიამოვნებაა, სამუშაოსკენ მიბრუნებამდე ისევ ჩაყურყუმალავდე ამ მდორე და მასიურ სამყაროში, სადაც საგნები კამეჩების ზანტი გაფაციცებით მოძრაობენ, მორჩილად მიუყვებიან ძველთაძველ გზებს და, ცხადია, ნებისმიერი გამოძიება წარმოუდგენელია. მაგრამ ამჯერად – ხაზს ვუსვამ, ამჯერად-მეთქი – ვფიქრობ, ჩემთვის ამ ჩაყურყუმალავების მიზეზები ბევრად უფრო საფუძვლიანი გახლდათ და სიამოვნება კი არ განაპირობებდა ამას, არამედ – საქმე. მხოლოდ მას მერე, რაც, ასე ვთქვათ, უსასრულო სასრულობის ატმოსფეროში გადავინაცვლე, გავბედე და დავალებული საქმის წინასწარ განხილვას შევუდექი, რადგან იქ, სადაც მოლოი არ იყო და, შესაბამისად, მორანსაც არაფრად სჭირდებოდა იქ ყოფნა, სწორედ იქ მორანს შეეძლო დაძაბულად ეფიქრა მოლოიზე. მართალია, ჩატარებული კვლევაძიება მოცემული მითითებების შესასრულებლად სრულიად უნაყოფო და უშედეგო აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ვალდებული ვიყავი, ერთგვარი კავშირი დამემყარებინა და სულაც არ იყო სავალდებულო, ეს კავშირი ყალბი ყოფილიყო. ეს იმიტომ, რომ როცა მოცემულობა მცდარია, რამდენადაც ვიცი, სულაც არაა აუცილებელი, დასკვნაც არამართებული გამოდგეს. თან საქმე მარტო ესეც არაა: მე უთუოდ თავიდანვე უნდა გამეხვია ჩემი კლიენტი ზღაპრული არსებობის შარავანდში, რაც – წინდაწინვე ვგრძნობდი – უეჭველად დამეხმარებოდა შემდგომში. მოკლედ, ქურთუკი გავიხადე, ფეხსაცმელებიც. ქამარიც შევიხსენი და სუფთა სინდისით ჩავწექი ლოგინში. მშვენივრად ვხვდებოდი, რასაც ვაკეთებდი.

ეს ვიღაც მოლოი (თუ მოლოუზი) ჩემთვის უცხო ვინმე სულაც არ გახლდათ. კოლეგები რომ მყოლოდა, ეგებ მეეჭვა კიდეც, მათთან მისაუბრია ამ კაცის, როგორც მომავალი კლიენტის, შესახებ-მეთქი. მაგრამ კოლეგები არ მყავდა და არც ვიცოდი, რა ვითარებაში შევიტყვე მისი არსებობის თაობაზე. შესაძლოა თავადვე გამოვიგონე, ანუ იმის თქმა მინდა, უკვე მზამზარეული აღმოვაჩინე საკუთარ გონებაში-მეთქი. ზოგჯერ უცნობს შეხვდები და რაღაცნაირად იცნობ, რადგან მას უკვე გაუელვია თქვენი წარმოსახვის კინოფირზე. მსგავსი მე არასოდეს არაფერი დამმართია. საკუთარ თავს ამგვარი რამეების მიმართ შეუვალად მივიჩნევდი და ჩვეულებრივი déjà vu ჩემთვის სრულიად წარმოუდგენლად მესახებოდა. მაგრამ ამწუთას, თუ არ ვცდები, ზუსტად ეს დამემართა. მართლაც, აბა, სხვა ვინ მიამბობდა მოლოიზე, საკუთარი თავის გარდა? ვისთან შემეძლო მის შესახებ მესაუბრა? ამაოდ ვძაბავდი გონებას – ადამიანებთან ჩემი იშვიათი საუბრების დროს მსგავს თემებს შეგნებულად გავურბივარ. მოლოიზე სხვას რომ ჩამოეგდო ჩემთან სიტყვა, უთუოდ ვთხოვდი, საუბარი შეეწყვიტა, მე კი ცოცხალი თავით არც ერთ სულიერს არ გავანდობდი მისი არსებობის საიდუმლოს. აი, კოლეგები რომ მყოლოდა, ბუნებრივია, საქმის ვითარება სულ სხვანაირი იქნებოდა. კოლეგებთან იმასაც კი ლაპარაკობ, რაზეც ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში დუმილს ამჯობინებ. მაგრამ კოლეგები, როგორც უკვე გითხარით, არ მყავდა. შეიძლება ამითაც აიხსნება ამ საქმის დაწყებისთანავე დაუფლებული უსაშველო განგაშის განცდა. ზრდასრული ადამიანისთვის, ვისაც ჰგონია, მოულოდნელობები აღარ მემუქრებაო, სულაც არაა უბრალო რამ, საკუთარ თავში მსგავსი უმსგავსობა აღმოაჩინოს. განგაშის საფუძველი ნამდვილად არსებობდა.

მთლად უცხო ჩემთვის არც მოლოის (თუ მოლოუზის) დედა ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. თუმცა მას იმდენად მკაფიოდ ვერ აღვიქვამდი, როგორც მის ვაჟს, რომელიც, თავის მხრივ, საკმაოდ ბუნდოვნად მესახებოდა. მოლოის (თუ მოლოუზის) დედაზე, როგორც ჩანს, ბევრი არც არაფერი ვიცოდი – მხოლოდ ის, რაც შვილში დაეტოვებინა: ჭიპლარის გადანაჭერის მსგავსი კვალი.

ამ ორი გვარიდან – მოლოი და მოლოუზი – სიმართლე ითქვას, მეორე უფრო სწორი მეგონა. თუმცა ალბათ ასე არ უნდა იყოს. ის არც საკუთარი არსების სიღრმიდან მომესმოდა, სადაც საშინელი აკუსტიკაა. პირველი მარცვალი – მოლ – სრულიად მკაფიო გახლდათ, მაგრამ მას მოსდევდა მეორე და მესამე, სულ მთლად ბუნდოვანი, თითქოსდა პირველით შთანთქმული მარცვლები. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ოი, ისე – ოუზი, ან, თუ გნებავთ – სულაც ოე ან ოზე. ოუზისკენ ალბათ იმიტომ ვიხრები, რომ ერთგვარი ნაზი გრძნობები გამაჩნია ამგვარი დაბოლოებების მიმართ, მაშინ, როცა ყველა სხვა გულგრილს მტოვებს. თუმცაღა, რაკი გაბერი ამბობდა, მოლოიო, და თანაც, გვარი რამდენჯერმე გაიმეორა, ყოველ ჯერზე – მკაფიოდ და გარკვევით, იძულებული ვიყავი, მეღიარებინა: მეც მოლოი უნდა ვთქვა და მოლოუზი შეცდომა იქნებოდა-მეთქი. აქედან გამომდინარე, ჩემი გემოვნების მიუხედავად, თავს ვაიძულებ, გაბერივით მოლოი ვთქვა. ის აზრი, ამ ამბავში შესაძლოა სხვადასხვა ადამიანია გარეული – ერთი ჩემი საკუთარი **მოლოუზი**, მეორე კი ის მოლოი უბის წიგნაკიდან-მეთქი, რატომღაც თავში არ მომდიოდა და თუნდაც მომსვლოდა, მაინც მოვიშორებდი, როგორც აბეზარ ბუზსა თუ კრაზანას. ღმერთო ჩემო, რა იშვიათად ამყარებს ადამიანი თანხმობას საკუთარ

თავთან! მეც კი, ვისაც ასე მეამაყება საკუთარი თავი, როგორც გონიერი, გულცივი და ყველა ყალბი სიღრმიდან თავდაღწეული არსება.

ასე რომ, მოლოიზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ მოკლედ გამცნობთ, რა ვიცოდი მის შესახებ. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ თეთრ ლაქებსაც, ჩემს ხელთ არსებულ ცნობებს რომ ახლავს.

მოლოის განკარგულებაში სულ ერთი ციდა სივრცე რჩებოდა. მისი დრო იწურებოდა. თითქოსდა სასოწარკვეთით შეპყრობილი, მუდმივად და უსასრულოდ მიიჩქაროდა უახლოესი მიზნებისაკენ. ტყვედქმნილი, ხან საოცრად დავიწროებული საზღვრებისაკენ ილტვოდა, ხან კი, დევნილი, შუაგულში ეძებდა თავშესაფარს.

მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. როგორც კი ის გამახსენდებოდა, მეც მეხუთებოდა სული.

ზეგანზე სიარულის დროსაც კი თითქოს უღრანში მიიკვლევდა გზას. იმდენად არ მიდიოდა, რამდენადაც წინაღობათა დაძლევას ცდილობდა. ამის მიუხედავად, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც მიიწევდა წინ. თან აქეთ-იქით მიქანაობდა, ბაჯბაჯა დათვივით.

თავის ქნევაც სჩვეოდა და რაღაც გაუგებარი სიტყვების ლუღლუღიც. ზონზროხა იყო და მოუქნელი, შეიძლება ითქვას – მახინჯიც კი, და მთლად შავტუხა თუ არ ეთქმოდა, მუქი ელფერი უდავოდ დაჰკრავდა.

შეუჩერებლივ მიიწევდა წინ. არასოდეს მინახავს ჩამომჯდარი. თუმცა ზოგჯერ შედგებოდა და მრისხანე მზერას მიმოავლებდა ხოლმე ირგვლივ.

აი, ასეთად მესახებოდა ხანგამოშვებით, დროის გრძელი მონაკვეთების შემდეგ. მეც იმწამსვე ხმაურად, მოუქნელო-

ბად, რისხვად, სულის ხუთვად, უსასრულო ძალისხმევად, უაზრო სიშმაგედ და სიბერწედ გარდავისახებოდი ხოლმე. მოკლედ, სიმართლე თუ გინდათ – საკუთარი თავის სრულ ანტიპოდად. ამას კი გარკვეული მრავალფეროვნება შემოჰქონდა. როცა ვხედავდი, თითქოს მთელი სხეულით აყმუვლებული, როგორ ეფარებოდა თვალს, ლამის სინანული მიპყრობდა.

ოდნავი წარმოდგენაც კი არ მქონდა, საით ეჭირა გეზი.

ვერც მისი ასაკის გარკვევაში დამეხმარებოდა რამე. ასე მეგონა, ჩემს თვალწინ გაჩენილი მისი სახება მარად თანმდევი და ბოლომდე უცვლელი უნდა ყოფილიყო – უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, რისი წარმოდგენაც არ შემეძლო, რადგან ვერ ვხვდებოდი, რანაირად ჩავარდნილიყო ამ გაუსაძლის მდგომარეობაში. მით უმეტეს, ვერ გავრკვეულიყავი, საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი, როგორ დააღწევდა თავს ამ ვითარებას. აღსასრული ნაკლებად სავარაუდო მეჩვენებოდა. განა ჩემი საკუთარი სიკვდილი – მე მყარად გადავწყვიტე, ბუნებრივი სიკვდილით მოვკვდე – ამავდროულად, მისივე აღსასრულად არ იქცეოდა? თანდაყოლილი თავმდაბლობის გამო, ამაში მთლად დარწმუნებული მაინც არ ვიყავი. ჩვენში დარჩეს და, არსებობს კი არაბუნებრივი სიკვდილი? ვითომ ნებისმიერი სიკვდილი ბუნების საჩუქარი არაა? თანაც – უეცარი და, ასე ვთქვათ, ნანინანატრი? სულ ფუჭი და ამაო ვარაუდებია.

სახეს რაც შეეხება, მასზე არანაირი ცნობები არ გამაჩნდა. ის მე უხეში, გაბურძგნული და მოჭყანული მეჩვენებოდა, თუმცა ჩემს ვარაუდებს არაფერი ადასტურებდა.

ჩემნაირ ადამიანს, მთლიანობაში, მშვიდსა და გონიერს, ვისაც მოთმინებით შეუძლია აიტანოს გარე სამყარო, რო-

გორც ყველაზე ნაკლები ბოროტება, ვისაც საკუთარი სახლი, კარი და ცოტაოდენი ქონებაც აბადია და ვინც კეთილსინდისიერად და პროფესიულად ასრულებს საძულველ სამუშაოს, საკუთარ ფიქრებს კი საიმედო ფარგლებში აკავებს, რაკი ნებისმიერი გაურკვევლობა აფრთხობს; ამგვარად ოსტატურად მოწყობილ ადამიანს – მე მართლაც ოსტატური მოწყობილობა გახლდით – მუდმივად ქიმერები რომ დევნიდნენ და იმონებდნენ, ეგებ უცნაურადაც მოსჩვენებოდა ეს ყველაფერი და იმის ნიშნადაც მიეღო, მისივე საკეთილდღეოდ, მეტი სიფრთხილე გამოეჩინა. ნურას უკაცრავად! ამ ყველაფერში მხოლოდ განდეგილის სისუსტე ამოვიკითხე – არასასურველი სისუსტე, მაგრამ დასაშვები იმისთვის, ვისაც განდეგილად დარჩენა სურდა და ისეთივე მცირე გზნებით ებღაუჭებოდა მას, როგორითაც – საკუთარ კრუხებსა თუ რწმენას, თუმცა კი – საკმაო წინდახედულებით. ამ სისუსტეს სახსენებლადაც მცირე ადგილი ეკავა ჩემი ცხოვრების წარმოუდგენლად რთულ მექანიზმში და მას სიზმრებზე მეტად არ უშლიდა ხელს, და თან სიზმრებივით სწრაფადაც ეძლეოდა დავიწყებას. მანამდე დაიმალე, ვიდრე გამოგედევნებიანო – აი, ეს შეგონება მუდამ ბრძნულად მიმაჩნდა და თუკი საკუთარი ცხოვრების ამბის მოთხრობა მომიწევდა, ამ აჩრდილებზე, მით უფრო, საცოდავ მოლოიზე კრინტსაც კი არ დავძრავდი; იმიტომ, რომ მის გარდა სხვებიც არსებობდნენ და მათთან მოლოი მოსატანიც არ გახლდათ.

ამგვარ ხილვებს ნება ძალადობის გზით აცოცხლებს – რაღაცას აკლებს, რაღაცას უმატებს და აგვისტოს იმ სამახსოვრო კვირადღეს ჩემ მიერ გაცოცხლებული მოლოიც, რაღა თქმა უნდა, არ იყო ჩემი სიღრმეების ჭეშმარიტი ბინადარი, რადგან მისი დრო ჯერ არ დამდგარიყო. მაგრამ მთა-

ვართან დაკავშირებით მაინც მშვიდად ვიყავი – მსგავსება აშკარად შეიმჩნეოდა, ცდომილებაც ბევრად მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო და ეს მე არ მაღელვებდა. რასაც ვქმნიდი, მოლოისთვის არ ვქმნიდი, ვინც სულ ფეხებზე მეკიდა; არც საკუთარი თავისთვის – საკუთარ თავზე ხელი მქონდა ჩაქნეული. მე იმ საქმისთვის ვირჯებოდი, რომელსაც შემსრულებლებად კი ვჭირდებოდით, მაგრამ, არსებითად, უსახელო გახლდათ. ეს საქმე არსებობას გააგრძელებდა, ადამიანთა სულებში ჩაიბუდებდა მაშინ, როცა ჩვენ, საცოდავი შემსრულებლები, უკვე ცოცხლები აღარ ვიქნებოდით. იმედია, ვერავინ იტყვის ჩემზე, საკუთარ საქმეს აგდებულად ეკიდებოდაო. უფრო ასე იტყვიან, გულით: ეჰ, სადღა არიან ის ძველი ოსტატები, მათი სახსენებელიც გაქრა და ნეშტიც განქარდაო!

აქ ორიოდე შენიშვნა:

მსგავსება ჩემში გაჩენილ მოლოისა და ჭეშმარიტ მოლოის შორის, ვის კვალსაც ახლა ტყე-ღრეში უნდა მივდიო, შესაძლოა, უაღრესად შორეულიც აღმოჩნდეს.

შესაძლოა, ჩემდაუნებურად, უკვე მივაწერე ჩემს მოლოის იმ მოლოის ნიშან-თვისებები, ვინც გაბერმა აღმიწერა.

მთლიანობაში, სამი, არა, ოთხი მოლოი არსებობდა: ჩემში არსებული, მისი ჩემეული კარიკატურა, გაბერისეული მოლოი და ცოცხალი ადამიანი, რომელიც სადღაც მელოდებოდა. ამათ მე იუდისეულ მოლოისაც მივუმატებდი, გაბერის ცნობების საარაკო სისწორეში თუნდაც იოტისოდენი ეჭვი რომ შემქონდეს. თუმცა ეს ვარაუდიც სათუოა. განა შესაძლებელია დავუშვათ, რომ იუდიმ ყველაფერი გაანდო გაბერს, რაც კი იცოდა, ან რაც ეგონა, რომ იცოდა (მისთვის ეს ერთი და იგივეა) საკუთარი პროტეჟეს თაობაზე? რა თქმა

უნდა, არა. მან მხოლოდ ის უთხრა, რაც საჭიროდ ჩათვალა, რომ ეთქვა საკუთარი ბრძანებების სწრაფად და ზუსტად აღსრულებისათვის. ამიტომაც, ყოველი შემთხვევისთვის, მეხუთე მოლოისაც დავამატებ, იუდისეულს. მაგრამ ვითომ უცილობლად არ დაემთხვევა ეს მეხუთე მოლოი მეოთხეს? ასე ვთქვათ, ჭეშმარიტს – მის ჩრდილად არ იქცევა? რას არ მივცემდი ამის გასაგებად! ცხადია, იყვნენ სხვებიც, მაგრამ წინააღმდეგი თუ არ იქნებით, მოდით, მხოლოდ ამით შემოვიფარგლოთ – ვგონებ, ისედაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა. ნურც იმას გამოვედევნებით, რამდენად ინარჩუნებს ეს ხუთი მოლოი საკუთარ უცვლელობას და რამდენად განიცდის ცვლილებებს. იუდი ხომ საკუთარ შეხედულებებს წარმოუდგენლად მარტივად იცვლიდა.

სამი შენიშვნა გამომივიდა, მე კი მხოლოდ ორს ვვარაუდობდი.

ასე და ამგვარად, ყინული დაიძრა. ახლა შემეძლო გაბერის შეტყობინებას ჩავჯდომოდი და ოფიციალური მონაცემების არსში გავრკვეულიყავი. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბოლოს და ბოლოს, ძიება მკვდარი წერტილიდან დაიძრა.

სწორედ ამ დროს მთელი სახლი გონგის მაღალმა ხმამ შეაზანზარა. ზუსტად ცხრა საათი შესრულებულიყო. წამოვდექი, ტანისამოსი მოვიწესრიგე და საჩქაროდ ქვემოთ ჩავედი. იმის განცხადება, წვნიანი მაგიდაზეა და, მეტიც, უკვე ცივდებაო, მართასთვის პატარა გამარჯვების ტოლფასი გახლდათ. მაგრამ მე, როგორც წესი, დათქმულ დროზე რამდენიმე წუთით ადრე მივუჯდებოდი ხოლმე მაგიდას, ხელსახოცს მოვირგებდი, პურს ვფშვნიდი, თეფშსა თუ დანაჩანგალს ადგილს ვუცვლიდი – მოკლედ, ვერთობოდი, სანამ კერძს მომართმევდნენ. წვნიანს მადიანად შევექეცი. ჟაკი

სად არის? – ვიკითხე. მართამ მხრები აიჩეჩა, საძაგელი, მონური მოძრაობით. უთხარი, დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს! – ვუბრძანე. მათლაფაში წვნიანი მთლად გამიცივდა. ისე, იყო კი ოდესმე ცხელი? მართა მობრუნდა და მითხრა, ჭამა არ უნდაო. კოვზი მაგიდაზე დავდე. მითხარი, მართა, ამ შენს მომზადებულ კერძს რა ჰქვია? – ვკითხე. რაღაც სახელი მითხრა. ადრეც მოგიმზადებია? – ჩავეძიე. ნამდვილადო, – დამარწმუნა. მაშინ, ეტყობა, მე ვყოფილვარ უგემური და არა ეს წვნიანი-მეთქი. ეს ჩემი ხუმრობა ძალიან მომეწონა. იმდენი ვიცინე, სლოკინიც კი ამიტყდა. მართა ნართაულს ვერ ჩასწვდა და გაოცებული შემომცქეროდა. დაუძახე, – ვუთხარი ბოლოს. ვის? – მკითხა. გავუმეორე. გაშტერებული მომჩერებოდა. ამ მშვენიერ სახლში, – ვუთხარი, – მხოლოდ სამნი ვართ: შენ, ჩემი ვაჟიშვილი და ბოლოს, მე. მე გითხარი, დაუძახე-მეთქი. ვერ არის კარგად, – მითხრა. სულ რომ კვდებოდეს, მაინც უნდა ჩამოვიდეს, – ბრაზი გამომერია ხმაში. გაცოფებულს ხანდახან ერთგვარი გადაჭარბებაც მჩვევია. ოღონდ სინდისი არასოდეს მქენჯნის. ზოგადად, მეტყველება, ჩემი აზრით, უკვე გადაჭარბებაა. ამგვარი გადაჭარბებები აღსარების დროს მღვდელთანაც მიხსენებია, ცოდვების ნაკლებობის გამო.

ჟაკს სახე ალეწოდა. წვნიანი ჭამე და შენი აზრიც მომახსენე-მეთქი, – ვუთხარი. არ მშიაო, – მიპასუხა. წვნიანი გასინჯე-მეთქი, – დავიჟინე. მშვენივრად ვხვდებოდი, პირსაც არ დააკარებდა. რა გჭირს? – ვკითხე. ვერა ვარ კარგად, – მიპასუხა. რა საძაგელია ახალგაზრდობა. ეცადე, ეგ სათქმელი უფრო ექსპლიციტურად გამოხატო, – ვუთხარი. მისთვის ძნელად გასაგები სიტყვა შეგნებულად ვიხმარე, რადგან რამდენიმე დღით ადრე მისი მნიშვნელობა და გამოყენების

შემთხვევები განვუმარტე. ახლა კი ვიმედოვნებდი, მეტყოდა, ვერ გავიგე, რას მეუბნებიო. გვარიანი ეშმაკი და გაიძვერა გახლდათ, მაიმუნი ეგა. მართა! – ვიღრიალე. ისიც იქვე აისვეტა უცებ. ვახშმობა გავაგრძელოთ, – ვთქვი უფრო მშვიდად. ფანჯარას გავხედე. წვიმას გადაეღო, რაც უკვე ვიცოდი. დასავლეთის მხარეს ცას ვეება, ხასხასა ფარდა ეფინა. ამას უფრო გუმანით ვხვდებოდი, ვიდრე ვხედავდი, რადგან დანახვას ხეების კენწეროები მიშლიდა. არ ვაჭარბებ, უდიდესმა სიხარულმა მომიცვა ამ მშვენიერი, იმედისმომცემი სახილველის შემხედვარე. მერე ამოვიხვნეშე და ფანჯარას თვალი მოვაცილე, რადგან სილამაზით შთაგონებული სიხარული იშვიათად რჩება უღრუბლო. მაგიდაზე ახალი კერძი დამხვდა. ეგ რაღაა? – ვიკითხე. როგორც წესი, კვირაობით ვახშმად სადილის მონარჩენს გეახლებით ხოლმე, ცივ-ცივად – ქათამს, იხვს, ბატს, ინდაურსა თუ რა ვიცი, რაც იქნება. ინდაურების მოშენების საქმე კარგად ამეწყო. მე მგონი, სარფიანიც უნდა გამოდგეს, იხვების მომრავლებასა თუ ხბოების გამოზრდასთან შედარებით. უფრო საჯაჯირო ამბავია, მაგრამ თან – უფრო მომგებიანიც იმისთვის, ვისაც ინდაურების სწორად გამოკვება ეხერხება, ეს ფრინველი უყვარს და საპასუხო სიყვარულსაც იღებს. კარტოფილის ღვეზელია ხორცით, – მითხრა მართამ. ცოტა მოვაციცქნე და გემოც გავუსინჯე. სადილიდან მორჩენილი ფრინველი სადღაა? – ვკითხე. მართას სახეზე გამარჯვებულის გამომეტყველება დაედო. ცხადი იყო, ამ კითხვას ელოდა და თანაც, დიდი იმედით. ვიფიქრე, წასვლის წინ რამე ცხელი არ აწყენთ-მეთქი, – მომიგო. მერე ვინ გითხრა, სადმე მივდივარო? – ვკითხე. კარისკენ დაიძრა, რაც იმის აშკარა ნიშანი გახლდათ, რომ ახალ ბრაზიან გამოხდომას მიმზადებდა. შე-

ურაცხყოფის მოყენება მარტო სიარულისას გამოსდიოდა რიგიანად. ბრმა კი არა ვარ, – მითხრა და კარი გამოაღო. სამწუხაროდ, არა ვარ! – დაამატა და ზურგსუკან კარი მიიჯახუნა. შვილს გავხედე. პირღია იჯდა, თვალებდახუჭული. ყველაფერი დაფქვი? – ვკითხე. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა, რაზე ველაპარაკებოდი. უთხარი მართას, გამგზავრებას რომ ვაპირებთ? – ავუხსენი, რასაც ვგულისხმობდი. მითხრა, მაგას ვერ მოვახერხებდიო. რატომ? – გამიკვირდა. იმიტომ, რომ მართა სალაპარაკოდ არც მინახავს, – მომიგო უტიფრად. ამ ცოტა ხნის წინ არ ამოვიდა შენთან, ოთახში? – შევახსენე. მაშინ ხორციანი კარტოფილი უკვე მზად იყო, – მიპასუხა. ზოგჯერ მართლა ხტის ხოლმე კვიცი გვარზე... თუმცა მაინც შეეშალა, კარტოფილი რომ ახსენა. რას იზამ, ჯერ მაინც ჭყინტი იყო და გამოუცდელი. ამიტომაც ზედმეტად აღარც მე დავამცირე. შეეცადე, რაც შეიძლება ზუსტად ამიხსნა, რა გტკივა, – ვუთხარი. მუცელი მტკივა, – მიპასუხა. მუცელი! სიცხე გაქვს? – ვკითხე. არ ვიცი, – მიპასუხა. მერე, გაიგე – მაგას რა დიდი ამბავი უნდა?! – ვუთხარი. სულ უფრო და უფრო დაბნეული მეჩვენებოდა. საბედნიეროდ, წვრილმანების ქექვა ყოველთვის მიყვარდა. წადი, თერმომეტრი მოძებნე ჩემი საწერი მაგიდის მარჯვენა უჯრაში, – ვუთხარი, – სიცხე გაიზომე და მერე ის თერმომეტრი მე მომიტანე. რამდენიმე წუთი შევიცადე და როცა მისგან პასუხს ვერ ველირსე, ნელ-ნელა, სიტყვასიტყვით გავუმეორე ეს საკმაოდ გრძელი წინადადება, რომელშიც, სულ ცოტა, სამი იმპერატივი მაინც დაითვლებოდა. როცა, სავარაუდოდ, ნათქვამის აზრს ჩასწვდა და გასვლა დააპირა, ხუმრობით დავადევნე: იცი მაინც, რომელი მხრიდან უნდა ჩაიდო? შვილთან საუბრისას დიდი ხალი-

სით მივმართავდი ხოლმე ორაზროვან ქილიკობას, ცხადია, ისევ და ისევ მისი განსწავლა-განათლების სურვილით. ის სხარტულები, რომელთაც წარმოთქმისთანავე ბოლომდე ვერ შეაფასებდა, ასეთები კი ბლომად გროვდებოდა ხოლმე, მისი განსჯის საგნად იქცეოდა მოცლილობის ჟამს, ან მეტნაკლებად სწორად აიხსნებოდა მისსავე მეგობრების წრეში. ეს კი, თავისთავად, მშვენიერი ვარჯიშობაა. ამავდროულად, მის ყმაწვილ გონებას ყველაზე ნაყოფიერ გეზს ვაძლევდი, სხეულისა და მისი ფუნქციების ზიზღს ვაჩვევდი. თუმცა ამჯერად მთლად მოსწრებულად ვერ გამოვთქვი სათქმელი. ამ შემთხვევაში თერმომეტრის თავსა და ბოლოს ვგულისხმობდი. ეს ნაგვიანევი მოსაზრება მხოლოდ ხორციანი კარტოფილის გულდასმით შესწავლისას მომივიდა. გაპიწკინებული ქერქი კოვზით ავწიე და შიგნით შევიხედე. შიგნეულობა უკვე ჩანგლით გამოვიკვლიე. მერე მართას ვუხმე და ვუთხარი, ამას ძაღლიც კი არ დააკარებს პირს-მეთქი. უნებურად გამეღიმა, როცა ჩემი საწერი მაგიდა გამახსენდა. მას სულ ექვსი უჯრა ჰქონდა, სამ-სამი იმ სივრცის აქეთ-იქეთ, სადაც ფეხებს ვალაგებდი. რამდენადაც ეს ჩვენი ვახშამი არ იჭმევა, – ვუთხარი მართას, – კეთილი ინებეთ და მორჩენილი ქათმის ხორციანი სენდვიჩები გაგვიხვიეთ. როგორც იქნა, ბიჭი დაბრუნდა და თერმომეტრი გამომიწოდა. გაწმინდე მაინც? – ვკითხე. როცა დაინახა, რა დაჟინებით დავაშტერდი სინდიყს, კართან მივიდა და შუქი აანთო. რა შორს იყო ამ წამს იუდი! ზოგჯერ, ზამთრობით, როცა მთელი დღის უნაყოფო ხეტიალის შემდეგ დაღლილ-დაქანცული შინ ვბრუნდებოდი, ბუხართან ფლოსტები მხვდებოდა ხოლმე, ცეცხლს მიფიცხებული. ბიჭს სიცხე ჰქონდა. არაფერი გჭირს-მეთქი, – ვუთხარი. შეიძლება ჩემს ოთახში ავიდე? –

მკითხა. რისთვის? – ჩავეძიე. ცოტა ხანს წამოვწვები, – მთხოვა. ნუთუ განგებამ გამომიგზავნა ამგვარი წინაღობა? უთუოდ. მე ხომ ცოცხალი თავით ვერ გავბედავდი, განგების დახმარებით მესარგებლა! არ ვაპირებდი, მოწმენდილი ცი-დან დაცემული მეხისთვის მიმეშვირა თავი, რაც თავისუფ-ლად შეიძლებოდა, მომაკვდინებელიც კი გამომდგარიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს შვილს მუცელი წამოსტკივდა. აი, გზაში მართლა მძიმედ რომ გამხდარიყო ავად, ეს სულ სხვა საქმე იქნებოდა. ტყუილად არ შემისწავლია ძველი აღ-თქმა, ძირის-ძირამდე. კუჭში თუ გახვედი, შვილო? – ვკითხე ალერსიანად. ვცადე, – მომიგო. ახლაც გინდა? – ვკითხე. კი, – გამომიტყდა. ოღონდ არაფერი არ გამოგდის, – ვუთხარი. ჰო, არაფერი, – დამიდასტურა. ცოტაოდენი გაზების გარ-და-მეთქი. კი, ეგრეაო. უეცრად მამა ემბროუზის სიგარა გა-მახსენდა. მოვუკიდე. არაფერია, რაიმეს მოვიფიქრებთ-მეთქი, – დავამშვიდე და წამოვდექი. ზემოთ ერთად ავედით. მარილიანი წყლის ოყნა გავუკეთე. წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ოყნის მილი გამოვიღე. ეცადე, წყალი გაიჩერო, და კი ნუ ზიხარ, მუცელზე დაწექი-მეთქი, – ვუთხარი. ეს სააბაზანოში ხდებოდა. კაფელის ფილებზე გაწვა და სქელ-სქელი დუნდულები ჭერისკენ აიშვირა. აცა-ლე, კარგად შეიწოვოს-მეთქი, – დავარიგე. თარსი დღე გამი-თენდა, ნამდვილად. სიგარის ფერფლს დავხედე. გაცივებუ-ლიყო, გამაგრებულიყო და მოლურჯო ელფერი დასდებოდა. აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი. ფაიფურმა, სარკეებმა და ქრომმა გვარიანად დამამშვიდა. მე, ყოველ შემთხვევაში, მათ ვუმადლი, თუმცა – არც მთლად ბოლომდე. წამოვდექი, სიგარა დავდე და შერჩენილი კბილები ჯაგრისით გავიხეხე. სხვათა შორის, ის ფოსოებიც, სადაც ადრე კბილები მქონდა.

მერე ტუჩები გამოვბრიცე და ისე შევათვალიერე თავი სარკეში. რას ჰგავხარ? – ვკითხე საკუთარ თავს. ულვაშების დანახვამ, როგორც ყოველთვის, გამაღიზიანა. რაღაც არ მომწონდა მათი. ისე, კი მიხდებოდა, ვერაფერს იტყვი. შეუძლებელი იყო უულვაშოდ ჩემი წარმოდგენა, მაგრამ მინდოდა, უფრო მეტად მომეხდინა. საკმარისი იქნებოდა, ოდნავ სხვაგვარად შემესწორებინა, მაგრამ – როგორ სხვაგვარად? უფრო გრძლად ჩამომეზარდა თუ, პირიქით, მეტად შემეკრიჭა? ახლა კი ქოთანზე დაჯექი და მაგრად გაიჭინთე-მეთქი, – ვუთხარი ბიჭს, თვითონ კი ისევ სარკეს მივჩერებოდი. იქნებ ულვაშის ფერი აფუჭებდა ყველაფერს? კუჭში გასვლის ხმამ ნაკლებად ამაღლებული საზრუნავისკენ დამაბრუნა. ბიჭი ქოთნიდან წამოდგა, ერთიანად აცახცახებული. მერე შიგ ჩავიხედეთ ორივემ. მე ქოთნის სახელურს დავწვდი, ავწიე და აქეთ-იქით გადავაქან-გადმოვაქანე. ყვითელ სითხეში რამდენიმე ბოჭკოვანი ნაკუწი დაცურავდა. კუჭში რას გახვალ, თუკი მუცელი ცარიელი გაქვს?! – ვუთხარი. შემეპასუხა, დილით ხომ ვისაუზმეო. არაფერიც არ გიჭამიამეთქი. ამაზე ხმა აღარ ამოუღია. დარტყმა მიზანში მოხვდა. ეტყობა არ გახსოვს, ორიოდ საათში რომ უნდა გავემგზავროთ-მეთქი, – შევახსენე. არ შემიძლია, ვერ წამოვალო, – მითხრა. შესაბამისად, – გავაგრძელე ჩემი სათქმელი, – რამის შეჭმა მაინც მოგიწევს-მეთქი. უეცრად მუხლში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. მამა, რა მოგივიდა? – მკითხა. დაბალ სკამზე ჩამოვჯექი, შარვლის ტოტი ავიწიე. მუხლს დავხედე. რამდენჯერმე მოვხარე და გავშალე. ჩქარა, იოდი! – მივაძახე. ზედ ზიხარ, – მეუბნება. წამოვდექი, შარვლის ტოტი ისევ ძირს ჩამომივარდა. სხეულთა ინერტულობას შეუძლია მართლა ჭკუიდან გადაიყვანოს კაცი. ისეთი ხმით ვიბღავლე,

მგონი, დები ელზნერებიც კი გაიგონებდნენ. უთუოდ მიანებებდნენ თავს კითხვას, გაფაციცებულები დაცქვეტდნენ ყურებს და ერთმანეთს გადახედავდნენ. ირგვლივ სიჩუმეა. მერე ღამეში ყვირილი კიდევ ერთხელ ისმის. ორი ბებერი, დამჭკნარი, ბეჭდებიან-ნაოჭებიანი ხელი ერთმანეთისკენ გაიწევს და გადაეჭდობა. ისევ ავიწიე ტოტი, ლამის ბარძაყამდე ავიქაჩე გააფთრებულმა, სკამიდან იოდი ავიღე და მუხლზე ღონივრად მივისვ-მოვისვი. საზოგადოდ, მუხლში ძალიან ბევრი წვრილ-წვრილი, მოძრავი ძვალ-ხრტილია. ღრმად შეიზილეო, – მირჩია შვილმა. ამასაც მოვკითხავ, მოგვიანებით. ჯერ კი იოდი დავაბინავე, შარვლის ტოტი ჩამოვუშვი, ისევ დავჯექი და მივაყურადე. სიჩუმეს არაფერი არღვევდა. იცოდე, ძლიერ სასაქმებელს დაგალევინებმეთქი, – ისეთი ხმით ვუთხარი ბიჭს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მეძინებაო, – მითხრა. წადი, დაწექი-მეთქი, – ნება დავრთე. რამე წასახემსებელს მოგიტან, მერე ცოტა თვალიც მოატყუე და ისე გავემგზავროთ-მეთქი. ჩემკენ მოვიზიდე. აბა, რას იტყვი? – ვკითხე. კარგი, მამიკო, – მიპასუხა. ვითომ იმწუთას მასაც ისევე ძლიერ ვუყვარდი, როგორც მე მიყვარდა? როცა ამისთანა თვალთმაქცთან გაქვს საქმე, დარწმუნებული ვერ იქნები. მიდი, დროზე ჩაწექი, კარგად ჩათბუნდი და მეც ახლავე მოვალ-მეთქი, – ვუთხარი. სამზარეულოში ჩავბრუნდი, ერთი ჭიქა რძე წამოვადუღე, პურზე ჯემი წავუსვი და ეს ყველაფერი მბზინავ ლანგარზე ლამაზად დავალაგე. ანგარიშს ითხოვს და მიიღებს კიდეც. მართა სავარძელში ირწეოდა, უხმოდ მადევნებდა თვალს. ყველაფერი მივალაგე და კარისაკენ გავემართე. შემიძლია დასაძინებლად წავიდე? – მკითხა მართამ. დაელოდა, როდის დავალაგებდი ჭურჭელს ლანგარზე, ხელში ავიღებდი და მერეღა

ამოიღო ხმა. სამზარეულოდან გამოვედი. ლანგარი კიბესთან მდგარ სკამზე დავდე და ისევ სამზარეულოში შევტრიალდი. სენდვიჩები თუ მოამზადეთ? – ვკითხე. ამასობაში რძე ცივდებოდა და ზედაპირზე საზიზღარ აპკს იკიდებდა. სენდვიჩები გაეკეთებინა. წავალ, დავიძინებო, – მითხრა. მოკლედ, ყველას რაღაც ძილქუში დაეტაკა. ოღონდ ერთ საათში ისევ ადგომა მოგიწევთ, კარის დასაკეტად, – ვუთხარი. ახლა თავადვე უნდა გადაეწყვიტა, უღირდა თუ არა დაძინება. მერე მკითხა, სავარაუდოდ, რამდენ ხანს იქნებით წასულიო. ნეტა თუ ხვდებოდა, მარტო რომ არ მივემგზავრებოდი? ალბათ კი. როცა ბიჭის ოთახში ავიდა მის დასაძახებლად, წესით, ზურგჩანთა ხომ უნდა შეემჩნია? გინდაც ჩემს შვილს მისთვის მართლა არც არაფერი ეთქვა. წარმოდგენა არა მაქვს-მეთქი, – მივუგე. და იქვე, მისი სიბერით შეძრული, უფრო სწორად, მისი მარტოსულობითა და ამ შეჩვეულ კუთხეში სევდიანი დაბერებით შეძრული, მაინც მოვლბი. არა, არა, დიდი ხნით არა-მეთქი, – ვუთხარი. ეგ კი არა, ყველაზე თბილი სიტყვებიც კი გამოვნახე და ვურჩიე, ამასობაში კარგად დაისვენეთ, ნუ მოიწყენთ, მეგობრებიც მოინახულეთ და თუ გინდათ, აქაც მოიწვიეთ-მეთქი. ჩაის და შაქარს ნუ დაზოგავთ და ფული თუ დაგჭირდეთ, ბატონ საეორის მიმართეთ, – ვუთხარი. ამ ჩემს მოულოდნელ გულკეთილობას საზღვარი არ უჩანდა, ხელიც კი ჩამოვართვი და იმან, სანამ თავისას გამომიწვდიდა, საჩქაროდ შეიწმინდა წინსაფარზე. მისი ხელი, სუსტი და წითლად დაშაშრული, კარგა ხანს არ გამიშვია. მერე ერთი თითით ჩემკენ მოვიზიდე და ყურადღებით დავაცქერდი. წვეთი ცრემლი რომ მქონოდა დასაღვრელი, დაუნანებლად დავღვრიდი, საათობით ვიქვითინებდი. ვინ იცის, იფიქრა, უმანკოების წართმევას

თუ მიპირებსო. ხელი შევუშვი, სენდვიჩები ავიღე და იქაურობას გავეცალე.

მართა კარგა ხანია ჩემთან მსახურობდა და მე ხშირად მიწევდა შინიდან გამგზავრება, მაგრამ ასე არასოდეს გამოვმშვიდობებივარ. ზრდილობისთვის თუ დავუგდებდი ხოლმე ერთ-ორ სიტყვას, როცა ხანგრძლივი დროით მიწევდა წასვლა, ახლა კი ამის ვარაუდი ნაკლებად მქონდა. ისეთი შემთხვევაც არაერთი ყოფილა, საერთოდ სიტყვის უთქმელად რომ გამომიკეტავს კარი.

შვილის ოთახში შესვლამდე ჩემს ოთახში შევიხედე. სიგარა ისევ კბილებში მქონდა გაჩრილი, თუმცა ის ლამაზი ფერფლი აღარსად ჩანდა – ჩამოვარდნილიყო. ამის გამო საკუთარ თავს ვუსაყვედურე. რძეში ძილის წამალი შევურიე. ანგარიშს ითხოვს და მიიღებს კიდეც. როცა ლანგრით ხელში ოთახიდან გამოვდიოდი, საწერ მაგიდაზე ორი ალბომი შევნიშნე. ვიფიქრე, აკრძალვა ხომ არ გავაუქმო, ყოველ შემთხვევაში, გასაცვლელმარკებიან ალბომთან დაკავშირებით მაინც-მეთქი? სულ ცოტა ხნის წინ შემოვიდა აქ, თერმომეტრის ასაღებად. იქნებ შემთხვევით ისარგებლა და რამდენიმე საყვარელი მარკაც გააყოლა ხელს? ამის შესამოწმებლად დრო აღარ მქონდა, მაგრამ მაინც დავდგი ლანგარი და ალალბედზე გადავფურცლე ალბომი. პირველი ტოგოსი მომხვდა თვალში, ალისფერი, ზედ ლამაზი პატარა გემით. მეორე – ნიასისა, 1901 წლის, ათრაისიანი, კიდევ – ორი-სამი სხვა ნაცნობი მარკაც. მე განსაკუთრებით ნიასისა მომწონდა – მწვანე იყო და ზედ ჟირაფი ეხატა, რომელიც პალმის ხის წვეროს წიწკნიდა. ყველა მარკა ადგილზე დამხვდა. მაგრამ ეს არაფერს ამტკიცებდა იმის გარდა, რომ ჩემი არჩეული მარკებისთვის ხელი არ ეხლო. ამიტომაც საბოლოოდ დავრწმუნდი, ძალ-

დაუტანებლად მიღებულ და მკაფიოდ გაცხადებულ გადაწყვეტილებას თუ გავაუქმებდი, ეს ისეთ დარტყმას მიაყენებდა ჩემს ავტორიტეტს, ჩემი შვილი ამის ატანას ვერაფრით მოახერხებდა. მოკლედ, მხოლოდ სინანულიღა მრჩებოდა. ბიჭს ეძინა, გავაღვიძე. ზიზღით დამანჭული ჭამდა და სვამდა. აი, ასე მიხდიან მადლობას. დაველოდე, სანამ ბოლო წვეთამდე, ბოლო ნამცეცამდე მოათავებდა ყველაფერს. კედლისკენ გადაბრუნდა. ბეჭებქვეშ საბანი ამოვუკეცე. კინაღამ ჩავკოცნე კიდეც. არც მე, არც მას კრინტი არ დაგვიძრავს. სიტყვები არ გვჭირდებოდა, ჯერჯერობით. ეგეც არა, ჩემი შვილი საერთოდ იშვიათად იწყებდა ხოლმე ჩემთან საუბარს. როცა რამეს ვკითხავდი, როგორც წესი, არც მაშინვე მპასუხობდა და არც – დიდი ხალისით. სამაგიეროდ, თუ შორიახლოს არ ვეგულებოდი, ტოლ-მეგობრებთან გასაკვირად გატლეკილი იყო ხოლმე. ის, რომ ჩემ გვერდით გუნება უფუჭდებოდა, სულაც არ მაშფოთებდა. ასიდან ერთი ადამიანიც ძლივს მოიძებნება, ვისაც ჩუმად ყოფნა და მოსმენა ეხერხებოდეს, ან ამის წარმოდგენა მაინც შეეძლოს. კი, ნამდვილად ასეა. არადა, მხოლოდ ასე თუ შეაღწევ ამაო ხმაურის გავლით იმ მდუმარებაში, რითაც სამყაროა მოქსოვილი. გულწრფელად მსურდა, ჩემს შვილს ეს მოეხერხებინა და კიდევ, იმათგან თავი შორს დაეჭირა, ვინც საკუთარი არნივისებური მზერით ამაყობს. იმისთვის არ მიწვალია, იმიტომ არ მიშრომია ქანცგაწყვეტამდე, იმიტომ არ მომითმენია ამდენი ტანჯვა, იმიტომ არ მითქვამს უარი უამრავ რამეზე, რომ ჩემმა შვილმაც ასე იცხოვროს. ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვედი. ბოლომდე სიამოვნებით ვთამაშობდი არჩეულ როლს.

რამდენადაც ამ გზით სადავო საკითხს ვარიდებ თავს, ხომ არ იქნება უპრიანი, ჩემი სიტყვებისთვის ბოდიშიც მო-

ვიხადო? ეს აზრი თავისთავად ამომიტივტივდა და განსაკუთრებული მნიშვნელობა არც მიმინიჭებია მისთვის. როცა იმ დღეს აღვწერ, მე ხომ კვლავ ის ვხდები, ვინც ყველაფერი თავად გადაიტანა, ვინც ხსენებული დღე იმ ერთადერთი მიზნით გამოავსო, რომ ფუჭი საზრუნავით საკუთარი თავი დაევიწყებინა, საკუთარი თავისთვის უთუოდ საკეთებლის გაკეთების შესაძლებლობა წაერთმია. და როგორც მაშინ ადამბლავებდა მოლოი ჩემს ფიქრებს, ასევე ადამბლავებს დღეს ჩემს კალამსაც. ამის აღიარების სურვილი უკვე დიდი ხანია მტანჯავდა. აი, ამოვთქვი და შვებაც ვიგრძენი.

სიმწარენარევი სიამით გავიფიქრე, ჩემი შვილი გზაში რომ ჩამაკვდეს ხელში, ეს ჩემი ბრალი არ იქნება-მეთქი. ყველა თავისაზე აგებს პასუხს. ზოგიერთს კი ეს ძილს სულაც არ უფრთხობს.

ვთქვი, ამ სახლში რაღაც მეხამუშება-მეთქი. ჩემნაირ კაცს გაქცევისას არ ავიწყდება, რას გაურბის. ბაღში ჩავედი და უკვე ლამის სრულ სიბნელეში გავიარ-გამოვიარე. ცოტა უარესად რომ მცნობოდა საკუთარი ბაღი, უთუოდ ბუჩქნარში ან ყვავილნარში გავიბლანდებოდი, ეგებ ფუტკრის სკებსაც გადავწყდომოდი ზედ. ვერც კი შევნიშნე, როდის ჩამიქრა სიგარა. დავფერთხე და ჯიბეში ჩავიდე. ვაპირებდი, მოგვიანებით საფერფლეში ან საქაღალდე კალათაში ჩამეგდო. მაგრამ მეორე დღეს, თერდიდან უკვე შორს, ისევ ჯიბეში აღმოვაჩინე და გამოგიტყდებით, გამიხარდა კიდეც. ეგ იმიტომ, კიდევ რამდენიმე ნაფაზი რომ გამოვტყუე. კბილებში გაჩხერილი, ჩამქრალი სიგარის აღმოჩენა, მისი გამოფურთხება, ბნელში ხელის ფათურით ძებნა, ისევ აღება, ფიქრი – ახლა რა ვუყოო, მერე დაფერთხვა, ჯიბეში ჩადება, საფერფლისა თუ საქაღალდე კალათის გახსენება – ეს მხო-

ლოდ იმ გზის ძირითადი მონაკვეთებია, რასაც არანაკლებ მეოთხედი საათის განმავლობაში მივუყვებოდი. დანარჩენი მონაკვეთები უკავშირდებოდა ძაღლ ზულუს, იმ სუნთა სიმძაფრეს, რომლებიც წვიმას გაეათმაგებინა და რომელთა წყაროსაც უბრალოდ გასართობად, ალალბედზე დავეძებდი ჩემს მახსოვრობაში – მეზობელი სახლიდან დაღვრილ შუქს, შორეულ ხმიანობას და ა.შ. ჩემი შვილის ოთახიდან სუსტი სინათლე გამოდიოდა. სანათის ქვეშ უყვარდა ძილი. მგონი, ტყუილად მოვუხუჭე თვალი მის ამ სისუსტეს თავის დროზე. ეგ კი არა, სათამაშო დათუნიასაც სულ ეს-ესაა შეელია – ჩაიხუტებდა და ისე იძინებდა ხოლმე. როცა დათვი მიავიწყდა (სახელად პატარა ჯეკი) მაშინვე ეგ სანათიც უნდა ამეკრძალა მისთვის. ნეტავ რას გავაკეთებდი იმ დღეს, ჩემს შვილზე ფიქრს რომ ასე არ ავყოლოდი? ალბათ, საკუთარ სამსახურეობრივ მოვალეობებს თუ შევასრულებდი.

როცა მივხვდი, რომ ბაღშიც ისეთივე მჟავე გუნებაზე დავრჩი, როგორზეც სახლში ვიყავი, უკან გამოვბრუნდი; თან საკუთარ თავს ვეუბნებოდი – ორიდან ერთია: ან ჩემს სახლს არაფერი აქვს საერთო ჩემსავე სულიერ განწყობასთან, ანდა პირიქით, ყველაფერში ეს ჩემი პატარა მამულია დამნაშავე-მეთქი. მეორე ვარაუდის გაზიარება იმის გამართლებას ნიშნავდა, რაც კი აქამდე ჩამედინა, და წინსწრებით – იმისაც, რასაც გამგზავრებამდე მოვიმოქმედებდი. მაგრამ ეს ვარაუდი რაღაც შენდობისმაგვარს გულისხმობდა, ასე ვთქვათ, ხელოვნური თავისუფლების ხანმოკლე გაელვებას და ამიტომაც მივიღე ბოლომდე.

შორიდან ისე ჩანდა, თითქოს სამზარეულო ბნელში იყო დანთქმული. გარკვეული თვალსაზრისით, მართლაც ასე გახლდათ, თუმცა, სხვა მხრივ, არც მთლად ასე იყო. როცა

ფანჯრის შუშას დაჟინებით მივაჩერდი, სუსტი, მოწითალო ციმციმი შევამჩნიე, რაც არ შეიძლებოდა ღუმელიდან ყოფილიყო წამოსული, რადგან სამზარეულოში ღუმელი არ გვედგა, მარტო – გაზის ქურა. გნებავთ – გაზის ღუმელი, თუკი ასე უფრო გასაგებია. უფრო სწორად, სამზარეულოში ნამდვილი ძველებური ღუმელი კი გვქონდა გამართული, მაგრამ არასოდეს ვანთებდით. რას ვიზამთ, გაზქურის გარეშე შინ თავს მყუდროდ ვერაფრით ვიგრძნობდი. მიყვარს ღამღამობით, შუა სეირნობისას, განათებულ თუ ჩაბნელებულ ფანჯარასთან მისვლა და იქიდან ოთახში შეჭვრეტა, იმის ცქერა, შიგნით რა ხდება. სახეზე ხელებს ავიფარებ ხოლმე და თითებს შორის ვიჭყიტები. არაერთი მეზობელი დამიფეთებია ასე. გამოვარდებიან შინიდან და არავინაც არ შერჩებათ ხოლმე ხელში. ყველაზე ბნელი ოთახები ჩემთვის სწორედ სიბნელიდან ჩნდებიან, თითქოს გამქრალი დღე ან წამის წინ ჩაქრობილი შუქი დაბრუნებულა იმ მიზეზით, რაზეც სჯობს, ახლა არ ვილაპარაკოთ. მაგრამ სამზარეულოს ეს მოციმციმე ნათება სხვა ხასიათისა გახლდათ და წითელი შუშის თალფაქიანი ღამის სანათურიდან ასხივებდა. სანათური მართას ოთახში იდგა, თავად ოთახი კი სამზარეულოს ემიჯნებოდა და მოწითალო შუქიც კედელზე მიმაგრებული ღვთისმშობლის ხის ტერფებს ეცემოდა. მართას სავარძელში რწევა მობეზრებოდა, თავის ოთახში გასულიყო, წამოწოლილიყო და კარი გამოღებული დაეტოვებინა, რათა უბრალო ბგერა თუ ჩქამიც კი არ გამოჰპარვოდა მის ყურთასმენას. ანდა ვინ იცის, ეგებ ჩასძინებოდა კიდეც?

ისევ ზემოთა სართულზე ავედი. შვილის ოთახის კართან გავჩერდი, წელში მოვიხარე და ყური გასაღების ჭუჭრუტანას მივადე. ზოგი ჭუჭრუტანას თვალს მიადებს ხოლმე, მე

კი ყური მირჩევნია. ვერაფერი გავიგონე, რამაც, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. როგორც წესი, ჩემმა ბიჭმა ხმაურიანი ძილი იცოდა, პირღია. თავს მოვერიე და კარი არ შევაღე. ეგ იმიტომ, ამ მდუმარებას შეიძლებოდა გარკვეული დროით დაეპყრო ჩემი გონება და ახალი საფიქრალიც გაეჩინა. მერე ჩემს ოთახს მივაშურე.

ამგვარი წარმოუდგენელი სანახაობა კაცმა საკუთარი თვალით უნდა ნახოს: მორანი გამგზავრებას აპირებს, თან არ იცის, საით მიემგზავრება, არც რუკაზე დაუხედავს, არც განრიგში ჩაუხედავს, არც მარშრუტი და შესვენების ადგილები მოუნიშნავს, არც მოსალოდნელი ამინდის თაობაზე გაურკვევია წინდაწინ რამე; და მხოლოდ უაღრესად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმ სამგზავრო აღჭურვილობაზე, რაც, წესით, უნდა დასჭირდეს, ამ წამოწყების სავარაუდო ხანგრძლივობაზე, დასახარჯი ფულის ოდენობაზე და, ასე წარმოიდგინეთ, თავად იმ საქმეზეც, რომელსაც ხელი უნდა მოჰკიდოს. შესაბამისად, ვერც იმას იტყვის დაბეჯითებით, რა და როგორ უნდა მოიმოქმედოს. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც სულ სტვენა-სტვენით ვალაგებდი ზურგჩანთაში იმ ყველაზე აუცილებელს, რაც მანამდე შვილს ვურჩიე წასაღებად. ტანზე ძველი, სამონადირეო ქურთუკი ჩავიცვი, მუხლებამდე ბრიჯები, მაღალყელიანი წინდები, ფეხზე კი – სქელძირა, მძიმე, ყელიანი შავი ფეხსაცმელი. ხელებით დუნდულებს მობღაუჭებული, წინ გადავიხარე, რათა საკუთარი ფეხები შემეთვალიერებინა. წვრილი, მოღრეცილმუხლებიანი ეს ჩემი ქვედა კიდურები მაინცდამაინც კარგად ვერ ეხამებოდა სპორტულ აღკაზმულობას, რასაც, სხვათა შორის, ჩვენს სოფელში დიდად არ სწყალობდნენ. მაგრამ როცა ღამღამობით შორეულ მოგზაურობებში გავემართებოდი

ხოლმე, სწორედ ასე ვიმოსებოდი დიდი ხალისით. მთავარია, მოხერხებულად მეგრძნო თავი, თორემ ბოსტნის საფრთხობელას რომ ჩამოვგავდი, ეს სრულებითაც არ მანაღვლებდა. პეპლების საჭერი ჯოხი მაკლდა და გამოცხადებული სოფლის მასწავლებელი ვიქნებოდი, შერყეული ჯანმრთელობის აღდგენა რომ გადაუწყვეტია შვებულებაში გასულს. როგორც უკვე გითხარით, ამ ჩემს მორთულობას მძიმე, შავი ფეხსაცმელი აგვირგვინებდა, რასაც, წესით, მუქი ლურჯი შალის შარვალი მოუხდებოდა, რომელიც ამ ფეხსაცმლის გარეშე უმეცარ ხალხს წმინდა წყლის უგემოვნობად მოეჩვენებოდა. ჯეროვანი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე, თავზე ჩალის ქუდი დამეხურა, არაერთი წვიმისგან უკვე გვარიანად ჩამუქებული. გარშემორტყმული ზონარი კარგა ხნის წინ დაჰკარგოდა, რის გამოც უცნაურად წოწოლა ჩანდა. ერთი პირობა ცდუნებას კინაღამ ავყევი, მხრებზე შავი მოსასხამიც მომეგდო, მაგრამ თავს მოვერიე და საბოლოოდ უპირატესობა მძიმესახელურიან, თავადაც მძიმე ქოლგას მივანიჭე. არადა, მოსასხამი ერთობ მოსახერხებელი რამაა და რამდენიმენაირიც მომეძევებოდა. ასე ხელებს უფრო თავისუფლადაც ამოძრავებ და თან მალავ კიდეც. არის ხოლმე წუთები, როცა მოსასხამს მართლა ვერაფერი შეედრება, თუმცა თავისი ღირსებები ქოლგასაც აქვს. ახლა ზაფხული კი არა, ზამთარი, ან თუნდაც შემოდგომა რომ ყოფილიყო, ალბათ ერთსაც წავიღებდი და მეორესაც. ასე ადრეც მომხდარა და ნამდვილად არასოდეს მინანია.

იმედიც არ უნდა მქონოდა, ამისთანა სამოსში შეუმჩნეველი დავრჩები-მეთქი. მაგრამ ეს არც მსურდა. ყურადღების მიქცევა ჩემი საქმიანობის ანაბანაა. ხალხი შენ მიმართ სიბრალულით უნდა განაწყო, შემწყნარებლობის სურვილი

გაუჩინო, მხიარულადაც აცინო და მაგრადაც გააბრაზო – სხვაგვარად არც არაფერი გამოვა; როგორც საჰაერო ხვრელების გარეშე – ორმაგძირიან სკივრში. თუმცა ესეც იმ პირობით, თუკი თავად ბოლომდე შეუვალი დარჩებით როგორც ლანძღვის, ისე დაცინვის მიმართ. მე კი ეს მაშინ შემიძლია მოვახერხო, როცა მომესურვება. მით უმეტეს, რომ ყველაფერი ღამღამობით ხდება.

შვილს ჩემთვის მხოლოდ ხელის შეშლა შეეძლო. ის არაფრით განსხვავდებოდა მისი ასაკისა და გაქანების ათასობით სხვა ბიჭისაგან. მამობა იმთავითვე გულისხმობს რაღაც ისეთს, რაც დაცინვას შეუძლებელს ხდის. მისი გროტესკულობაც კი გარკვეულ პატივისცემას იმსახურებს. თუმცა როცა მას თვალს მოჰკრავენ საკუთარ შვილთან მოსეირნეს, ვისაც სახე ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო და უფრო უშტერდება, მაშინ არანაირი საქმე რიგიანად არ გამოვა. ასეთ დროს მამას უთუოდ ქვრივად მიიჩნევენ, მჭახე ფერები სრულიად უსარგებლო გახდება მისთვის, და ის კი არა – საქმისთვის საზარალოც. მაშინვე გაახსენდებათ მისი მეუღლეც, მრავალი წლის წინ გარდაცვლილი, იქნებ სულაც მშობიარობას გადაყოლილი. მამის უცნაურობებს ქვრივის მძიმე ხვედრით ხსნიან ხოლმე – ეტყობა, მის ჭკუა-გონებაზეც მოუხდენია უარყოფითი გავლენაო. მოკლედ, მაცოფებდა იმაზე ფიქრი, ვინც მე ეს ტვირთი ამკიდა. თუკი უნდოდა, საქმე ჩამეფლავებინა, უკეთეს ხერხსა და საშუალებას მართლა ვერ მოიგონებდა. ჩვეული ცივსისხლიანობით, საფუძვლიანად ჩავუღრმავდი ამ ყოველივეს, შესასრულებელი სამუშაოს არსს, და მერე ერთი პირობა გამიელვა კიდეც თავში, ეგებ შვილის გვერდით ყოფნამ უფრო მარგოს, ვიდრე მავნოს-მეთქი. მაგრამ მოდით, ამ საკითხს მეტად ნუღარ მივუბრუნდებით.

იქნებ მოვახერხო, როგორმე შეგირდად ან სულაც ძმისშვილად გავასაღო. ავუკრძალავ, მამა დამიძახოს და სახალხოდ ჩემ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა გამოხატოს, თუკი არ უნდა, რომ ისეთ სილაქს გამომრჩეს, რისიც ყველაზე მეტად ეშინია.

და თუკი ამ შავბნელ ფიქრებში გართული, დროდადრო მაინც ვუსტვენდი, მეტწილად იმიტომ, რომ მახარებდა საკუთარი სახლიდან, ბაღიდან, სოფლიდან წასვლა; თუმცა, როგორც წესი, განშორებისას დარდი მიპყრობდა ხოლმე. არიან ადამიანები, ვისაც სრულიად უმიზეზოდ შეუძლიათ სტვენა. მე მათ რიცხვს არ განვეკუთვნები და მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა საკუთარ ოთახში შევდიოდი და გამოვდიოდი, მიმოფანტულ ნივთებს ვალაგებდი, თეთრეულს ვაბინავებდი განჯინაში, ქუდებს კი – იმ ყუთებში, საიდანაც საჭიროს ამოსარჩევად ამომელაგებინა, გასაღებებით ვკეტავდი სხვადასხვა უჯრას... მთელი ამ ხნის მანძილზე ხალისით წარმოვიდგენდი ხოლმე თავს მშობლიური ბუდისგან, ნაცნობი სახეებისგან, ყველა გადამრჩენელი ღუზისგან შორს; ვხედავდი, როგორ ვიჯექი ბინდში გზისპირა ქვაზე, ფეხი ფეხზე მქონდა გადადებული, ცალი ხელი ბარძაყზე მედო, მეორე ხელის იდაყვი – პირველის ამობრუნებულ ხელისგულზე, თვალები მიწისთვის ჩამეშტერებინა, როგორც ჭადრაკის დაფისათვის, და ცივი გონებით ვგეგმავდი ხვალინდელ, ზეგინდელ, ყველა მომდევნო დღეს. ასეთ დროს მავიწყდებოდა, შვილიც რომ მეყოლებოდა გვერდით – მოუსვენარი, მოწუწუნე, უკმაყოფილო – ხან საჭმელს მომთხოვდა, ხან ძილს მოიმიზეზებდა, ხანაც კიდე ქვეშ გაეპარებოდა ხოლმე. საწერი მაგიდის უჯრა გამოვწიე და იქიდან ჩემი უებარი დამამშვიდებლით, მორფინის აბებით სავსე შუშა ამოვიღე.

ჩემი გასაღებების ვეება აცმა ლამის გირვანქაზე მეტს იწონის. სადაც არ უნდა წავიდე, ვერც ოთახის კარს გავიყოლებ და ვერც საწერი მაგიდის უჯრას, მაგრამ არც ერთის გასაღებს არასოდეს ვიცილებ. გასაღებები შარვლის, ამ შემთხვევაში, ბრიჯის მარჯვენა ჯიბეში მიდევს. ერთ-ერთ აჭიმზე მიმაგრებული მსხვილი ძეწკვი მათი დაკარგვის ყველანაირ ალბათობას გამორიცხავს. ძეწკვი საჭიროზე ხუთჯერ გრძელია და დახვეული გველივით გაყურსულა ჯიბეში. მისი წონა მარჯვნივ მექაჩება ხოლმე, როცა დავიღლები ან კუნთების დაძაბვით ამ გადახრასთან ბრძოლა მავიწყდება.

ბოლოჯერ მიმოვიხედე. შევამჩნიე, რომ რაღაც-რაღაცები უყურადღებოდ დამეტოვებინა და ეს უცებვე გამოვასწორე. მერე ზურგჩანთა მოვიგდე ზურგზე – კინაღამ კალამი გამექცა და დავწერე, გუდასტვირი-მეთქი; ჩალის ქუდი დავიხურე, ქოლგას დავწვდი, ერთხელაც შევათვალიერე იქაურობა, ხომ არაფერი მრჩება-მეთქი, შუქი ჩავაქრე, დერეფანში გამოვედი და ოთახის კარი გასაღებით ჩავკეტე. ეს საქმეც, როგორც იქნა, მოთავდა. უცებ რაღაც ყრუ ამოხროტინება მომესმა. ამ ხმას ჩემი მძინარე ვაჟიშვილი გამოსცემდა. გავაღვიძე. წუთის დაკარგვა აღარ შეიძლება-მეთქი, – ვუთხარი. ცოცხალი თავით არ უნდოდა გამოფხიზლება. ბუნებრივია. სქესობრივი მომწიფების ასაკში, მით უფრო თუ კუჭის აშლილობაც გტანჯავს, ორი-სამი საათის ღრმა ძილი საკმარისი არაა ორგანიზმისთვის. მაშინ იყო, ნჯღრევა რომ დავუწყე. მინდოდა, საწოლიდან წამომეყენებინა. ჯერ ხელით მოვქაჩე, მერე თმაშიც ვწვდი. ბრაზიანად შემაქცია ზურგი და ლეიბს ჩაებღაუჭა. წინააღმდეგობის დასაძლევად მთელი ძალ-ღონის მოკრება დამჭირდა, მაგრამ წამოვაყენე თუ არა, ხელიდან გამისხლტა, იატაკზე

გაგორდა და გაცოფებულმა წივილ-კივილი მორთო. დაიწ-ყო. ეს საზიზღარი გამოხდომა არჩევანს აღარ მიტოვებდა. მეც ქოლგა ვიხმარე, ორივე ხელით ჩავეჭიდე სახელურს. სანამ არ დამვიწყებია, ერთი შენიშვნა ჩემს ჩალის ქუდთან დაკავშირებით: ფარფლზე ორი ნახვრეტი ჰქონდა, ერთ-მანეთის მოპირდაპირე მხარეს, ცხადია. საკუთარი ხელით გავხვრიტე, პატარა ხელბურღით. ამ ნახვრეტებში საკმაოდ გრძელი რეზინის ბოლოებს ვუყრიდი ხოლმე, რათა ნიკაპ-ქვეშ ამომედო, უფრო სწორად, ქვედა ყბის ქვეშ. თუმცა არც იმდენად გრძელი იყო რეზინი, რომ მობოშებულიყო და საიმედოდ არ შეესრულებინა თავისი დანიშნულება. ამის წყალობით, რაც არ უნდა მომხდარიყო, ქუდი მაინც მუდამ ადგილზე, ანუ ჩემს თავზე რჩებოდა. როგორ არ გრცხვენია-მეთქი! – შევძახე. შე უმადურო ღორის ტილო-მეთქი! თავს რომ ვერ მოვრეოდი, მართლა ავყვებოდი რისხვას, მრისხა-ნება კი ის ფუფუნებაა, რის უფლებასაც თავს ვერ მივცემ. ასეთ დროს თვალი მიბრმავდება, სისხლიანი საბურველი გადამეკვრება ხოლმე ზედ და გუსტავ დიდისა არ იყოს, სა-სამართლოს სხდომისას გაგონილი მერხთა ჭრიალი მიდგას ყურებში. მეორე მხრივ, სიმშვიდე, თავაზიანობა, გონიერე-ბა, მოთმინება, რასაც ყოველდღიურად, წლიდან წლამდე ინარჩუნებ, უკვალოდ არ ქრება. ქოლგა მოვისროლე და ოთახიდან გამოვვარდი. კიბეზე მართას გადავაწყდი. ზემოთ ამოდიოდა, თავშიშველი, თმაგაწეწილი, ჰაიჰარად ჩაცმუ-ლი. რა მოხდა? – შეჰყვირა ჩემს დანახვაზე. ისე მივაშტერ-დი, შეტრიალდა და ისევ სამზარეულოს მიაშურა. ერთიანად აცახცახებული, ფარდულისკენ გავექანე, იქ ცულს დავტაცე ხელი, ეზოში გამოვბრუნდი და მთელი ძალით დავუწყე ჩეხა იმ ძველისძველ კუნძს, რომელზეც ზამთრობით მშვიდად და

აუღელვებლად ვჩეხდი შეშას. ბოლოს ნაჯახი ისე ღრმად ჩაესო ხეში, ამოღება ველარც მოვახერხე. მასთან ჯაჯგურმა არა მარტო მთლად გამომაცალა ძალა, დამამშვიდა კიდეც. ისევ ზემოთ ავედი. ბიჭი ტანზე იცვამდა და თან ტიროდა. ყველა ტიროდა ამ სახლში. ზურგჩანთის მორგებაში მივეხმარე. შევახსენე, ლაბადა არ დაგრჩეს-მეთქი. უნდოდა, ისიც ზურგჩანთაში ჩაედო. ვუთხარი, ხელზე გადაიკიდე, ჯერჯერობით მაინც-მეთქი. უკვე ლამის შუაღამე იდგა. იატაკიდან ქოლგა ავიღე. არაფერი დაშავებოდა. წავედით-მეთქი, – ვთქვი. ჯერ ბიჭი გავიდა ოთახიდან. მე, ვიდრე უკან გავყვებოდი, წამით შევყოვნდი, იქაურობა მოვათვალიერე. ოთახში წარმოუდგენელი არეულობა სუფევდა. გარეთ მშვენიერი ღამე დაგვხვდა, ჩემი მოკრძალებული აზრი თუ გაინტერესებთ. ჰაერი სურნელებას გაეჟღინთა. ფეხქვეშ ხრეში ხრაშუნებდა. მანდეთ არა, აქეთ-მეთქი, – ვუთხარი ბიჭს. ხეებს შორის მივაბიჯებდით. ჩამორჩენილი ბიჭი სადღაც უკან მობორძიკობდა, წამდაუწუმ ხეებს აწყდებოდა. სიბნელეში სიარული არ ეხერხებოდა, უნდა ითქვას. ჯერ უწლოვანი იყო. საყვედურის სიტყვები ბაგეზე შემეყინა. გავჩერდი. ხელი მომკიდე-მეთქი, – ვუთხარი. შემეძლო მეთქვა, ხელი მომეგეთქი, თქმით კი ეს ვუთხარი: ხელი მომკიდე! უცნაურია. არადა, ბილიკი იმდენად ვიწრო იყო, გვერდიგვერდ ვერ ვივლიდით. ამიტომ ხელი უკან წავიღე, ბიჭიც ზედ მოეჭიდა. როგორც მომეჩვენა, მადლიერი. ასე მივადექით კუტიკარს. ჩაკეტილი დაგვხვდა. გავაღე და გვერდზე გავდექი. ჯერ ბიჭი გავატარე წინ, მერე მივტრიალდი და სახლს გავხედე. ხის ტოტები ნაწილობრივ მეფარებოდა. სახურავის დაკბილული წვერი და ოთხმილიანი საკვამური მბჟუტავვარსკვლავებიანი ცის ფონზე ილანდებოდა. მერე ერთად შექუჩე-

ბული მცენარეულობის სურნელოვანი გროვისაკენ გამექცა თვალი. ეს ჩემი ნარგავები იყო, რომელთაც ისე შემეძლო მოვქცეოდი, როგორც მომესურვებოდა და წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ გამიბედავდა. მგალობელი ჩიტები, თავები ფრთებქვეშ რომ შეემალათ, სულაც არ დამფრთხალან ჩემს მიახლოებაზე, რადგან კარგად მიცნობდნენ. ჩემი ხეები, ჩემი ბუჩქები, ჩემი ყვავილნარი, ჩემი მდელო. როგორც ჩანს, მიყვარდა ეს ყველაფერი და თუ ოდესმე ტოტს მოვჭრიდი ანდა ყვავილს მოვგლეჯდი, მხოლოდ და მხოლოდ მათივე სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ, რათა ძლიერებად და ბედნიერებად ქცეულიყვნენ. და მაინც, ამ დროს სინდისის ქენჯნას განვიცდიდი, მართალი ითქვას. თავად კი არ ჩავდიოდი ამას, კრისტის ვავალებდი. ბოსტნეული არ მომყავდა. შორიახლოს საქათმე იდგა. როცა ვთქვი, ინდაურები მყავს და აქეთურ-იქეთური-მეთქი, ტყუილს ვამბობდი – სულ რამდენიმე ქათამი მომეძევება და მათ შორის ის ნაცარა კრუხი, ოღონდ ის სხვებივით ქანდარაზე კი არ ზის, მიწაზე, კუთხეში, მტვერში ბინადრობს და ღმერთმა იცის, როდის გახდება ვირთხების საკბილო. მამალი კარგა ხანია აღარ დასდევს, გაშმაგებით დასაპეპლავად. ალბათ შორს არაა ის დღეც, როცა – თუკი ველარ გამომჯობინდა – ქათმები გაერთიანდებიან და ერთობლივი ძალით დაესევიან, ნაწილ-ნაწილ დაფლეთენ ნისკარტებითა და ბრჭყალებით. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. არაჩვეულებრივად მახვილი სმენა მაქვს და ამავდროულად, მუსიკას სრულებით ვერ აღვიქვამ. მესმოდა მხოლოდ ჩემთვის ასე საყვარელი ქათმების ფეხების ფაჩუნი, ფრთების შეფართხალება და სუსტი, მოგუდული კრიახი, რაც ყოველღამე მოისმის საქათმიდან და გათენებამდე კარგა ხნით ადრე მიჩუმდება ხოლმე. რამდენჯერ გამიგონია

საღამოხანს იქითკენ ჩავლილს ეს ყველაფერი და მითქვამს, ხვალ თავისუფალი ვიქნები-მეთქი. ბოლოჯერ შევავლე თვალი ჩემს პატარა სამფლობელოს, ვიდრე მისი შენარჩუნების იმედით მივატოვებდი და გავეცლებოდი.

გზაზე რომ გავედით და კუტიკარიც გამოვიკეტე, მარცხნივ-მეთქი, – ვუთხარი ბიჭს. კარგა ხანია, მასთან ერთად სეირნობაზე ხელი ავიღე, თუმცა ზოგჯერ ძალიანაც მომენატრებოდა ხოლმე. მასთან ერთად სულ უბრალო, ჩვეულებრივი გავლა-გამოვლა მაშინვე წამებად მექცეოდა, რადგან მუდმივად გზა ებნეოდა. არადა, თავის ანაბარა დარჩენილი, მგონი ჩემზე ცუდად არ სცნობდა ყველა კუთხე-კუნჭულს. საბაყლოში რომ ვაგზავნიდი, ან მისის კლემანთან, თუნდაც უფრო შორს – ხორბლისთვის, ახერხებდა, ორჯერ უფრო სწრაფად მისულიყო და მოსულიყო, ვიდრე მე მოვახერხებდი. თან არც დარბოდა, ნაბიჯსაც კი არ უჩქარებდა. ეგ იმიტომ, მე თავად არ მინდოდა, ვინმეს დაენახა, როგორ უაზროდ დაჰქროდა ქუჩებში ჩემი შვილი, იმ უსაქმურების მსგავსად, ვისაც ჩუმ-ჩუმად მაინც აეტორღიალებოდა ხოლმე. დიახ, მინდოდა, ჩემსავით ევლო, თავაწეულს, მოკლე და სწრაფი ნაბიჯით; გამოზომილად, თანაბრად ესუნთქა, ნაბიჯის რიტმში ექნია ხელები, არც მარჯვნივ გაჰქცეოდა თვალი, არც – მარცხნივ – თითქოს ვერც ვერაფერს ამჩნევსო, მაგრამ იმავდროულად უმცირესი წვრილმანებიც კი დაემახსოვრებინა გზადაგზა. ჩემთან ერთად მუდამ მხარი ექცეოდა ხოლმე. რამე გზაჯვარედინი ან გზაგასაყარი საკმარისი იყო, რომ ჩემ მიერ არჩეული სწორი გზიდან გადაეხვია. არა მგონია, შეგნებულად მოქცეულიყო ასე, მაგრამ ჩემზე ბრმად მონდობილი, აღარ უფიქრდებოდა, თუ რას სჩადიოდა, არ უყურებდა, საით მიდიოდა და ასე, მოსამართი

თოჯინასავით თუ მთვარეულივით დაბორიალობდა. ყველა შემხვედრ გასასვლელში უნდა გაუჩინარებულიყო, ასე რომ, ჩვევად გვექცა, ცალ-ცალკე გვესეირნა. რასაც მუდმივად ერთად გავდიოდით, კვირაობით შინიდან ეკლესიისაკენ და წირვის დამთავრების შემდეგ ეკლესიიდან შინისაკენ სავალი მანძილი გახლდათ. მრევლის მდორე დინებაში მოხვედრილი ჩემი შვილი უკვე მარტოსულად აღარ გრძნობდა თავს ჩემ გვერდით. მორჩილი ნახირის ნაწილად ქცეული, სხვებთან ერთად, უკვე მერამდენედ მიეშურებოდა ღმერთის წინაშე მადლიერების გამოსახატად, მისგან მოწყალებისა და მიტევების სათხოვნელად, რათა მერე, სულგაწმენდილი, სხვა სიამოვნებებს დაბრუნებოდა.

დაველოდე, ვიდრე მომიახლოვდებოდა. მერე კი ამ თავსატეხის ერთხელ და სამუდამოდ მოსაგვარებლად გამიზნული სიტყვები ვუთხარი: კვალში ჩამიდექი და მე მომყევი-მეთქი. ეს მრავალი თვალსაზრისით მომგებიანი გადაწყვეტილება გახლდათ. მაგრამ შეეძლო კი კვალში ჩამდგომოდა? განა გარდუვალად არ დადგებოდა ჟამი, როცა თავს აიღებდა და აღმოაჩენდა, რომ სრულიად მარტო დარჩენილიყო უცნობ არემარეში? მე კი, ჩემდათავად, ფიქრებიდან გამორკვეული, მოვტრიალდებოდი და ველარსად მოვკრავდი თვალს. იქნებ სჯობდა, ორივეს წელზე შემოგვერტყა გრძელი თოკის ორივე ბოლო და ასე გადაბმულებს გვევლო? ესეც ვიფიქრე, მაგრამ მაშინვე უკუვაგდე ეს აზრი. ყურადღების მიქცევის მრავალი ხერხი არსებობს, და სულაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს მათ შორის საუკეთესო იყო. ბიჭს შეეძლო უმალ გაეხსნა კვანძი, გაქცეულიყო და მარტო დავეგდე გზაზე, გრძელთოკმობმული ბებერი ძროხასავით. მთლად კალეს მოქალაქეს არ დავემგვანებოდი? ვიდრე მტვერში მოქანავე თოკი რამე

უძრავ ან მძიმე საგანს არ მოედებოდა, ვერც მივხვდებოდი ვერაფერს. ჩვენ ალბათ ეს უტყვი და რბილი თოკი კი არა, ჯაჭვი უფრო მოგვიხდებოდა, მაგრამ ახლა ჯაჭვს სად ვიშოვიდი? თუმცა ერთი ხანობა იმ ფიქრს ველოლიავებოდი, ამ ჩვენს სამყაროზე ნაკლებად სრულყოფილ გარემოში მოვახერხებდი თუ არა, მხოლოდ ჯაჭვის ანაბარა, უბორკილებოდ, უხუნდებოდ და უსაყელუროდ ისე მიმება საკუთარი შვილი, სამუდამოდ წამერთმია მისთვის ჩემგან გაქცევის შესაძლებლობა. საკითხს ბევრი საჩოთირო წვრილმანი ართულებდა, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ამასაც მოევლებოდა. თუმცა ეს საფიქრალი მალევე დამავიწყა იმის წარმოდგენამ, იქნებ შვილი კვალში კი არ მიდგას, ჩემ წინ მიკუნტრუშობს-მეთქი. ამ ვითარებაში შემეძლებოდა თვალი არ მომეშორებინა მისთვის და ნებისმიერი, სულ მცირე მცდარი მოძრაობის დროსაც კი მაშინვე ჩავრეულიყავი. იმაზე აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი ექსპედიციის დროს, მეთვალყურისა და გადიის გარდა, ბევრი სხვა როლის შესრულებაც რომ მომიწევდა. ამიტომ წარმოდგენაც კი მზარავდა, ყოველ ნაბიჯზე წინ იმის დონდლო და მოუქნელი სხეული უნდა შემომეფეთოს-მეთქი. აქ მოდი! – დავუძახე. ეს იმიტომ, მართლა მარცხნივ რომ წავიდა, როცა ვუთხარი, მარცხნივ უნდა ვიაროთ-მეთქი, თითქოს ამქვეყნად ყველაზე მეტად ჩემი გაცოფება უნდოდა. ქოლგას დაყრდნობილი, თავჩაქინდრული, თითქოს წყევლის ტვირთით დათრგუნული, მეორე ხელით კუტიკარს ჩაფრენილი, ქანდაკებასავით უძრავად ვიდექი. ის კიდევ ერთხელ მომიახლოვდა. მე გითხარი, კვალში ჩამიდექი-მეთქი, შენ კი წინ გამიძეხი, – ვუთხარი.

ზაფხულის არდადეგები იდგა. ბიჭს სკოლის მოწაფის მწვანე ქუდი ეხურა, რომელსაც წინიდან მისი ინიციალები

და ოქრომკედით ნაქარგი ტახისა თუ ირმის თავი ამშვენებდა. ჩამოზრდილ, უფერულ თმაზე ისე ედო ქუდი, როგორც სახურავი ადევს ხოლმე ქვაბს. მუდამ ასე ატარებდა. თავსაბურავის ამნაირად მორგებას რაღაც ყოყოჩური ახლავს, რასაც მოთმინებიდან გამოვყავდი. ლაბადა კიდე, იმის მაგივრად, კოხტად გაკეცილი გადაეგდო მკლავზე ან მხარზე, როგორც ვუბრძანე, ერთიანად მოეჭმუჭნა და ორივე ხელით მუცელზე მიეჭირა. ასე იდგა ჩემ წინ, ფეხებგაჩაჩხული, მუხლებჩახრილი, მუცელგამოგდებული, მკერდჩავარდნილი, პირღია და თავჩაქინდრული. მოკლედ, ნაღდი ყეყეჩი. ეგებ მე თვითონაც იმ კაცის შთაბეჭდილებას ვტოვებდი, ვისაც ფეხზე მყარად დგომა მხოლოდ ქოლგისა და კუტიკარის დახმარებით შეეძლო? როგორც იქნა, მოვახერხე და ამოვთქვი: შეგიძლია უკან გამომყვე? არაფერი მიპასუხა, მაგრამ მისი ფიქრი ისე ნათლად ამოვიკითხე, თითქოს ხმამაღლა ეთქვას: შენ თუ შეგიძლია წინ გამიძღვე? ჩემი საყვარელი ეკლესიის სამრეკლოზე შუაღამის ზარს შემოკრეს. ეგ არაფერი. შინ უკვე აღარ ვიყავი. ჩემს ცნობიერებაში, სადაც აუცილებელ რამეებს ვპოულობდი ხოლმე, ახლა მითითებები მოვიძიე იმ ძვირფას ნივთთან დაკავშირებით, რომელიც, სავარაუდოდ, ხელს გამოეყოლებინა. იმედია, შენი სალაშქრო დანა არ დაგვიწყებია, შეიძლება გამოგვადგეს-მეთქი, – ვუთხარი. ამ დანას ხუთი-ექვსი ჩვეულებრივი პირის გარდა, კორპსაძრობი, კონსერვის გასახსნელი, სადგისი, სახრახნისი, პაწუა მაშა, ე.წ. „თხის ფეხი“ და არ მახსოვს, კიდე რაღაც წვრილმანი ზიზილ-პიპილოები ახლდა. მე ვაჩუქე ისტორიასა და გეოგრაფიაში მიღებული ქების სიგელის გამო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სკოლაში ამ ორ საგანს, როგორც ერთს, ისე ასწავლიდნენ. ბრიყვთაბრიყვი ყველაფერში, რაც

კი ლიტერატურას და, რატომღაც, ზუსტად მიჩნეულ მეცნიერებებს ეხებოდა, ჩემი შვილი უბადლო გახლდათ ომების, რევოლუციების, რესტავრაციებისა და კაცობრიობის სხვა საქმეთა საგმიროთა თარიღების, ისევე, როგორც საზღვრების მოხაზულობისა და მთის მწვერვალთა ზუსტი სიმაღლეების დამახსოვრებაში. ასე რომ, ეს სალაშქრო დანა ალალად დაიმსახურა. ახლა არ მითხრა, შინ დავტოვეო, – ვუთხარი. რა თქმა უნდა, არა, – მიპასუხა ამაყად და კმაყოფილი სახით დაირტყა ჯიბეზე ხელი. მაშინ, მომეცი-მეთქი, – ვუთხარი. ცხადია, არაფერი მიპასუხა. დაუყოვნებლივ დამორჩილება ჩემს შვილს არ სჩვეოდა. დანა მომეცი! – ვუყვირე. უხმოდ გამომიწოდა. ან რა დარჩენოდა, როცა პირისპირ აღმოჩნდა ჩემთან ამ ბნელ ღამეში, რომელზე უკეთესადაც არვის და არაფერს შეუძლია ენაზე კბილის დაჭერა? ასე სჯობდა, მე დანას ნამდვილად არ დავკარგავდი, ხოლო სადაც მისი საყვარელი დანა იქნებოდა, გულიც იქით გაუწევდა, თუკი, რა თქმა უნდა, სხვას არ იყიდდა, რაც ნაკლებად სავარაუდო გახლდათ. ეგ იმიტომ, რომ ჯიბის ფული არასოდეს მოეძევებოდა და არც სჭირდებოდა. თუკი ერთ-ორ პენის მიიღებდა, რაც იშვიათად ხდებოდა ხოლმე, ჯერ ყულაბაში აბინავებდა, მერე კი ბანკში შეჰქონდა. იმისი ბანკის წიგნაკი კი მე მებარა. ეჭვი არაა, სიამოვნებით გამომღადრავდა ყელს იმ დანით, რომელსაც აუჩქარებლად ვიდებდი ახლა ჯიბეში. მაგრამ ჯერ უწლოვანი ჩემი ვაჟი უღონო ჩანდა დიადი, მართებული შურისგების აღსასრულებლად. ოღონდ დრო მაინც მის წისქვილზე ასხამდა წყალს და რაოდენ ბრიყვიც არ უნდა ყოფილიყო, ალბათ ამ იმედით თუ ინუგეშებდა თავს. ასეა თუ ისე, მაშინ ცრემლებს მოერია, რისთვისაც დიდად მადლიერი დავურჩი. წელში გავსწორდი, მხარზე ხელი ჩამოვადე

და ვუთხარი: მოთმინება შვილო, მოთმინება-მეთქი! ამგვარ ვითარებაში ყველაზე საძაგელი ისაა, რომ სურვილის არსებობისას შესაძლებლობა გვღალატობს ხოლმე და პირიქით. მაგრამ ჩემმა საბრალო შვილმა ეს ჯერ გუმანითაც კი არ იცოდა და ალბათ ფიქრობდა, მისი სახის ნაკვთების დამამახინჯებელი და მთელი სხეულის ერთიანად ამაცახცახებელი ბრაზი იქამდე არ გაუვლიდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს გამოსავალსაც არ იპოვიდა. სავარაუდოდ, გულის სიღრმეში პაწია გრაფ მონტე-კრისტოდ თუ წარმოედგინა თავი, ვისი ქმედებებიც, ცხადია, უკვე შეეტყო „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული პატარა წიგნიდან. მანამდე კი დუნე ზურგზე ვუბიძგე და ვუთხარი, დავიძარით-მეთქი. მართლა დავიძარით, ყოველ შემთხვევაში – მე, და ისიც წელათრეული მომყვა. ზუსტად ვასრულებდი მიღებულ მითითებებს. ვაჟიშვილთან ერთად დავადექი გზას.

სულ მცირე სურვილიც კი არა მაქვს, ჩვენი თავგადასავლები აღგიწეროთ, რომლებიც მანამდე გადაგვხდა, სანამ მე და ჩემი შვილი მოლოის მხარეს მივაღწევდით. თხრობა მოსაწყენი გამომივიდოდა. ესეც არაფერი. მაინც ყველაფერი მოსაწყენია ამ ჩვენს ამბავში, რომლის მოყოლასაც მაიძულებენ. ასე რომ, მანამ გავაგრძელებ, სანამ გარკვეულ წერტილამდე არ მივალ და თუკი ეს ჩემს შეფს არ დააკმაყოფილებს, თუკი რამე ისეთს აღმოაჩენს შიგ, რაც მასა და მის კოლეგებს გულზე არ მოეფონებათ, მით უარესი ყველა ჩვენგანისთვის, ყველა მათგანისთვის, რადგან ამაზე უარესი ვერც ვერაფერი წარმომიდგენია. იმის თქმა მინდა, რომ წარმოსახვა არ მეყოფა უარესის წარმოსადგენად. მეორე მხრივ, წარმოსახვა ახლა ბევრად უფრო მდიდარი მაქვს, ვიდრე ოდესმე და თუ ამ მოსაბეზრებელი იწილო-ბიწილოს

წერითა ვარ დაკავებული, ჩემთვის სრულიად უცხო საქმიანობით, ამას სავარაუდოთაგან სრულიად განსხვავებული მიზეზები აქვს. ასე ვთქვათ, ჯერ ისევ ვემორჩილები ბრძანებებს, მაგრამ არა შიშის გამო. დიახ, კვლავინდებურად მეშინია, ოღონდ – ახლა უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვეულების ძალით, და არანაირი გაბერი არა მჭირდება იმ ხმის გასაგონად, რომელიც ყურებში მიდგას. ეგ იმიტომ, ხმა ჩემშია და მომიწოდებს, სამარადისოდ დავრჩე იმ საქმის ერთგულ მსახურად, რომელიც ჩემთვის უცხოა; მოთმინებით აღვასრულო ჩემი უბადრუკი დანიშნულება – საკუთარი ნებით, როგორც იმ დროს, როცა ნება ჯერ კიდევ გამაჩნდა; შევასრულო როლი, რომელიც, წესით, სხვებს უნდა შეესრულებინათ და ეს ყოველივე – საკუთარი უფროსისადმი სიძულვილით და მისი ზრახვების ზიზღით. დიახ, ეს ხმა საკმაოდ ბუნდოვანია და ძნელია, ბოლომდე მიჰყვე მის ყველა ვარაუდსა თუ დასკვნას. და მაინც მივყვები, მეტ-ნაკლებად, იმ თვალსაზრისით, რომ ნათქვამი მესმის და იმ თვალსაზრისითაც, რომ ვემორჩილები. ვფიქრობ, ბევრი არ მოინახება ისეთი ხმა, ამდენ ლაპარაკად ღირდეს. წინდაწინვე ვგრძნობ, მომავალშიც მივყვები მის კარნახს, რაც არ უნდა მიბრძანოს. ხოლო როცა მიჩუმდება, როცა დაეჭვებულსა და დაბნეულს მიმატოვებს, მაინც დაველოდები მის დაბრუნებას და თითს თითზე არ დავაკარებ, გინდაც ერთ ხმაში ერთად მოლაპარაკე ხელისუფლების უთვალავი წარმომადგენლის მეშვეობით, მთელმა სამყარომ მიკიჟინოს მოქმედებისკენ და ამით გამოუთქმელი ტანჯვაც მომაყენოს. თუმცა ამ საღამოს ჩვეულებრივზე ოდნავ მეტი დავლიე და ხვალ ეგებ სულ სხვა აზრზეც ვიდგე. ხმა იმასაც მეუბნება – ამას ახლაღა ვხვდები – რომ გაწეული საქმიანობის მოგონება დამეხმარება, შედა-

რებით იოლად გავუმკლავდე ხეტიალისა და თავისუფლების უსასრულო სატანჯველს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სულაც გამაგდებენ საკუთარი სახლიდან, საკუთარი ბაღიდან, საბოლოოდ დავკარგავ ჩემს ხეებს, ჩემს მდელოებს, ჩემს ფრთოსნებს, რომელთა შესახებაც ყველაფერი ვიცი – როგორ გალობს ყველა თავისებურად, როგორ ფრენენ, როგორ გამოეშურებიან ხოლმე ჩემკენ ან პირიქით, მიახლოებისას როგორ გამეცლებიან; დავკარგავ ჩემი სახლის ამ სულელურ სიმყუდროვესაც, სადაც ყოველმა ნივთმა იცის თავისი ადგილი, სადაც ყველაფერს თვალდახუჭულმა შემიძლია მივაგნო – მოკლედ ყოველივეს, რის გარეშეც ვერანაირად ვერ გავუძლებდი ადამიანის ხვედრს, ვერ დავემალებოდი მტრებს, ვერ შევასრულებდი ცხოვრების საქმეს, ვერაფერს ავაშენებდი, დავამშვენებდი, გავაუმჯობესებდი, დავიცავდი და გავუფრთხილდებოდი. ძალზე ბებერი ვარ საიმისოდ, ყველაფერი დავკარგო და თავიდან დავიწყო, უიმედოდ ბებერი. წყნარად, მორან, წყნარად! ძალიან გთხოვ, გრძნობებს ნუ აჰყვები.

აკი გითხარით, ჩემი სამშობლოდან მოლოის მხარეში მოგზაურობის ყველა დავიდარაბის მოყოლას არ ვაპირებმეთქი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ჩემს განზრახვას არ წარმოადგენს. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ბოლომდე ვაცნობიერებ, რა საფრთხის ქვეშ ვაყენებ საკუთარ თავს, როგორ შეურაცხვყოფ მას, ვისი კეთილგანწყობისთვისაც ახლა ბევრად მეტად უნდა ვზრუნავდე, ვიდრე ოდესმე. და მაინც, ხელის აუკანკალებლად ვწერ, ჯერი-ჯერზე ვავსებ ფურცლებს – მაქოს გულგრილობით. თუმცა ზოგიერთ მათგანზე მოკლედ მაინც მოგითხრობთ, რადგან ეს სასურველად მეჩვენება და თან ცუდი არ იქნება, თუკი გარკვეულ

წარმოდგენას შეგიქმნით იმ მეთოდებზეც, რომლებსაც მონიფულობისას დავეუფლე. ოღონდ მანამდე გაკვრით იმასაც შევეხები, შინიდან წამოსვლისას რა ვიცოდი მოლოის მხარეზე, ასე ძალიან რომ წააგავდა ჩემსავე სამშობლოს. ამ იძულებითი ნაჯღაბნის ერთი თავისებურება ხომ ისიც გახლავთ, რომ შეუჩერებლად შემიძლია ვიქროლო და უშუალოდ გადავიდე საკითხის არსზე. ისევ უნდა დავივიწყო ის, რისი დავიწყებაც არ შემიძლია და კვლავ ვირწმუნო ის, რაც შინიდან გამგზავრებისას მწამდა. და თუკი ხანდახან ამ წესს გადავუხვევ, მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვან წვრილმანებთან დაკავშირებით. მთლიანობაში კი გულით მწადია წეს-კანონის ზედმიწევნით დაცვა – თან იმგვარი გზნებით, რომ უფრო მოქმედ პირად მოგეჩვენებით, ვიდრე – მთხრობელად. ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც და დროის მეტი წილის განმავლობაში. ჩემს ოთახში გამეფებული მდუმარების მარწუხებში, იქ, სადაც ჩემთან დაკავშირებული ყველაფერი დასრულებულია, ალბათ ნაკლებად ვაცნობიერებ, საით მივემართები და რა მელოდება. ახლა უფრო ნაკლებად, ვიდრე იმ ღამით, როცა კუტიკარს ჩაფრენილი, ჩემი გონებასუსტი ვაჟიშვილის გვერდით მდგომი, ვაპირებდი, უცნობ გზას დავდგომოდი. სრულებითაც არ გამიკვირდებოდა, თუკი მომდევნო გვერდებზე მოვლენათა მსვლელობის ზუსტ და მართებულ გეზს გადავუხვევდი. თუმცა რატომღაც მგონია, თვით სიზიფესაც კი არაფრად სჭირდება, ჭაპანწყვეტით, ოხვრა-ხვნეშით, ანდა, თანამედროვე მოდურ თეორიას თუ გავიზიარებთ, სიხარულით, ზუსტად ერთსა და იმავე ადგილს უბრუნდებოდეს მარად. გამორიცხული არაა, დადგენილი გეზის დაცვა არც იყოს აუცილებელი – იმ პირობით, თუკი დანიშნულების ადგილს დროულად მიადგები. ვინ

იცის, ეგებ სიზიფეც ფიქრობს, რომ ყოველი მისი შემდგომი აღმასვლა პირველია. დამეთანხმეთ, ეს მხოლოდ იმედს გააღვივებდა – იმედს, რომელიც ჩვენში ჯიუტად აცოცხლებს ჯოჯოხეთს, იმის მიუხედავად, რას ფიქრობენ ამაზე დღემდე. სხვა შემთხვევაში, მართლაც როგორ უნდა უყურო ერთი და იმავე ქმედების უსასრულო განმეორებას, რასაც თან კმაყოფილების განცდა მოაქვს?

მოლოის მხარეს რომ ვამბობ, იმ ერთი ბენო რეგიონს ვგულისხმობ, რომლის ადმინისტრაციული საზღვრებიც მას არასოდეს გადაულახავს და უნდა ვივარაუდოთ, რომ არც არასოდეს გადალახავს. ეს ან აკრძალული აქვს, ან თავად არ გააჩნია სურვილი, ანდა – სულ ბოლოს – განსაკუთრებული გარემოებები აიძულებს. ეს მხარე ჩემი მხარიდან ჩრდილოეთით მდებარეობს, იქ უფრო რბილი ჰავაა და აგრეთვე – ის დასახლებაც, რომელსაც ზოგი ქალაქად იხსენიებს, სხვებს კი მოზრდილ სოფლად მიაჩნიათ. ეს სოფელი თუ ქალაქი, მოდით, ახლავე ვთქვათ, ბელიდ იწოდება და მიმდებარე მიწებიანად, ასე, 5-6 კვადრატული მილი უკავია. განვითარებულ ქვეყნებში ამგვარ ტერიტორიას, მგონი, ოლქებსა თუ კანტონებს უწოდებენ, ზუსტად არ მახსოვს. ჩვენთან კი ასეთ ერთეულს საერთოდ არა აქვს რაიმე ზოგადი სახელი. მასზე საუბრისას ჩვენ განსხვავებულ სისტემას ვიყენებთ, გამორჩევით ლამაზსა და დახვეწილს: კერძოდ, ვამბობთ ბელის (რამდენადაც ამ შემთხვევაში სწორედ ბელიზე ვსაუბრობთ), როცა ბელის ვგულისხმობთ, ბელიბას – როცა გვინდა, თავის შემოგარენიანად მოვიხსენიოთ და ბელიბაბას – როცა მხოლოდ შემოგარენს ვახსენებთ ხოლმე. პირადად მე, მაგალითად, ვცხოვრობდი და, მგონი, კვლავაც ვცხოვრობ თერდიში, თერდიბას მთავარ ქალაქში, ხოლო როცა საღა-

მოობით, სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად, თერდის მიჯნებს გავცდებოდი ხოლმე, უკვე თერდიბაბას და არა რაიმე სხვა ადგილის სურნელებებით ვიჟღინთებოდი.

ეს ბელიბაბა, მცირე ფართობის მიუხედავად, თამამად იამაყებდა ერთგვარი ბუნებრივი მრავალფეროვნებით: ეგრეთ წოდებული „საძოვრები“, მომცრო ტორფნარი, ორისამი ჭალა და საზღვრის მახლობლად – მთაგორიანი და საამური ხედები. იფიქრებდი, თავად ბელიბაბასაც კი არ სურს უფრო შორს გახედვაო.

თუმცა ამ მხარის უმთავრესი მშვენება მაინც პატარა ყურე თუ რაღაც ამდაგვარი გახლდათ, რომელსაც თანმიმდევრულად ავსებდა და წრეტდა რუხი ფერის ნელი მიქცევ-მოქცევა. არცთუ რომანტიული იერსახის მქონე ქალაქელების მთელი ჯგუფები ხშირად დაიარებოდნენ აქეთ, რათა ამ სანახაობით დამტკბარიყვნენ. ერთნი ამბობდნენ, ამ ნამიან ქვიშას ვერაფერი შეედრებაო. მეორენი ამტკიცებდნენ, ბელიბას ყურის ცქერა ყველაზე საამური სწორედ მოქცევის დროსააო; ნახეთ, რა მშვენიერია რუხი წყლის ეს ზედაპირი, გაქვავებული რომ გეგონება, თუკი არ იცი, რომ ასე არააო. მესამენი კი გაიძახოდნენ, ყურე მიწისქვეშა ტბას ჰგავსო. ოღონდ ერთ რამეში, ვენეციელების არ იყოს, მაინც ყველა თანხმდებოდა: ჩვენი ქალაქი ზღვისპირაა. ამიტომ საფოსტო ქაღალდზეც „პორტ-ბელი“ დაბეჭდეს.

ბელიბას მოსახლეობა არცთუ მრავალრიცხოვანი გახლდათ, რაც, გამოგიტყდებით და, მახარებდა კიდეც. მიწა დასამუშავებლად არ ვარგოდა – საკმარისი იყო, სახნავსა თუ მდელოს გარკვეული ზომა მიეღო და მაშინვე წმინდა ჭალად ან ჭანჭრობად იქცეოდა ხოლმე, საიდანაც უკვე ველარაფერს გამორჩებოდი, მეორეხარისხოვანი ტორფისა

და გამოშაშრული მუხის ნაფოტების გარდა, რომლებისგანაც ავგაროზებს, ქაღალდის საჭრელ დანებს, ხელსახოცის ჩასადებებს, კრიალოსნებსა თუ სხვა ამგვარ სამშვენისებს ამზადებდნენ. ასე, მაგალითად, ღვთისმშობლის გამოსახულება მართას ოთახის კედელზე სწორედ ბელიბური წარმომავლობისა იყო. თავსხმა წვიმების მიუხედავად, საძოვრები მწირად ჰქონდათ და თან სულ ქვა-ღორღით მოფენილი. ჭარბად იქ მხოლოდ ჭინჭარი ხარობდა და კიდევ – რაღაც მწარე, მოლურჯო ნაყოფის მქონე მცენარე, მომაკვდინებელი ცხენ-ძროხისათვის, თუცა მეტ-ნაკლებად იოლად მოსანელებელი ვირების, თხებისა და შავი ცხვრებისათვის. მაშ, რა იყო ბელიბას აყვავების საწინდარი? ახლავე მოგახსენებთ. თუმცა, არა, არაფერსაც არ გეტყვით, სრულიად არაფერს.

ეს იმ ყველაფრის ნაწილია, რაც ჩემი აზრით, ბელიბას შესახებ ვიცოდი შინიდან წამოსვლისას. ოღონდ ისიც გულით მინდა გავიგო, რომელიმე სხვა ადგილში ხომ არ მეშლება.

ჩემი კუტიკარიდან ოც ნაბიჯში გზა სასაფლაოს კედელს მიადგება, მერე თანდათანობით ქვემოთ მიემართება, კედელი კი სულ უფრო და უფრო ზემოთ იწევს. ასე რომ, მალე მკვდრებზე დაბლა აღმოვჩნდით. სწორედ აქ მქონდა შეძენილი სასაფლაოზე ადგილი სამუდამო სარგებლობისთვის. ვიდრე დედამიწა იარსებებს, თეორიულად, ვერც ვერავინ შემეცილება. ზოგჯერ მივდიოდი კიდეც საკუთარი საფლავის დასახედად. უბრალო თეთრი ქვისგან ნაკვეთი კათოლიკური ჯვარი უკვე ედო ზედ. თავისუფლად შეიძლებოდა მასზე ჩემი სახელისა და გვარის ამოტვიფრა შესაბამისი წარწერით: აქ განისვენებს... და დაბადების თარიღი. დარჩებოდა მხოლოდ გარდაცვალების თარიღის მითითება. მაგრამ ამის

ნებას არ მომცემდნენ. ზოგჯერ მეცინებოდა კიდეც, თითქოს უკვე მკვდარი ვიყავი.

ზედიზედ რამდენიმე დღე მიმალული ბილიკებით ვიარეთ. არ მინდოდა, ვინმეს დიდ გზაზე მოეკრა ჩემთვის თვალი.

პირველსავე დღეს ვიპოვე მამა ემბროუზის სიგარის ნამწვი. არათუ არ გადამეგდო, არც საფერფლეში მომესროლა და არც საქაღალდე კალათში. ტანისამოსის გამოცვლისას ქურთუკის ჯიბეში დამებინავებინა. ეს უნებლიეთ მოხდა. გაოცებულმა შევათვალიერე. მერე მოვუკიდე, რამდენიმე ნაფაზი დავარტყი და გადავაგდე. აი, ეს გახლდათ პირველი დღის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა.

ბიჭს ჯიბის კომპასის ხმარება ვასწავლე. ამან დიდი სიამოვნება მიანიჭა. ქცევითაც, ზოგადად, ცუდად არ იქცეოდა, ყოველ შემთხვევაში – მოსალოდნელზე უკეთესად. მესამე დღეს დანაც დავუბრუნე.

ამინდი დიდად გვწყალობდა. იოლად ვახერხებდით დადგენილი ათ-ათი მილის გავლას დღეში. ძილით მაინც ღია ცის ქვეშ გვეძინა: სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ბიჭს ვუჩვენე, როგორ გაეკეთებინა კარავი ტოტებისაგან. მართალია, სკაუტებში კი ჩაწერილიყო, მაგრამ ამისთანების არაფერი გაეგებოდა. არა, ბოდიში, კოცონის დანთება მაინც იცოდა. ყველა შესვენებისას მევედრებოდა, ცოდნის გამოვლენის საშუალება მიმეცა. მე ამის აზრს ვერ ვხედავდი.

კვებით კონსერვებით ვიკვებებოდით, რომელთა საყიდლადაც უახლოეს სოფელში ვგზავნიდი ხოლმე. ამ შემთხვევაში, ძალიან დამეხმარა. წყალს წყაროებიდან და ნაკადულებიდან ვსვამდით.

და მაინც, ეს სიფრთხილე, ცხადია, უშედეგო იყო. ერთ დღეს მინდორში ნაცნობი ფერმერი დავინახე. ჩვენკენ მო-

აბიჯებდა. წამსვე ზურგი შევაქციე, ბიჭს ხელზე ჩავაფრინდი და საპირისპირო მხარეს წავაცუხცუხე. როგორც ვვარაუდობდი, ფერმერი დაგვეწია. მოგვესალმა და მაშინვე ჩამეძია, საით გაგიწევიათო. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მის მინდორში ხდებოდა. ვუპასუხე, შინ მივდივართ-მეთქი. საბედნიეროდ, ჯერ ძალიან შორს არ ვიყავით წამოსულები. მაშინ მკითხა, საიდან მოდიხართო. შეიძლება ვიღაცას ძროხა ან ღორი მოეპარა მისთვის? გავისეირნეთ-მეთქი, – ვუთხარი. მანქანით მიგიყვანდით, მაგრამ საღამომდე აქ უნდა ვიყოო, – გვითხრა. სამწუხაროა-მეთქი, – მივუგე. თუ არ ჩქარობთ და მოცდა შეგიძლიათ, დიდი სიამოვნებით გაგიყოლებთო. უარი ვტკიცე. საბედნიეროდ, ჯერ შუადღეც არ იყო და ეს ჩემი უარი უცნაურად არ მოეჩვენებოდა. აბა, მაშინ – ბედნიერადო, – დაგვემშვიდობა. მოკლედ, დიდი წრის დარტყმა მოგვიხდა, სანამ ისევ ჩრდილოეთისკენ დავაღირებდით თავს.

ამდენი სიფრთხილეც, კაცმა რომ თქვას, გადაჭარბებული იყო. უფრო მართებული იქნებოდა, ღამღამობით გვევლო, დღისით კი დავმალულიყავით, ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც. მაგრამ ისეთი სანაქებო ამინდი იდგა, ვერაფრით ვაიძულე თავი, ასე მოვქცეულიყავით. ცხადია, საქმე მხოლოდ ჩემი სიამოვნება არ იყო, ბიჭზეც უნდა მეფიქრა. ადრე მსგავსი არაფერი დამმართია – მარტო ეს ჩვენი კუს ნაბიჯით სიარული რად ღირდა! დანიშნულების ადგილზე ჩასვლას ბრძანებით არავინ მაჩქარებდა.

ნამდვილი ნეტარებაა ზაფხულის ტყის მაცოცხლებელ სივრცეში მოხვედრა. ამ დროს გაბერის მითითებებზე დაძაბული ფიქრიც კი გიიოლდება. ოღონდ მახსოვრობაში ამ მითითებების მთლიანად აღდგენას მაინც ვერანაირად ვერ

ვახერხებდი. როცა ღამღამობით კარავში მივწვებოდი ხოლმე და ბუნების მომხიბვლელობას უწინდებურად ვეღარ აღვიქვამდი, თავფეხიანად ვეფლობოდი ამ თავსატეხის გადაჭრაში. ჩემი შვილის მიერ ძილში გამოცემული ხმები გვარიანად მიფანტავდა გონებას. ზოგჯერ კარვიდან გამოვდიოდი და აქეთ-იქით დავეხეტებოდი სიბნელეში, ან მიწაზე ჩამოვჯდებოდი, ზურგს ხეს მივაყრდნობდი, ფეხებს მოვკეცავდი, ხელებს ზედ შემოვაჭდობდი და ნიკაპს მუხლებზე ჩამოვდებდი, მაგრამ ამ მდგომარეობაშიც კი მიჭირდა საკითხის არსის ჩაწვდომა. მაინც რა მისხლტებოდა? ძნელი სათქმელია. რაღაც წვრილმანი, რაც გაბერის შეტყობინებას მთლიანობას მიანიჭებდა. ალბათ მითხრა კიდეც, თუ რა უნდა მექნა მოლოისთვის, როცა მივაგნებდი. მიგნებით ხომ ჩემი სამუშაო არ თავდებოდა – ეს მეტისმეტად მარტივი იქნებოდა. ასეა თუ ისე, კლიენტთან ურთიერთობის დამყარება მითითებების თანახმად უნდა მომხდარიყო. ამგვარი ურთიერთობები სრულიად განსხვავებულ სახეს იძენდა ხოლმე: ხან ძალიან გახსნილი იყო და ხანაც – უაღრესად ფრთხილი. იერკის საქმე, რამაც თითქმის სამი თვე მოითხოვა, იმ დღეს დასრულდა წარმატებით, როცა მისი ყელსახვევის სარჭის ხელში ჩაგდება და განადგურება მოვახერხე. კლიენტის აღმოჩენა სულაც არ გახლავთ ჩემი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. იგივე იერკი სამიოდ დღეში ვიპოვე. რაც შეეხება წარმატების რაიმეთი დადასტურებას, ეს არ მჭირდებოდა, სიტყვაზეც კარგად მენდობოდნენ. როგორც ჩანს, იუდი რაღაცნაირად მაინც მაკონტროლებდა. ისე, ზოგჯერ კი მთხოვდნენ ხოლმე ანგარიშის წარდგენას.

იყო ერთი შემთხვევაც, როცა მთელი ჩემი საქმე დანიშნულ დროს მავანის ერთ უშენ ადგილზე მიყვანა უნდა ყოფი-

ლიყო. მეტად საჩოთირო ამბავი გახლდათ, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს პიროვნება ქალი არ იყო. ქალებთან საქმე არასოდეს დამიჭერია. ძალიანაც ცუდი! როგორც ჩანს, იუდისაც დიდად არ ეხატებოდნენ გულზე. ამასთან დაკავშირებით, ძველი ხუმრობა მახსენდება ქალის სულის თაობაზე. კითხვა: აქვთ თუ არა ქალებს სული? პასუხი: აქვთ. კითხვა: რისთვის? პასუხი: დედისა რომ მოუხსენიო. ძალიან სასაცილოა. საბედნიეროდ, დღის არჩევა მევე მომანდეს. მითითებული მხოლოდ საათი იყო. კლიენტი დანიშნულ ადგილზე მივიდა და მეც რაღაც ხრიკებით შევაყოვნე. სანდომიანი, ახალგაზრდა კაცი იყო, ზედმეტად სევდიანი და სიტყვაძუნწი. ბუნდოვნად მახსოვს, ვიღაც ქალზე ვუამბობდი რაღაც აბდაუბდას. მოიცათ, მგონი მახსენდება. დიახ, დიახ! ასე ვუთხარი, იმ ქალს უკვე ექვსი თვეა უყვარხარ და ერთი სული აქვს, სადმე მყუდრო ადგილას შეგხვდეს-მეთქი. ქალის სახელიც კი ვუთხარი, საკმაოდ ცნობილი მსახიობის. მერე, როცა ვითომ იმ ქალის დანიშნულ ადგილამდე მივაცილე, თავაზიანად გამოვეცალე, რაც, თავისთავად, სავსებით ბუნებრივი ჩანდა. დღემდე თვალწინ მიდგას, როგორ მომჩერებოდა. მგონი, პატივსაც კი მცემდა, როგორც მეგობარს. წარმოდგენა არა მაქვს, რა ბედი ეწია. როგორც კი მათთან მუშაობას მოვამთავრებდი, ჩემი კლიენტების ავანჩავანი აღარ მაღელვებდა. მეტსაც გეტყვით, შემდეგ არც ერთი აღარ მინახავს. არც ერთი. ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ვამბობ ამას. დრო მქონდეს, მე ვიცი, რამდენ რამეს მოგიყვებოდით. თავში აჩრდილების მთელი გროვა მერევა – მერფი გინდა, იოტი, იერკი, მერსიე თუ რა ვიცი. მე თვითონაც ცოცხალი თავით ვერ დავიჯერებდი, თუმცა, არა, როგორ ვერა, დავიჯერებდი და ეგრე?! ამბები, ამბები. მათი

მოყოლა არასოდეს მეხერხებოდა. ვერც ამას მოვყვები.

ასე და ამგვარად, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეოდი ამ მოლოის, როცა ვიპოვიდი. გაბერი უთუოდ მომცემდა მითითებებს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაფერი ერთიანად ამომვარდნოდა თავიდან. აი, რა ხდება, როცა მთელ კვირა დღეს რაღაც სისულელეებზე ხარჯავ. არც იმაზე ტვინის ჭყლეტას ჰქონდა აზრი, მსგავს შემთხვევებში მაინც რა მევალება-მეთქი. ზოგადად, ჩემთვის განკუთვნილი მითითებები ჩვეულებრივისაგან დიდად განსხვავდებოდა ხოლმე. თუმცა არსებობდა გარკვეული პროცედურა, რომელიც ხანდახან – ოღონდ არცთუ ხშირად – მეორდებოდა და, სავარაუდოდ, შეიძლება სწორედ ეს დამვიწყებოდა. გინდაც ეს პროცედურა მუდმივად ყოფილიყო მოხსენიებული ჩემთვის განკუთვნილ მითითებებში, ერთადერთი შემთხვევის გარდა, მაშინ ეს ერთადერთი შემთხვევა იქნებოდა საკმარისი, ხელ-ფეხი რომ შემკვროდა. აი, ასეთი კირკიტა გახლდით.

თავს ვუმეორებდი, სჯობს, ამაზე არც ვიფიქრო, ჯერ მოლოი ვიპოვო და მერე რაღაცას მოვიგონებ-მეთქი. რა საჭიროა სიჩქარე, ყველაფერი მაშინ გამახსენდება, როცა ამის ყველაზე ნაკლები მოლოდინი მექნება და თუ მოლოის პოვნის შემდეგაც ვერ გავიხსენე, თუ როგორ უნდა მოვექცე, ყოველთვის მოვახერხებ იუდის ზურგსუკან გაბერთან დაკავშირებას-მეთქი. მე იმის მისამართი მქონდა და იმას – ჩემი. ავდგებოდი და ასეთი შინაარსის დეპეშას გავუგზავნიდი: რა ვუყო M-ს? მოახერხებს და საკმარისად გასაგებად მიპასუხებს, თუმცა, თუკი ეს აუცილებელი გახდა – შეფარული ფრაზებითაც. მაგრამ არის კი ბელიბაში ტელეგრაფი? მოკლედ, საკუთარ თავს ვუთხარი, ბოლოს და ბოლოს, მეც ადამიანი ვარ და რაც უფრო დიდ დროს მოვანდომებ

მოლოის ძებნას, მით მეტი ალბათობაა, გავიხსენო, როგორ უნდა მოვექცე-მეთქი. გზასაც მშვიდად და წყნარად გავაგრძელებდით, შემდეგი რომ არ მომხდარიყო:

ერთ ღამეს, როცა, ჩვეულებისამებრ, შვილის გვერდით დავიძინე, უეცრად თითქოს ძლიერმა დარტყმამ გამომაღვიძა. ნუ ღელავთ, არ ვაპირებ, დაწვრილებით გიამბოთ ჩემი ეგრეთ წოდებული სიზმარი. კარავში სრული წყვდიადი გამეფებულიყო. გაუნძრევლად ვიწექი და გაფაციცებით ვაყურადებდი, თუმცა ბიჭის ხვრინვისა და მძიმე-მძიმე სუნთქვის გარდა, ვერც ვერაფერი გავიგონე. როგორც მჩვეოდა, უკვე მზად ვიყავი, დამესკვნა, კიდევ ერთი საზარელი სიზმარი მესიზმრა-მეთქი, რომ უცებ მუხლში მწვავე ტკივილმა დამიარა, რამაც ახსნა კიდეც ჩემი მოულოდნელი გამოღვიძების მიზეზი. შეგრძნების თვალსაზრისით, ეს მართლაც ჰგავდა დარტყმას – მაგალითად, ცხენის წიხლს. ერთიანად აგანგაშებული ველოდი ტკივილის გამეორებას – დაჭიმული, სუნთქვაშეკრული. ცხადია, ოფლიც გვარიანად მასხამდა. რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, ჩემი ქმედებები, მთლიანობაში, სრულიად მიესადაგებოდა მსგავს ვითარებაში აღმოჩენილი ადამიანის ქმედებებს. მართლაც, სულ რამდენიმე წუთში ტკივილი ისევ განმეორდა, ოღონდ არა უწინდელივით მწვავე, არა ისეთი, როგორც პირველ, უფრო სწორად, მეორე ჯერზე იყო. ან იქნებ უწინდელივით მწვავე მხოლოდ იმიტომ არ მომეჩვენა, წინდაწინვე რომ ველოდი? ეგებ ნელ-ნელა მივეჩვიე კიდეც და ეს იყო მიზეზი? არა მგონია. კიდევ რამდენჯერმე განმეორდა და ყოველი მომდევნო უფრო სუსტი იყო, ვიდრე წინამორბედი, ბოლოს კი სულ ჩაყუჩდა და მეც მეტ-ნაკლებად ღრმად დაძინება მოვახერხე. მაგრამ სანამ დავიძინებდი, მოვასწარი და გავიფიქრე,

ეს ტკივილი – რაზეც ახლა ვსაუბრობ – სულაც არაა ჩემთვის სიახლე-მეთქი. მსგავსი ტკივილი ადრეც განმიცდია, სააბაზანოში, როცა ბიჭს ოყნას ვუკეთებდი, მაგრამ მაშინ ერთადერთხელ შემომიტია და მალევე დაიხია უკან. უკვე გვარიანად რულმორეული, ერთ შეკითხვას ვუსვამდი საკუთარ თავს: იგივე მუხლი მტკივა თუ მეორე? სარწმუნო პასუხი ვერ ვიპოვე. ბიჭმაც ვერ გამარკვია ვერაფერში, როცა იმასაც ვკითხე, შინიდან რომ წამოვედით, იმ ღამით რომელ მუხლზე ვისვამდი იოდს-მეთქი? მოკლედ, შედარებით დამშვიდებულს ჩამეძინა. თან ვბუტბუტებდი: ეს მხოლოდ ნევრალგიის მსუბუქი შემოტევაა, დამქანცველი გზით, სიცივითა და ნესტით გამოწვეული-მეთქი. პირობა დავდე, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ბლომად მეყიდა შალის თბილი საცვლები, რომლებიც ჯოჯოხეთური სიცივისაგან დამიცავდნენ. რა საოცარი სისწრაფე ახასიათებს ფიქრს! თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა. გამთენიისას რომ გამომეღვიძა, ამ შემთხვევაში – უკვე ბუნებრივი მოთხოვნილების კარნახით და, თხრობა რომ უფრო დამაჯერებელი იყოს – მსუბუქი ერექციით, წამოდგომა ვერ მოვახერხე. ბოლო-ბოლო, ცხადია, კი წამოვდექი, ან სხვა რა გზა მქონდა, მაგრამ რაოდენი ძალისხმევის ფასად! სათქმელად და დასაწერად იოლია, ვერ მოვახერხეო, სინამდვილეში კი უფრო ძნელი არც არაფერია და ეს, ალბათ – ნებისყოფის გამო, რომელიც უმცირეს უთანხმოებასაც კი გაცოფებამდე მიჰყავს. თავიდან მეგონა, საერთოდ ველარ მოვხრიდი ფეხს, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილების წყალობით, ოდნავ მოვახერხე მომეხარა. სრულ ანკილოზს, ეტყობა, მაინც გადავურჩი! მიხვდით ალბათ – ისევ ჩემს მუხლზე ვლაპარაკობ. ოღონდ იყო კი ეს იგივე მუხლი, რომლის ტკივილმაც ღამით გამო-

მაღვიძა? ვერ დავიფიცებდი. ტკივილით აღარ მტკიოდა, უბრალოდ, ჯიუტად ამბობდა უარს მოხრაზე. ტკივილმა ამაოდ გამაფრთხილა წინასწარ, თანაც – რამდენჯერმე, და ახლა სათქმელიც აღარაფერი დარჩენოდა. აი, ასე ვხედავდი შექმნილ მდგომარეობას. სხვათა შორის, ახლა ველარც მუხლებზე დავდგებოდი, რადგან საამისოდ აუცილებლად ორივე მუხლში უნდა მოხარო ფეხი. მე მხოლოდ რაღაც კომიკური პოზის მიღებას თუ მოვახერხებდი და ისიც – სულ რამდენიმე წამით, ანუ კავკასიელი მოცეკვავესავით წინ თუ გავიშვერდი მტკივან ფეხს. ელექტროფარნის შუქზე შევითვალიერე ეს მტკივანი მუხლი. არც რამე სიწითლე შემიმჩნევია და არც შესივება. მერე მუხლისთავი ხელითაც მოვისინჯე. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს კლიტორს ვეხებოდი. მთელი ამ ხნის მანძილზე, ჩემი შვილი სელაპივით ქშინავდა. ეჭვადაც არ გაუვლია, რა შეიძლება დაგმართოს ცხოვრებამ. სხვათა შორის – არც მე. მაგრამ მე ეს, უბრალოდ, ვიცოდი.

ცას განთიადის მაუწყებელი, საზარელი ფერი დასდებოდა. საგნები ქურდულად იკავებდნენ თავიანთ ყოველდღიურ ადგილებს, ნაწილდებოდნენ, თითქოს უძრაობას იბრალებდნენ. ფრთხილად – გამოგიტყდებით, ოდნავი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილიც კი – დავჯექი მიწაზე. ნებისმიერი სხვა ეცდებოდა, ჩვეულებისამებრ, დაუფიქრებლად ჩამომჯდარიყო, ოღონდ მე – არა. როცა ეს ახალი ჯვარი ვიტვირთე, მისი ტარების ყველაზე მოსახერხებელი საშუალებაც მაშინვე გამოვძებნე. როცა მიწაზე ჯდები, თერძივით უნდა დაჯდე, ან ჩანასახის ფორმა უნდა მიიღო. მხოლოდ ეს პოზებია დამწყებთათვის. ზედმეტი გაჭიანურების გარეშე, პირაღმა გადავქანდი და მაშინვე ჩემი ცოდნის ყულაბას შემდეგი აღმოჩენაც მივუმატე: როცა ნორმალური ადამი-

ანისათვის იოლად მისაღები უამრავი მდგომარეობიდან ორი-სამის გარდა ყველა სხვა გამოირიცხება, ამ ორი-სამის შესაძლებლობები წარმოუდგენლად იზრდება. პირზე დუჟმომდგარი დავიწყებდი საპირისპიროს მტკიცებას, საკუთარ ტყავზე რომ არ გამომეცადა ეს ყოველივე. დიახ, როცა ვერც წამომდგარხარ, ვერც მოხერხებულად დამჯდარხარ, უნებურად თარაზულ მდგომარეობას იღებ, როგორც ჩვილი – საშოში. ამგვარ ყოფას არნახული ყურადღებით იკვლევ და აქამომდე უცნობ სიხარულსაც განიცდი. სულ მალე ეს სიხარული უსასრულო ხდება და თუკი ამის მიუხედავადაც იღლები, სულის მოსათქმელად რამდენიმე წამი დგომა ან ჯდომა სავსებით საკმარისი იქნება. აი, ეს უპირატესობები ახლავს ადგილობრივ და უმტკივნეულო დამბლას. სულაც არ გამიკვირდებოდა, თუ გავიგებდი, რომ დიდებული, კლასიკური დამბლის შემთხვევები სწორედ ამგვარ, ეგებ უფრო დიდ სიამოვნებასაც კი გვიქადის. ხუმრობაა, ერთხელ და სამუდამოდ ეზიარო მოძრაობის სრულ უუნარობას? გონება მებინდება, ამაზე რომ ვფიქრობ. თან სრულ აფაზიასაც აღწევ! შეიძლება დაყრუვდე კიდეც! ვინ იცის, იქნებ გაგიმართლოს და დაბრმავდე! გამორიცხული არაა, მახსოვრობა იმდენად დაკარგო, რომ ტვინის დაუზიანებელი ნაწილი მხოლოდ სიხარულისთვის გყოფნიდეს და კიდევ – სიკვდილის, როგორც ხელახალი დაბადების, შიშისათვის.

იმაზე ვფიქრობდი, რა უნდა მექნა, თუკი ფეხი არ მომიმჯობინდებოდა, ან მდგომარეობა გამიუარესდებოდა. ტოტებშუა ვხედავდი, როგორ ნათდებოდა ზეცა, დილაში იძირებოდა. ეს მოვლენა, სხვათა შორის, არასაკმარისადაა შესწავლილი. ცა დაბლა მოიწევდა, თითქოს უნდოდა, უკეთესად შეეთვალიერებინა დედამიწა, ან ეგებ დედამიწა მი-

ინევდა ზევით, რათა გზაზე დადგომამდე კურთხევა მიეღო.

ახლა აზრთა მდინარების გადმოცემას არ შევუდგები. ეს არ გამიჭირდებოდა, სულ იოლად მოვახერხებდი, მაგრამ მომდევნო მონაკვეთის შესათხზავად ის დასკვნაც საკმარისი აღმოჩნდა, რომლამდეც უკვე მივედი.

კარგად გეძინა? – ვკითხე, როგორც კი ბიჭმა თვალები გაახილა. ადრევე შემეძლო გამეღვიძებინა, მაგრამ, არა, ვაცალე, თავად გამოფხიზლებულიყო. ბოლოს იმით დამთავრდა, აქეთ შემომჩივლა, კარგად ვერა ვარო. უაზრო პასუხებს ხშირად მცემდა ხოლმე. თუ იცი, სადა ვართ და უახლოესი დასახლებული პუნქტი რომელია? – ვკითხე. იმანაც დამისახელა. ვიცოდი ეს დასახლება – ნამყოფი ვიყავი. ნამდვილი ქალაქი იყო. იღბალი გვწყალობდა. ამ ქალაქში რამდენიმე ნაცნობიც კი მყავდა. რა დღეა? – ახლა ეს ვკითხე. დაუყოვნებლივ დამისახელა. არადა, ჯერ რიგიანად გამოფხიზლებულიც კი არ ჩანდა. აკი გითხარით, ისტორია-გეოგრაფიაში ვერავინ შეედრება-მეთქი! სწორედ მისგან გავიგე, რომ კონდომი ბეზზე[4] იდგა. კარგი, – ვუთხარი, – ახლა ჰოულში[5] წადი, სულ სამიოდე საათი დაგჭირდება (თან გამოვითვალე კიდეც). გაოცებული მომაჩერდა. იქ შენი ზომის ველოსიპედი იყიდე, სასურველია – ნახმარი, 5 ფუნტზე მეტი არ დახარჯო, – ესეც ვუთხარი და ზუსტად ხუთი გირვანქა მივეცი, ნახევარგირვანქიანი ქაღალდის ფულით. ველოსიპედს ძალიან საიმედო საბარგულიც უნდა ჰქონდეს, – დავარიგე, – თუ ძალიან საიმედო არ გეჩვენა, სთხოვე, საიმედოთი შეგიცვალონ. ვცდილობდი, ყველაფერი გასაგებად ამეხსნა მისთვის. მერე ვკითხე, კმაყოფილი თუ ხარ-

[4] სიტყვების თამაში: baise – სქესობრივი აქტი (ფრანგ.).
[5] hole – ხვრელი (ინგლ.).

მეთქი? კმაყოფილს არ ჰგავდა. დარიგებები გავუმეორე და ისევ ვკითხე, კმაყოფილი თუ იყო. ცოტა არ იყოს, გაოგნებული ჩანდა. ალბათ, ეს გადატანილი დიდი სიხარულის გამოძახილი თუ იყო. შეიძლება, უბრალოდ, საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. გესმის მაინც, რას გელაპარაკები? – ჩავეძიე. რა შვება და ნეტარებაა ხანმოკლე საუბარი! გაიმეორე, რაც უნდა გააკეთო! – მოვთხოვე. მხოლოდ ასე გავიგებდი, შეიგნო რამე თუ არა. ჰოულში უნდა ჩავიდე, აქედან თხუთმეტი მილის სავალზე, – მითხრა. თხუთმეტის? – შევძახე. კი, ასეა, – მომიგო. კარგი, გააგრძელე, – ვუთხარი. ველოსიპედი უნდა ვიყიდო, – მითხრა. ჩუმად ველოდი. ის დუმდა. ველოსიპედი! – შევყვირე მოუთმენლად, – მაგრამ ჰოულში ხომ მილიონამდე ველოსიპედია, მაინც როგორი უნდა იყიდო? დაძაბული ფიქრობდა პასუხზე. ნახმარი, – მომიგო ბოლოს, ალალბედზე. და თუ ნახმარის ყიდვა არ მოხერხდა? შენ თქვი, ნახმარი იყიდეო, – ვითომ გამახსენა. ცოტა ხანს ხმა აღარ ამომიღია. თუ ნახმარს ვერ იყიდი, მაშინ რაღას იზამ? – ვკითხე ისევ. ეგ აღარ გითქვამს, – დაიჩივლა. როგორ გამშვიდებს კაცს ხანდახან ეს მოკლე საუბარი. რამდენი მოგეცი? – ვკითხე. ფული გადათვალა და გამომიცხადა: – ოთხნახევარი გირვანქა. კიდე გადათვალე, – ვეუბნები. გადათვალა. ოთხნახევარი გირვანქა, – გაიმეორა ისევ. მომე აქ! – ვუთხარი. ფული გამომიწოდა და მეც გადავთვალე. მართლა ოთხნახევარი გირვანქა იყო. მე ხუთი მოგეცი, – ვეუბნები. არაფერი უპასუხია, ჯიუტ ციფრებს დაეცადა სათქმელის თქმა. ნახევარი გირვანქა მოიპარა და დამალა. ჯიბეები ამოიბრუნე! – ვუთხარი. ჯიბეების ამობრუნებას შეუდგა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ვიწექი. იმან არ იცოდა, რამე თუ მჭირდა. ეგეც არ იყოს, ახლა ხომ არც არაფერი

მაწუხებდა, გონებადაფანტული მივჩერებოდი იმ საგნებს, წინ რომ მილაგებდა. თითო-თითო ამოჰქონდა ჯიბეებიდან, ფრთხილად, საჩვენებელი და ცერა თითით, ცხვირწინ მიტრიალებდა და ბოლოს მიწაზე ალაგებდა იქვე, შორიახლოს. როცა პირველი ჯიბე დაცარიელდა, სარჩულიც ამოაბრუნა და დაფერთხა. მტვრის ბუქი დადგა. ამ შემოწმების უაზრობა მალევე გავაცნობიერე. ვუთხარი, გეყოფა-მეთქი. შეიძლება იმ ნახევარ ფუნტს სახელოში, ან სულაც პირის ღრუში მალავდა. წესით, უნდა წამოვმდგარიყავი და გოჯიგოჯ გამეჩხრიკა საკუთარი ხელით, მაგრამ მაშინ მიხვდებოდა, რომ კარგად ვერ ვიყავი. ისე, რატომ არ მინდოდა სცოდნოდა? არ ვიცი. შემეძლო დარჩენილი ფული გადამეთვალა, მაგრამ ამას რა აზრი ექნებოდა – განა ვიცოდი, რამდენი ფული წამოვიღე თან? არა. საკუთარ თავთან მიმართებაშიც სიამოვნებით ვიყენებდი სოკრატესეულ მეთოდს. ვიცოდი კია, რამდენი დავხარჯე? არა. ჩვეულებრივ, მივლინებაში ყოფნისას, ხარჯის ძალიან მკაცრ ანგარიშს ვაწარმოებდი ხოლმე და ნებისმიერ დროს შემეძლო შემემოწმებინა, უკანასკნელ პენიმდე. ოღონდ – არა ამჯერად. ახლა ისე ლაღად ვფანტავდი ფულს, თითქოს საკუთარი სიამოვნებისათვის ვმოგზაურობდი. დავუშვათ, შევცდი და მხოლოდ ოთხნახევარი გირვანქა მოგეცი-მეთქი, – ვუთხარი. ის ამ დროს გულგრილად კრეფდა მიწაზე დალაგებულ ნივთებს და ისევ ჯიბეებში ინაწილებდა. რანაირად მომეხერხებინა, ჩემი გაეგო? მაგას თავი დაანებე და მომისმინე! – ვუთხარი. ფული გავუწოდე, კიდევ ერთხელ გადასათვლელად. მორჩილად გადათვალა. რამდენია? – ვკითხე. ოთხნახევარი გირვანქა, – მიპასუხა ჯიუტად. შენ ახლა ოთხნახევარი გირვანქა გაქვს? – ჩავეძიე. კი, ეგრეა, – მიპასუხა. მაშ, მე შენ ოთხნახევარი

გირვანქა მოგეცი? კი, – დამეთანხმა. ტყუილი იყო, ხუთი მქონდა მიცემული. მაშ, მეთანხმები? – დავაზუსტე. აბა რა, – თავი დამიქნია. და რისთვის მოგეცი ეგ ფული? მაშინვე სახე გაუბრწყინდა. ველოსიპედის საყიდლად, – მომიგო დაუფიქრებლად. როგორი ველოსიპედის? ნახმარის. შენი აზრით, ნახმარი ველოსიპედი ოთხნახევარი გირვანქა ღირს? არ ვიცი. არც მე ვიცოდი, ოღონდ ეს არ იყო მთავარი. მაინც, სიტყვასიტყვით, რა გითხარი? – ვკითხე. ორივემ დავძაბეთ გონება. სასურველია, ნახმარი იყოს-მეთქი, – ვთქვი ბოლოს. – ეგ არ გითხარი? კი, – დამეთანხმა. ამ ჩვენს დუეტს სრული სახით არ გაწვდით, მხოლოდ საკვანძო ადგილებს – შერჩევით. არ მითქვამს, ნახმარი-მეთქი, – ვუთხარი, – ასე გითხარი, სასურველია, ნახმარი იყოს-მეთქი. ისევ თავისი ნივთების აკრეფა-დანაწილებას მოჰყვა. ხელები გააჩერე და მისმინე, რასაც გეუბნები! – ვუყვირე. ხაზგასმული დაუდევრობით დააგდო კანაფის აბურდული გორგალი. როგორც ჩანს, ფულიც შიგ ჰქონდა დამალული. ვერ ხედავ განსხვავებას ნახმარსა და სასურველია ნახმარს შორის? – ვკითხე. მერე საათს დავხედე. ათს უჩვენებდა. მე მგონი, ჩემი ლაპარაკით კიდევ უფრო ვაბუნდოვანებდი ყველაფერს.

ნურაფრის გაგებას ნუ ცდილობ, – ვუთხარი, – უბრალოდ, მოისმინე, რასაც გეტყვი, მეორედ აღარ გაგიმეორებ. მომიახლოვდა და მუხლებზე დადგა. კაცი იფიქრებდა, სასიკვდილო სარეცელზე ვესვენე და სადაც იყო, სული ამომხდებოდა. იცი, რას ნიშნავს ახალი ველოსიპედი? – ვკითხე. ვიცი, მამიკო, – მიპასუხა. თუ ნახმარი ველოსიპედის ყიდვას ვერ მოახერხებ, ახალი იყიდე, გიმეორებ, – ვუთხარი და ერთხელაც გავუმეორე. ეს – მე, ვინც წუთის წინ ვემუქრებოდი, არ გაგიმეორებ არაფერს-მეთქი. ახლა მითხარი,

რა უნდა გააკეთო? – ვკითხე და დავამატე: – ცოტა შორს გაიწი, პირიდან საშინელი სუნი ამოგდის. კინაღამ ისიც ვუთხარი, კბილებს შენ არ იხეხავ და მერე აბსცესებზე წუწუნებ-მეთქი, მაგრამ დროულად დავაჭირე ენას კბილი. ახალი საკითხის წამოსაჭრელად არცთუ მთლად შესაფერისი დრო გახლდათ. კიდევ ერთხელ გავუმეორე: აბა, მითხარი, რა უნდა გააკეთო? გონება დაძაბა და ღრმად ჩაფიქრდა. ჰოულში უნდა წავიდე, – თქვა მერე, – აქედან თხუთმეტი მილი უნდა ვიარო... მანძილი არაფერ შუაშია, – ვუთხარი, – კარგი, მიხვედი, და მერე? იქ რას შვრები? არა, ვერ აღგიწერთ, რა დღეში ვიყავი. როგორც იქნა, რაღაცას მაინც მიხვდა. ეგ ველოსიპედი რისთვის გვინდა? – ვკითხე, – ვინმე ბიძიასთვის? ჯერაც ვერ გაეგო, მისთვის რომ ვაპირებდი ველოსიპედის ყიდვას. ისე, ლამის უკვე ჩემსიმაღლე იყო. საბარგულზე თითქოს კრინტიც არ დამეძრას. ბოლო-ბოლო, გონება გაუნათდა. მკითხა, რა ვქნა, თუკი ფული არ მეყოო? აქ უნდა დაბრუნდე და გამომართვა-მეთქი, – ვუპასუხე. ცხადია, შვილის გაღვიძებამდე ამაზეც ვიფიქრე და არც იმას გამოვრიცხავდი, შეიძლება გარკვეული სირთულეებიც წამოიჭრას, თუ ხალხს შეკითხვა გაუჩნდა, ამ ბიჭს ამდენი ფული საიდან აქვსო. წინდაწინ ვიცოდი, რას მოიმოქმედებდა ამ შემთხვევაში. კერძოდ, იტყოდა, შემამოწმეთო, ანდა თავისი ფეხით მივიდოდა პოლიციაში, საკუთარ ვინაობას დაუსახელებდა, ეტყოდა, ჟაკ მორანმა, ანუ მე რომ გავგზავნე ჰოულში ველოსიპედის საყიდლად. ამით მიახვედრებდა, ხსენებული მორანი ფეხმოუცვლელად რომ იჯდა თერდიში. აქ უკვე ორი განსხვავებული ქმედება იყო შესასრულებელი: პირველი – სირთულის განჭვრეტა (შვილის გაღვიძებამდე); მეორე – ამ სირთულის დაძლევა (იმის დადგენით, რომ ჰო-

ული უახლოესი დასახლებული პუნქტია). მაგრამ ყველა ამ წვრილმანში გარკვევის საკითხი საერთოდ არც წამოჭრილა. ნუ ღელავ-მეთქი, – ვუთხარი. ფული საკმარისად გაქვს, მშვენიერი ველოსიპედის ყიდვასაც მოახერხებ და მერე რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდები იმიანად-მეთქი. როცა ჩემს შვილთან გაქვს საქმე, ძირისძირამდე უნდა გაითვალისწინო ყველაფერი. თავისით ვერაფრით მიხვდებოდა, რა ექნა ველოსიპედისათვის. თავისუფლად შეიძლებოდა, ჰოულში დარჩენილიყო, ღმერთმა უწყის, რა პირობებში და იქ დალოდებოდა შემდგომ მითითებებს. მკითხა, რა გჭირსო? ეტყობა, სახე მომეჭმუხნა. შენს დანახვაზე გული მერევა, აი, რა მჭირს-მეთქი. მერე ვკითხე: რაღას ელოდებიმეთქი? ვერა ვარ კარგადო, – მიპასუხა. როცა მკითხა, რა გჭირსო, არაფერიც არ ვუპასუხე, ხოლო როცა თავად მას არავინ არაფერს ეკითხებოდა, გამომიცხადა, კარგად ვერა ვარო. არ გიხარია საჩუქრად ახალთახალი, პრიალა ველოსიპედის მიღება-მეთქი? დარწმუნებული ვიყავი, მეტყოდა, მიხარიაო. თუმცა ნათქვამი იმწამსვე ვინანე. ამან უფრო მეტად დააბნია. თანაც, ეს ჩვენი ოჯახური საუბარი მეტისმეტად გაჭიანურდა. როგორც იქნა, კარვიდან გაეტია და რაკი მეგონა, უკვე საკმაო მანძილზე მოშორდა აქაურობას-მეთქი, დიდი გაჭირვებით მეც გარეთ გამოვხოხდი. სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯი თუ გაევლო. ხის ტანს დაუდევრად მიყრდნობილმა, ჯანმრთელი ფეხი მტკივანს მამაცურად ამოვუდე და შევეცადე, უდარდელი იერი მიმელო. მერელა შევეხმიანე. გამომხედა. ხელი დავუქნიე. ცოტა ხანს მიყურა, მერე კი გზა გააგრძელა. ახლა სახელიც დავუძახე. ისევ შემობრუნდა. ფარანი! – დავუყვირე. – რიგიანი ფარანი! ვერ მიმიხვდა. როგორ მიმიხვდებოდა ოცი ნაბიჯის იქით, როცა პირის-

პირ მდგომი ვერ იგებდა ვერაფერს? ჩემკენ გამოემართა. ხელით ვანიშნე, მაგას ნუ იზამ-მეთქი და შევძახე კიდეც, წადი, წადი-მეთქი. გაჩერდა და თუთიყუშივით გვერდზე თავგადახრილი მომაშტერდა, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაბნეული. დაუფიქრებლად დავიხარე რამე კენჭის, ტოტის გადანატეხის ან მიწის ბელტის ასაღებად, რაც სასროლად გამოდგებოდა და კინაღამ ძირს გავიშხლართე. მერე ხეს შევატეხე ნედლი რტო და მთელი ძალით მისკენ მოვისროლე. ზურგი შემაქცია და გაიქცა. ღმერთმანი, ხანდახან სულ არ მესმოდა ამ ჩემი შვილის. ცხადია, იცოდა, იქამდე რტოს კი არა, ქვასაც ვერ მივაწვდენდი და მაინც მოცოცხა. ეტყობა, შეეშინდა – იფიქრა, გავეკიდებოდი. მართლაც არის რაღაც დამზაფრავი იმაში, როგორ დავრბივარ ხოლმე უკან თავგადაგდებული, კბილებდაკრეჭილი, იდაყვებში ბოლომდე ხელებმოხრილი და მუხლებსაც ლამის სახეში ვირტყამ. სირბილის ამგვარი სტილის წყალობით, არაერთხელ დავწევივარ ჩემზე ბევრად უკეთეს მორბენლებს. ფეხი ებორკებათ და ადგილზე შეშდებიან, მელოდებიან კიდეც, ოღონდ დროზე მოთავდეს ეს საშინელებაო. რაც შეეხება ფარანს, ფარანი არაფერში გვჭირდებოდა. მოგვიანებით, როცა ველოსიპედი ჩემი შვილის ცხოვრებაში თავის ადგილს დაიკავებს, მისი ვალდებულებებისა და უმანკო თამაშების რიცხვში ჩაეწერება, აი, მაშინ ფარანი აუცილებელიც გახდება, რათა ღამღამობით გზა გაუნათოს. ეტყობა, ამ ბედნიერი დღეების წინათგრძნობამ თუ გამახსენა ფარანი და ბიჭსაც ამიტომ მივაძახე – ისეთი იყიდე, რომელიც მერე, მგზავრობისას, სიბნელესა და შიშთან გამკლავებაში დაგეხმარება-მეთქი. ფარნისა არ იყოს, მისთვის უთუოდ ისიც უნდა შემეხსენებინა, ზანზალაკთან დაკავშირებითაც ყურადღებით ყოფი-

ლიყო, თავსახური მოეხრახნა და კარგად დაეთვალიერებინა შიგნიდან – დარწმუნებულიყო, გამართულად თუ მუშაობდა; და თანაც ეს – მანამდე, ვიდრე გამყიდველს გაურიგდებოდა. ჯერ უნდა აეხმიანებინა და ენახა, როგორ წკარუნობდა. მაგრამ კიდევ გვექნებოდა დრო ამ ყველაფრის მოსაგვარებლად. თავის დროზე სიამოვნებით მივეხმარები შვილს, საუკეთესო ფარნებსაც მოვარგებინებ ველოსიპედზე, წინაც და უკანაც. საუკეთესო ზანზალაკსაც და საუკეთესო მუხრუჭებსაც.

დღეს ბოლო არ უჩანდა. ბიჭი მომენატრა. თავს რითაც შემეძლო, იმით ვირთობდი. რამდენჯერმე წავიხემსე. იმითაც ვისარგებლე, ღმერთის გარდა, ყველა სხვა მოწმის გარეშე რომ დავრჩი და ხელმრუშობაც დავიწყე. ალბათ ბიჭსაც მოუვიდა თავში ეს აზრი, სადღაც გზაში გაჩერდა და თავადაც იცელქა. სავარაუდოდ, ჩემზე მეტ სიამოვნებას კი მიიღებდა. რამდენჯერმე შემოვუარე კარავს, ვიფიქრე, ეს ვარჯიში მუხლს მოუხდება-მეთქი. საკმაოდ სწრაფად ვმოძრაობდი და თან ტკივილსაც არ ვგრძნობდი, მაგრამ მალევე დავიღალე. ათიოდე ნაბიჯის მერე ფეხი საშინელმა დაღლილობამ შემიბორკა. ვიტყოდი, უფრო სიმძიმემ-მეთქი. იძულებული გავხდი, შევჩერებულიყავი. სიმძიმე მაშინვე გაქრა და ისევ მოვყევი სიარულს. ცოტაოდენი მორფინიც მივიღე. საკუთარ თავს რაღაც-რაღაც შეკითხვები დავუსვი. რატომ არ ვთხოვე შვილს, მტკივანი ფეხისთვის წამალიც გამოეყოლებინა? საერთოდ, რატომ დავუმალე ეს ჩემი მდგომარეობა? ვითომ გულის სიღრმეში იმდენად მახარებდა ეს ჩემი ავადობა, მომჯობინებაც აღარ მინდოდა? კარგა ხანს ვტკბებოდი ბუნების მშვენიერებათა ხიბლით, თვალს არ ვაცილებდი ხეებს, მინდვრებს, ცას, ჩიტებს. ყურადღებით

ვუსმენდი ყოველი მხრიდან მოჯარულ ხმებს. წამით ისიც კი მომეჩვენა, თითქოს ის მდუმარებაც მესმოდა, თუ არ ვცდები, ადრე რომ ვახსენე. კარავში გაშოტილი, ვფიქრობდი საქმეზე, რომელიც თავს მომახვიეს. კვლავ შევეცადე, გამეხსენებინა, რა უნდა მექნა მოლოისთვის, როცა ვიპოვიდი. მერე ნაკადულთანაც მივჩანჩალდი. ახლა იმის ნაპირზე გავწექი და საკუთარ ანარეკლს მივაჩერდი. მერე ხელ-პირიც დავიბანე. დაველოდე, სანამ ანარეკლი ისევ აღდგებოდა წყლის ზედაპირზე, და ვაკვირდებოდი, თავიდან როგორ ყოყმანობდა, სანამ ნელ-ნელა დამემსგავსებოდა. დროდადრო ჩემი სახიდან ჩამოვარდნილი წვეთი შეათრთოლებდა ხოლმე. მთელი დღის მანძილზე ერთი სულიერისთვისაც კი არ მომიკრავს თვალი, თუმცა საღამოხანს გავიგონე, როგორ დაბორიალობდა ვიღაც კარვის შორიახლოს. გავიტრუნე და ნაბიჯების ხმაც მიწყდა. ცოტა მოგვიანებით, როცა არ მახსოვს, რა მიზნით გამოვედი კარვიდან, ჩემგან რამდენიმე ნაბიჯში ვიღაც უცნობი მამაკაცი დავინახე. გაუნძრევლად იდგა, ზურგშექცეული. წელიწადის ამ დროისათვის მეტისმეტად თბილი პალტო ეცვა და ისეთ ვეება – აი, ბოლოსკენ კი არა, წვეროსკენ გამსხვილებულ – ჯოხს ეყრდნობოდა, რომ კეტი უფრო შეეფერებოდა სახელად. შემოტრიალდა და ცოტა ხანს უხმოდ ვუცქერდით ერთმანეთს, ანუ მე მივშტერებოდი პირდაპირ სახეში, როგორც მჩვეოდა, რათა ხალხისთვის მეჩვენებინა, თქვენი არ მეშინია-მეთქი; ის კი მხოლოდ დროდადრო აპარებდა ჩემკენ თვალს და მალევე მარიდებდა მზერას, ცხადია, არა იმდენად სიმორცხვის გამო, რამდენადაც იმისთვის, რომ მშვიდად დაფიქრებულიყო ახლახან ნანახზე, ვიდრე ახალ-ახალ სურათებს დაუმატებდა. მის მზერაში იმგვარი სუსხი და მბრძანებლური ჟინი გამო-

სჭვიოდა, როგორიც მანამდე არასოდეს მენახა. სახე ფერმკრთალი და კეთილშობილური ჰქონდა – შეგშურდებოდა კიდეც კაცს. გავიფიქრე, ორმოცდათხუთმეტზე მეტის არ იქნება-მეთქი და სწორედ ამ დროს ქუდი მოიხადა, წამით ხელში დაიკავა და მერე ისევ დაიხურა. ეს მოძრაობა სალმის ნიშნად ქუდის მოხდას არანაირად არ ჰგავდა. თუმცა მე მაინც საჭიროდ ჩავთვალე, საპასუხოდ თავი დამექნია. ქუდი, თარგითაც და ფერითაც, სრულიად უჩვეულო ჩანდა – აღწერას არ შევუდგები და ვერც ვერაფერს შევადარებ: მსგავსი თავსაბურავი არასოდეს მენახა. თავზე მეორე, ბეწვის ქუდივით ედო დაუბანელი, თოვლივით თეთრი თმა. სანამ ქუდს ისევ ჩამოიფხატავდა, მოვასწარი და მისი თმა კარგად შევათვალიერე. სახეც ჭუჭყიანი და გაბანჯგვლული ჰქონდა, ოღონდ, როგორც უკვე ვთქვი – ფერმკრთალი და კეთილშობილურიც. თუმცა მაინც ჭუჭყიანი და გაბანჯგვლული. რაღაც უცნაური მოძრაობა გააკეთა, როგორც ბუმბულაფოფრილმა ქათამმა, ნელ-ნელა რომ ილაგებს ტანის საფარველს იქამდე, სანამ უწინდელზე მეტად არ დაულაგდება. ვიფიქრე, ასე, სიტყვის უთქმელად აპირებს, გამეცალოს-მეთქი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად პურის ნაჭერი მთხოვა. ეს დამამცირებელი თხოვნა სრულებით არ შეეფერებოდა მის ცეცხლოვან მზერას. უცხოელივით უქცევდა, ანდა იმ ადამიანივით, ვინც ლაპარაკს გადასჩვეოდა. მგონი, თავიდანვე, როცა მის ზურგს მოვკარი თვალი, ერთგვარი შვებითაც კი ვუთხარი საკუთარ თავს, უცხოელი იქნება-მეთქი. ქაშაყის კონსერვს ხომ არ ინებებთ-მეთქი? – შევთავაზე. კაცი პურს ითხოვდა, მე კი თევზს ვთავაზობდი. აი, ესა ვარ, რაცა ვარ. პურიო, – გამიმეორა ისევ. კარავში შევედი და შვილისთვის გადანახულ პურის ნაჭერს დავწვდი –

არადა, უთუოდ მშიერი დაბრუნდებოდა, ვიცოდი. პური უცნობს გავუწოდე. ველოდი, იქვე გამოუყვანდა წირვას, იმან კი ნაჭერი ორად გაყო და პალტოს ჯიბეებში ჩაილაგა. შეიძლება თქვენი ჯოხი შევათვალიერო? – ვკითხე და ხელიც გავიწვდინე. არც კი შერხეულა. მაინც შევეხე იმის ჯოხს, თითები მოვუჭირე და ვიგრძენი, როგორ გაუშვა ხელი. საოცრად მსუბუქი რამე აღმოჩნდა. მერე დავუბრუნე. დამშვიდობების ნიშნად ერთიც შემავლო თვალი და წავიდა. თითქმის ბნელოდა. სწრაფი, არეული ნაბიჯით მიდიოდა, ხშირად იცვლიდა გეზს და იმ ჯოხსაც უფრო მიათრევდა, ვიდრე ზედ ეყრდნობოდა. მინდოდა, ასე ვმდგარიყავი და თვალი მედევნებინა მისთვის. დროც თუ გაჩერდებოდა, კიდევ უკეთესი. მინდოდა, შუაგულ უდაბნოში აღმოვჩენილიყავი, შუადღის თაკარა მზის ქვეშ და იქამდე მეცქირა მიმავლისთვის, ვიდრე ცისკიდურზე პაწაწინა წერტილად არ იქცეოდა. კარგა ხანს ვიდექი ასე, კარავთან. დროდადრო გაფაციცებით ვაყურადებდი, მაგრამ ჩემი შვილი არსად ჩანდა. ვიგრძენი, სიცივე მიტანდა. კარავში შევბრუნდი, დავწექი და ქვეშ ბიჭის ლაბადა დავიფინე. მაგრამ როცა ვნახე, ძილი მერეოდა, ისევ გარეთ გამოვედი, დიდი ცეცხლი დავანთე ბიჭისთვის, გზა რომ მეჩვენებინა. სანამ კოცონი აგიზგიზდებოდა, საკუთარ თავს ვუთხარი, აი, ახლა კი გავთბები-მეთქი. გავთბი კიდეც, ხელებს ცეცხლს ვუფიცხებდი და მერე ღონივრად ვიფშვნეტდი. კოცონთან ზურგითაც ვდგებოდი, პალტოს კალთებს ვიკეცავდი და შამფურზე წამოგებულივით ვტრიალებდი. ბოლოს, სითბოთი და დაღლილობით მთლად მოთენთილი, კოცონთან მივწექი და სანამ დამეძინებოდა, გავიფიქრე, ნაპერწკალი შეიძლება ტანისამოსზე დამეცეს და დილით აალებულ მაშხალად გამომეღვიძოს-მეთქი. ბევრი სხვა რა-

მის გაფიქრებაც მოვასწარი, რაც სულ სხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებელ აზრებს ეხებოდა. როცა გამეღვიძა, ისევ დღე იდგა, კოცონი ჩანავლებულიყო, თუმცა ნაცარს ჯერაც შერჩენოდა სითბო. ფეხს უკეთესობა არ ეტყობოდა, ოღონდ არც უარესობისკენ ექნა პირი. შეიძლება ოდნავ გამიუარესდა, მაგრამ ამის გაცნობიერება იმ მარტივი მიზეზის გამო არ შემეძლო, რომ, ღვთის წყალობით, ტკივილს უკვე მივჩვეოდი. ვფიქრობ, არც არაფერი შეცვლილა, რადგან სწორედ იმ დროს, როცა საკუთარ მუხლს ველოლიავებოდი და ათასნაირ შემოწმებას ვუტარებდი, უკვე ვიცოდი ტკივილთან შეჩვევის თაობაზე და ვცდილობდი, ამას როგორმე მოვრეოდი. და მორანმა კი არა, ჩემს საიდუმლოებებს განდობილმა ვიღაც სხვამ წარმოთქვა: არაფერი შეცვლილა, მორან, სრულიად არაფერი. ეგებ ეს შეუძლებლადაც მოსჩვენებოდა ვინმეს, მე კი ჭალაში შევაბიჯე ჩემთვის ჯოხის მოსატეხად. მაგრამ როგორც კი შესაფერისი ტოტი ვიპოვე, გამახსენდა, რომ დანა არ მქონდა. კარავში დავბრუნდი. იმედი მქონდა, შვილის დანასაც მივაგნებდი იმ ნივთებს შორის, მიწაზე რომ დაალაგა და აღარ აკრიფა. დანა არსად ჩანდა. სამაგიეროდ, ქოლგა დავინახე და ვთქვი: რა საჭიროა ტოტის მოჭრა, თუკი ქოლგა გაქვს კაცს? ქოლგაზე დაყრდნობილმა გავიარ-გამოვიარე, გავივარჯიშე. მართალია, ამას არც ჩემი მოძრაობა აუჩქარებია და არც ტკივილი შეუმცირებია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისე სწრაფადაც აღარ ვიღლებოდი. დასასვენებლად ყოველი ათი ნაბიჯის გავლის შემდეგ აღარ ვჩერდებოდი და იოლად გავდიოდი თხუთმეტ ნაბიჯს. ეგ კი არა, ქოლგა შესვენებისასაც დიდ დახმარებას მიწევდა. როგორც აღმოჩნდა, მასზე დაყრდნობილს სწრაფად მიქრებოდა ფეხში, სავარაუდოდ, სისხლის მიმოქცევის

დარღვევის გამო გაჩენილი სიმძიმე – გაცილებით სწრაფად, ვიდრე მხოლოდ ხერხემლის კუნთების დაძაბვით დგომისას. ქოლგით აღჭურვილს, უკვე აღარაფერი მაიძულებდა, გუშინდელივით მხოლოდ კარვის ირგვლივ მერტყა წრეები: ახლა შემეძლო ყველა მიმართულებით მევლო. ეგ კი არა, პატარა გორაკსაც კი მოვექეცი თავზე, საიდანაც უკეთ მოჩანდა მთელი სივრცე და შემეძლო წუთი-წუთზე შვილის გამოჩენას დავლოდებოდი. დროდადრო წარმოვიდგენდი კიდეც საჭისკენ წახრილსა თუ სატერფულებს დაყრდნობილსა და უნაგირიდან წამოწეულს, თითქოს მესმოდა მოახლოებულის გახშირებული სუნთქვა და მის ფუმფულა სახეზე გაბადრულ ღიმილსაც ვარჩევდი, დაბრუნების სიხარულით გამოწვეულს. თუმცა, იმავდროულად, ფხიზლად ვუთვალთვალებდი კარავსაც, რომელიც უჩვეულო ძალით მიზიდავდა და უკან მექაჩებოდა. ამიტომ მანძილის შესამცირებლად სწორხაზოვანი გეზიდან გადახვევას ვერიდებოდი – ყოველი ახალი გასეირნების შემდეგ ისევ კარავთან ვბრუნდებოდი, რათა დავრწმუნებულიყავი, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. მეორე დღე მეტწილად ამ აფორიაქებულ მისვლა-მოსვლას დავახარჯე, თვალთვალსა და ათასი რამის წარმოდგენას, თუმცა დროდადრო ვწვებოდი კიდეც – ზოგჯერ კარავში, ჯერაც სახლის მაგივრობას რომ მიწევდა, და აუჩქარებლად ვფიქრობდი ჩემს საფიქრალს – კერძოდ იმას, რომ საგზალი ისე ჩქარა ილეოდა, საღამოს ხუთ საათზე ხარბად შესანსლული სადილის მერე ორად-ორი ქილა ქაშაყის კონსერვი, ერთი პეშვი ორცხობილა და რამდენიმე ვაშლიღა გვრჩებოდა. ამავე დროს ვცდილობდი, გამეხსენებინა, რა უნდა მექნა მოლოისთვის, როცა ვიპოვიდი. ვფიქრობდი საკუთარ თავზეც, იმაზე, თუ რა შეცვლილიყო ჩემში ბოლო დროს. მეჩვენებო-

და, თითქოს ვხედავდი, როგორ ვბერდებოდი უდღეური პე-
პელასავით სწრაფად, თუმცა მთლად დაბერების წარმო-
დგენა მიჭირდა კიდეც. უფრო ნგრევის სურათები მიდგებო-
და თვალწინ, იმ ყველაფრის საზარელი მსხვრევის, რაც მუ-
დამ მიცავდა ყოველივე იმისაგან, რადაც ყოფნა ბედისწერას
ჩემთვის განაჩენად გამოეტანა; ანდა სულ უფრო აჩქარებუ-
ლი სვლა სიბნელეში – სინათლისაკენ და რაღაც სახისკენ,
რომელსაც ერთ დროს ვიცნობდი და რომელიც უარვყავი.
რა სიტყვებით გინდა აღწერო განცდა, რომელიც წყვდიადსა
და სიმძიმეში, ქვების მსხვრევის ხმაში იშვა და მერე წყლის
ლივლივივით დანაზდა? ამის შემდეგ მომცრო ბურთი დავი-
ნახე, ნელ-ნელა ირწეოდა ფსკერიდან დაძრული და წყლის
დამშვიდებულ ზედაპირს უახლოვდებოდა. ეს ზედაპირი თა-
ვიდან გლუვი და ისეთივე გამჭვირვალე ჩანდა, როგორიც იმ
ბურთის მოძრაობის თანამდევი ჭავლი იყო. მერე ის სახედ
იქცა – თვალის ფოსოებად, ტუჩებად და სხვა ნაკვთებად,
რის მიხედვითაც ვერ მიხვდებოდი, კაცისა იყო თუ ქალის,
ახალგაზრდისა თუ ბებრის და ხომ არ იყო მისი სიმშვიდე იმ
წყლის დამსახურება, მასა და შუქს შორის რომ ტორტმანებ-
და. გამოგიტყდებით, გონებაგაფანტული ვაკვირდებოდი ამ
საოცარ სახილველს, რითაც, ვფიქრობ, ნგრევის ეს ჩემეული
განცდა საკუთარი თავის დაკმაყოფილებას ცდილობდა.
ხოლო ის, რომ ამ სახილველს უკვე დიდად აღარ ვუკირკი-
ტებდი, ჩემში მომხდარი ცვლილებების მანიშნებელია და კი-
დევ იმის, რომ არად დაგიდევდით, მოვახერხებდი თავშეკა-
ვების შენარჩუნებას თუ ვერა. მეტი სიჯიუტე რომ გამო-
მეჩინა, უთუოდ ახალ-ახალ აღმოჩენებს გავაკეთებდი იმას-
თან დაკავშირებით, რაც მე შემეხებოდა, მაგრამ სუსტი შუ-
ქის პირველსავე გაკრთომაზე – ირგვლივ შემოჯარულ პირ-

ქუშ ჩრდილებს ვგულისხმობ, რომელთაც ხილვები თუ აზრები აფრთხობდნენ – სულ სხვა საზრუნავი იპყრობდა ჩემს ყურადღებას. მერე კი ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. ამგვარ ვითარებაში ძალიან მიჭირდა საკუთარი თავის ცნობა, რადგან ბუნებით, უფრო სწორად, ჩვევების კარნახით, არ მიყვარდა ერთდროულად ყველაფრის აწონ-დაწონა, მერჩია, ცალ-ცალკე გამეთვალა ყველა გასათვლელი და ზღვარზე მიმეყვანა. იგივე ხდებოდა მოლოის შესახებ არასაკმარისი ცნობების შემთხვევაშიც. საკმარისი იყო, ჩემი მახსოვრობის ფსკერზე რაღაც რხევები მეგრძნო, რომ საჩქაროდ სხვა უცნობებისაკენ მექაჩებოდა რაღაც. მე, ვინც ორიოდ კვირის წინ სიამოვნებით შევუდგებოდი იმის გაანგარიშებას, რამდენ ხანს მეყოფოდა დარჩენილი საგზალი; არც ის გამომრჩებოდა მხედველობიდან, ვიტამინები და კალორიებიც გამეთვალისწინებინა და ფიქრში ათასნაირ მენიუსაც კი შევადგენდი, ახლა, ლამის მარაგის გარეშე დარჩენილი, მხოლოდ იმით შემოვიფარგლე, რომ გულგრილად შევნიშნე, მალე ალბათ გამოფიტვით მოვკვდები, თუკი საჭმლის მარაგი ვერ განვაახლე-მეთქი. მაგრამ გვეყოფა ამ მეორე დღეზე ლაპარაკი. ისღა უნდა გავიხსენო, რა მოხდა, სანამ მესამე დღე დადგებოდა.

ცეცხლი დავანთე და თვალს ვადევნებდი, როგორ იკრებდა ძალას. სწორედ ამ დროს გავიგონე, ვიღაც მეძახდა. ისე ახლოდან, შევკრთი კიდეც. კაცის ხმა იყო. შეკრთომა არ შევიმჩნიე, ისევ კოცონს ვუტრიალებდი, ვითომც არაფერი მომხდარიყო; იმ ტოტით ვუჩხიკინებდი, რომელიც სწორედ ამ მიზნით მოვტეხე სულ ცოტა ხნის წინ და რომელსაც ფრჩხილებით უკვე ავაგლიჯე ყველა პატარა წანაზარდი, ფოთოლი და, ასე განსაჯეთ, ქერქის ნაწილიც კი. უნდა გითხ-

რათ, რომ ერთი სიამოვნება იყო ჩემთვის ტოტების გატყავება, მოთეთრო მერქნის გაშიშვლება, თუმცა ამ საქმიანობაში ხშირად მიშლიდა ხელს ხის სიყვარული თუ სიბრალული. ახლო მეგობრად მივიჩნევდი იმ ხუთიათასწლოვან სანდალოზის ხეს, ტენერიფეზე რომ დაბუგა მეხმა. აი, დღეგრძელობის ჭეშმარიტი მაგალითი. ეს ჩემი ტოტი მსხვილი იყო, ნედლი და კოცონში ჩხიკინისას არც ცეცხლი ეკიდებოდა. წვრილი ბოლოთი მეჭირა. ცეცხლის ტკაცატკუცი, უფრო სწორად, ნაღვერდლის გროვის – ძლიერი ცეცხლი კი არ ტკაცუნობს, არამედ სულ სხვა ხმას გამოსცემს – იმ უცნობ კაცს სრულიად შეუმჩნევლად მოახლოებაში დაეხმარა. ბევრი არაფერი მაღიზიანებს ისე, როგორც უჩუმრად თავზე წამოდგომა. მოძალებული შიშის მიუხედავად, რაც იმედია, შეუმჩნეველი დარჩა, კოცონთან საქმიანობას ისე ვაგრძელებდი, ვითომც სულ მარტო ვყოფილიყავი, მაგრამ როცა მხარზე მძიმე ხელის შეხება ვიგრძენი, არჩევანი აღარ დამრჩა და ის მოვიმოქმედე, რასაც ჩემს ადგილას ნებისმიერი მოიმოქმედებდა. კერძოდ, სწრაფად შემოვბრუნდი და იმედი მაქვს, ამ მოძრაობით ერთდროულად გამოვხატე შიშიცა და მრისხანებაც. პირისპირ შევეფეთე კაცს, ვისი სახის ნაკვთები და სხეულის აგებულებაც ბუნდოვნად ჩანდა ჩამომდგარი ბინდის გამო. სალამი, ძმაო, – მომესალმა. თანდათანობით მივხვდი, რა ყაიდის ხალხს განეკუთვნებოდა. გეფიცებით, მისი პიროვნების შემადგენელ ნაწილთა შორის დიდი თანხმობა და ჰარმონია სუფევდა, ასე რომ, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: მისი სახე მისსავე სხეულის ღირსი იყო და პირუკუ. აი, მისი უკანალის ხილვაც რომ შემძლებოდა, ეჭვი არაა, ისიც სხვა დანარჩენის ბადალი იქნებოდა. მითხრა, არ მეგონა, ამ ულრანში ვინმეს თუ გადავეყრებოდი, ბედი მქონიაო.

როცა უკვე ბოლომდე აგიზგიზებულ და ნებაზე გათამამებულ კოცონს მოვშორდი, მის შუქზე უკეთ შევათვალიერე დაუპატიჟებელი სტუმარი და დავრწმუნდი, რომ მართლა ისეთი საზიზღარი ვინმე იყო, როგორც ვვარაუდობდი. ხომ ვერ მეტყოდით... – დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ჯერ მოკლედ უნდა აღვწერო მისი გარეგნობა, თუმცა კი ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება. ტანმორჩილი იყო, ოღონდ ჩასხმულ-ჩაკირული. სქელი, საშინელ თარგზე შეკერილი, მუქი ლურჯი კოსტიუმი და წვერაპრეხილი, აღმაშფოთებლად ფართო, შავი ფეხსაცმელი ეცვა. შემთხვევით, ხომ არ იცით... – წამოიწყო ისევ. ყელზე რამდენჯერმე შემოხვეული, ლამის ორმეტრიანი, შავი კაშნეს ბეწვიანი ბოლოები ზურგსუკან ეკიდა. თავზე ვიწროფარფლიანი ლურჯი ქუდი ეხურა, რომელშიც ანკესი ჩაერჭო, რაც დიდად სპორტულ იერს აძლევდა. ჩემი გესმით? – მკითხა. მაგრამ ეს ყოველივე სახსენებელიც არ გახლდათ მის სახესთან შედარებით, რომელიც, წუხილით მინდა ვაღიარო, ჩემსას ჩამოჰგავდა რაღაცით. ცხადია, არც ასეთი დახვეწილი გახლდათ, მაგრამ მოკლედ შეკრეჭილი, შეუხედავი ულვაშები, ზღვის გოჭისებური წვრილი თვალები, ცხვირის პარაფიმოზი და ავადმყოფურად წითლად მოვარვარე, მკაცრად მოკუმული თხელი ტუჩები ერთიერთში მეორდებოდა. ჰეი თქვენ! – მომმართა ისევ. მე კვლავ კოცონს მივუბრუნდი. ცეცხლი მთელი ძალით გიზგიზებდა. კიდევ მივაშველე ნაფოტები. თქვენ გელაპარაკებით, არ გესმით? – მომაძახა უცნობმა. მე კარვისკენ დავაღირე თავი. გზა გადამიღობა – ეტყობა, ჩემი კოჭლობით გათამამებულმა. ხმას რატომ არ იღებთ? – მკითხა. მე თქვენ არ გიცნობთ, – მივუგე. თან გამეცინა კიდეც. არადა, მასხრობის გუნებაზე სულაც არ გახლდით. ჩემი სავიზიტო ბარათის ნახვა ხომ არ

გნებავთ? – მკითხა. ეგ არც არაფერს შეცვლის, – მივახალე. ჯიქურ მომიახლოვდა და წინ ამესვეტა. გზა-მეთქი! – იქით შევუტიე. ახლა იმას აუტყდა სიცილი. პასუხის გაცემაზე უარს ამბობთ? – მკითხა. თავს როგორღაც მოვერიე და შედარებით მშვიდად შევუბრუნე კითხვა: მაინც, რისი გაგება გნებავთ? ეტყობა, იფიქრა, ფარ-ხმალი დაყარაო და მითხრა: აი, ეგ უკვე სულ სხვა ლაპარაკია. მშველელად შვილზე ფიქრს მოვუხმე, ჩემს ბიჭზე, რომელიც წუთი-წუთზე შეიძლებოდა დაბრუნებულიყო. ჩემი სათქმელი უკვე გითხარით, – მოვუჭერი, თან ერთიანად, მთელი ტანით ვცახცახებდი. თუ არ შეწუხდებით, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ, – მითხრა. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იმის გაგება სურდა, ხომ არ დამენახა აქეთ ჩავლილი კეტიანი მოხუცი. თან ზედმიწევნით აღმიწერა კიდეც. თუმცა არც მთლად ზუსტად. ასე მეგონა, მისი ხმა სადღაც შორიდან აღწევდა ჩემამდე. არა, – ვუთხარი. რა არა? – გაიკვირვა. არავინ მინახავს, – განვუმარტე. არადა, ნამდვილად ამ გზით ჩაივლიდა, – მითხრა. მე ხმა არ ამომიღია. დიდი ხანია, რაც აქ ხართ? – არა და არ მანებებდა თავს. მისი სხეული სულ უფრო და უფრო კარგავდა მოხაზულობას, თითქოს იღვენთებოდა და იდღაბნებოდა. მაინც რას საქმიანობთ აქ? – ახლა ჩემი საქმიანობის გარკვევაც მოინდომა. თქვენ რა, ღამის შემოვლაზე ხართ გამოსული? – ვკითხე. ხელი გამომიწოდა. თუ სწორად მახსოვს, ხელახლა ვთხოვე, გზიდან ჩამომცლოდა. დღემდე მახსოვს ჩემკენ გამოშვერილი მისი ხელის მტევანი – უფერული და თითქოს სისხლისაგან მთლად დაწრეტილი, იშლება და იკუმშება; იფიქრებ, სულაც ცალკეა, დანარჩენ სხეულს მოწყვეტილი და მოცილებულიო. მერე რა მოხდა, არ ვიცი. თუმცა ცოტა ხანში, ეგებ კარგა ხნის მერეც, მიწაზე გართხმული და

თავგაჩეხილი ვიპოვე. ვწუხვარ, მაგრამ იმის ახსნა, როგორ და რა გზით მივაღწიე ხსენებულ შედეგს, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. არადა, მოსათხრობად მშვენიერი პასაჟი კი იქნებოდა. ალბათ არც ივარგებს ლამის ბოლომდე მიყვანილ ამ ჩემს ანგარიშში ახლა ლიტერატურისთვის ვცადო ხარკის გადახდა. თავად მე უვნებელი გადავრჩი, თუ არ ჩავთვლით მომდევნო დღეს შემთხვევით აღმოჩენილ რამდენიმე ნაკაწრს. მისკენ დავიხარე. ასე წახრილი მივხვდი, რომ ფეხის მოღუნვა კვლავაც მოვახერხე. ძირს გართხმული კაცი უკვე აღარ მგავდა. კოჭებში ჩავავლე ხელი და უკან-უკან სვლით როგორღაც კარავში შევათრიე. ფეხსაცმელზე შავი საცხის სქელი ფენა უბზინავდა. წინდები იმხანად მოდური ფერისა ეცვა, შარვლის ტოტები აექაჩა და თეთრი, გლუვი კანჭები გამოეჩინა – ჩემსავით წვრილი და გაჩხინკული. ლამის თითები შემოვაწვდინე. აჭიმები გაეკეთებინა, რომელთაგან ერთი შეხსნოდა და ძირს ეთრეოდა. ამის დანახვაზე გული ამიჩუყდა. მუხლმა ისევ აურია, უფრო და უფრო ძნელად იხრებოდა, მაგრამ ამას უკვე აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. კარავში შევძვერი და ბიჭის ლაბადას დავწვდი. მერე კოცონთან დავბრუნდი, იქვე, პირდაპირ მიწაზე მივწექი, ლაბადა კი ზედ წავიფარე. დიდხანს არ მძინებია, თუმცა მაინც გამოვიძინე. ჭოტების კივილს მივაყურადე. არა, ბუს ხმა მათში არ ერია. ისინი მატარებლის კივილივით ხმას გამოსცემენ. ახლა ბულბულის გალობასაც მივუგდე ყური. მერე ჭილყვავების ჟივილ-ხივილიც მომესმა სადღაც შორიდან. ღამით ახმიანებული სხვა ფრინველების სახელებიც რომ მცოდნოდა, უთუოდ იმათაც მოვუსმენდი. თან შევცქეროდი, როგორ ინავლებოდა ცეცხლი, ვიწექი და ორივე ხელის მტევანი ლოყის ქვეშ მქონდა ამოდებული. განთიადს ველოდებოდი. ოდნავ ინათა

თუ არა, წამოვდექი და კარვისკენ გავემართე. უცნობსაც თითქმის მთლად გახევებოდა ფეხები მუხლებში, მაგრამ საზარდულში, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ეხრებოდა. მეჩხერი ტყისკენ გავაჩოჩიალე. გზადაგზა ხშირ-ხშირად ვისვენებდი, თუმცა იმისი ფეხები უწინდებურად ხელებში მეჭირა, არ მინდოდა, ყოველ ჯერზე ხელახლა დავხრილიყავი. მერე კარავი დავშალე და უცნობის სხეული მისი ტოტებით დავფარე. ორივე ზურგჩანთა ჩავალაგე, მხარზე მოვიგდე და ლაბადას და ქოლგასაც დავწვდი. მოკლედ, ბანაკი ავშალე. ოღონდ სანამ წამოვიდოდი, კარგად დავფიქრდი, რამე ხომ არ მავიწყდება-მეთქი, და არც მთლად გონების იმედად დარჩენილმა, ჯიბეებზეც დავირტყი ხელი, ირგვლივაც ყურადღებით მიმოვიხედე. ჯიბეზე ხელის დარტყმისას აღმოვაჩინე, რომ გასაღებების აცმა გამქრალიყო, რასაც ჩემი გონება წინასწარ ვერანაირად ვერ მამცნობდა. დიდხანს მაინც არ მომიხდა ძებნა: როგორც აღმოჩნდა, სალტე გატეხილიყო და გასაღებები მიწაზე მიმობნეულიყო. მართალი გითხრათ, თავიდან ძენკვი ვიპოვე, მერე – გასაღებები და სულ ბოლოს – ორად გადატეხილი სალტე. რამდენადაც გამორიცხული იყო, თუნდაც ქოლგის დახმარებით დავხრილიყავი და ცალ-ცალკე ამელო თითოეული გასაღები, ზურგჩანთები მოვიხსენი, ლაბადა და ქოლგაც გვერდზე მივალაგე, გასაღებებს შორის მუცელზე გავწექი და ასე, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოვახერხე მათი აკრეფა. თუ გასაღები ხელის გაწვდენაზე შორს ეგდო, ორივე ხელით ბალახ-ბულახს ვეჭიდებოდი და მისკენ ვექაჩებოდი საკუთარ სხეულს. ჯიბეში ჩადებამდე ყოველ გასაღებს ვწმენდდი იმის მიუხედავად, არსებობდა ამის საჭიროება თუ არა. დროდადრო იდაყვებზე წამოვიწეოდი ხოლმე, უკეთ რომ შემეთვალიერებინა სამოქმედო ველი. სწორედ

ასე აღმოვაჩინე რამდენიმე გასაღები საკმაოდ მოშორებით და მათთან მისაღწევად ვეება ცილინდრივით გადაგორება დამჭირდა. როცა გასაღებები ველარსად დავლანდე, საკუთარ თავს ვუთხარი, გადათვლას აზრი არა აქვს, რადგან არც თავიდანვე მცოდნია, რამდენი გასაღები მქონდა-მეთქი. ამიტომ ისევ გავაგრძელე ძებნა. თუმცა ბოლოს ხელი ჩავიქნიე – ეშმაკსაც წაუღია, იმითაც გავალ იოლას, რაც უკვე მოვაგროვე-მეთქი. სანამ ასე დავეძებდი ამ ჩემს გასაღებებს, სალტის ყუნწიც ვიპოვე და მეჩხერ ტყეში მოვისროლე. გასაკვირი ამბავია: ვიპოვე ჩემი ჩალის ქუდიც, რომელიც მეგონა, რომ თავზე მეხურა. ერთ-ერთ საზონრე ხვრელს იმდენად დაელო პირი, ხვრელი კი არა, გვირაბი უფრო ეთქმოდა. სამაგიეროდ, მეორე დარჩენილიყო უწინდელ ზომაზე და ჯერ კიდევ იმაგრებდა ზონრის ბოლოს. როგორც იქნა, წარმოვთქვი, ახლა წამოვდგები და ჩემი ტანის სიმაღლიდან უკანასკნელად მოვათვალიერებ ამ ადგილს-მეთქი. ასეც მოვიქეცი. სწორედ მაშინ იყო, იმ სალტის ჯერ ერთი ნახევარი რომ დავლანდე და მერე – მეორეც. ამის შემდეგ აღარაფერი მიპოვია იმ ნივთებიდან, რაც მე და ჩემს შვილს გვეკუთვნოდა. ისევ მოვიკიდე ორივე ზურგჩანთა, ქუდი ჩამოვიფხატე, ლაბადა მკლავზე გადავიგდე, ქოლგას დავწვდი და წამოვედი.

თუმცა შორს არ წავსულვარ, რადგან მალე პატარა ბორცვის წვერზე გავჩერდი, საიდანაც კარგად მოჩანდა ნაბანაკარი ადგილიცა და მისი შემოგარენიც. ამასობაში დიდად საგულისხმო მოვლენა აღმოვაჩინე: გორაკი, სადაც ვიდექი, თვით ღრუბლებიც კი ცაზე, იმნაირად იყო განლაგებული, რომ ჩემს მზერას თანდათან სწორედ ბანაკისკენ მიმართავდნენ, როგორც ეს ძველი ოსტატების ნახატებზე ხდება ხოლმე. უფრო მოხერხებულად მოვეწყვე, ჩემი ტვირთისაგან გავთავისუფლ-

დი და მთელ ქილა კონსერვს გეახელით, ზედ ერთი ვაშლიც კი დავაყოლე. მერე ლაბადა დავიგე და პირქვე გავწექი. იდაყვებით მიწას ვეყრდნობოდი, ხელისგულები ნიკაპქვეშ მქონდა ამოდებული და ცისკიდურს გავცქეროდი. ხანდახან ორივე ხელისგულს მიწას ვაბჯენდი და მერე ლოყასაც ვადებდი ხოლმე, ხუთი წუთი – ერთს, ხუთი წუთი – მეორეს. თან მთელი ამ ხნის მანძილზე სულ მუცელზე ვიწექი. ზურგჩანთებისაგან რაღაც ბალიშისმაგვარის შეკონწიწება შეიძლებოდა, მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ. ეს აზრი თავშიც არ მომსვლია. დღემ მშვიდად ჩაიარა, თავგადასავლების გარეშე. მესამე დღის ამ ერთფეროვან დინებაში მხოლოდ ძაღლი გამოერია თვალსასეიროდ. ჩემი კოცონის ნარჩენებს ერთი-ორი წრე დაარტყა და ტყეში გაუჩინარდა. მერე აღარ დამინახავს – არ ვიცი, ფიქრში გავერთე თუ ძაღლმა ბოლომდე ტყე-ტყე იარა და ასე გააღწია იქიდან. ქუდსაც მივხედე: კონსერვის გასახსნელით ძველი, პირდაფჩენილი ნახვრეტის გვერდით ახალი ნახვრეტი გავაკეთე და ზონარი დავამაგრე. ამავდროულად, სალტეც შევაკეთე, ნახევრები ერთმანეთზე გადავგრიხე, გასაღებები კვლავ ზედ ავასხი და ბოლოს ძეწკვიც დავუმაგრე. როგორმე დრო რომ მომეკლა, საკუთარ თავს რამდენიმე შეკითხვა დავუსვი და შევეცადე, მათზე პასუხი გამეცა. აი, ზოგიერთი მათგანი:

კითხვა. რა დაემართა იმ კაცს, ფეტრის ლურჯი ქუდი რომ ეხურა?

პასუხი.

კითხვა. იყო თუ არა შესაძლებელი, ეჭვი კეტიან ბერიკაცზე მიეტანათ?

პასუხი. სავსებით.

კითხვა. რამდენად მოახერხებდა თავის გამართლებას?

პასუხი. ალბათ, ვერანაირად.

კითხვა. საჭირო იყო თუ არა მომხდარზე შვილთან რაიმეს თქმა?

პასუხი. არა, რადგან ამ შემთხვევაში მისი ვალი იქნებოდა ჩემი დასმენა.

კითხვა. დამასმენდა თუ არა?

პასუხი.

კითხვა. როგორ ვგრძნობდი თავს?

პასუხი. თითქმის ისევე, როგორც ყოველთვის.

კითხვა. და მაინც, შევიცვალე თუ არა და კვლავაც თუ ვიცვლებოდი?

პასუხი. დიახ.

კითხვა. ამის მიუხედავად, ვგრძნობდი თავს თითქმის ისევე, როგორც ყოველთვის?

პასუხი. დიახ.

კითხვა. რით აიხსნებოდა ეს?

პასუხი.

ეს კითხვები, ისევე როგორც სხვები, დროის მეტ-ნაკლებად დიდი მონაკვეთებით ენაცვლებოდა ერთმანეთს. თან არა მარტო კითხვა – კითხვას, არამედ კითხვა – შესაბამის პასუხსაც. ეგეცაა, პასუხები ყოველთვის როდი მოდიოდა იმავე თანმიმდევრობით, რომლითაც – კითხვები. თუმცა მე დასმულ შეკითხვაზე პასუხისა თუ პასუხების ძიებისას პასუხსა თუ პასუხებს იმ შეკითხვებზე ვპოულობდი, რომლებიც ამაოდ დამესვა საკუთარი თავისთვის. იმას ვგულისხმობ, რომ არ შემეძლო მათზე მეპასუხა, ანდა გაჩენილიყო კიდევ ერთი ან რამდენიმე კითხვა, რომლებიც, თავის მხრივ, პასუხებს დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ.

როცა წარმოსახვით ვუბრუნდები ამჟამინდელ დროს, ვაცხადებ, რომ ყოველივე ზემოთქმული მყარი, მეტიც, დაკ-

მაყოფილებული ხელით დაიწერა უკიდურესად ნათელი გონების კარნახით. მე უკვე შორს ვიქნები, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავენ; უკვე ისეთ ადგილას, სადაც ჩემი ძებნა არავის მოუვა აზრად. თან იუდიც იზრუნებს ჩემზე. ის არავის მისცემს უფლებას, იმ შეცდომის გამო დამსაჯონ, რაც სამსახურში დავუშვი. არც ჩემს ვაჟს უზამენ რამეს, ეგებ თანაუგრძნონ კიდეც – ეგ რანაირი მამა გყავსო; ყოველი მხრიდან მიაყრიან დახმარების შეთავაზებებსა თუ პატივისცემის გამოხატულებებს.

ასე აუჩქარებლად მიედინებოდა მესამე დღე. დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე მადიანად გამოვუყვანე წირვა კონსერვის ბოლო ქილას და ორცხობილასაც. ასე და ამგვარად, მხოლოდ რამდენიმე ვაშლი და ცოტაოდენი ორცხობილაღა დამრჩა. ასე, შვიდი საათისთვის კი ბიჭიც გამომეცხადა. მზე უკვე დასავლეთისკენ იხრებოდა. ეტყობა, ჩამეძინა, რადგან ცისკიდურზე ის წერტილი ვერ დავლანდე, რომელიც – როგორც ვვარაუდობდი კიდეც – ყოველ წუთს დიდდებოდა. ის უკვე ჩემსა და ბანაკს შორის მოქცეულიყო და სწორედ ამ უკანასკნელისკენ ეჭირა გეზი, როცა დავინახე. გავლიზიანდი, ცოცხლად წამოვხტი ფეხზე და ავყვირდი, თან ქოლგას ვიქნევდი თავს ზემოთ. ბიჭი ამ ხმაზე შემოტრიალდა. ვანიშნე, მოახლოებულიყო და თან ისე ვატრიალებდი ქოლგას, თითქოს სახელური რამისთვის მინდოდა გამომედო. წამით მომეჩვენა, თითქოს დამორჩილებას არ აპირებდა და ისევ ბანაკისკენ აპირებდა წასვლას, უფრო სწორად, იმ ადგილისაკენ, სადაც ადრე ბანაკი იყო, რადგან ახლა ის აღარ არსებობდა. ბიჭი ჩემკენ გამოემართა და მომიახლოვდა თუ არა, ველოსიპედი ისეთი სახით დაუშვა მიწაზე, აქაოდა, მთლად გამომელია არაქათიო. წამოაყენე, მინ-

და შევხედო-მეთქი, – ვუთხარი. ერთ დროს ეს ველოსიპედი მართლა კარგი რამე იქნებოდა. სიამოვნებით აღგიწერდით, სიამოვნებით დავწერდი მხოლოდ მასზე, სულ ცოტა, ოთხი ათას სიტყვას მაინც. და შენ ამას ველოსიპედს ეძახი? – ვკითხე. პასუხსაც არ დავლოდებივარ, ისე გავაგრძელე თვალიერება, მაგრამ მის დუმილში იყო რაღაც უჩვეულო და მეც ბიჭისკენ გამექცა მზერა. თვალები ლამის შუბლზე ასვლოდა. რა იყო, შარვალი მაქვს ჩახსნილი? – ვკითხე. იმან კი ველოსიპედი ისევ მიწაზე დააგდო. აიღე! – ვუბრძანე. წამოაყენა. მერე მკითხა: რა გჭირს? დავეცი, – მივუგე. დაეცი? – ჩამეძია. კი, დავეცი! – ვუყვირე, – შენ რა, არასოდეს დაცემულხარ? შევეცადე, იმ მცენარის სახელი გამეხსენებინა, რომელიც ჩამოხრჩობილის თესლიდან იზრდება და მოწყვეტისას გმინავს. რა მიეცი ამაში? – ვკითხე. ოთხი გირვანქა, – მიპასუხა. ოთხი გირვანქა! – შევძახე. არადა, ორი რომ ეთქვა, ან თუნდაც ერთნახევარი, მაინც ზუსტად ამავე ხმით შევიცხადებდი: ორი გირვანქა! ერთნახევარი გირვანქა! თავიდან ოთხი გირვანქა და ხუთი შილინგი დამიფასეს, – მითხრა. ქვითარი თუ გამოართვი? – ვკითხე. არ იცოდა, ქვითარი რას ნიშნავდა. დაწვრილებით ავუხსენი. რა ფული დავახარჯე ჩემი შვილის აღზრდა-განათლებას, იმან კი უბრალო ქვითარი რა არის, ის არ იცოდა. თუმცა ეჭვი მაქვს, მშვენივრადაც იცოდა, ჩემსავით. ეგ იმიტომ, როცა მოვთხოვე, აბა, ახლა მითხარი, რას ეწოდება ქვითარი-მეთქი, სხაპა-სხუპით ჩამიკაკლა. კაცმა რომ თქვას, ფეხებზე მეკიდა, მართლა ნამდვილ ფასზე სამ-ოთხჯერ მეტი გადაიხადა იმ ველოსიპედში თუ გატანებული ფულის ნაწილი მიითვისა. მე ხომ საკუთარი ჯიბიდან არ ვიხდი. ათი შილინგი დამიბრუნე, – მოვთხოვე. დავხარჯე, – მეუბნება. კარგი-კარგი...

მერე იმის ახსნა დამიწყო, პირველ დღეს მაღაზიები დაკეტილი დამხვდაო, მეორე დღეს კი... ამასობაში, საბარგულიც შევუთვალიერე. ეს ველოსიპედის საუკეთესო ნაწილი გახლდათ. საბარგული და საბურავების დასაბერი ტუმბო. მაგით სიარული საერთოდ თუ შეიძლება? – ვკითხე. ჰოულიდან ორი მილის იქით ბორბალი დაეშვა და დარჩენილი გზა ფეხით მომიწია სიარული, – მითხრა. იმის ფეხსაცმელებს შევავლე თვალი. ვუთხარი, გაბერე-მეთქი. მე თვითონ ველოსიპედი მეჭირა. არ მახსოვს, ორიდან რომელი საბურავი იყო ჩაფუშული. როგორც კი ორ ერთნაირ საგანზე საუბრობენ, მაშინვე ბრინჯივით ვიბნევი. ნიპელი შეგნებულად რიგიანად არ მოერგო და ჰაერი იპარებოდა. ვუთხარი, მოდი, ველოსიპედი შენ დაიჭირე და მე მიმიშვი-მეთქი. სულ მალე საბურავი დაიბერა და გამკვრივდა. ბიჭს შევხედე. ერთი პირობა თავის მართლებაც დააპირა, მაგრამ ვუბრძანე, ხმა გაიკმინდე-მეთქი. ხუთი წუთის შემდეგ საბურავი ერთხელაც შევამოწმე ხელით. უწინდებურად მკვრივი ჩანდა. არამზადა ხარ! – ვუთხარი. იმან კიდე ჯიბიდან შოკოლადის ფილა ამოიღო და გამომიწოდა. გამოვართვი. მაგრამ შეჭმის ნაცვლად, რაც ძალიანაც მინდოდა, ავდექი და იმედია, შვილისთვის შეუმჩნეველი წამიერი ყოყმანის მერე შორს მოვისროლე, თუმცა ვერ ვიტან, როცა რამე ასე ნიავდება. საკმარისია. გზაზე, უფრო სწორად, ბილიკზე ჩამოვედით. ვცადე, საბარგულზე შემოვჯდომოდი. ჩემი გახევებული ფეხის ტერფი მიწისკენ, საფლავისკენ მიილტვოდა. ქვეშ ზურგჩანთა ამოვიდე. მაგრა გეჭიროს-მეთქი, – ვუთხარი. მაინც დაბლა ვიჯექი. მეორე ზურგჩანთაც მივიხმარე. ბალთები დუნდულებში მერჭობოდა. რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას მიწევენ ნივთები, მით მეტად ვცოფდები ხოლმე. მხოლოდ კბილებისა და

ფრჩხილების ანაბარა რომ დავრჩენილიყავი და საკმარისი დრო მქონოდა, მიწის წიაღიდან უმაღლეს მწვერვალებამდე მივაღწევდი იმის სრული შეგნებით, ამით მაინც ვერაფერს დავამტკიცებ-მეთქი. ხოლო უკბილოდ და უფრჩხილოდ დარჩენილი, საკუთარი ძვლებით გავიკვლევდი გზას. ასე და ამგვარად, ახლა ორიოდ სიტყვით გაგანდობთ გადაწყვეტილებას, რომლამდეც საბოლოოდ მივედი: ზურგჩანთა და ბიჭის ოთხად გაკეცილი ლაბადა ერთად საიმედოდ დამაგრდებოდა საბარგულზე იმ თოკით, მას რომ აღმოაჩნდა. რაც შეეხება ქოლგას, ის კისერზე დავიმაგრე, რათა ორივე ხელი თავისუფლად დამეტოვებინა და ბიჭს წელზე, უფრო სწორად, იღლიებქვეშ მოვჭიდებოდი – ახლა მე უფრო მაღალზე ვიჯექი, ვიდრე ის. წავედით! – გავეცი ბრძანება. იმანაც ძალიან გამოიდო თავი, ამაში შემიძლია სავსებით დარწმუნებული ვიყო. ძირს დავენარცხეთ. ტერფში მწვავე ტკივილმა დამიარა. ფეხი უკანა ბორბალში ჩამრჩენოდა. მომეხმარე! – ვუყვირე. ბიჭი წამოდგომაში შემეშველა. წინდა გამეხა, ფეხიდან სისხლი მდიოდა. საბედნიეროდ – მტკივანი ფეხიდან. რა უნდა მექნა, თუკი ორივე ფეხი ერთად მიღალატებდა? არა, რამეს კი მოვიფიქრებდი. ეტყობა, ზოგი ჭირი მართლა მარგებელია. ცხადია, სისხლის გამოშვების სარგებლიანობას ვგულისხმობ. შენ არაფერი გიჭირს? – ვკითხე. არაფერი, – მიპასუხა. ან რა უნდა გასჭირვებოდა. მთელი ძალით შემოვკარი ქოლგა მუხლებს ქვემოთ, იმ ადგილას, სადაც მოკლე შარვალსა და მაღალყელიან წინდებს შორის თეთრად მოუჩანდა შიშველი ხორცი. დასაკლავი გოჭივით აჭყვიტინდა. გინდა დაგვღუპო? – ვკითხე. ღონე არ მყოფნის, ძალა არა მაქვს, – მოჰყვა წუწუნს. ველოსიპედი, როგორც ჩანს, გადარჩა, ეგაა, ოდნავ გაეღუნა უკანა ბორბა-

ლი. მაშინვე მივხვდი, რა შეცდომაც მომსვლოდა. შეცდომის არსი ის გახლდათ, რომ მიწას მანამდე მოვაშორე ფეხები, ვიდრე დავიძრებოდით. ჩავფიქრდი. ერთხელაც ვცადოთ, – ვუთხარი მერე. არ შემიძლია, – იუარა. მოთმინებიდან არ გამომიყვანო! – დავემუქრე. ველოსიპედის უნაგირზე გადაჯდა. როცა გეტყვი, ნელ-ნელა დაძარი, – ვუთხარი. მის ზურგს უკან, ჩემს ძველ ადგილზე მოვეწყვე, ფეხები ავწიე. კარგი, ახლა ნიშანს დაელოდე, – ვუთხარი. მერე ისე გადავიხარე გვერდზე, ჯანმრთელი ფეხით მიწას რომ შევხებოდი. ახლა უკანა ბორბალს მხოლოდ რაღაც უაზრო კუთხით აკეცილი ჩემი მტკივანი ფეხი აწვებოდა. თითებით ბიჭის ქურთუკს ჩავაფრინდი. ნელ-ნელა წადი, – ვუთხარი. ბორბლები დატრიალდა. ველოსიპედს ხტუნვა-ხტუნვით ვეწეოდი. განსაკუთრებით ჩემი კაკლების ბედი მაღელვებდა, ცოტა არ იყოს, დაბლა რომ მეკიდა. სიჩქარეს მოუმატე! – ვუყვირე. ბიჭი მთელი ძალით დააწვა სატერფულებს. მყარად მოვკალათდი. ველოსიპედი ჯერ შექანდა, მერე გასწორდა და სიჩქარესაც უმატა. ბრავო! – შევძახე სიხარულისაგან აღფრთოვანებულმა. ვაშაა! – ამყვა ბიჭიც. რომ იცოდეთ, როგორ მძულს ეს შეძახილი. ახლა ქაღალდზე ამ სიტყვის დაწერაც კი გამიჭირდა. მგონი, ბიჭი ჩემზე ნაკლებად არ ხარობდა. ხელისგულით ვგრძნობდი, როგორ უცემდა გული, თუმცა ხელი გულისაგან მოშორებით მედო. საბედნიეროდ, ბორცვის ფერდობს დაბლა მივუყვებოდით. საბედნიეროდ, ქუდის მოწესრიგება მოვასწარი, თორემ ქარი უთუოდ წამართმევდა. საბედნიეროდ, მშვენიერი დარი შეგვესწრო და მეც უკვე აღარ ვიყავი მარტო. საბედნიეროდ, საბედნიეროდ.

აი, ასე და ამგვარად მივაღწიეთ ბელიბას. არ შევუდგები იმის თხრობას, რა წინაღობების დაძლევა მოგვიხდა, რამდე-

ნი ავისმქნელი როგორ მოვიშორეთ თუ გავაცუცურაკეთ. არც ჩემი შვილის უმსგავსობებზე ვილაპარაკებ და არც მამამისის ვაებებზე. ამ ყველაფრის მოყოლა განზრახული მქონდა და სიხარულსაც კი მანიჭებდა მარტო ფიქრიც კი, საამისო დრო აუცილებლად დადგება-მეთქი, მაგრამ ახლა განზრახვა შემეცვალა – დრო კი დადგა, მაგრამ სიხარული გაქრა. ფეხს უკეთესობა არ შესტყობია, მაგრამ ვერც უარესობას დავიჩივლებდი. ტერფზე იარა მომიშუშდა. მოკლედ, მარტო აქამდე ვერ ჩამოვაღწევდი. ამას საკუთარ შვილს უნდა ვუმადლოდე. რას? იმას, რომ ჩამოვაღწიე. თვითონ ხშირ-ხშირად უჩიოდა ჯანმრთელობას – ხან კბილებს, ხან მუცელს. ცოტ-ცოტა მორფინს ვაძლევდი. თანდათან სულ უფრო და უფრო უარესად გამოიყურებოდა. როცა ვეკითხებოდი, რა გჭირს-მეთქი, ვერ მიხსნიდა. ველოსიპედმაც გვარიანად გაგვაწვალა, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი მის შეკეთებას. ჩემი შვილის გარეშე ვერ ჩამოვაღწევდი. კარგა ხანი მოვუნდით გზას, ერთი და ორი კვირა კი არა. ხან მხარიც გვექცეოდა ხოლმე, ფუჭად ვკარგავდით უამრავ დროს. კვლავინდებურად არ ვიცოდი, რა უნდა მექნა მოლოისთვის, როცა ვიპოვიდი. საერთოდ, ამაზე უკვე აღარც ვფიქრობდი. ვფიქრობდი საკუთარ თავზე, თანაც – ბევრს, მთელი გზა, როცა შვილის ზურგსუკან ვიჯექი, მის თავს ზემოთ გავცქეროდი სივრცეს; ვფიქრობდი შესვენებების დროსაც, როცა ბიჭი აქეთ-იქით დაბორიალობდა, ანდა სადღაც მიდიოდა და მარტო მტოვებდა. წასვლით კი ხშირად მიდიოდა, ხან მიდამოს დასაზვერად, ხან სანოვაგის საყიდლად. სიმართლე ითქვას, მე თითქმის არაფრის კეთება არ მიხდებოდა. უნდა ვაღიარო, მართლა კარგად ზრუნავდა მამაზე. მოუქნელიც იყო, ბრიყვიც, ზანტიც, ჭუჭყიანიც, მატყუარაც, ფლიდიც,

მფლანგველიც, უტიფარიც, მაგრამ მე მაინც არ მიმატოვა. ბევრს ვფიქრობდი საკუთარ თავზე, ანუ ხშირად ვუყურებდი გარეშე თვალით. დავხუჭავდი თვალს, გავითიშებოდი და მერე ყველაფერს თავიდან ვიწყებდი. ბელიბამდე კარგა ხანს მივდიოდით და იქ ჩასულებს წარმოდგენა არ გვქონდა, სად ამოვყავით თავი. გაჩერდი-მეთქი, – ვუთხარი ერთხელ ბიჭს. ის-ის იყო, მწყემსი დავინახე, რომელიც სანდომიანად მეჩვენა. მიწაზე იჯდა და თავის ნაგაზს ეფერებოდა. მათ ირგვლივ სრულიად უშიშრად წიწკნიდა ბალახს გაკრეჭილი შავი ცხვრების ფარა. ღმერთმანი, ნამდვილ პასტორალურ მხარეში ამოგვეყო თავი. ბიჭი გზის პირას დავტოვე და მე, მინდვრის გავლით, მათკენ გავეშურე. ხშირ-ხშირად ვჩერდებოდი და ქოლგაზე დაყრდნობილი ვისვენებდი. მწყემსი მიყურებდა, როგორ ვუახლოვდებოდი, თუმცა არ წამომდგარა. მიყურებდა იმისი ნაგაზიც, ოღონდ ერთიც არ შემოუყეფია. ცხვრებიც აპარებდნენ ჩემკენ თვალს. ჰო, თანდათან, ერთიმეორის მიყოლებით, ჩემკენ აბრუნებდნენ თავს და მიცქერდნენ, როგორ მივაბიჯებდი. მათ შეშფოთებას მხოლოდ პაწაწინა ჩლიქების იშვიათი, უნებლიე ბაკუნი ამხელდა. თუმცა ჩვეულებრივი ცხვრული სიმხდალისა არაფერი ეტყობოდათ. ცხადია, ჩემი შვილიც მადევნებდა თვალს, ზურგით ვგრძნობდი მის მზერას. ირგვლივ სრული, ღრმა დუმილი გამეფებულიყო. ყველაფრის გათვალისწინებით, საზეიმო წუთიც დადგა. ამინდი მართლაც ზღაპრული დაემთხვა. დღე დასასრულისკენ იხრებოდა. შეჩერებისას ყოველ ჯერზე ირგვლივ ვიხედებოდი, შევცქეროდი მწყემსს, ფარას, ძაღლს, ზეცასაც კი. როცა მივაბიჯებდი, მარტო მიწას და ჩემი ტერფების მონაცვლეობას ვხედავდი – ჯანმრთელი ფეხი შემიხტებოდა, ჰაერში შეყოვნდებოდა, დაეშვებოდა და

თანამოძმის მოსვლას ელოდებოდა. როგორც იქნა, მწყემსისაგან ათიოდე ნაბიჯში გავჩერდი. უფრო მეტად მიახლოებას აზრიც არ ჰქონდა. რა დიდი სიამოვნებით აღვწერდი მის გარეგნობას! ძაღლს აშკარად უყვარდა თავისი პატრონი, ცხვრებს კი მისი არ ეშინოდათ. მალე უთუოდ ფეხზეც წამოდგებოდა, როცა საღამოს ნამის სისველეს შეიგრძნობდა დუნდულებქვეშ.

ფარეხი შორს იყო, მაგრამ მწყემსს, წესით, შორიდანვე უნდა დაენახა შუქი საკუთარ ქოხში. შუაგულ ფარაში აღმოვჩნდი. ცხვრებმა ალყაში მომიქციეს და ყოველი მათგანი მე მომშტერებოდა. შეიძლება ყასაბიც ვეგონე, ერთ-ერთის ამოსარჩევად მისული. ქუდი მოვიხადე და შევამჩნიე, როგორ გააყოლა ძაღლმა თვალი ჩემი ხელის მოძრაობას. ერთხელაც მიმოვიხედე. ასე მეგონა, ლაპარაკის უნარი დავკარგე-მეთქი. არ ვიცოდი, როგორ დამერღვია ეს მდუმარება. ლამის იყო, ასე უხმოდ და უსიტყვოდ გამოვტრიალებულიყავი. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე და წარმოვთქვი: ბელიბა. იმედია, ნათქვამს შეკითხვის კილო ახლდა. მწყემსმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და ტარით მიწას დაჰკრა. ძალიან მინდოდა მეთქვა, თან წამიყვანეთ, გპირდებით, ერთგულად გემსახურებით, სანაცვლოდ კი ღამის გასათევისა და ცოტაოდენი საკვების მეტს არც არაფერს მოგთხოვთ-მეთქი. მე კი მივუხვდი, მაგრამ, როგორც ჩანს, არაფერზე შემტყობია, რადგან მწყემსმა კვლავ გაიმეორა იგივე და ჩიბუხის ტარი კიდევ რამდენჯერმე დაჰკრა მიწას. ბელი, – ვთქვი მე. მან ხელი ასწია. წამით ეს ხელი ისე თრთოდა, თითქოს რუკაზე რაღაც წერტილს დაეძებსო, მერე კი ერთიანად გახევდა. ჩიბუხი ჯერ ისევ სუსტად ბოლავდა, ბოლის მოცისფრო ნავლი ნელი-ნელ ეკიდებოდა ჰაერში, მერე კი გაქრა. მითითებულ

მხარეს გავიხედე. ძაღლმაც იქით გაიხედა. სამივემ ჩრდილოეთისკენ მივაბრუნეთ თავი. ცხვრებს თანდათან ჩემ მიმართ გულგრილობა დაეტყოთ. ალბათ მიხვდნენ. მესმოდა, ხელახლა როგორ შეუდგნენ ბალახის წიწკნას – ხან ერთგან, ხან – სხვა ადგილას. ბოლოს, დაბლობის ზღვარზე, ბუნდოვანი ციმციმი შევნიშნე, ციცინათელების გუნდის მანძილით დანისლული ნათება. ირმის ნახტომი გამახსენდა. ისე ჩანდა, თითქოსდა ჩამუქებულ ცისკიდურზე ბაცი წვეთები მიეშხეფებინათ. მადლი შევწირე საღამოს, რომელსაც ათასნაირი შუქი მოაქვს: ცაში – ვარსკვლავთა ციმციმი, დედამიწაზე კი – საპასუხოდ კაცთა მიერ დანთებული სინათლეები. დღის შუქზე მწყემსი სულ ამაოდ ასწევდა თავის ჩიბუხს და ცისა და მიწის შეერთების მკაფიოდ გამოკვეთილი, შორეული წერტილისკენ გაიშვერდა, მაგრამ ახლა ვიგრძენი, რომ ისიც და ძაღლიც კვლავ ჩემკენ შემობრუნებულიყვნენ. მწყემსს იმ იმედით დაეწყო ჩიბუხის მოქაჩვა, ეგება და ბოლომდე არც ჩამქრალაო. ვიცოდი, რომ ახლა უკვე მარტო მე მივშტერებოდი დაჟინებით ამ შორეულ ციმციმს, რომელიც თანდათან უფრო და უფრო იმძლავრებდა, მერე კი – არც ამაში მეპარებოდა ეჭვი – უეცრად ჩაქრებოდა. მე კი არ მინდოდა, მარტო რომ ვყოფილიყავი, ან თუნდაც შვილთან ერთად... არა, მარტო – მოხიბლული. ჰოდა, ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ დავშორებოდი ამათ ისე, არც თავი დამეწყევლა და არც დავსევდიანებულიყავი, ან რაც შეიძლება ნაკლებად მეგრძნო ეს ყველაფერი. ამაზე ვფიქრობდი, რომ უცებ ირგვლივ საოცარი ძალის ამოხვნეშამ მიმახვედრა, მე კი არა, ფარა მიდიოდა იმ ადგილიდან. ვხედავდი, როგორ ეცლებოდნენ იქაურობას: წინ ადამიანი მიაბიჯებდა, მერე – ერთად შექუჩებული ცხვრები. თავები ჩაეღუნათ, ერთმანეთს ეხლებოდ-

ნენ, ზოგჯერ ნაბიჯს უჩქარებდნენ. ბრმად, შეუჩერებლად ცდილობდნენ, ბოლოჯერ მოეწიწკნათ რაც შეიძლება მეტი ბალახი. სულ ბოლოს კი ძაღლი მიცუხცუხებდა – გრძელი, აპრეხილი, შავი კუდის ქნევით, თუმცა კი მის ზეიმს – თუკი მართლა ზეიმობის განცდას აჰყოლოდა – მოწმე არც არავინ ჰყავდა. აი, ასე, უზადოდ ჩარიგებულნი გაეცალნენ იქაურობას. უეჭველია, ამნაირადვე მიაღწევდნენ ფარეხსა თუ საჩიხს. იქ უკვე მწყემსი გვერდზე გადგებოდა და რიგრიგობით გადაითვლიდა მათ, ბინაში შესვლამდე. მერე თავისი ქოხისაკენ გაეშურებოდა. სამზადის კარი გამოღებულია, ნავთის სანათი ანათებს, მწყემსიც შედის და ქუდმოუხდელად ჯდება მაგიდასთან. ნაგაზი კი კარის ზღურბლზე ირინდება – არ იცის, დართავენ შესვლის ნებას თუ გარეთ დატოვებენ.

იმ ღამეს შვილთან საშინელი შეხლა-შემოხლა მომივიდა. არ მახსოვს, რა მიზეზით. მოიცათ, ეს შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს.

არა, არ მახსოვს. მე და ჩემს შვილს უამრავჯერ გვქონია დიდი დაკა-დაკა. ალბათ მაშინდელიც ყველა დანარჩენს ჰგავდა – ამის მეტს ახლა ვეღარაფერს ვიხსენებ. ცხადია, გამოცდილებისა და გამოჯეკილობის წყალობით, არც იმ ჯერზე შემირცხვენია თავი და შვილს თვალნათლივ დავანახე მისი დანაშაულის მთელი სიმძიმე. თუმცა მეორე დღესვე მივხვდი, შეცდომა მომსვლოდა: გაღვიძებისთანავე აღმოვაჩინე, რომ კარავში მარტო დავრჩენილიყავი. მე ხომ მუდამ პირველი ვიღვიძებდი ხოლმე. მეტიც, გუმანი მკარნახობდა, უკვე დიდი ხანია, მარტო ხარ და შენი სუნთქვაც ბიჭის სუნთქვას აღარ ერევა შენი მეთვალყურეობით მის მიერ შეკრულ ამ ვიწრო კარავშიო. ოღონდ ის, ველოსიპედთან ერთად რომ გაუჩინარდა ღამით თუ გამთენიისას, დიდად არ

მაშფოთებდა. მხოლოდ ამით რომ მოთავებულიყო საქმე, ბიჭის ქცევას შესანიშნავ და სრულიად დამაჯერებელ მიზეზებს გამოვუნახავდი. ჩემდა საუბედუროდ, თავისი ზურგჩანთა და ლაბადაც გაეყოლებინა ხელისთვის. მისი არაფერი დარჩენილიყო, არც კარავში და არც კარვის გარეთ, სრულიად არაფერი. გარდა ამისა, რადგანაც ჯიბეში მხოლოდ რამდენიმე პენსის ჩადების უფლება ჰქონდა და ისიც – ყულაბაში დასაბინავებლად, ფულის საკმაოდ დიდი ოდენობაც მიეთვისებინა. რამდენადაც ყველაფერზე ის იყო პასუხისმგებელი, პირველ რიგში კი, საყიდლებზე, იძულებული ვიყავი, ფულიც მიმებარებინა და ამდენად, ჯიბეში მუდამ საჭიროზე მეტი თანხა უგროვდებოდა. ჩემ მიერ თქმული უფრო დამაჯერებლად რომ ჟღერდეს, შემდეგსაც დავამატებ:

1. მინდოდა, ფულადი ანგარიშის ორმაგი ბუღალტერია შეესწავლა და ამის საფუძვლებში მე თვითონ გავარკვიე.
2. აღარ მსურდა, ამ გროშებთან მქონოდა საქმე, რომლებიც ერთ დროს ასეთი აღტაცების საგანს წარმოადგენდა ჩემთვის.
3. ბიჭს ვუბრძანე, აქეთ-იქით სიარულის დროს მეორე, უფრო მსუბუქი და იაფფასიანი ველოსიპედიც შეეთვალიერებინა სადმე, რადგან საბარგულზე ჯდომამ გვარიანად დამღალა და წინდაწინვე ვჭვრეტდი იმ დღეს, როცა ბიჭს ორივეს მაგივრად სატერფულების ტრიალის ძალა გამოელეოდა. ვეჭვობდი, რომ შემეძლო, უფრო მეტიც, ვიცოდი: ცოტაოდენი ვარჯიშის მერე სატერფულის ცალი ფეხით ტრიალს მოვახერხებდი. აი, მაშინ კვლავ დავიკავებდი ჩემს კანონიერ ადგილს, ანუ ისევ უნაგირს მოვაჯდებოდი. ბიჭი კი უკან გამომყვებოდა. მაშინ მოთავდებოდა მისი სიჯიუტეცა და გაუგონრობაც; უკვე მარცხნივ აღარ

წავიდოდა, როცა მე მარჯვნივ მივუთითებდი, მარცხნივ აღარ დააღირებდა თავს, თუ მარჯვნივ წასვლა ექნებოდა ნაბრძანები და არც პირდაპირ გაუტევდა, თუ გეზი მარჯვნივ ან მარცხნივ გვეჭირა. ასეთები ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა.

აი, ამის დამატება მსურდა.

როცა საფულეს ჩავხედე, იქ მხოლოდ თხუთმეტიოდე შილინგი დამხვდა, რამაც იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ჩემი შვილი მის ხელთ არსებული თანხით არ დაკმაყოფილებულიყო და წასვლამდე მძინარე მამის ჯიბეებიც კარგად მოეჩხრიკა. კაცის ბუნება უცნაური რამეა: თავიდან მადლიერების მაგვარი განცდა დამეუფლა, ეს მცირედი მაინც დამიტოვა-მეთქი. ამ ფულით, სანამ დახმარება გამოჩნდებოდა, როგორმე მაინც გავიტანდი თავს. შვილის საქციელში ერთგვარი სიკეთეც კი დავინახე.

მოკლედ, დავრჩი მარტო, ზურგჩანთის, ქოლგის (ხომ თავისუფლად შეიძლებოდა, ისიც წაეღო!) და თხუთმეტი შილინგის ანაბარა. ვაცნობიერებდი, ალბათ შეგნებულად მიმატოვეს ასე დაუნდობლად ბელიბაში-მეთქი, თუკი, რა თქმა უნდა, ნამდვილად ბელიბაში ვიმყოფებოდი, ოღონდ – ბელიდან ჯერ კიდევ შორს. ზუსტად არ ვიცი, რამდენი, მაგრამ რამდენიმე დღე კი გავატარე იქ, სადაც ბიჭმა დამტოვა. საკვების მონარჩენით გამქონდა თავი (ან ამის წაღებაში რამ შეუშალა ხელი?). ამ ხნის მანძილზე ერთი სულიერიც არ შემომხვედრია, ვერც ვერაფერი მოვიმოქმედე უძლურების გამო. ეგებ, ბოლოს და ბოლოს, იმდენი ძალა მომეცა, თითი თითზე არ დამეკარებინა? სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, რადგან ვიცოდი, მალე ეს ყველაფერი მოთავდებოდა ან ხელახლა დაიწყებოდა, რაც სულერთი იყო. ისიც სულერთი იყო,

როგორ მოხდებოდა ეს. ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენოდა. თავს იმითღა ვირთობდი, რომ საბოლოოდ გასაფანტავად ძალით ვაცოცხლებდი ბავშვურ იმედებს, მაგალითად, ასეთს: ჩემს შვილს ბრაზი გადაუვლის, გული მოულბება და დაბრუნდება-მეთქი; ანდა მოლოის ვებღაუჭებოდი – იმ კაცს, ვის მხარეშიც ვიმყოფებოდი. ვფიქრობდი, მე თუ არ შემიძლია მასთან მისვლა, თავად ის მიპოვის და მომადგება, დამიმეგობრდება, მამობას გამიწევს, მომეხმარება იმის გაკეთებაში, რაც მევალება, და მაშინ აღარც იუდი გაბრაზდება ჩემზე და დასჯითაც აღარ დამსჯის-მეთქი. დიახ, ხელს არ ვუშლიდი ჩემს იმედებს, ებარტყათ და გამრავლებულიყვნენ, ეკაშკაშათ და ათას წახნაგზე გადატეხილი შუქი ეფრქვიათ, მერე კი ყველას ერთად ზიზღით მოვუსვამდი ხოლმე ხელს, მათგან ვიწმინდებოდი და სიამოვნებით გავცქეროდი იმ უდაბნოს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ბილწავდნენ და ამახინჯებდნენ. საღამოობით ბელის სინათლეებს ვაპყრობდი მზერას და ვუყურებდი, როგორ იკრებდნენ თანდათან ძალას. მერე კი თითქმის ერთდროულად ქრებოდნენ – დაზაფრული ადამიანების სინათლეები. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, უყურე ერთი, ხომ შეიძლებოდა ახლა მეც იქ ვყოფილიყავი, რომ არა ჩემი უიღბლობა-მეთქი! რაც შეეხება ობიდილს, ვისზეც აქამდე კრინტიც არ დამიძრავს და ვისთან პირისპირ შეხვედრაზეც ოცნებობდი, უნდა ვაღიარო, არც პირისპირ მენახა, ალბათ არც შორიდან მომეკრა თვალი და ეგებ საერთოდ არც კი არსებობდა, რაც სრულებით არ გამაკვირვებდა. იმ სასჯელზე ფიქრისას კი, რაც იუდის შეიძლებოდა დაედგინა ჩემთვის, შინაგანი ხარხარის ისეთი ძლიერი შემოტევა მეწყებოდა, მთელი ტანით ვთახთახებდი, თან ისე, რომ ჩქამსაც არ გამოვცემდი და სახეზეც ჩვეულ,

დარდიან და მშვიდ გამომეტყველებას ვინარჩუნებდი. ოღონდ სხეული ვერაფრით მომეთოკა, ფეხებიც კი. ასე რომ, თუ ეს შემოტევა ფეხზე მდგომს წამომივლიდა, იძულებული ვხდებოდი, ხეს ან ბუჩქს მოვჭიდებოდი, რადგან მხოლოდ ქოლგა დაცემისაგან ველარ მიცავდა. მართლაც უცნაური სიცილი გახლდათ, და თუკი ჩავუკვირდებით, სიცილადაც მხოლოდ სიზარმაცისა თუ უმეცრების გამო მოვნათლე. რაც შემეხება პირადად მე, უნდა ვაღიარო, ამ საიმედო გართობისას საკუთარ თავზე ფიქრი თავში არც მომდიოდა. თუმცა დროდადრო მეჩვენებოდა, სადაცაა, ეს ფიქრი უნდა წამოტივტივდეს-მეთქი და იქით ვეძალებოდი კიდეც, როგორც ნაპირის ქვიშა მიელტვის მოვარდნილ ქაფიან ტალღას, თუმცა გამოგიტყდებით, ეს ხატება ნაკლებად შეეფერებოდა ჩემს მდგომარეობას. უფრო უპრიანი იქნებოდა, ჩამრეცხავი წყლის მომლოდინე განავალი გამხსენებოდა. აქვე შევნიშნავ: ერთხელ გული შემიქანდა, როცა ჩემს ოთახში, საფერფლის თავზე გადაფრენილმა ბუზმა დაყრილი ფერფლი ფრთების ფარფატით შეარხია. თანდათანობით ძალ-ღონეც მღალატობდა და რწმენაც. უკვე რამდენიმე დღე იყო, ლუკმა არ ჩამედო პირში. ალბათ შეიძლებოდა კენკრა ან სოკო მეძებნა, მაგრამ არაფერი მინდოდა. მთელი დღეები უსაქმოდ ვეგდე კარავში, უაზროდ მივტიროდი ჩემი ბიჭის ლაბადას, საღამოობით კი გარეთ გამოვდიოდი, რათა ბელის სინათლეების ცქერით მომეოხებინა გული. მართალია, მუცელი კი წამომტკივდებოდა ხოლმე – ხან ჭვალი დამივლიდა, ხან შებერილობა მეტაკებოდა, მაგრამ მაინც უაღრესად კმაყოფილად ვგრძნობდი თავს. საკუთარი თავით გახლდით კმაყოფილი. ის კი არა, ლამის აღფრთოვანებული, მოხიბლულიც კი ვიყავი ჩემივე პიროვნებით. გულში ვამბობდი,

მალე სულ დავკარგავ გონებას, ეს მხოლოდ დროის ამბავია-მეთქი. თუმცა გაბერის გამოჩენამ ყველა ამ გასართობს ერთად დაუსვა წერტილი.

საღამო ხანი იყო. კარვიდან გამოვძვერი. მინდოდა, სიცილ-ხარხარით მეჯერა გული და თან საკუთარი უძლურებისთვისაც ჩამეტანებინა გემო. ის უკვე იქ იყო. კუნძზე ჩამომჯდარი თვლემდა. სალამი, მორან! – მითხრა. მიცანით? – გავიკვირვე. უბის წიგნაკი ამოიღო, გადაშალა, თითი დაინერწყვა, საჭიროს ძებნაში რამდენიმე გვერდი გადაფურცლა, წიგნაკი თვალებთან მიიტანა და დაჟინებით ჩააშტერდა. ვერაფერს ვხედავ, – თქვა. ზუსტად ისევე ეცვა, როგორც ჩვენი წინა შეხვედრისას. შესაბამისად, ჩემი კრიტიკული შენიშვნები მის საკვირაო სამოსთან დაკავშირებით უსამართლო გახლდათ – თუ, რა თქმა უნდა, ახლაც კვირა დღე არ იდგა. ოღონდ, ჩვენში დარჩეს და, განა სხვაგვარად ჩაცმული მენახა როდისმე? ასანთი ხომ არ გექნებათ? – მკითხა. ვერ ვიცანი შორიდან მომავალი ეს ხმა. ან რამე სანათური... – დაამატა მერე. ეტყობა, სახეზე მეწერა, შუქის არანაირი წყაროს მფლობელი რომ არ ვიყავი. მაშინ თავადვე ამოიღო ჯიბიდან პატარა ელექტროფარანი და ფურცელს დაანათა. მერე ხმამაღლა წაიკითხა: მორანი ჟაკი, შინ დაბრუნება, საქმის შეწყვეტა. ფარანი ჩააქრო, წიგნაკი დახურა, ოღონდ თითი მაინც ჩატოვა შიგ და მერე მე შემომხედა. სიარული არ შემიძლია, – ვუთხარი. რა? – ჩამეკითხა. ავად ვარ, მოძრაობა მიჭირს, – ავუხსენი. არ მესმის, რას ლაპარაკობთ, – მითხრა. მაშინ უკვე ვუყვირე, რომ მოძრაობა არ შემეძლო, ავად ვიყავი, ხელით სატარებელი, შვილისაგან მიტოვებული და უკიდურეს ზღვარზე მისული. ყურადღებით შემათვალიერა, თავფეხიანად. ქოლგაზე დაყრდნობილმა, რამდენიმე

ნაბიჯი გადავდგი, რათა დამერწმუნებინა, რამდენად მეძ-ნელებოდა სიარული. უბის წიგნაკი ისევ გადაშალა, თავისი პატარა ფარანი იმავე გვერდს მიანათა, კარგა ხანს უკირ-კიტა და თქვა: მორანი, შინ დაბრუნება, საქმის შეწყვეტა. ისევ დახურა უბის წიგნაკი, ჯიბეში შეინახა. მერე ფარანიც შეინახა. წამოდგა, გულ-ხელი დაიკრიფა და გამოაცხადა, წყურვილი მკლავსო. ჩემს გარეგნობაზე ისევ სიტყვაც არ დასცდენია. არადა, იმ დღის მერე არ გამეპარსა პირი, რაც ჩემმა შვილმა ჰოულიდან ველოსიპედი ჩამოიყვანა. თმაც კი არ დამევარცხნა, არც ტანი დამებანა, სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვა – ჩემს სიღრმისეულ, შინაგან გარდა-სახვებზე. მიცნობთ კი? – შევყვირე. გიცნობთ თუ არა? – მკითხა და ჩაფიქრდა. ვიცოდი, ახლა რაზე ფიქრობდა. ისეთ სიტყვებს დაეძებდა, რაც ყველაზე მწარედ მომხვდებოდა გულზე. ეჰ, მორან, მორან, მაინც რა კაცი ხართ... – მეუბ-ნება. სისუსტისგან თავბრუ მეხვეოდა. უგონოდ რომ გავშ-ხლართულიყავი მის ფერხთით, უთუოდ იტყოდა, მორან, შე ძველო, სულაც არ შეცვლილხარო! უკვე გვარიანად ჩამო-ბნელებულიყო. დავეჭვდი, ეს მართლა გაბერი თუა-მეთქი. შეფი ძალიან ბრაზობს? – ვკითხე. შემთხვევით, ერთი ბოთ-ლი ლუდი ხომ არ მოგეძევებათ? – მკითხა. იმას გეკითხებით, შეფი თუ ბრაზობს-მეთქი! – ვუყვირე. ბრაზობს, აბა რა... – თქვა გაბერმა. – დილიდან საღამომდე ხელებს იფშვნეტს, მეორე ოთახშიც კი მესმის. ეგ არაფერს ნიშნავს, – ვუთხარი. თან იცინის კიდეც, თავისთვის, – მითხრა გაბერმა. დარწ-მუნებული ვარ, ჩემზეა გაბრაზებული, – მივუგე მას. იცით, ამასწინათ რა მითხრა? – მკითხა. ძალიან შეიცვალა? – ახლა მე ვკითხე. შეიცვალაო? არა, ნამდვილად არ შეცვლილა, ან რატომ უნდა შეცვლილიყო? ბერდება, ეგაა და ეგ. როგორც

მთელი ჩვენი სამყარო, – მიპასუხა გაბერმა. დღეს რაღაც უცნაური ხმა გაქვთ, – ვუთხარი. მგონი, არც გაუგონია. რა გაეწყობა, – თქვა და ისევ დაიკრიფა გულ-ხელი. თუ მეტი არაფერი გაქვთ ჩემთვის სათქმელი, მაშინ წავალ, – მითხრა და წავიდა კიდეც, დაუმშვიდობებლად. ოღონდ მისდამი ზიზღის, სისუსტისა და მტკივანი ფეხის მიუხედავად, მაინც დავეწიე და სახელოზე მოვქაჩე. რა გითხრათ? – ვკითხე. გაბერი შეჩერდა. მორან, ძალიან მომაბეზრეთ თავი, – მიპასუხა. მაინც, რა გითხრათ? – არ ვეშვებოდი. უხეშად მომიცილა. დავეცი. ასეთი განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რა მდგომარეობაში ვიყავი. უბრალოდ, სურდა, გზიდან ჩამოვეშორებინე. ადგომა არც მიცდია, ოღონდ ერთი კი შევყვირე. მომიახლოვდა და თავზე წამომადგა. წაბლისფერი, გაბზეკილი ულვაშები ჰქონდა, ზღვის ლომივით. ვხედავდი, როგორ უთრთოდა ბოლოები, როგორ დააღო პირი და ლამის მაშინვე მომესმა შორიდან თანალმობის სიტყვები. გაბერი არ იყო სასტიკი კაცი. მე მას მშვენივრად ვიცნობდი. გაბერ, ბევრს ხომ არ გთხოვთ, – ვუთხარი მას. კარგად მახსოვს ეს სცენა. უნდოდა, წამოდგომაში მომხმარებოდა. უხეშად მოვიშორე მისი გამოწვდილი ხელი. მშვენივრად ვგრძნობდი თავს იქ, სადაც ვეგდე. რა გითხრათ შეფმა? – ვკითხე. არ მესმის, – მიპასუხა. სანამ გაგაწყვეტინებდით, თქვენვე არ მითხარით, რაღაც მითხრაო? – შევუჩნდი. გამაწყვეტინებდით? – გაუკვირდა გაბერს. სიტყვასიტყვით, ასე მითხარით: იცით, რა მითხრა ამასწინათო? – შევახსენე. სახე გაებადრა. ეს ყეყეჩი ისევე სწრაფად აზროვნებდა, როგორც ჩემი შვილი. რა მითხრა და... – წამოიწყო, – გაბერო, მეუბნება... უფრო ხმამაღლა! – შევუძახე. ასე მითხრა... – გააგრძელა გაბერმა, – გაბერო, მითხრა, ცხოვრება მშვენიერი რამააო,

დიდად სანაქებოო. დაიხარა, სახე სახესთან მომიტანა. სანაქებოო, – გაიმეორა. – სანაქებო და მშვენიერი რამ, მორან, მართლა სანაქებო. მერე გამიღიმა. მე თვალები დავხუჭე. ღიმილს რა შეედრება, მით უფრო, გულითადს, მაგრამ მაინც სჯობს, შორიდან უცქირო. როგორ ფიქრობთ, ადამიანის ცხოვრებას გულისხმობდა? – ვკითხე და სმენა დავძაბე პასუხის მოლოდინში. არ გამოვრიცხავ, ეგ არ ეგულისხმა, – მითხრა მან. აქ კი თვალები გავახილე. მარტო ვიყავი. თითებით მიწას და ბალახს ვფხოჭნიდი. ჩემდაუნებურად ვგლეჯდი და ვგლეჯდი ღეროებს, ლამის ფესვებიანად. როცა მივხვდი, რაც ჩამედინა, რა უმსგავსობასაც ჩავდიოდი, მაშინვე შევწყვიტე. მალე ხელებზე აღარც ბალახის ღერო და აღარც რამ მიწის ნამცეცი მქონდა შერჩენილი.

იმ ღამითვე გავემართე შინისაკენ. ბევრი არ მივლია, მაგრამ ეს მხოლოდ გზის დასაწყისი გახლდათ. მთავარი პირველი ნაბიჯია. მეორეს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს. ყოველ დილით ცოტა უფრო შორს მითენდებოდა. თუმცა ბოლო წინადადება არაზუსტია – ის ჩემს იმედებს ვერ გამოხატავს. თავიდან ნაბიჯებს ათობით ვითვლიდი. როცა სიარული აღარ შემეძლო, ვჩერდებოდი და ვამბობდი, ყოჩაღ, ჯამში ამდენი და ამდენი ათეული გაგივლია, გუშინდელზე ამდენით და ამდენით მეტი-მეთქი. მერე და მერე სათვალავად თხუთმეტი, ოცი, სულ ბოლოს ორმოცდაათი ნაბიჯი ავიღე. დიახ, ბოლოსკენ მთელი ხუთი ათეული ნაბიჯის გადადგმაც კი შემეძლო, სანამ დასასვენებლად გავჩერდებოდი ხოლმე, ჩემს ერთგულ ქოლგას დაყრდნობილი. თავდაპირველად, მგონი, ცოტა ბელიბაშიც ვიბოდიალე, თუკი მართლა ბელიბაში ვიმყოფებოდი. მერე უკვე იმ გეზს მივყვებოდი მეტნაკლებად, რომლითაც მანამდე მივდიოდით. ოღონდ გზა,

რითაც ბრუნდები, მაინც სხვაგვარად გამოიყურება. გონების კარნახით, ყველაფერს ვჭამდი, რაც ბუნებას, ტყეს, მინდორს თუ წყალს შეეძლო საჭმელად შემოეთავაზებინა. მორფინის მარაგსაც საბოლოოდ გამოვუყვანე წირვა.

შინ დაბრუნების მითითება აგვისტოში, დიდი-დიდი, სექტემბერში მივიღე. დაბრუნებით კი გაზაფხულზე დავბრუნდი. თვეს არ დავაზუსტებ. შესაბამისად, მთელი ზამთარი გზაში გავატარე.

ნებისმიერი სხვა ჩემს ადგილას თოვლზე გაწვებოდა და მყარად გადაწყვეტდა, აღარც წამომდგარიყო ფეხზე. მაგრამ მე სხვა ჩამოსხმისა გახლდით. ერთ დროს მეგონა, ადამიანები ვერასდიდებით ვერ გამტეხენ-მეთქი, ახლა კი ვფიქრობ, რომ მე საგნებზე უფრო ჭკვიანიც ვარ. არიან ადამიანები და არიან საგნები, თუ არ ჩავთვლით ცხოველებს. არის ღმერთიც. თუკი საგანი, გინდაც ჩემდა სასიკეთოდ, რამეში მიშლის ხელს, მას დიდი დღე არ უწერია. მაგალითად, თოვლს. თუმცა, მართალი გითხრათ, ის უფრო მართობდა, ვიდრე ხელს მიშლიდა, მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, მიშლიდა კიდეც. ესეც სავსებით საკმარისი გახლდათ. მე ის დავამარცხე და სიხარულისაგან კბილები ავაკრაჭუნე. ასაკრაჭუნებლად მარტო ეშვებიც კმარა. გაჭირვებით მივიკვლევდი თოვლში გზას იმისაკენ, რასაც საკუთარ დამარცხებას ვუწოდებდი, დამარცხებულად თავის წარმოდგენა რომ შემძლებოდა. იქნებ მას მერე წარმოვიდგინე კიდეც, ანდა ვერც წარმოვიდგინე – ამას დრო სჭირდება. მაგრამ შინისაკენ მიმავალ გზაზე მე, სიავეთა, ბოროტ ადამიანთა და უსუსური ხორცის მსხვერპლს, ამის წარმოდგენა არ შემეძლო. გაკვრით თუ შევნიშნავ, რომ ჩემი მუხლი იმაზე მეტად ან ნაკლებად არ მტანჯავდა, ვიდრე პირველ დღეს. ჩემი ავადობა –

რაც არ უნდა რქმეოდა სახელად – მეტად აღარ გართულებულა. ვინ იცის, ეგებ ასეთი რამეც ხდება. ახლა დავუბრუნდეთ ბუზებს. მე მგონი, მათ ჯიშში ისეთებიც გამოერევიან ხოლმე, რომლებიც სახლებში ზამთრის დამდეგს ჩნდებიან და მალევე იხოცებიან. თბილ-თბილ, მყუდრო ადგილებში ამჩნევ; ხედავ, როგორ ნელა დაფრინავენ და დახოხავენ მოდუნებულები, უილაჯოები. თვალში იშვიათად გხვდებიან. ალბათ მთლად ახალგაზრდები იხოცებიან ისე, რომ კვერცხის დაყრასაც ვერ ასწრებენ. ისე ახვეტ ცოცხით აქანდაზზე, ვერც კი შენიშნავ. უცნაური არსებები არიან. მაგრამ მე სხვა სატკივართა საკბილოდ ვიქეცი – ძირითადად, ნაწლავური წარმომავლობისა. სამწუხაროდ, მათზე დაწვრილებით საუბარს აქ არ ვაპირებ, თორემ მართლა მშვენიერი ეპიზოდი გამოვიდოდა. მხოლოდ იმის თქმით შემოვიფარგლები, რომ სხვათა დაუხმარებლად მათ დაძლევას ვერავინ მოახერხებდა. ვერავინ, ჩემ გარდა! ორად მოკაკვული, თავისუფალ ხელს მუცელზე ვიჭერდი, დროდადრო სასოწარკვეთისა თუ სიხარულის ამოძახილი აღმომხდებოდა ხოლმე და ასე მივიწევდი წინ. როგორც ჩანს, ჩემს მთავარ საკვებად ქცეული ხავსი მავნებელი აღმოჩნდა. თუკი გადავწყვეტდი, რომ ჯალათი არ დამეყოვნებინა, სისხლიანი ფაღარათი ვერ გამაჩერებდა და ოთხზე დამდგარიც კი მივაღწევდი ეშაფოტს, გზადაგზა საკუთარ შიგანსაც მიმოვფანტავდი, წყევლითა და კრულვით. განა ჯერაც არ მითქვამს თქვენთვის, საკუთარმა თანამოძმეებმა რომ დამღუპეს?

მაგრამ არც ჩემს დაბრუნებაზე შევჩერდები დიდხანს, მაშინ განცდილ რისხვასა და ცბიერებაზე. სიტყვასაც არ დავძრავ ავისმქნელებსა და აჩრდილებზე, რომლებიც ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ დაბრუნებაში. თუმცა, საკუთა-

რი თავისთვის ჭკუის სასწავლებლად და აღსასრულისათვის სულის საწრთობად, მაინც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას. დავიწყებ ჩემი იშვიათი ფიქრებით.

უცნაური ამბავია – რატომღაც, ძალიან მაწვალებდა ზოგიერთი საღვთისმეტყველო ხასიათის საკითხი. მაგალითად, შემდეგი:

1. რამდენად ფასეულია თეორია, რომლის თანახმადაც ევა გაჩნდა არა ადამის ნეკნიდან, არამედ ცხიმოვანი წანაზარდიდან მის ფეხზე (თუ დუნდულაზე)?
2. გველი დახოხავდა თუ, როგორც კომესტორი ამტკიცებს, წელში გამართული გადაადგილდებოდა?
3. ნუთუ მარიამი მართლაც ყურიდან დაორსულდა, როგორც ამას ავგუსტინე და ადობარი ამტკიცებენ?
4. კიდევ დიდხანს უნდა ველოდოთ ანტიქრისტეს მოსვლას?
5. მართლა აქვს თუ არა მნიშვნელობა, რომელი ხელით გამოვიხოცავთ უკანალს?
6. რა ვიფიქროთ იმ ირლანდიურ ფიცზე, რომლის დადების დროსაც მარჯვენა ხელი წმინდანთა ნაწილებს უნდა ეხებოდეს, მარცხენა კი – მამაკაცის ასოს?
7. იცავს თუ არა ბუნება შაბათს?
8. მართლა არ აშინებთ ეშმაკებს ჯოჯოხეთის სატანჯველი?
9. როგორ მივუდგეთ კრეგის ალგებრულ თეოლოგიას?
10. მართლა უარს ამბობდა ჩვილობისას წმ. როში, დედის ძუძუ ეწოვა ოთხშაბათობითა და პარასკევობით?
11. რამდენად მართებულად ჩასათვლელია XVI საუკუნეში მავნე მწერთა განკვეთა ეკლესიისაგან?
12. საქებარია თუ არა იტალიელი მეწაღის, ვინმე ლოვატის საქციელი, რომელმაც ჯვარზე გაიკრა თავი, თან წინდა-

წინ დაისაჭურისა კიდეც?

13. რით იყო დაკავებული უფალი სამყაროს შექმნამდე?
14. შეიძლება თუ არა გულმხურვალე ლოცვა, საბოლოოდ, მოწყენილობის წყაროდ იქცეს?
15. მართალია, რომ იუდას ტანჯვა შაბათობით წყდება?
16. რა მოხდება, თუკი სულთათანას ცოცხლებს ვუგალობებთ?

მერე ვილოცე კიდეც: მამაო ჩვენო, რომელი აღარა ხარ არცა ცათა შინა, არცა მიწასა ზედა, და არცა სკნელთა შინა, არც მინდა და არც ვოცნებობ, წმინდა იყოს სახელი შენი, რომელმან უკეთ უწყი, რაი გსურს და ა.შ. შუა და ბოლო ნაწილები მართლაც მშვენიერი გამომივიდა.

სწორედ ამ ქარაფშუტა და მომხიბვლელ სამყაროში, სადაც ნავსაყუდელს მივაგენი, მოთმინების ფიალა გადამევსო.

თუმცა სხვა შეკითხვებსაც ვუსვამდი საკუთარ თავს, რომლებიც ეგებ უფრო მეტად მიკავშირდება პირადად მე. მაგალითად, ესენი:

1. რატომ არ ვესესხე გაბერს რამდენიმე შილინგი?
2. რატომ დავემორჩილე შინ დაბრუნების ბრძანებას?
3. რა ბედი ეწია მოლოის?
4. იგივე კითხვა ჩემთან დაკავშირებით.
5. რა მელის?
6. იგივე კითხვა ჩემს შვილთან დაკავშირებით.
7. სამოთხეში თუ მოხვდა დედამისი?
8. იგივე კითხვა დედაჩემთან დაკავშირებით.
9. მე თუ მოვხვდები სამოთხეში?
10. შევხვდებით თუ არა როდისმე სამოთხეში ერთმანეთს: მე, დედაჩემი, ჩემი შვილი, დედამისი, იუდი, გაბერი, მო-

ლოი, დედამისი, იერკი, მერფი, უოტი, კამიე და სხვა დანარჩენები?

11. რა ბედი ეწიათ ჩემს ქათმებსა და ფუტკრებს? ჯერაც ცოცხალია ჩემი ნაცარა კრუხი?

12. ცოცხლები არიან თუ არა ზულუ და დები ელზნერები?

13. იგივე თუ დარჩა იუდის სამსახურის მისამართი: აკაციის მოედანი, № 8? წერილი ხომ არ მიმეწერა მისთვის? ან ხომ არ ვწვეოდი? ყველაფერს ავუხსნიდი. რას ავუხსნიდი? პატიებას შევევედრებოდი. რის პატიებას?

14. ხომ არ იყო ეს ზამთარი არნახულად ცივი?

15. რამდენი ხანი გავატარე უაღსარებოდ და უზიარებლად?

16. რა ერქვა იმ დიდმოწამეს, დილეგში დამწყვდეულმა, ჯაჭვით დაბმულმა, იარებითა და მატლებით დაფარულმა, მოძრაობის უნარწართმეულმა, საკუთარ მუცელზე რომ აკურთხა წმინდა საკურთხი და ცოდვებიც შეუნდო საკუთარ თავს?

17. რითი შემექცია თავი სიკვდილის მოსვლამდე? ნეტა უცოდველად მისი დაჩქარების რაიმე გზა არ არსებობს?

მაგრამ ვიდრე ჩემს ეგრეთ წოდებულ სხეულს ჯერ თოვლით, გაზაფხულის პირზე კი ტალახით დაფარულ ამ ხრიოკში დავათრევდი, მინდა გითხრათ, ხშირად მახსენდებოდა ჩემი ფუტკრები; უფრო ხშირად, ვიდრე ქათმები, არადა, ღმერთმა ხომ იცის, რამდენს ვფიქრობდი იმ ჩემს ქათმებზე. გახსენებით კი ძირითადად მათი ცეკვა მახსენდებოდა, რადგან ჩემი ფუტკრები ცეკვავდნენ – არა, მთლად ისე არა, როგორც ადამიანები, გასართობად კი არა, **არამედ** სულ სხვანაირად. ყველაფერს იმის ცქერა სჯობდა, როგორ ცეკვავდენ ისინი სკებში დაბრუნებისას, ნექტარით მეტნაკლებად გამაძღარნი. მაშინ მათი ცეკვა ძალიან მრავალ-

ფეროვანი გახლდათ – როგორც მოძრაობების, ისე რიტმის მხრივაც. ბოლოს და ბოლოს, ცეკვა იმ ნიშანთა სისტემად აღვიქვი, რომლის მეშვეობითაც უკან დაბრუნებული, საკუთარი ნადავლით კმაყოფილი თუ იმედგაცრუებული ფუტკრები საშოვარზე მათ შემდეგ მიმავალ თანამოძმეებს აუწყებენ, რომელ მხარეს ღირს გაფრენა და რომელ მხარეს – არა. ოღონდ სკებიდან სულ ცოტა ხნის წინ ამოფრენილებიც ცეკვავდნენ და ამ ცეკვით, ცხადია, ამბობდნენ, ყველაფერი გასაგებია, ანდა თქვენ დარდი ნუ გექნებათო. აი, სკებისაგან შორს კი, უკვე გაგანია შრომის დროს, ფუტკრები აღარ ცეკვავდნენ. ამ დროს, ალბათ, მათი მოწოდება გახლდათ: ყველამ საკუთარ თავს მიხედოს! თუკი დავუშვებთ, რომ შეიძლება ფუტკრებსაც ჰქონდეთ მსგავსი მოსაზრებები. ცეკვა ძირითადად ფრენისას შესრულებული ძალზე რთული მოძრაობებისაგან შედგებოდა. მე ისინი კლასების მიხედვით დავახარისხე, რომელთაც, სავარაუდოდ, შესაბამისი აზრი მივანიჭე. რჩებოდა კიდევ ბზუილი: ტონის მიხედვით იმდენად ცვალებადი იყო სკის სიახლოვეს, რომ ეს ცვლილება ნამდვილად ვერ იქნებოდა შემთხვევითი. თავიდან ვიფიქრე კიდეც, ცეკვის ყოველი მოძრაობა მისთვის დამახასიათებელი ბზუილის მეშვეობითაა ხაზგასმული-მეთქი, მაგრამ იძულებული გავხდი, ეს ვარაუდი უარმეყო, რამდენადაც შევამჩნიე, რომ ერთსა და იმავე მოძრაობას (ყოველ შემთხვევაში, რასაც მე ვუწოდებდი ერთსა და იმავეს) სრულიად განსხვავებული ბზუილი ახლდა ხოლმე. მაშინ ვთქვი, ბზუილის მიზეზი არა ცეკვის ხაზგასმა, არამედ პირიქით, მისი სახეცვლილება უნდა იყოს-მეთქი. კერძოდ, ერთი და იგივე მოძრაობა იმისდა მიხედვით იცვლის მნიშვნელობას, რა სახის ბზუილიც ახლავს. ამ საკითხთან დაკავშირებით უამრა-

ვი დაკვირვება ვაწარმოე და დავახარისხე კიდეც შედეგები; სხვათა შორის, ფრიად წარმატებითაც. მაგრამ გასათვალისწინებელი იყო არა მარტო ცეკვის მოძრაობები და ბზუილი, არამედ სიმაღლეც, რაზეც ესა თუ ის მოძრაობა სრულდებოდა. შედეგად, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ერთსა და იმავე მოძრაობას, რასაც ერთი და იგივე ბზუილი ახლდა, მიწიდან თორმეტი ფუტის სიმაღლეზე სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და ექვსი ფუტის სიმაღლეზე – სულ სხვა. ეგ იმიტომ, ფუტკრები ნებისმიერ სიმაღლეზე, სადაც მოუხდებოდათ, იქ კი არ ცეკვავდნენ, არამედ პირიქით, მათთვის არსებობდა მუდამ უცვლელი სამი-ოთხი დონე, რომელზეც სრულდებოდა ესა თუ ის ცეკვა. თქვენთვის რომ დამეწყო იმის ახსნა, რა დონეებია ეს და როგორი თანაფარდობა სუფევს მათ შორის (ისე, სულ ზედმიწევნით მაქვს გაზომილი), მაინც არ დამიჯერებდით. ახლა კი მართლა არაა ის დრო, რომ საკუთარი თავის მიმართ უნდობლობის გამოწვევა ღირდეს. ზოგჯერ შეიძლება ისიც კი გეგონოთ, რასაც ვწერ, ხალხის წასაკითხადაა გამიზნული. ამ საკითხების გარკვევისათვის დახარჯული ძალისხმევის მიუხედავად, ერთიანად გამაოგნა ფუტკრების ცეკვის წარმოუდგენელმა სირთულემ. ეს ცეკვაც, თავისთავად, ჩამოთვლილთა გარდა, ალბათ სხვა მახასიათებლებსაც მოიცავს, რომელთა არსებობა ეჭვადაც კი არა მაქვს. და მე აღფრთოვანებულმა წარმოვთქვი: აი, რას შეიძლება სწავლობდეს კაცი მთელი ცხოვრება და მაინც ვერაფერი გაიგოს-მეთქი! ჩემი ხანგრძლივი დაბრუნებისას, როცა სულ პაწია სიხარულზე ვოცნებობდი, ფუტკრებსა და იმათ ცეკვაზე ფიქრი ყველაზე დიდ შვებას მგვრიდა, რადგან უწინდებურად ჯერ კიდევ ვოცნებობდი პაწია სიხარულზე, თუნდაც იშვიათად. ბოლოს, დიდი ხალისით ვაღიარე, რომ ფუტკრე-

ბის ცეკვა არაფრით სჯობს დასავლეთის ხალხთა თამამ და უაზრო ცეკვებს. მიუხედავად ამისა, ჩემთვის, ვინც მზით გაჩახჩახებულ სკებთან იჯდა და ფუტკრების ცეკვის ცქერით ტკბებოდა ხოლმე, ეს ყველაფერი სამუდამოდ დარჩება იმ კეთილშობილურ და გონივრულ საქმიანობად, რასაც ჩემნაირი ადამიანის განსჯაც კი ვერაფრით შებღალავს. მე არასოდეს განვსჯი ფუტკრებს იმდენად მკაცრად, როგორც უფალს განვსჯიდი, ვისაც, როგორც მიმაჩვიეს, საკუთარ გრძნობებს, შიშებს, სურვილებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სხეულსაც კი მივაწერ.

ადრეც ვახსენე ის ხმა, რომელიც მითითებებს, უფრო სწორად, რჩევებს მაძლევდა. პირველად სწორედ შინ დაბრუნებისას ჩამესმა და თავიდან ყურადღებაც არ მიმიქცევია მისთვის.

რაც შეეხება გარეგნობას, მეჩვენებოდა, რომ ძალიან სწრაფად ვიცვლიდი იერს. როცა ჩვეული და ადრინდელზე ბევრად მისატევებელი მოძრაობით, სახეზე ხელისგულებს ჩამოვისვამდი ხოლმე, სახე, რომელსაც ვეხებოდი, ჩემი სახე უკვე აღარ იყო, ხოლო ხელისგულები – ჩემი ხელისგულები. ოღონდ ამ შეხებაში მთავარი იგივე რჩებოდა, რაც უწინ, როცა პირწმინდად გაპარსულს, სუნამოც მქონდა ხოლმე ნაპკურები. ინტელექტუალის თეთრი, ფაქიზი ხელებითაც დიდად ვამაყობდი. მუცელიც, რომელსაც ვეღარ ვცნობდი, ჯერაც ჩემად რჩებოდა, ჩემს ძველ ძმაკაც მუცლად, არ ვიცი, უკვე რისი წყალობით. მართალი გითხრათ, არა მარტო ის ვიცოდი, თუ ვინ ვიყავი, არამედ უწინდელზე მძაფრად და მკაფიოდ ვცნობდი საკუთარ თავს, უამრავი ღრმა ჭრილობისა და იარის მიუხედავად, რომლებსაც ერთიანად დავეფარე. ამ მხრივ ისე არ გამიმართლა, როგორც – ჩემს ნაცნობებს.

სამწუხაროა, თუკი ეს ბოლო ფრაზა იმდენ ოპტიმიზმს ვერ იტევს, რამდენიც შეეძლო დაეტია. ვინ იცის, ეგებ ნაკლებად ორაზროვნად გაჟღერების უფლებაც კი დაიმსახურა.

არის კიდევ ჩემი ტანსაცმელი, რომელიც ისე მჭიდროდ შემომტმასნია სხეულზე, რომ მშვიდობიანობის დროს, ასე ვთქვათ, მისგან განუყოფელი გამხდარა. გამოგიტყდებით, სამოსის მიმართ მუდამ მგრძნობიარე გახლდით, თუმცა არც მთლად დენდი მეთქმის. ჩემს კოსტიუმს ნამდვილად ეტყობა, გამძლე რომაა და თან ოსტატი თერძის ნახელავიც, თუმცა თავფეხიანად შემოსილი მაინც ვერა ვარ. და ვინაა ამაში დამნაშავე? ჩალის ქუდი დავკარგე – მაინც არ იყო ზამთარში სატარებელი; ის ორი წყვილი შარვალიც მთლად გაიცრიცა და გაუბედურდა სიცივე-სინესტეში ამდენი ფეხით სიარულისა თუ ვარგისიანი სარეცხი საშუალებების უქონლობის გამო. სამაგიეროდ, მოვისაზრე და აჭიმები ბოლომდე დავუშვი – ახლა ეს ჩემი ბრიჯები ლამის კოჭებამდე მწვდება. ფეხსაცმლის ყელსა და ბრიჯების ტოტებს შორის დარჩენილ ადგილს კი ჩემივე მოლურჯო კანი ავსებს, რაც ხშირად მახსენებდა შვილს და იმ დარტყმას, მას რომ მივაყენე – აი, სულ მცირე ანალოგია ასე ამომიტივტივებს ხოლმე გონებაში მოგონებებს. ფეხსაცმლის ლანჩები რა ხანია, მთლად გამქვავებია – მოუვლელობისა და გაუწმენდლობის გამო. მათში თავისუფლად გადი-გამოდის ჰაერი, რაც იქნებ იცავს კიდეც ჩემს ფეხებს მოყინვისაგან. სამწუხაროდ, ორ წყვილ ნიფხავთან დამშვიდობებაც მომიწია. შეუკავებლობის მიზეზით, ერთიანად შემომალპნენ ზედ. კიდევ რა შეიძლებოდა მომესროლა? პერანგი. მაგრამ – არასდიდებით! ხშირ-ხშირად ვატრიალებდი წაღმა-უკუღმა. მაცალეთ, გონება მოვიკრიბო... პერანგის ტარების ოთხნაირი ხერხი ვიცოდი: წინა მხრით წინ, ამოტ-

რიალებული წინა მხრით წინ, უკანა მხრით წინ, ამოტრიალებული უკანა მხრით წინ. მეხუთე დღეს ყველაფერს ხელახლა ვიწყებდი იმ მოსაზრებით, დიდხანს გამიძლებს-მეთქი. იქნებ მართლა ამან გააძლებინა? არ ვიცი. გაძლო კია და... თუკი დრო ითმენს, წვრილმანებზე ზრუნვა დიადისკენ მიმავალი უსწორესი გზაა. კიდევ რა მოვიცილე თავიდან? სათადარიგო საყელოები. დიახ, ყველა, როგორც ერთი, მანამდე გადავყარე, ვიდრე გაცვდებოდა. აი, ყელსახვევი კი შევინარჩუნე და ცუდმედიდობას აყოლილი, შიშველ ყელზე ვინასკვავდი ხოლმე. წინწკლებიანი ყელსახვევი გახლდათ, ოღონდ მისი ფერი კი აღარ მახსოვს.

როცა წვიმდა, თოვდა, სეტყვა მოდიოდა, ჩემ წინაშე შემდეგი დილემა წამოიჭრებოდა ხოლმე: ქოლგაზე დაყრდნობილს, გზა გამეგრძელებინა და თავფეხიანად გავლუმპულიყავი, თუ გავჩერებულიყავი და გაშლილი ქოლგის ქვეშ შემეფარებინა თავი. დილემა ესე, როგორც ყველა სხვა, ფიქტიური იყო: ჯერ ერთი, ქოლგისაგან მანებზე ჩამოკონწიალებული რამდენიმე ძონძიღა შემორჩენილიყო; მეორეც – შემეძლო სიარული ნელი-ნელ გამეგრძელებინა და ქოლგა საყრდენად კი არა, საფარად მეხმარა. მაგრამ, ერთი მხრივ, ისე მივეჩვიე წარსულში ჩემი სანაქებო ქოლგის უზადო წყალგაუმტარობას, მეორე მხრივ კი – მასზე დაუყრდნობლად სიარულის შეუძლებლობას, რომ ეს დილემა ჩემთვის მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. ცხადია, შემეძლო რამე ხელჯოხისმაგვარი მეშოვა და იმით მევლო თოვლში, **წვიმასა** და სეტყვაში, ქოლგას შეფარებულს. ოღონდ ასე არ მოვქცეულვარ. არ ვიცი კია – რატომ. როცა წვიმა თუ სხვა ყველაფერი, რაც თავს გვატყდება, მეც მატყდებოდა თავს, მაინც წინსვლას ვაგრძელებდი, ქოლგას ვიმარჯვებდი

და თავფეხიანად ვილუმპებოდი. უფრო ხშირად კი თოფნაკრავივით ვჩერდებოდი, ქოლგას ვშლიდი და ველოდებოდი, როდის მოთავდებოდა ეს ყველაფერი. ასეთ შემთხვევებშიც თავფეხიანად ვსველდებოდი, რაღა თქმა უნდა. ციდან უცებ მანანაც რომ წამოსულიყო, ქოლგის ქვეშ გარინდული, მაინც დაველოდებოდი, როდის მოთავდება-მეთქი და აზრად არ მომივიდოდა, გემო გამესინჯა მისთვის. ხოლო როცა ქოლგამომარჯვებულს, ხელი მეღლებოდა, ვინაცვლებდი და გამოთავისუფლებული ხელით სხეულის იმ ნაწილებს ვიზელდი, რომლებსაც ვწვდებოდი – სისხლს რომ უკეთ ემოძრავა; ან ჩვეული მოძრაობით ხელს სახეზე ვისვამდი. ქოლგის გრძელი წვერი თითს წააგავდა. ყველაზე ღირებული ფიქრები სწორედ ამგვარი შეჩერებების დროს მომდიოდა თავში, მაგრამ როცა ვხვდებოდი, წვიმა და ა.შ. მთელი დღე ან მთელი ღამე გაგრძელდებოდა, მაშინ საღი აზრიც მიბრუნდებოდა და ჩემთვის კარავს ვიკეთებდი. ერთი ეგაა, ტოტებისაგან შეკრული კარვები უკვე აღარ მომწონდა, რადგან ტყეში თითქმის აღარ დარჩა ფოთოლი – ზოგიერთი მარადმწვანე ხის წიწვებიღა იყო. ოღონდ კარვებზე გულაცრუების ჭეშმარიტი მიზეზი ეს არ ყოფილა. მართლა. მიზეზი ის გახლდათ, რომ კარავში შეფარებულს, ჩემი ბიჭის ლაბადის გარდა, სხვა არაფერზე შემეძლო ფიქრი. ლაბადას ლამის თვალნათლივ ვხედავდი. ის თითქოს მთელს სივრცეს იტევდა და იკავებდა. ჩვენი ინგლისელი მეგობრები ამგვარ ლაბადას მაკინტოშს უწოდებენ და მეც ნესტოებში სულ რეზინის სუნი მიტრიალებდა, თუმცა რეზინის მაკინტოში დიდი იშვიათობაა. მოკლედ, რამდენადაც შემეძლო, კარვებს გავურბოდი. ისევ ჩემს ერთგულ ქოლგას ვამჯობინებდი, ანდა ხეს, ბუჩქსა თუ ღობეს. ზოგჯერ – რაღაც ნანგრევებსაც.

ერთხელაც არ მომსვლია აზრად, მთავარ გზაზე გამოვსულიყავი და ვინმეს დავმგზავრებოდი.

რომც გამეფიქრა, ეგებ სოფელში, გლეხებთან ვეძიო თავშესაფარი-მეთქი, ეს ფიქრი ნამდვილად არ მომეწონებოდა.

შინ დაბრუნებულს, ხელუხლებელი თხუთმეტი შილინგი ჩამომყვა. არა, ორი დავხარჯე. ახლა გეტყვით – როგორ.

ქვემოხსენებულის გარდა, არაერთი წყენისა და უხეშობის დათმენა მომიწია, მაგრამ მათზე არაფერს ვიტყვი. მოდით, ამ ერთადერთი მაგალითით დავკმაყოფილდეთ. სხვები, შესაძლოა, სამომავლოდ მელიან. თუმცა ვინ იცის. ისინი მაინც უცნობი დარჩება. ამას წყალი არ გაუვა.

ერთ საღამოს ქოლგის ქვეშ მშვიდად ვიდექი და ამინდის გამოკეთებას ველოდებოდი, როცა უცებ უკნიდან ვიღაცამ უხეშად მიბიძგა. არაფერი გამიგონია. ისეთ ადგილას ვიყავი, სადაც ჩემ გარდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ვიღაცის ხელმა შემომატრიალა. ჩემ წინ სქელი, ლოყებღაჟღაჟა ფერმერი იდგა. წყალგაუმტარი ლაბადა და ჩექმები ეცვა, თავზე ქუდი ეხურა. ფუმფულა ლოყებზე წყალი ჩამოსდიოდა და სქელ-სქელი ულვაშებიდანაც წყდებოდა წვიმის წვეთები. ისე, ეს წვრილმანები რა საჭიროა? სიძულვილით შევცქეროდით ერთმანეთს. ეგებ სწორედ ის იყო, თავაზიანად რომ შემოგვთავაზა შინ მანქანით მიყვანა? ძნელი სავარაუდოა. არადა, მისი სახე მეცნობოდა. და არა მარტო სახე. ხელში სანათური ეჭირა – ჩამქრალი, თუმცა ნებისმიერ წუთს შეეძლო აენთო. მეორე ხელში ბარი მოემარჯვებინა. ალბათ, აუცილებლობის შემთხვევაში, ჩემს დასამარხად. ქურთუკზე მომებღაუჭა, საყელოში ჩამავლო ხელი. ისე არ მანჯღრევდა, როგორც წესი და რიგია, მაგრამ თავის დროზე არც ამაზე დაიხევდა უკან. ახლა კი მხოლოდ მლანძღავდა და

მაგინებდა. არ მესმოდა, მაინც რა დამეშავებინა მისთვის, ასე რომ გაბრაზებულიყო. გაკვირვებულმა, ეტყობა, წარბებიც ავწკიპე. წარბებს მუდამ ასე ავწკეპ ხოლმე, ლამის თმას ეხებიან, შუბლისაგან კი ღრმა ნაოჭებილა მრჩება. როგორც იქნა, მივხვდი, რომ სხვის მიწაზე ვიმყოფებოდი. ეს მისი მიწა იყო. რას ვაკეთებდი მის მიწაზე? ალბათ, არ არსებობს სხვა კითხვა, რომლისაც ასე მეშინოდეს. ვერასოდეს ვპოულობ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელ პასუხს. რას ვაკეთებ სხვის მიწაზე! თანაც – ღამით! მით უმეტეს, ასეთ ავდარში! მაგრამ მხნეობა არ დამიკარგავს. აღთქმა მაქვს დადებული-მეთქი, – ვუთხარი. როცა მინდა, საკმაოდ შთამბეჭდავი ხმითაც შემიძლია ლაპარაკი. მგონი, იმ ფერმერზეც მოვახდინე შთაბეჭდილება. ასეა თუ ისე, ხელი გამიშვა. მომლოცველობა, – დავაზუსტე და მოპოვებული უპირატესობა განვიმტკიცე. საით გაგიწევიათ? – მკითხა. აშკარად გამარჯვებული გამოვედი. თერდის ღვთისმშობლის მოსახილველად, – მივუგე. თერდის ღვთისმშობლის? – ხმაში ისეთი ეჭვი გაუკრთა, თითქოს თერდის საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა და იქ ღვთისმშობელი არსად ეგულებოდა. მაგრამ განა საერთოდ არსებობს ეგეთი ადგილი, სადაც ღვთისმშობელი არაა? დიახ, სწორედაც, – დავუდასტურე. შავის? – ჩამეძია, ტყუილში გამოსაჭერად. რამდენადაც ვიცი, შავი არ უნდა იყოს, – ვუპასუხე. ჩემს ადგილას სხვა თავს დაკარგავდა, მე კი – ნურას უკაცრავად! მშვენივრად ვიცნობ ამ სოფლელ ტეტიებს და მაგათ ანკესზე არ წამოვეგები, არასოდეს. ასე იქამდე ვერ მიაღწევთ, – მითხრა. მისი მეოხებით შვილი დავკარგე, თუმცა დედამისი შევინარჩუნე, – ავუხსენი. მსგავსი სენტიმენტები მესაქონლეებზე ასიდან ას შემთხვევაში ჭრის. არადა, რომ სცოდნოდა! დაწვრილებით ვუამბე ყვე-

ლაფერი, რაც, სამწუხაროდ, არასოდეს მომხდარა. ვერ ვიტ-ყვი, უნინეტობა მკლავდა-მეთქი. მაგრამ ის, ყოველ შემთხ-ვევაში, ვინ იცის, ასეა თუ ისე... დიახ, მაინც საწყენია, ჯან-დაბას. ორსულ ქალთა მფარველი ღვთისმშობელი-მეთქი, – ვუთხარი. გათხოვილი ორსული ქალების, და მეც, მღილმა, აღთქმა დავდე, მის ნიშამდე მიმეღწია და მისი სახელი მე-დიდებინა-მეთქი. ეს შემთხვევა მეტ-ნაკლებად ასახავს ჩემს შესაძლებლობებს, თუნდაც დროის იმ მონაკვეთში. მაგრამ, მგონი, მაინც გადავამლაშე, რადგან თვალებში ბრაზი ჩაუდ-გა. შეიძლება, ერთი რამ გთხოვოთ? – ვკითხე, – ღმერთი გადაგიხდით სიკეთეს. მერე დავამატე: დღეს უფალმა გამო-მიგზავნა თქვენი თავი-მეთქი. არადა, რა დამცირებაა, რამე სთხოვო კაცს, რომელიც მზადაა, თავი გაგიჩეჩქვოს! ისე, ჩვენში დარჩეს, ხანდახან ამასაც მშვენიერი შედეგი მოაქვს ხოლმე. ერთი ჭიქა ცხელი ჩაი, უშაქროდ, ურძეოდ, სააქაოს მომაბრუნებს, – ვედრება გამოვურიე ხმაში. მსგავსი უბრა-ლო სიკეთის გამოვლენა საცოდავი მომლოცველის მიმართ, მართალი თუ გინდათ, დიდად მაცდუნებლად ჩანს ხოლმე. კეთილი, – მოლბა, – ჩემთან წავიდეთ, ბუხართან ცოტა გაშ-რებით მაინც. არა, არა! – შევძახე. – დაფიცებული მაქვს, დანიშნულ ადგილამდე ისე მივიდე, გზიდან ერთხელაც არ გადავუხვიო. და ამ სიტყვებით გამოწვეული უსიამოვნო შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად, ჯიბიდან ერთი ფლო-რინი ამოვიღე და გავუწოდე. გლახაკთათვის ტოლჩაში ჩააგ-დეთ ჩემ მაგივრად, – ვუთხარი და რადგან უკვე ბნელოდა, დავამატე: – აი, ეს ერთი ფლორინი გლახაკთათვის შესაწი-რად. კაი შორი სავალია, – მომიგო. ღმერთი გიშველით, – ვუთხარი. ნათქვამს ჩაუფიქრდა, თავისებურად, გლეხურად. მთავარია, საჭმელს პირი არ დავაკარო, ხემსი არ უნდა ჩა-

ვუშვა პირში-მეთქი, – ვუთხარი. მართლა გველი ხარ, ბებერო მორან! ცხადია, ძალადობა მერჩია, მაგრამ შემთხვევითობას ვერ მივენდობოდი. როგორც იქნა, წაეთრა. მითხრა, დამელოდეო. არ ვიცი, თავში რა უტრიალებდა. როცა საკმაო მანძილზე გამშორდა, ქოლგა დავკეცე და ამ თავსხმა წვიმაში საპირისპირო მიმართულებით გავწიე. აი, ასე დავხარჯე ჩემი ფლორინი.

ახლა შემიძლია დავასრულო კიდეც.

სასაფლაოს კედელს მივუყვებოდი. ღამე იდგა. ეგებ სულაც შუაღამე. გზა ციცაბოს მიუყვებოდა. სიარული მიჭირდა. სუსტი ქარი ღრუბლებს ერეკებოდა ოდნავ გაფერმკრთალებულ ცაზე. დიდი საქმეა, როცა მუდმივ მფლობელობაში გაქვს მიწის ნაკვეთი, მართლა დიდი საქმე. თუ მართლა მუდმივი ეთქმის. კუტიკარს მივუახლოვდი. ჩაკეტილი დამხვდა, როგორც წესი და რიგია. ვერაფრით გავაღე. გასაღები საკეტში კი შევიდა, მაგრამ არა და არ გადატრიალდა. ვითომ ჩაჟანგდა? თუ საკეტი გამოცვალეს? კუტიკარი შევტეხე – გამოვეცალე, გავქანდი და მერე ზედ მივაწყდი. აი, დავბრუნდი კიდეც შინ, როგორც იუდიმ მიბრძანა. ბოლობოლო, როგორღაც დავდექი ფეხზე. რას უდის ასეთი ტკბილი სუნი? იასამანს? იქნებ ვარდებს? სკებისკენ გავემართე. ძველ ადგილას დამხვდნენ, რისიც მეშინოდა კიდეც. ერთერთ სკას სახურავი მოვხადე და მიწაზე დავდე. პატარა იყო, წოწოლა, დაფერდებული გვერდებით. ხელი სკაში ჩავყავი, ცარიელ ჩარჩოებს მოვუფათურე, მერე – ფსკერსაც. ერთერთ კუთხეში რაღაც მსუბუქი, მშრალი გორგალი მოვიძიე. თითებშივე ჩამეფშვნა. ეტყობა, ფუტკრები ერთად შექუჩებულიყვნენ, ცოტათი მაინც გასათბობად, და დაძინება ეცადათ. პეშვით ამოვიღე. სიბნელეში მაინც ვერ გავარჩევდი

ვერაფერს და ამიტომ ჯიბეში ჩავუძახე. წონა საერთოდ არ ჰქონდა. ფუტკრები მთელი ზამთარი სკაში დარჩენილიყვნენ, იმათი თაფლი წაელოთ, სამაგიეროდ კი არც შაქარწყალი დაესხათ მათთვის და არც არაფერი. კი, ეგრე იქნებოდა. ახლა უკვე შეიძლება წერტილის დასმა. საქათმისკენ აღარც წავსულვარ – ვიცოდი, ქათმებიც ასევე დაიხოცებოდნენ. თუ, რა თქმა უნდა, სხვაგვარად არ გამოუყვანეს წირვა. ყველას ერთიანად. ეგებ ნაცარას გარდა. ჩემი ფუტკრები, ჩემი ქათმები. როგორ მივატოვე. სახლისკენ დავიძარი. ბნელში იდგა. კარი ჩაეკეტათ. ისიც შევამტვრიე. ვინ იცის, იქნებ რომელიმე გასაღებით გამეღო კიდეც. შუქის ჩამრთველი გადავატრიალე. შუქი არ იყო. მერე სამზარეულოს და მართას ოთახს მივაშურე. კაციშვილი არსად ჭაჭანებდა. დასამატებელი მეტი არაფერი მაქვს. სახლი გამოცარიელებული დამხვდა. ელექტროკომპანიას დენიც ჩაეჭრა. დამპირდნენ, ხელახლა ჩაგირთავთო, მაგრამ ვიუარე. აი, ასეთ ადამიანად ვიქეცი. ბაღში დავბრუნდი. მეორე დღეს ფუტკრების ბღუჯა შევათვალიერე. მტვერი, ქერცლი, ფრთები. კიბესთან, ყუთში, რამდენიმე წერილი მელოდა. ერთი – სავორისაგან. ჩემი შვილი თურმე თავს კარგად გრძნობდა. რა გასაკვირია. კმარა ამაზე. უკან დაბრუნდა, სძინავს. წერილი იუდისგანაც – მესამე პირში. ანგარიში დაწერეო, მთხოვს. მიიღებს კიდეც. ისევ ზაფხულია. ერთი წლის წინ სწორედ ამ დროს ვემზადებოდი წასასვლელად, ახლა კი უკვე ვთავისუფლდები. ერთხელ გაბერიც მესტუმრა, ანგარიშის წასაღებად. მე კი მეგონა, ამნაირი სტუმრობები და საუბრები ერთხელ და სამუდამოდ მორჩა-მეთქი. არ დამივიწყოთ, შემომიარეთ ხოლმე, – ვუთხარი დამშვიდობებისას. ამასწინათ მამა ემბროუზმაც შემომიარა. ამას ვის ვხედავო, – შესძახა

ჩემს დანახვაზე. მგონი, მართლა ვუყვარდი, თავისებურად. ვთხოვე, ჩემი იმედი ნულარ გექნებათ-მეთქი. ათას რამეზე მოჰყვა ლაპარაკს, ჩემს გადასარწმუნებლად. მართალს ლაპარაკობდა. მაგრამ ვინ არ ლაპარაკობს?! მაინც წამოვედი იმის მრევლიდან. ვთავისუფლდები. ვინ იცის, იქნებ როდისმე შევხვდე კიდეც მოლოის? მუხლს უკეთესობისა არაფერი ეტყობა, თუმცა ვერც უარესობაზე დავიწუწუნებ. უკვე ყავარჯნებიც მაქვს. ასე უფრო სწრაფად ვიმოძრავებ. დიდებული დღეები მელის. რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, ყველაფერი გავყიდე, მაგრამ მაინც გვარიანი ვალები დამედო. მეყოფა ადამიანობა. ამას მეტს ველარც გავუძლებ. აღარც ამ ლამფას ავანთებ აღარასოდეს. აი, შევუბერავ სულს, ჩავაქრობ და ბაღში გავალ. მახსენდება მაისისა და ივნისის ის გრძელი დღეები, როცა ბაღში ვცხოვრობდი. ერთხელ ჰანასთან გავაბი საუბარი. ახალი ამბები მამცნო ზულუსა და დები ელზნერების თაობაზე. მიცნობდა. ჩემი არც ეშინოდა. ქუჩაში გასვლა არ სჩვეოდა, არ უყვარდა. მეც ფანჯრიდან მელაპარაკებოდა. ვერ მითხრა კარგი ამბები. თუმცა შეიძლებოდა, უარესიც ყოფილიყო. მაინც ბოლომდე იმედიანად დარჩენა სჯობს. დიდებული დღეები კი იდგა. წარსული ზამთარი არნახულად მკაცრი გამოდგა, ასე ამბობდა ყველა. ამიტომ ეს მშვენიერი ზაფხული ნამდვილად დავიმსახურეთ. ოღონდ დავიმსახურეთ კი? ჩემი ჩიტები არავის დაეხოცა, ისინი ხომ გარეული ფრინველები იყვნენ, თუმცა მიმნდობი ხასიათი მაინც შერჩენოდათ. ყველა ვიცანი და მგონი, იმათაც მიცნეს. ვინ იცის?! ზოგი კი გამქრალიყო, მაგრამ ახლებიც გამოჩენილიყვნენ. ვცადე, მათი ენა უკეთ გამეგო – ისე, რომ ჩემი ენისთვის არ მიმემართა. წლის ყველაზე გრძელი, ყველაზე მშვენიერი დღეები იდგა. მე ბაღში ვცხოვრობდი.

ადრეც ვახსენე ხმა, რომელიც შიგადაშიგ ჩამესმოდა ხოლმე. თანდათან მივეჩვიე კიდეც. უკვე ვხვდებოდი, რა უნდოდა. იმ სიტყვებს არ ამბობდა, რაც მორანისთვის ესწავლებინათ პატარაობისას და მერე, თავის მხრივ, იმას ესწავლებინა შვილისთვის. ამიტომ თავიდან ვერც ვხვდებოდი, რა სურდა. მაგრამ ბოლო-ბოლო, მაინც მივუხვდი. ყველაფერს მივხვდი, ყველაფერს ვხვდები, ეგებ – არასწორადაც. თუმცა ეგ არაა მთავარი. მითხრა, ანგარიში დამიწერეო. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა უფრო თავისუფალი ვარ, ვიდრე ადრე ვიყავი? არ ვიცი. მაგრამ გავიგებ. აი, შინ შევედი და დავწერე: შუაღამეა. ფანჯარას წვიმა ეხლება. არ იყო შუაღამე. არც წვიმდა.